აპოლონ წულაძე

ეთნოგრაფიული გურია

საბჭოთა საქართველო
1971

[illegible] ფულაძის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი

ჩვენო სასოებავ, ბ-ნო ივანე!

[illegible] საქმის სიყვარულის გამო მეც კნინს შემინდე ეგზომ კალ-
[illegible]... მე შეეუდექი გურიის ცხოვრების ეთნოგრაფიულ მასალების
[illegible]ოვებას. გიგზავნით სანიმუშო პირველ წერილს — საშობაო სამზალი-
[illegible] და შობა. გაახლებთ სამუშაო გეგმასაც და თავაზით გთხოვთ (საამისო
[illegible]ს თუ იშოვით) გამაგებინოთ თქვენი აზრი — ჩემთვის საეალდებულო.
[illegible]ის შეტად სასურველია ამ კილოზე ვანვაგრძო, თუ უფრო მშრალად.
ბოლოს დაროული იქნება გურული სიტყვების განმარტება.

[illegible]ლები თქვენდამი გულსავსე პატივისცემით აღსავსე

ა ა. ფ უ ლ ა ძ ე

მაისის 10. დედაქალაქი.

[illegible] ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის პასუხის მიხედვით
[illegible]ად.

1927. 19.5

ტფილისი

ი. ჯავახიშვილის პასუხი

დიდად პატივცემულო, ბ-ნო აპოლონ!

დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ მოუცლელობის გამო აქამდის წერილი ვერ ვამოვიგზავნეთ. თქვენი „ეთნოგრაფიული მასალები", რომლის გამოგზავნისათვისაც მადლობას მოგახსენებთ, გადავიკითხე იმგვარადვე, როგორც თქვენი სამუშაო ვეგმაც ამ დარგისათვის.

წერილი კარგად არის დაწერილი, ადვილი წასაკითხია და შინაარსითაც საინტერესო. ძალიან კარგი ვინებებიათ, რომ ასეთი მუშაობისათვის მივიყვიათ ხელი. სასურველია მხოლოდ ზოგი ადგილობრივი სიტყვების განმარტება, რადგან უამისოდ ეს ადგილი შეიძლება მკითხველისათვის გაუგებარი დარჩეს. მართალია, სულ ბოლოში თქვენ ასეთი სიტყვებისა ლექსიკონის დართვას აპირებთ, მაგრამ მანამდის რა ქნას მკითხველმა? შემდეგში ამ ადგილების ხელმეორედ გადაკითხვა მოუხდება, რაც მკითხველსაც და მკვლევარსაც საქმეს ვაუძნელებს. ამას გარდა, ზოგან სასურველია უფრო დაწვრილებითი ცნობები იყოს. თქვენს საეთნოგრაფიო მუშაობის პროგრამაში კარგი იქნება ჩაურთოთ აგრეთვე ნათესაობისა და სქესობრივი დამოკიდებულების აღმნიშვნელი ტერმინები ადამიანთა და პირუტყვთა სამეფოში. ამ საკითხს პირველყოფილი კულტურის სურათის აღსადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს და, სანამ ძველებური მთლად გამქრალი არ არის, უნდა შეგროვდეს და ჩაიწეროს. გთხოვთ აგრეთვე სამეურნეო მუშაობასა და იარაღებთან დაკავშირებული ყოველივე ტერმინები, სიტყვები და ვა-

მოიქმები შეიტანოთ თქვენს წერილებში. სასურველია, მაგალითად, სხვადასხვა გუთნის, ურმის და სხვა სახელები სათითაოდ ჩაწერილი და განპირტებული იყოს და თითოეული იარაღის ყველა ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვებიც შეიტანოთ თქვენ აღწერილობაში. აუცილებლად საჭიროა საშეურნეო თესლების, მცენარეულობისა და ხეხილის ყოველგვარი ჯიშების სახელებიც ჩაწერილი იყოს. სახლის ნაწილებისა და აგებასთან დაკავშირებულს იმგვარადვე, როგორც სხვადასხვა ხელოსნობის ტერმინებს, მუშაობისა და საამქრო წესების აღნუსხვასაც რომ მიაქციოთ ყურადღება, ძალიან კარგი იქნება. მართალია, ეს თქვენ მუშაობას გაართულებს, მაგრამ ასეთი ფართო პროგრამით ვაკეთებულ საქმეს უფრო მეტი ღირებულებაც ექნება მეცნიერებისა და მკითხველისათვისაც. მეცნიერული დაკვირვების ზედმიწევნულობისათვის საჭიროა ნიშანდობლივ აღნიშნული იყოს, თქვენი ცნობები გურიის რომელსამე კუთხეს ახასიათებს ხოლმე თუ მთელს გურიაშიაც გავრცელებულია.

გისურვებთ ყოველგვარ ვამარჯვებას ამ საგულისხმო დარგში მუშაობის დროს.

თქვენი პატივისმცემელი
ივ. ჯავახიშვილი

ჩემს მკითხველს

რვა წლის ასაკიდან გატაცებით მიყვარდა ფუტკარი. თუ რამდენად შევძელ საქმით დამემტკიცებინა ეს სიყვარული, მე ამის შესახებ არას ვიტყვი... ფუტკარი დღესაც მიყვარს, მაგრამ მას სხვა მეტოქე გაუჩნდა — ჩვენი ხალხის შემოქმედება, მისი ადათ-ჩვეულება. ერთი სიტყვით, ის, რასაც ბერძნები ეთნოგრაფიას ეძახიან.

ხალხური უშრეტ-ულევი განძის სიყვარული ხალხის საყვარელმა მგოსანმა აკაკიმ ჩამაგონა — მისი შეკრების, ჩაწერისა და გამოქვეყნების სურვილიც მანვე აღმიძრა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩემი ოცნება განუხორციელებელი დარჩა. დღეს ყოველგვარი დაბრკოლება გადალახულია — შრომა დაფასებული და განაღდებულია, რადგან საბჭოთა მთავრობა ხალხურ შემოქმედებას, წარსულის შესწავლას დიდი მზრუნველობით ეპყრობა.

და მეც, ახალი დროით წაქეზებული მოხუცი, ახალგაზრდული გულმოდგინებით შევუდექი სოფლის დაუშრეტელი წყაროს „დაშრეტას“ — მისი სილამაზისა და გენიალობის შეკრებას.

აკაკის კიკოლა თუ „ასი წლის მეტის“ იყო, მე ისეთ ხანა-

ში მომიწია ცხოვრება და იმდენ რამეს მოვესწარ, რომ მგონია, სამჯერ ასი წლისაც ვარ. „ვარ ბევრის მნახველი და მეტის კიდევ გამგონი“. ჩემი გულითადი სურვილია რაც მე თვით ვიცი ან, რაც ხალხშია დარჩენილი, ჩვენი ერთი კუთხის — გურიის — ძველი ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი ზნე-ჩვეულება — ადათი, ცრუმორწმუნეობა, ხალხური ფოლკლორი — ყოველივე შევკრიბო და მომავალ თაობას დავუტოვო. ჯერ კიდევ ბევრი რამ მახსოვს ისეთი, რაც მომავლისათვის საჭირო და სასარგებლოა, თვით ხალხში კი ვინ მოთვლის რამდენი საუნჯე არის შემონახული, მაგრამ თუ დროზე არ შეიკრიბა, იკარგება, ძველ თაობას თან მიაქვს. მაგალითისათვის მოგახსენებთ: უბრალო უსწავლელი ხუცის „ივანე მღვდლის“ (შარაბიძე—ასკანელი) შეუდარებელი იუმორისტულ-სატირული შაირული ლექსები ბევრი ვეცადე, მაგრამ ვეღარ აღვადგინე, შვილიშვილებმაც აღარ იციან. რამდენიმე წლის შემდეგ იგივე ბედი ეწვევა ჩვენებურ ადათებს—ვერავინ გვეტყვის, თუ როგორ ეგებებოდნენ სხვადასხვა დღესასწაულს. ჩემი სურვილია ყოველივე ეს რაც კი ხალხურ შემოქმედებას ეხება, თუგინდ ის „უმართებულოც“ (უცენზურო) იყოს, შევაგროვო მშრალად, ვარიანტებით და მერმე აქედან დავამუშავო მოთხრობის სახით „საშობაო სამზადისი“ და „შობის“ მსგავსად.

ეთნოგრაფიულად საქართველოს არც ერთი კუთხე არ არის საფუძვლიანად შესწავლილი, მოგვეპოვება მხოლოდ ეთნოგრაფიული ეტიუდები (თუ შეიძლება ასე ითქვას), ისიც ზოგიერთი კუთხეების შესახებ, კერძოდ სვანეთსა და ხევსურეთზე. გურია, რომელიც, ჩემის აზრით, ძლიერ მდიდარია თავისი სხვადასხვა ჩვეულებით, ადათით, ცრუმორწმუნეობით

და სხვ., სრულიად დავიწყებულია. გურულების ეთნოგრაფიულად დახასიათებას ვერ ვხვდებით ვერც სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც. გურულების ცხოვრების ამსახველი ნიჭიერი მწერლები ნინოშვილი, ლალიონი და ჭოლა ლომთათიძე ამ მხრივ თავიანთ ნაწერებში თითქმის სულ არაფერს იძლევიან. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა გამოჩენილი და ნაყოფიერი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელო", სადაც გადმოცემულია ხევსურეთის ეთნოგრაფიული ყოფა. აბა ერთი რომელიმე მოთხრობა დამისახელეთ მსგავსი გურულების ცხოვრებიდან. აწინდელმა მწერლებმა ძალიანაც რომ ეცადონ გურულების ცხოვრებიდან „თეთრი საყელოს" მაგვარი დაწერონ, ვერ შეძლებენ, რადგან საამისო მასალას ვერ იპოვიან.

რაც ვიყავით, ის აღარ ვართ, რაცა ვართ, არც ის ვიქნებით. ჯერ კიდევ ჩემს მახსოვრობაში, ჩემს ბავშვობის ხანაში რამდენი ჩვეულება და ცრუმორწმუნეობა (თუგინდ ადათიც) იყო გურიაში, რომელსაც დღევანდელი ახალგაზრდა ვერც კი წარმოიდგენს... დავიხოცებით ჭაღარა გურულები და ყოველივე ეს სრულს დავიწყებას მიეცემა.

მე გინვიზრახე შევუდგე იმის აღდგენას, რაც მახსოვს.

I. შრომის სიმღერები

გართობა, თამაშობა, სიმღერა, ლხინი, გალობა, დროს ტარება, შექცევა, სიამოვნება, სულისა და გულის დატკბობა, სხეულისა და გონების ვარჯიში, მწუხარებისა და დუხჭირი ცხოვრების შემამსუბუქებლად მანუგეშებელი რისიმე გამოსახვა — გურულისათვის ყველაფერი იყო. ყველგან, ყოველ დროს და ყოველგვარ პირობებში გურული ცდილობდა სიამოვნება ენახა და მით თავისი შრომა გაეადვილებინა, მწუხარება შეემსუბუქებინა. გურულმა იცოდა ყოველგვარი შრომის შესაფერი სიმღერა. სიმღერითვე ერთობოდა იგი ცხოვრებაში ყოველი ნაბიჯის გადადგმის დროს.

სტუმართმოყვარე გურული სტუმრის შესაქცევად, უცხო იქნებოდა ის თუ ნათესავ-მოყვარე, აუცილებლად მოიწვევდა მეზობლებს, მომლხენს, ჩონგურის დამკვრელს და დამღიღინებელს, ენაწყლიან მოსაუბრეებს, კარგ თამადას, ვინც ასე არ მოიქცეოდა, „პურშავიაო", იტყოდნენ მასზე. მასპინძელი თუ მხიარულობდა, სტუმარიც კმაყოფილი იყო და ისიც მხიარულობდა. ლხინიც მასპინძლის წასაქეზებელ, გასამხიარულებელი მოლხენით იწყებოდა:

ძასპინძელსა მხიარულსა
ჰყავს სტუმრები საყვარლები,
ღმერთო, ნურას ნუ მოუშლი,
რაც რომ ჰყავდეს საყვარლები.

ზამთარში კი მასპინძლის მაგიერ ბუხარს — ცეცხლს — მიმართავდნენ.

ვამხიარულდი, ბუხარო,
გულჩახვეული ნუ ხარო!

ეს იყო შესავალი. როცა თამადა აირჩეოდა და სმა დაიწყებოდა, მაშინ მომლხენნი ჩაარაკრაკებდნენ გაეროვნებულ საეკლესიო სძლისპირს — „მონასიპს“:

დღეს საღმრთო მადლმან
შეგვკრიბნა ჩვენ...

ან მეორე ამგვარსავე: „მოვედით და ვსვათ სასმელი ახალი“.

გურული მღეროდა ყველგან — შრომის დროს, გზაში, ომში, მინდორში და, საერთოდ, ბუნების ვრცელ წიაღში. სიმღერა, მოლხენა, გალობა მას ისე შეესისხლხორცა, იმდენად გადაექცა მოთხოვნილებად, რომ გლოვის დროსაც კი ერიოობოდა და ნუგეშობდა გლოვა-ტირილის შესაფერი გალობით — ზარით.

გ ა ლ ო ბ ა

გალობა სულის საოხი, სულის „საცხონებელი“ იყო და არა ხორციელი სიამოვნება-დატკბობა. დროთა ვითარებაში გალობამ სულიერ-საიქიო მნიშვნელობა ნაწილობრივ დაკარ-

გა და ხორციელი სიამოვნების სახე მიიღო. იმ ეკლესიაში, საცა კარგი მგალობლები იყვნენ, ბევრი გალობის მოსასმენად უფრო მიდიოდა, ვიდრე სალოცავად... 1890 წლიდან, როცა გათვითცნობიერებულმა ხალხმა ხუცესსა და ეკლესიას ზურგი აქცია, ხუცები მლოცავთა მოზიდვას გალობით ლამობდნენ, მგალობლები დაიქირავეს და ამით ლოცვა-მორწმუნენი თუ ვერ მიიმატეს, თვალის ასახვევ ეფექტს მაინც მიაღწიეს — ეკლესია გალობის მოყვარული ხალხით ივსებოდა.

ზოგიერთი გალობა, მართლაც, ისე საამო მოსასმენი იყო, რომ ხელოვანი მუსიკოსის ნაწარმოებს თუ არ აჯობებდა, არც კი ჩამოუვარდებოდა. ამიტომაა, ალბათ, რომ ასეთნაირმა გალობამ ხალხური სახე მიიღო. ლხინისა და დროს ტარების დროს გალობდნენ და პირჯვრის წერის მაგიერ სავსე ჭიქას ან ყანწს ცლიდნენ. კარგი გალობა იყო მადის აღმძვრელი, სახალისო და გასართობი, დროსა და გარემოებას შეგუებული და მათი დამამშვენებელი. მაგალითად, ჯვრისწერის დროს, როცა ნეფე-დედოფალს გვირგვინით თავზე, ხუცესი ანალოგიის გარშემო ჩამოატარებდა, მგალობლები გალობდნენ: „ისაია მხიარულ იყავ, ქალწულმან მიუდგა და შვა ძე ემანუილ“... სიტყვები და, მეტადრე გალობის კილო, იყო ვნების აღმძვრელი — სიცოცხლის, სიამოვნებისა და გამრავლების ხალისიანი ჰიმნი. სულ სხვა იყო წესის (ანდერძის) აგების — ცხედრის უკანასკნელი გამოთხოვების — „სულთითანა განუსვენე“... მსმენელს სევდა ეუფლებოდა, საგალობელი „წუთისოფლის სტუმრობის“ ხანმოკლეობას აგრძნობინებდა და თვალს ცრემლით უვსებდა.

მიცვალებულის დამარხვის დღეს ტრაპეზი (პურის ჭამა) ქორწილს არ ჩამოუვარდებოდა, მეტადრე თუ მიცვალებულს

პატივისმცემელი ჭირისუფალი რჩებოდა. ყველა ჭიქას შესაფერისი გალობა მოჰყვებოდა. მრავალქამიერის მაგიერ „საუკუნოთ იყოს ხსენება მისი!“... სამჯერ გალობით იტყოდნენ: არ დაითვრებოდნენ, მაგრამ კარგა ლამაზად შეჭიკჭიკდებოდნენ.

გალობა ხალხს ძალიან უყვარდა. ზოგჯერ ყველა ეკლესიას თავისი მგალობელი (სამი კაცი სჭირდებოდა) არ ჰყავდა და ეკლესიის დღეობაზე მას მეორე სოფლიდან საგანგებოდ იწვევდნენ. ისეთი ეკლესიაც იყო, საცა გალობა ორპირად ითქმოდა. გალობის მცოდნეთა უმეტესობას თავადაზნაურები და მღვდლის ოჯახის წევრები შეადგენდნენ. გალობის შესწავლას, გარდა ბუნებრივი ნიჭისა, წერა-კითხვის ცოდნა, დიდი დრო და მოცალეობა სჭირდებოდა. ყველა ამისათვის კი მაშინდელ გლეხს არ ეცალა, ამიტომ მგალობელი გლეხი იშვიათი იყო, და თუ იყო, მას გააზატებულს, ნახევრად აზნაურს ეძახდნენ, სხვებთან შედარებით იგი უკეთეს პირობებში იმყოფებოდა.

გალობის (ზარის) მასწავლებელს გასამრჯელო ეძლეოდა. ზოგიერთ თავადს ეზოში საკუთარი კარის ეკლესია ჰქონდა და კარის მღვდელი ჰყავდა, მგალობლები კი თვით თავადები (ზოგჯერ ქალებიც) იყვნენ. ეს თავადები შერჩეულ ახალგაზრდებს გალობას ასწავლიდნენ — სამაგიეროდ, სწავლის გათავებამდე 6—12 თვეს ხელზე იმსახურებდნენ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხესთან შედარებით გალობა ყველაზე მეტად გურიაში გავრცელდა. ბევრი პროფესიონალი მგალობელი იყო, მის საარსებო წყაროს გალობის სწავლება შეადგენდა. უმეტესობა იმერეთსა და სამეგრელოში მიდიოდა და იქ ასწავლიდა. ზოგიერთისათვის გალობა ყველა-

ფერი იყო. გურიაში ანეკდოტიც კი შეთხზეს ერთ-ერთ ცნობილ მგალობელ მაქსიმე წეროძეზე, ერთხელ თურმე მაქსიმე სასამართლოში დაუბარებიათ მოწმედ. მოსამართლე ეკითხება:

— მაქსიმე, შენ რას იტყვი?

— შენ თუ დაიწყებ, მე ბანს გეტყვი! — უპასუხნია მაქსიმეს.

მგალობელი, მოზარე და მომლხენი უნდა ყოფილიყო, ზრდილი, დარბაისელი, კარგი სიტყვა-პასუხის, კარგად ჩაცმულ-დახურული, ნაზად მჭამელი, ღვინო „სამწყურვალოთ" უნდა დაელია, არ უნდა დამთვრალიყო. სუფრაზე ეძლეოდა უპირატესობა — რჩეულ ადგილას ჯდებოდა, ალავერდს არ ეტყოდნენ და ღვინოს თავის ნება-სურვილზე მიართმევდნენ.

კარგ მგალობელს, თუ იგი ამავე დროს მასწავლებელიც იყო, დიდად აფასებდნენ. ყველას უყვარდა, პატივს სცემდა და, საერთოდ, საზოგადო მოღვაწედ თვლიდნენ.

1932 წელს გარდაიცვალნენ ცნობილი მგალობელ-მომლხენ-მომღერალნი (ჩონგურზე დამკვრელებიც): ნესტორ კონტრიძე, სამოელ ჩავლეშვილი (მთავრობამ იუბილე გადაუხადა რუსთაველის სახელობის თეატრში) და გიორგი ბაბილოძე. გარდაცვალების გამო საერთო მწუხარება-დანაკლისი მათმა მოწაფემ, ახალგაზრდა მომღერალ-მასწავლებელმა არტემ ერქომაიშვილმა საკუთარი ლექსით გამოხატა და ეს ლექსი სიმღერად აქცია.

ამ გალობისებურ სიმღერას დღეს ხალისით მღერიან გურიაში.

დავკარგეთ სამი მომლხენი,
მსმენელთა დამატკბობელი,
გურიის ღვიძლი შვილები,
ჩაგრულთა გამართობელი,
პირველ ხმაში ჩავლეშვილი,
კაკანებდა ვით ბულბული,
წვრილს ეტყოდა ბაბილოძე,
სხვაფრივ ენა მოქარგული,
ბანს კონტრიძე შესძახებდა,
დასტკბებოდა სული, გული,
სიხარულით აგავსებდა
სამივეს ხმა ერთად თქმული.
სამოელ, გიორგი, ნესტორ
არ არს ჩვენთვის დაკარგული,
ხშირათ ვტკბებით სიმღერებით,
მათი ენით წარმოთქმული.
ისტორიაც არ ივიწყებს
მიზნათა აქვს დასახული,
რომ გადასცეს მომავალ ერს
მათი ქება, ხალხის თქმული.

ღ ი ღ ი ნ ი

ღიღინი ერთპიროვნული იყო. ღიღინებდნენ საკრავზე — ჩონგურზე ან ჭიანურზე, ან მარტოდ — მუშაობის ან მგზავრობის დროს. „ვეფხისტყაოსანს“ და „დავითიანს“ ღიღინით კითხულობდნენ. ჩონგურის დამკვრელს არასოდეს არ სთხოვდნენ დაამღერეო, ეტყოდნენ, დააღიღინეო. დამღიღინებელს დიდად აფასებდნენ: „ერთ ქალათ მარტუაი იგი ღირს, ის რომ ჩონგურზე დააღიღინებსო“, „მისი ღიღინება მკვდარს გააცოცხლებსო“.

კრიმანჭული

კრიმანჭული ან კირკანტული სიმღერის ერთი წამყვანი ხმაა, მაგრამ როგორც დიღინი, ისე კრიმანჭულიც ზოგჯერ ერთპიროვნულია. მარტოდ დარჩენილი ახალგაზრდა კრიმანჭულობდა ტყეში, ყანაში და გზაში. კრიმანჭულს იწვევდა მარტოობა ან შიში. კრიმანჭულობდა — შიში უქრებოდა, არ მოიწყენდა, არ ჩამოეძინებოდა. კრიმანჭული უფრო ხშირად ჭაბუკების საქმე იყო. ღამით მოზარდს სადმე წასვლას რომ დაავალებდნენ, ეტყოდნენ: „წეიკრიმანჭულე და ისე წადიო“. კრიმანჭულობდა ძროხისა და თხის მწყემსი ახალგაზრდა, თუ მას მოპირდაპირე მხრიდან მეორე ტოლი გამოეკრიმანჭულებოდა, ეს მოგაგონებდა ორი მწყემსის სოინარით ან სალამურით შეჯიბრებას. კრიმანჭული დიდად სასიამოვნო მოსასმენი იყო, მეტადრე მყუდრო მთვარიან ღამეში. ზოგჯერ კრიმანჭული შეყვარებულთა საპაემანო ნიშანიც კი იყო.

ხიმღერა

·გურული სიმღერა, რომელიც შეგუებული, შეხამებული, მისადაგებული, შეხმატკბილებული იყო შრომა-გარჯილობასთან, აადვილებდა, არაქაფებდა და მეტ ნაყოფიერ-ბარაქიანს ხდიდა შრომას, აძლევდა მას შინაარსსა და ხალისს. ზარმაცს აბეჯითებდა, ლაჩარს ამხნევებდა, დაღლილს ძალ-ღონეს მატებდა, ხორციელად ამხნევებდა, სულიერად აკეთილშობილებდა.

სიმღერას სწავლობდნენ ყურის დაგდებით ბუნებაში მოქმედების დროს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სიმღერა

გლეხობის კუთვნილება იყო და არა „ბრწყინვალე“ წოდებისა. გალობა და მოლხენა კი თავად-აზნაურობის საქმე გახლდათ და ძალიან ბევრი იშვიათი მგალობელ-მომლხენის ჩამოთვლა შეიძლებოდა მათი წრიდან. სამაგიეროდ, ვერავინ დაასახელებს ამ ცნობილ, და, მართლაც, ხელოვან მგალობელ-მომლხენებიდან ვინმე ყოფილიყო კარგი მომღერალი.

თავადი დათა გუგუნავა, გურიის გარეთაც ცნობილი, სახელგანთქმული მგალობელი-მომლხენი და ცნობილი მასწავლებელი, ერთ თავის ლექსში თავის თავს „ლხინის დედას“ უწოდებს. მისი — ყოფილი მოწაფეები ადასტურებენ, რომ სიმღერა ამ თავადს, სხვებთან შედარებით, არ სცოდნია და, ეს არც გასაკვირია, რადგან სიმღერა უმთავრესად თან სდევს შრომა-გარჯილობას, რასაც ეს წოდება თავიდანვე არ მისდევდა.

ყანური, ანუ ნადური

ყველა სიმღერაზე მეტად რთული, ძველი და ამავე დროს საყვარელი იყო ყანური, ანუ ნადური. სიმღერა ორპირი იყო და რვა კაცი სჭირდებოდა: ორი დამწყები (მთქმელი), ორი გამყივანი (გადამძახებელი) და ორ-ორი ბანი (შემხმობი). მღეროდნენ ყანის თოხნისა (დათესვის) და მარგვლის (გაბარვის) დროს, ამიტომ დაერქვა მას ყანური, და რადგან იგი უნადოდ არ ითქმის, ამიტომ ნადურსაც ეძახიან. დამტკიცებულია, რომ ნადური სიმღერით ნადი ორჯერ მეტად ხალისით და დაუღალავად მუშაობს, ვიდრე უსიმღეროდ. სიმღერა იწყება მეტათ ნელი ტემპით, თანდათან მუხლიდან მუხლზე გადადის, მუხლი მოკლდება და ტემპიც მის შესაფერად ვითარდება,

ცხოველდება, და (სიმღერის დაწყებიდან 20—30 წუთის შემდეგ) როცა ის ი-ო, ი-ო, ი-ო, ი-ო-ზე გადადის, თოხის დარტყმაც სიმღერას ყვება. ამასთან იმდენად სწრაფად, რომ თოხს თვალს ძლივს მოჰკრავ. თოხებს სიმღერის ტემპს აყოლებენ, როგორც მომღერლები, ისე არამომღერლებიც. აქ სრული ჰარმონიაა, თუ ვინმემ სიმღერას თოხი არ ააყოლა, ან გაუსწრო, ან ჩამორჩა, ის სიმღერას ისევე არღვევს, როგორც ცეკვის დროს უადგილოდ და ურიგოდ ტაშის დამკვრელი. ყველამ უნდა დაიცვას ტაქტი, დამრღვევს ცალკე ნაპირს (სვრელს) მიუჩენენ — თავის რიგში არ გაირევენ. თოხების დარტყმა და სიმღერა რიტმული უნდა იყოს.

ყანური სიმღერა არსებითად თითქმის ყველა ერთნაირია, მაგრამ სხვადასხვა კუთხის ყანურს შორის განსხვავება მაინც საგრძნობია. განსაკუთრებით საქებია: საჯაოხურაი, ქობულეთურაი, გურიანთულაი და შემოქმედურაი. თითოეული მათგანი თავის კუთხური ხასიათ-ტემპერამენტით გამოირჩევა. საჯაოხურაი უფრო დინჯია, დარბაისლური, მოზომილი; გურიანთულაი — სწრაფი, აფეთქებული, ცოფი, შლეგი, იერიშის მიმტანი; ქობულეთურაი გურიანთულას ენათესავება, მაგრამ უფრო მხედრულია; შემოქმედურას ახასიათებს მეტი სიტკბო და მოქნილობა.

ხელოვანმა მომღერალმა, 89 წლის მოხუცმა ივლიანე კეჭაყმაძემ (ყვირიკეთის მცხოვრებმა) გადმომცა: „შემოქმედურაის მთქმელი იყო შემოქმედელი გლეხი გიორგი ლომჯარია. ასი კაცი რომ ვყოფილიყავით უგიორგისოთ შემოქმედურაის ვერ ვიტყოდით. გიორგი ამ სიმღერის უზომოთ მოყვარული იყო — ორი ჯოხით რომ დადიოდა, მაშინაც კი ჩაგვიდგებოდა ნაპირში და მღეროდა. ერთხელ, როცა გიორგი უკვე ღრმა

მოხუცი იყო და კვირიკეთიდან მის მეზობელს ნადი მიჰგვარეს ნაშუადღევს ერთმა მომღერალმა თქვა — მოდი გიორგის პატივსაცემათ მისი საყვარელი შემოქმედურაი ვთქვათო. გიორგის ნადურის ხმა რომ შემოესმა, სახეგაბრწყინებული ჩვენთან მოვიდა, ჯოხები გადააგდო, თოხს ხელი მოკიდა და შემოსძახა: ჰო, ჰო, ჰოო. ბიჭებო, გენაცვალეთ ყიაში, აწი, თუ მოვკვდები რა მიჭირსო“.

თვით ყანურ სიმღერაშიაცაა განსხვავებაც. ყანური არის დილის, ანუ ხელმოსაკრავი (მუშაობის დაწყების); სადილობის ან შუადღის (ზოგან „წეროდიას“ ეძახდნენ); ზარმლობის (სამხრის, ზარმლობის ყანურს აღმოსავლეთ გურიაში „შეექცეულას“ ეძახიან) და ყანის სამუშაოს გათავების. ყანურის ეს სიმღერები მოკლედ ითქმოდა მთლიან ყანურში ჩართვით.

თუ რომელი დროის ყანურს მღეროდნენ, ამახ მოთაღრეები (მოსაზღვრეები) და შორიდან მსმენელებიც კი არჩევდნენ და იტყოდნენ: ნადი ზარმლობისას მღერის — ზარმელს ითხოვსო. ამრიგად, ყანური სიმღერა დროს საზომიც იყო. ნადის „წეროდია“ იქნებოდა სწორედ იმ დროსო — იტყოდნენ. თუ ყანის მთელ სამუშაოს მორჩებოდნენ, მაშინ ყანურ სიმღერას დამამთავრებელ მეორე სიმღერას — „ელესას“ გადააბამდნენ. ელესას ბოლო გვაგონებს სამხედრო იერიშს. გმირული, მამაცური შეტევის მარშია და გამარჯვების ყიჟინით მთავრდება.

ყანური სიმღერა რთულია და მისი კარგი შემსრულებელიც იშვიათად მოიპოვებოდა, ამიტომ კარგ მომღერალს მოწონება-დაფასება ჰქონდა, მომღერლის ერთ დღეს მოხმარება ორ დღედ ღირდა. ხშირად შეხვდებოდით ისეთ გლეხს, რომელიც სხვას ვერც სიმღერაში მოეხმარებოდა და ვერც ლხინში, მა-

გრამ მარტო ყანურის მთქმელი ან გამყივანი, ან ბანი იყო.

მაგალითად, ასკანელი გლეხი ლომინ ნაცვალაძე, საერ-ოდ, არ მღეროდა, მაგრამ ნადურის იშვიათ შემსრულებლად ითვლებოდა. იგი საბჭოთა ხელისუფლებას მოესწრო, ასკანაში კლუბის საზეიმო გახსნის დროს იმღერა თავისი საყვარელი ნადური, და როცა რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა, ზარის ნაცვლად ნადური უმღერეს, და მით დიდი პატივი სცეს.

ისეთებიც იყვნენ, რომლებმაც სიმღერა, მოლხენა, გალობა კარგად იცოდნენ. როგორიცაა, მაგალითად, ასკანის მცხოვრები ანტონ ჩხაიძე. ჭანჭათელ გლეხებს პავლე და ისიდორე ჩიჩუებს და საბა გოგუაძეს — ამ, მართლაც, იშვიათ ტრიოს— მთელ გურიაში იცნობდნენ.

ნადური სიმღერა ძველია, ისტორიულია, ის წარმოშობილია ბატონყმობის დროს ყმა გლეხებში, მასში ცხადად ჩანს ბატონების წინააღმდეგ შეთქმულება — ჯანყი, შეტევა, იერიში და გამარჯვება — ბატონების განადგურება და მათი „მოთხრა“.

სიმღერას იწყებდა ერთი მთქმელი დაბალი ხმით, გაუბედავად, წუწუნით, არ მოსწონდა თავისი ვაგლახი ცხოვრება, უჩიოდა მას. სწორედ იმ ლექსებს, სიმღერის ტექსტებს, რაც ი ყანურში იყო, საჩივარს ეძახდნენ. არც ერთ გურულ სიმ-ღერას არა აქვს იმდენი ტექსტი, რამდენიც ნადურს — ძალიან ხშირად მთელი სიმღერა ერთი ან ორი საჩივრით თავდებოდა. ხშირად გაიგონებდით დღეს ნადურზე 20—25 საჩივარი ითქვაო. ამ საჩივარ-ლექსებში, აშკარად ჩანს გლეხთა მაშინ-ლი ყოფა-ცხოვრება და უუფლებობა.

ერთ მთქმელს — მომჩივანს — მეორე მის ბედშივე მყო-

ფი აჰყვებოდა, გამოეხმაურებოდა, პირველის საჩივარს კვერს დაუკრავდა და იმეორებდა.

ამ ორ მომჩივანს შეუერთდებოდა გამყივანი, ანუ გადამ-ძახებელი და მაღალი ომახიანი ხმით უყიოდა, უძახდა, უხმობ-და სხვებს, მოუწოდებდა ამხანაგებს. სხვებიც, ტანჯულები არ აყოვნებდნენ და უერთდებოდნენ, „ებანებოდნენ“ — ბანს ეუბნებოდნენ. — ბანი მარტო სიმღერის კილო როდია, იგი ნიშნავს თანხმობას, აყოლას, აზრის გაზიარებას, ხშირად იტყვიან: ბანი დამაწია, „მომებანა“, ბანი მითხრა, ბანი დამ-ძინა. ბანს შემხმობსაც ეძახიან, შემხმობი ნიშნავს შემხმელე-ბელს — ცეცხლში ხმელი საწვავის შემკეთებელს. ცეცხლის ამაგიზგიზებელს, და მაღალადურებელს[1] (ამაპრიალებელს). ამრიგად, შემხმობი — ბანი — ცეცხლს აგიზგიზებს, ყმებს აჯანყებისა და ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

მთქმელი მოთავეა, ორგანიზატორი — დამწყები. გამყივა-ნი — გადამძახებელი — საყვირია, განგაშის ამტეხი, შემკრე-ბი აგიტატორი. გამყივანის ხმა მკვეთრია — შორს მიდის, ამ-ღერებული ყიჟინაა. ბანი კი მასაა და გამარჯვებაც ამ მასაზე არის დამოკიდებული. სიმღერაც სწორედ ბანზე არის დამყა-რებული, ბანი თუ ძლიერია და სწორი, სიმღერაც გამართუ-ლი იქნება. ძველი და დახელოვნებული მომღერლების გად-მოცემით, თუ სიმღერას სხვები (მთქმელი და გამყივანი) გა-ამრუდებდნენ, ბანს უნდა გამოესწორებინა — კარგი ბანი სი-მღერის ბურჯი ყოფილა.

---

[1] კასბანებზე იტყოდნენ — დააღალადურაო, გოდრით დადგაო, კაი-„შემხახუებელნი“ ჰყავდაო. შეხახუება ონავარი მტაცებელი ფრინველის დაფრთხობაა.

ნადურის თავისებურება ის არის, რომ მხოლოდ და მხოლოდ მარტო ამ სიმღერას ჰყავს გამყივანი-გადამძახებელი. გამყივანი და კრიმანჭული სულ სხვადასხვა ხმაა, მათ შორის დიდი ზღვარია.

სიმღერის ტექსტი — ლექსი საჩივრის სახელით მხოლოდ ყანურშია. არც ერთ სიმღერაში ლექსი ისე მნიშვნელოვანი არ არის, როგორც ყანურში. ლექსი აქ ძარღვთაგანია.

დაწყების პირველ „კანში" სიმღერა უიმედოა, მომღერალთა სახეც ნაღვლიანია, მეორე, „კანის" სიმღერაში გაცხოველებული კამათია — ბჭობა-თათბირი, ჭოჭმანი. მომღერლებს თანდათან ეტყობათ გამოცოცხლება, ხალისი და გამარჯვების იმედი. მესამე „კანში" როგორც ყველა მომღერალი, ისე არამომღერალი, ამაყი, შეუპოვარი ხდება, ხოლო თვით სიმღერა შეტევა-იერიშზე გადადის.

სიმღერის პირველსა და მეორე მუხლში ბანების ხმა ისე ძლიერი, ჩქარი და შემტევი არ იყო, როგორც ახლა: ჰიო... ჰიო, ჰიო... ჰიო. გარდა ამისა, სიმღერის ამ სტადიაში დიდად საყურადღებოა მომღერალ-მომუშავეთა წყობა-დარაზმულობა. ახლა მათი დარაზმულობა ციხის ამღებთა მხედრულ-სტრატეგიული წყობისაა, მხედრული დისციპლინის დაცვით. წყობას წინ უძღვიან მოთავენი, შეთქმულების მომწყობნი, მათ მოჰყვებიან ბანები, მუშები, თანამგრძნობნი და თანაშებრძოლნი.

I	II
1 მთქმელი	1 მთქმელი
2 გამყივანი	2 გამყივანი
3 ბანები	3 ბანები

ჩამყოლი ბანები და სხვა მუშები. თუ მომუშავე გლეხები ან მგზავრები გაიგონებდნენ ახლო ადგილიდან სიმღერას, თით-

ერთ დროს ეს ჭალა თავად შალიკაშვილისა ყოფილა. ერთხელ შალიკაშვილს საჭილოელ აზნაურ კორძაიასათვის ნადი შეუკვეთია და მასაც იმდენი ნადი მოუყვანია, რომ მთელი ჭალა ერთ სვრელად გაუტანია. ამის შემდეგ დარჩენია ამ ჭალას კორძაიას სვრელი.

ეს ძველი ამბავია, ამაზე უფრო ახალს მოგახსენებთ, რომლის მონაწილენიც დღესაც მღერიან ნადურს.

მაისია. კვირა დღე. წირვა გამოსულია, ბახვის ეკლესიის გალავანში ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მუსაიფობს. გალავანთან ცხენი მოაგდო დვაბზუელმა აზნაურმა ზურაბ დათუნაიშვილმა და იკითხა აზნაური მელქის მახარაძე თუ ბრძანდება აქო... გალავნის შიგნიდან მელქისი გამოეხმაურა — აქ გახლავარო.

— აბა, მელქის, ხვალ თუ შეგიძლია ნადი მომგვარე.

— დიდი სიამოვნებით, რამდენი გნებავს?

— რვა ქცევა ყანა მაქვს გასამარგლი ტალაკვანში, შენ სად შეგიძლია იმდენი მომგვარო, მარა, რამდენიც შეძლო იმდენი მომიყვანე.

— მოგიყვან, მარა სირცხვილი არ მაჭამო.

— ზურაბ დათუნაიშვილს როდის უჭამია სირცხვილი-ახლა რომ ჭამოს... მოაბრუნა ცხენი და წავიდა.

მელქის მახარაძე გავლენიანი აზნაური იყო. მისი უფროსი ძმა პავლეც დიდი თავმომწონე გახლდათ. ითათბირეს და სადილის შემდეგ ორივემ ცხენით ჩამოიარეს მახლობელი სოფლები და სოფლის თავკაცებს ზოგს 50, ზოგს 60 კაცის მოყვანა დაავალეს.

მეორე დღეს, დილით პირველი წყება ასი კაცი მიადგა დათუნაიშვილს სიმღერით. ზურაბმა ისინი ასაუზმა და სამუშაოზე წაუძღვა. ეზოს ორი კილომეტრით არც კი იქნებოდა და-

შორებული მეორე ასეულის სიმღერა რომ შემოესმა... ყანაში რომ ჩავიდა (ეზოდან 8 კილომეტრზე) მესამე ასეულიც მიემატა, ცხენზე მჯდომი მეთაური აზნაურითურთ. ზურაბს არ სწყენია, თავის სოფლის აზნაურები და შინაური გლეხები აფრინა იქით-აქეთ, ბაზარში თუ ოჯახებში. ჩინებულად ასაეზმა და სადილადაც ხუთი საკლავი დაკლა. გაჩაღდა მუშაობა და სიმღერა. ზურაბის რვა ქცევას სხვისი რვა ქცევაც მიუმატეს.

ცხადია, „ნაუცფათევ" სადილზე თუ ხუთი ძროხა დაიკლა, ვახშამს უფრო მეტი დასჭირდებოდა: ძროხებს ინდაურებიც წააკლეს და ჭურებიც დაცალეს.

ნადს, საუზმესა და ადრეულ სადილს იქვე ყანაში ხის ჩეროს ქვეშ მიართმევდნენ. ზოგან ასეთი ხე განგებ იყო შერჩეული, ზოგან კი გაკაფვის დროს დატოვებდნენ და მას სასადილო ხეს ეძახდნენ.

სუფრის მაგივრობას სწევდა რცხილის, კოპიტის ან წაბლის ფოთლოვანი შტოები, უწვენო საჭმელსაც მასზე აწყობდნენ. ზარმელსაც აქვე მიირთმევდნენ. ზარმელი თუ შეიკვიანებდა, მაშინ სიმღერას ჩამოარაკრაკებდნენ:

„ხარი დავკალ კაბელაო,
სად ხარ, ჩემო ზარმელაო"

ყანაში „გასუფრავება" — ხანგრძლივი ჯდომა და შეჭცევა — არ იცოდნენ, არც სადღეგრძელოები ითქმოდა, რამდენიმე ჭიქას დალევდნენ, ერთიმეორესთან გამარჯობა-გაგიმარჯოს გადავიდოდნენ, შიმშილს მოიკლავდნენ და მუშაობას განაგრძნობდნენ. სუფრიდან პირველად ხელისმომკრავი წამოდგებოდა, შემდეგ მონაპირეები და გარბოდნენ ნაპირისაკენ,

მათ სხვებიც მისდევდნენ. პირველი თოხი ხელისმომკრავს უნდა დაეკრა, იგი მუშაობის ბელადი იყო. თუ სამუშაო გათავდებოდა, მას ზევით შეისვრიდნენ, თუ არ გათავდებოდა, თავდაღმა დაჰკიდებდნენ. სამაგიეროდ, ვახშამი ხანგრძლივი, მრავალფეროვანი იცოდნენ. ეზოში სიმღერით მისულ ნადს თოხით ხის მოთხრის შემდეგ, ზოგს ხელს კი არა, ფეხსაც დააბანინებდნენ. სუფრაზე თამადას ირჩევდნენ და სმაც შეჯიბრებით იწყებოდა, მაგრამ უზომოდ არ თვრებოდნენ. მეორე დღეს კიდევ უნდა ვარგებულიყვნენ კაცად.

გურულის თქმისა არ იყოს, „რადგან ხარჯი ნაქნარი იყო“, ნადის ვახშამს გურული ზოგჯერ შეუფარდებდა — „გამოათანიებდა“ — სხვა რამესაც: ნათლობას, ახალმოყვანილის დაპატიჟებას, ან ვინმეს უცხო და სასიამოვნო სტუმრის მოწვევას.

როგორც მუშაობა, ისე სიმღერა კოლექტიური გახლდათ. ამას ისიც ამტკიცებს, რომ სოფელში თუ ყანაში მუშაობის დროს მუშა კაცი ავად გახდებოდა, კვირას ეკლესიაში მოითათბირებდნენ, დანიშნავდნენ დღეს და ავადმყოფის ყანას ნადურით დაამუშავებდნენ.

რეაქციის ხანაში პოლიტიკური გადასახლებულის (ან პოლიტიკურ ნიადაგზე მოკლულის), იმპერიალისტური ომის დროს სათადარიგო ჯარისკაცის ყანასაც ასევე კოლექტიურად ამუშავებდნენ, ზოგჯერ (სამივე შემთხვევაში) გამასპინძლებას ყანის პატრონს არ ავალებდნენ, თავიანთი ხარჯით მუშაობდნენ. ისეთი შემთხვევაც ყოფილა, რომ პატრონს ყანის დამუშავება მეორე-მესამე დღეს გაუგია.

გურული შეძლებული გლეხი

ნადურის საჩივარი

1.

ქალი ვიყავ აზნაური
გლეხის შვილმა მითხუაო,
ჩემი ნებით არ მივყვები
ძალით თუ არ მომიტაცა.
მომიტაცა, წამიყვანა
ცხრაი მთაი ზურგით მზიდა
მეათეზე დამსვა ზედა.
გლეხის შვილი ეუბნება:
ქალო, ასე დამიფიცე
შენსა, ჩემსა ჩახოვნასა
არაფერი არ გერჩიოს.
ქალი ასე უფიცებდა:
შენსა, ჩემსა ჩახოვნასა
რიონს ჩაჭრა მირჩევნია.
სტაცა ხელი წაიყვანა,
რიონს პირათ მიიყვანა
დაშნა-ფარი ხელში მისცა
მოაბრუნა კიდევ ჰკითხა:
ქალო, ასე დამიფიცე
შენსა, ჩემსა ჩახოვნასა .
არაფერი გირჩევნია.
ქალი ასე უფიცებდა:
შენსა, ჩემსა ჩახოვნასა
რიონს ჩაჭრა მირჩევნია,
სტაცა ხელი შიგ გადუშვა
მობრუნვალეთ აბრუნებდა.
ტანსა მისსა ბროლისასა,
რიონს ხიდეთ უკეთებდნენ,
ხელსა მისსა ბროლისასა
ვირხიდათა აკეთებდნენ,
თმასა მისსა გიშრისასა
სახელურად უკეთებდნენ.

2.

მთას ხოხობი დაფრენილა,
ღაბლა მერე ტკარცალებდა,
ჰიკვობაზე ჰიკვსა სჭამდა,
მოლობაზე მოლასაო.
ბაზიარი შემოსულა
ქორითა და მეძებრითა
იხვს იკირავს გეზელითა
ნამთავარი ოფოფსაო.
ბაზიარი თავს მოიცემს
ქორი ავად გახთენია,
გამჩენელ ღმერთს აღთქმას აძლევს,
თუ რომ ქორი მომიკვდება,
სამ წელიწადს ასე ვიგლოვ
ხორცს არას ვჭამ არაფრისას
იხვისა და ხოხბის მეტსო.
უშობელი ძროხის მეტსო,
ტანზე არას არ ჩავიცვავ
სკალატის მაუდის მეტსო,
თავზე არას დავიხურავ
ქუთათური ქუდის მეტსო,
ფეხზე არას არ ჩავიცვამ
წალა-წული ჩექმის მეტსო.

3.

აგერ მოვა წყალი შავი
მას მოჰქონდა გველი შავი,
გაუწვდინე ვაშლის ჯოხი
მოვითრიე კოდმიდანა;
დავდევ ქვასა, დავკარ შუბი
ვაქცევიე სისხლი-შხამი
ივი ავსა მაწყენარსა.

4.

გეგუთისა მინდორშია
სისვი ცხენი მოგოგავდა,
ზედა იჯდა ვაჟი-კაცი
უკან მისდევს კოჭლი ქალი
— შენ ვაჟკაცო, მომიხედე
— შენ რა გინდა კოჭლო ქალო
— შენი საზრახი არა ვარო.
— — — — — —
— — — — — —

5.

აჯაძეთში ტყეია
შიგ ნადირი ბევრია,
ვინაა მისი მომრევი
სამი ძმაი თავდგირიძე.
— — — — — —
— — — — — —

6.

ნადულარას ვადულებდი
ქალ-ბაღანას ვაპურებდი.

სამწუხაროდ ნადურის საჩივარი ლექსები დავიწყებულია, ძალიან ბევრია დაკარგული. იყვნენ ისეთი მომღერლები (მაგალითად, დვაბზუელი დათა შაფაქიძე), რომლებიც მთელ ღღეს სულ ახალ-ახალ საჩივრის ლექსს მღეროდნენ თურმე.

გარდა საჩივრისა, ყანურში მღეროდნენ კიდევ სახუმარო ლექსებს, რომლებსაც ეძახდნენ „ყბამოსაქცევს“ (ყბას ნუ მიქცევ — ნუ დამცინი, სამასხროდ ნუ მხდი).

ღარიბი გლეხის კარმიდამო

ხანიხი

სამი ბატონის ყმა ვიყავ,
ხან ის მირტყამდა, ხან ისი,
სამივე ერთ დღეს მომიკვდა
ხან ის ვიტირე, ხან ისი,
სამივეს დარჩა ცოლები
ხან ის მიყვარდა, ხან ისი,
სამივეს დარჩა ქონება
ხან ის შევეპარე, ხან ისი.

2.

ჩიტსა ვდევდი მაბზაკუნსა
შემოვსტორცნე ხელ-კოდალი
დავამტვრიე მხარ-ბარკალი,
ავჩარიქე, ფორჩხს მიეკიდე
თავ-თავ რიგად დავარიგე,
ორყურ ქვაბში რომ ჩავდევი
ურო ეცემე არ ჩავიდა.
მეზობლიდან ვინათხოვრე
პაიწალაი, წუკალაი,
რომ ჩავდევი არ ჩანდ იყო,
ასი კაცი ვერ შეეამდა
დიდ ვაჭარმა ლუკმათ იგდო.

3.

ქალსა ჰკითხეს რამან შეგქმნა
ასე დიდი მუცლათ სისხო,
ცერცვი ვეამე უხარშავი,
მე მან შემქმნა მუცლათ სისხო.

4.

შარაზედა კვალი ვნახე
პატარაი ნადირისა,
მიეყევ კვალსა დაეედევნე,
გზას იქიდან გადუხვია
ჩასულიყო წყაროზედა,
წყალსა სმიდა უხაროდა
რომ შეეხედე შეეშინდა.

— — — — — —

— — — — — —

5.

ქალო შენი ცხვირსახოცი
წყალს მიჰქონდა მდინარესო,
ჩავკარ ხელი ამოვიღე
ჩაგეხუტე მძინარესო.

6.

ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე,
ვარსკვლავებსა დავენახე,
მთვარემ კაცი მომიგზავნა,
აქ თუ იყავ რათ არ მნახე.

ნადს წყალი თუ უნდოდა, სიმღერაში ლექსით მიმართავდნენ.

მასვი წყალი, ჩაფით წყალი
გაშრა ყორყა, კაცი მოკედა.

ყანაში სადილის მომტანი რომ გამოჩნდებოდა, ნადი მიმართულად წაუმღერებდა:

შემოსძახე ბიჭო ოსა,
მესადილეც ქე გამოჩნდა,
დადგი გოგო კალათაო,
ჩვენც ჩამოვალთ ბარათაო.

ზოგჯერ მასპინძელი ან ნადის მეთაური ნადს დაჰპირდებოდა: ამ ნაპირს რომ გაიტანთ საჭმელს მოგართმევთო, როცა ნადი ნაპირს გაიტანდა, სიმღერაში გამოურევდა:

გავიტანეთ ჩვენ ნაპირი,
შეეასრულეთ დანაპირი,
მოგვიხარშეთ ძროხის ბეჭი,
მასპინძელო, რაღას გეერჩი.

როცა მასპინძლის ყანას მორჩებოდნენ, მიწვევით ან მოუწვევლად, მეზობლის ყანაში გადავიდოდნენ სიმღერით:

ჩვენ არ გვეყო შენი ყანა,
მეზობელმა წაგვიყვანა.

ბევრმა ცნობილმა ღრმად მოხუცებულმა მომღერალმა ლექსები ვეღარ მოიგონა და შემოგვჩივლა: ისე აღარ მახსოვს, ნაგრამ სიმღერაში კი მომაგონდებაო. სამწუხაროდ, სიმღერა ვეღარ მოვაწყვე.

ძველი მომღერლები გულისტკივილით აცხადებენ: „დღეს რომ ყანურია ფირფიტაზე გადაღებული, გურიის „მოსაჯაყი" არის. ეს რაღაც ყანური სიმღერის „აჯაბსანდალი" გახლავთ. მასში ლექსი-საჩივარი სულ არ არის და საჩივარი ამ სიმღერის ძარღვი იყოო".

საერთოდ, ყანაში მხოლოდ ყანურს მღეროდნენ.

ე ლ ე ს ა

ელესას ტვირთის აწევისა და გადატანის დროს მღეროდნენ, 40—60 წლის წინათ გურიაში ურმით ტვირთის ზიდვა არ იცოდნენ, არც საამისო გზა იყო და არც ხარები ჰყავდათ. საშენი ხე-ტყის მასალა და ჭირნახული ტყიდან და ყანიდან ზურგითა და მხრით გამოჰქონდათ. ზოგჯერ უგზო-უკვლო ციცაბო კლდე-ღრისაგან უნდა გამოეტანათ ისეთი მძიმე ტვირთი, როგორიც იყო საწნახელი, საცალფეხო ხიდი, საანძე, დვირო, ჩაშური, აფრა და სხვა. საჭიროების შემთხვევაში ნადგამის დაუშლელად ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა-გადაჩოჩება, ან კიდევ უფრო მაღლა აწევა, მოითხოვდა 50—200 მუშა-

ხელს. მუშაობა იყო ძლიერ სახიფათო, საფრთხილო, საჭიროებდა ნამდვილ კოლექტიურ ერთსულოვნებას, სიფხიზლეს, ერთგულებას, სრულ ჰარმონიას, თორემ საკმარისი იყო რომელიმეს ერთი მცდარი ნაბიჯი გადაედგა, ყველას თან გადაიყოლებდა, კლდეში გადაჩეხდა და უბედურება მოხდებოდა, ან რომელიმეს არ აეწია მისი ხვედრი ტვირთი, გამოეჩინა ორგულობა, თაღლითობა, გულგრილობა, ამით ჰარმონია დაირღვეოდა, ერთის ხვედრი ტვირთი მეორეს დააწვებოდა, და, ცხადია, არც ეს შეიძლებოდა. ასევე ერთსულოვნება იყო საჭირო ნადგამის აწევის და გადაჩოჩების დროს. რომელიმე მონაწილეთაგანის მცდარი მოქმედება გამოიწვევდა შენობის დანგრევას და შეიძლებოდა ადამიანებიც ემსხვერპლა.

ზოგიერთისათვის იქნებ დაუჯერებელიც იყოს ამ დროს სიმღერა, მაგრამ გურულებისათვის უსიმღეროდ მძიმე ტვირთის აწევა წარმოუდგენელი იყო. სიმღერის დამწყები-მთქმელი, საქმის ბელადი, სარდალი გახლდათ. სიმღერა ერთი გრძნობით და მისწრაფებით მსჭვალავდა საქმის ყველა მონაწილეს — მთელ კოლექტივს ავიწყებდა სხვა ყველაფერს და მათ გრძნობა-გონებას მიაჯაჭვავდა მხოლოდ და მხოლოდ ტვირთზე, რომელსაც სიმღერა უმსუბუქებდა, სიმღერა ტვირთის შერაქაფება იყო, მძიმე მსუბუქად ეჩვენებოდათ, დაღლას არ გრძნობდნენ.

ყველა ტვირთის მზიდავს ყური ბელადისაკენ ეჭირა, ცდილობდა არ გამოპარვოდა მისი სიმღერა, რადგან სიმღერა ხმის აწევ-დაწევით, ნელი და ჩქარი ტემპით, შეძახილითა და გადაძახილით, ამავე დროს იყო ბრძანება, სარდლობა. ის ყველა ამხანაგს აგრძნობინებდა, თუ როდის გადაედგა ფეხი ფრთხილად, ნელა, როდის გაევლო ჩქარა, როდის გამართუ-

ლიყო წელში და როდის მოხრილიყო — მისი სიმღერის კილო საჭიროების მიხედვით სიგნალიც იყო და განგაშიც. სანამ ტვირთი სახიფათო ადგილას იყო, მანამდე ელესა ერთპირი იყო — ერთი ბელადი ხელმძღვანელობდა, მაგრამ როცა ტვირთს სამშვიდობოზე გადაიტანდნენ, მაშინ ერთპიროვნული დიქტატურა უქმდებოდა და სიმღერა ორპირად, უფრო მხიარულად და უდარდელად ჩაღდებოდა.

ელესა ულექსო სიმღერა იყო და, ბუნებრივიცაა, რადგან ლექსი, რომ ეხმარათ შეიძლებოდა ვისმეს ტვირთი და სიფრთხილე დაევიწყა და ლექსით გატაცებულიყო. ელესა საჭიროების მიხედვით იყო სარდლური ბრძანება: ელესა და ასწი ბიჭო! ელესა და დასწი ბიჭო! ელესა და გასწი ბიჭო! ან კიდევ — თუ სათრევი ტვირთი იყო — ელესა და მოსწი ბიჭო! — ამას ამბობდა ბელადი, სხვები კი მიაყოლებდნენ — ბანს ეტყოდნენ: ელესა და ვიო, ვიო, ოო! როცა ტვირთს დანიშნულ ან დასასვენებელ ადგილას მიიტანდნენ, მაშინ ელესას უფრო ჩქარა, უფრო ცხოველი ტემპით მღეროდნენ — ელე, ელე, ელე-აჰა, ელესა და ვიო და იო.

სამშვიდობოს გასული ხალხი მღეროდა: ელე, ელე, ელესია, ხალხი ჯაფას შეესია. როცა ნადგამის გადაჩოჩება ან აწევა იყო საჭირო, მაშინ სარდალი-მთქმელი სახლის სახურავზე დადგებოდა და იქიდან სარდლობდა. ამით სხვებს ამხნევებდა ნუ გეშინიათ, თუ მარცხი მოხდება, პირველი მსხვერპლი მე ვიქნებიო. ზოგ ადგილას, მეტადრე დასავლეთ გურიაში, ელესას „ვიოს“ ნაცვლად აყოლებდნენ — „კირიოს“. და როგორც ნადურში აღვნიშნე, ელესას ბოლო სამხედრო შეტევის განგაშს ჰგავდა, რომელიც სრული გამარჯვების ყიჟინით თავდებოდა. ამ დროს ტვირთის მზიდავების სახეც, მიუხედა-

ვად დაღლილობისა, აღფრთოვანებული, ყველას თვალი ცეცხლოვანი, იმედიანი და ხალისიანი იყო.

ელესა არის ერთადერთი სიმღერა, რომელშიაც საქმის ყველა მონაწილე როგორც კოლექტიურად მუშაობას, ისევე მღერის და სიმღერაც ისე თავისებურია, რომ ყოვლად შეუძლებელია ვინმემ, სიმღერის სრულიად არამცოდნემ, თავისი ხმით სიმღერა გაამრუდოს. ჩემს ჭაღარას თუ ენდობით, ისიც კი მინახავს, რომ ელესას ტვირთის ზიდვის აქტიური მონაწილე მუნჯიც კი თავისებურად მღეროდა და სიმღერას არ აფუჭებდა. მდინარე ბეუეში (ქალაქ მახარაძე) ლიხაურელებმა მოათრიეს მუხის საცალფეხო ხიდი, რომელსაც 500 კაცი ეხვეოდა და ყველა მღეროდა. ელესას ნადიც შეიძლებოდა ყოფილიყო მოყვანილი, ან შეწეული. საწნახელი გამომაქვს ტყიდან ან ნადი შემაწიე, დაავალებდა ვინმეს, ან თვით მოიწვევდა. ასეთ ნადს სჭიროდა მხოლოდ ერთი იჯრა და ვისაც როგორც მოსწონდა თავი, ისე გაუმასპინძლდებოდა ნადს. ხშირად მასპინძელი სხვა რამ წვეულებასაც „გამოათანიებდა" და მით ერთი სროლით ორ კურდღელს კლავდა. ამრიგად, ესეც გართობა-დროს ტარების საბაბიც იყო.

დღეს ნამდვილ, ხალას ელესას ვეღარ გაიგონებთ. მღერიან მის პაროდიას, მღერიან ქეიფის გათავებისა და სუფრის გარეთ გამოტანის შემდეგ. მღერის ისეთი ახალგაზრდობა, რომელსაც ტვირთი არასოდეს აუწევია — ამას ეძახიან სუფრის ელესას.

ხ ე ლ ხ ვ ა ვ ი

ხელხვავი ბარაქასა და სიუხვეს ნიშნავს. ქართლ-კახეთში კალოზე მომუშავეს გამარჯვების ნაცვლად ბარაქას ეტყვიან—



დაწნული კალათები

ამავე მნიშვნელობით გურიაში სიმინდის ამღებს (სიმინდის მტეხავს, კალოზე მრჩეველს და სასიმინდეში შემნახველს) კაი ხვავიო — უსურვებენ და ამით სწამთ, რომ ჭირნახულს ბარაქა-ხვავი მოემატება. ხელხვავიც ამ მუშაობის შესაფერისი სიმღერაა. გურული ქართლელივით სიმინდს ტაროთი ღეროზე კი არ სჭრის, არამედ ტაროებს ცალკე ამტვრევს — სტეხს. ნალიის (სასიმინდის) მახლობლად (ან სხვა მოხერხებულ ადგილას) კალოდ სდგამს. სიმინდის ტაროებს ყრიან ბოზრდილხელიან კალათებში. ზურგზე სახვავო გოდორმოკიდებული „მომხვავებელი“ ვაჟი ჩამოივლის, უვსებენ გოდორს

და იმასაც მიაქვს კალოზე და ახვავებს. ჭირნახულის აღების (აჭარლები ამბობენ „მიჭუჭკების“) დროს სიტყვა ხვავს გურული გამუდმებით ხმარობს: კალათი, გოდორი, უბრალოდ არ იტყვის, არამედ დაუმატებს: სახვავო კალათი, სახვავო გოდორი, მომხვავებელი და სხვა.

საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, მთვარის ან ჭრაქის სინათლეზე სიმინდს არჩევს. ტაროებს აცლის „ქურჩელას“; ამას ეძახიან სიმინდის რჩევას, ან სიმინდის ქურჩვნას. როგორც სახალისო იყო სიმინდის თესვა და ბარვა, ასევე მხიარულობაში უნდა გურულს გაარჩიოს სიმინდი. თესვა-მარგვლის დროს მხიარულება, სიმღერა და ლხინით პურის ჭამა-შექცევა, ასე ვთქვათ, ავანსად იყო, დღეს კი შრომა განაღდებულია, ჭირნახული მოწეულია, მაშასადამე, მეტი საბაბი აქვს იმღეროს და მოილხინოს, სიმინდი კოლექტიურად გაარჩიოს, ბუნების წიაღში კოლექტიურად ივახშმოს, იმღეროს, ისიამოვნოს და მეზობლებსაც ასიამოვნოს. სიმინდის რჩევა უაღრესად შეხმატკბილებაა შრომისა და სიამოვნების. შეიძლება კალოს „თავისწინაის“ შინაურებიც მოერევიან, „ხელმოთაი“ დაარჩევენ, ერთ ღამეს თუ ვერ მოერევიან, მეორე ღამესაც წაიმუშავებენ. მაგრამ ეგ მისთვის მოსაწყენია; მასთან გურული ჩქარია, სულსწრაფი, თან კიდევ კალო ცის ქვეშაა, გაავდრების ეშინია, ამას ყველაფერს ანგარიშს უწევს და ამიტომ იწვევს ნადს. მუშაობასთან ერთად ის ეძებს სახალისოს, ცდილობს გაერთოს, კიდეც იმღეროს, იცინოს, იარშიყოს, ილხინოს, სიმინდის რჩევის ნადიც გურულისათვის ამავე დროს თავის გამოჩენის მიზეზიც იყო. დიდი კალო, კარგი მასპინძლობა და განუწყვეტელი სიმღერა-ოხუნჯობა, მისთვის სატრაბახო გახლდათ.

სიმინდის სარჩევი ნადი შერჩეული იყო: ქალი და კაცი, ქმრიანი და გასათხოვარი, მოხუცი და ახალგაზრდა; სიმინდის რჩევა ყველას შეეძლო და ნადშიაც ასეთი თაიგული იყრიდა თავს, ოღონდ კი ხალისით ემუშავა, მუშაობის დროს ემღერა,

ნალია (სასიმინდე)

ეოხუნჯა, ასახსნელი გამოცანა ან კარგი ზღაპარი ეთქვა, ჩქარა გამოსათქმელი სულმოუთქმელად წამოესროლა, ნაცნობ-მეგობრისათვის (იქ მყოფი იქნებოდა თუ გარეშე) დაეცინა,

გაეკილა, გამოეჯავრებინა, მარილიანი ანეკდოტი ეთქვა. ერთი სიტყვით, სიმინდის რჩევა 4—6 საათიც რომ გაგრძელებულიყო, დროც ისე უნდა გასულიყო „სიცილ-კარკაცი“ არ შეწყვეტილიყო, არავის არ მოსწყენოდა და „ძიმითში არ წასულიყო“ (ძიმითი სოფელია ვურიაში და თუ ვინმეს ჩამოეძინებოდა, იტყოდნენ — ძიმითში წავიდაო).

თუ დიდი კალო იყო და ნადს მოწყენა დაეტყობოდა, (დაიწყებდნენ მთქნარებას) მასპინძელი საქმის მორჩენას არ დაგიდევდა — იტყოდა: კარგი, გეყოფათ, თქვენი მარჯვენა დეილოცა, ერთ კალო სიმინდს კი არ გადავყობი, ახლა რაცხა სილარიბის ვახშამია იგი ვჭამოთ და მერე მოვისვენოთ — ხვალაც ამ თვის არის.

ხელხვავი (ხელისბარაქა) სიმინდის რჩევის სიმღერა იყო. როგორც ნადურს თოხს ააყოლებენ, შეუწყობენ, ისე ხელხვავს ხელები უნდა აყოლოდა — გარჩეული სიმინდის ტაროებს სიმღერის ტაქტის მიხედვით ისროდნენ მეორე მხარეს. ყველა ცდილობდა მუშაობა სიმღერისათვის შეეწყო, შეეხამებია, ჰარმონია, რიტმულობა არ დაერღვია. ხელხვავი რჩევის მთავარი ღერძი გახლდათ. როგორც ნადური, ისე ხელხვავი შრომას აადვილებს, ახალისებს და გურულად რომ ვთქვათ, ახვავრიელებს.

გურიაში ბევრი ქალი იყო მომღერალი და მომლხენი (მგალობელიც), მაგრამ იმის მაგალითს ვერავინ იტყვის, რომ ქალს ნადური ემღეროს, სამაგიეროდ, ხელხვავის კარგი მომღერალი ქალები როგორც გათხოვილი, ისე გაუთხოვარი, ბევრი იყო, ხელხვავი ორპირი სიმღერაა და ძლიერ ხშირად ვაჟებსა და ქალებს შორის შეჯიბრება იმართებოდა — ერთ პირს ვაჟები ამბობდნენ, მეორეს — ქალები.

ხელხვავი იყო მოკლე, გრძელი და სუფრის.

როგორც ყანური, ხელხვავიც არსებითად ერთნაირი იყო, მაგრამ მაინც იყო და დღესაც არის კუთხური ხელხვავი — დასავლეთ გურიის (გურიანთულაი), შუა გურიის, აღმოსავლეთ გურიისა და ქობულეთურაი.

ჭირნახულის მფარველად წმინდა გრიგოლი სწამდათ და ხელხვავშიაც მას არ ივიწყებდნენ.

„წმინდა გრიგოლ მობრძანდება
ჩვენს კალოზე დაბრძანდება
ხვავს დატიებს წაბრძანდება.

ან კიდევ

წმინდა გრიგოლ ზღვისაო
გამორჩეული ღვთისაო.

არც ანგელოზებს ივიწყებდნენ:

მიქელამ და გაბრიელამ
კალო გაგიხვავრიელა.

სიმინდის რჩევის დროს ხელხვავიც ბევრჯერ ითქმოდა, ამიტომ მრავალფეროვნებისა და სილამაზისათვის სხვადასხვა ლექსებს ჩაურთავდნენ. მაგალითად, ხელხვავში მღეროდნენ:

1.

აჭარა და ქობულეთი
ციხისძირი ჩაქვიანა,
ექადია, ოზურგეთი,
ბახვი ასკანლებიანათ,
ბაილეთლები ჭილოფით,
აკეთლები ჭურიანათ,
აცანლები ქოთნიანად,
ჯუმათლები გოდრიანად,

ვანელები კეციანა,
ჯვარცხმელები გვიმრიანა,
სურებლები ჩიყვიანა.
სუფსას ერთვის ბახვის წყალი
ყურუფაი ჩხერგიანი,
ბასილეთი, ხიდისთავი,
ნიგოითი და ლანჩხუთი
მისი ლამაზებიანა,
ყველა ხელში გაგვიარა,
არაფერი გვეზიანა.

2.

ამაღლება საქებია
სამებაში დათვებია,
ვანელები ყრუებია
ზომლეთლები ცრუებია.
ჭანჭათი განათლებული,
აკეთი გათათრებული,
ძიმითი გაკოტრებული,
აცანა გაქოთნებული.

ამ ლექსებით სხარტად დახასიათებულია გურიის იმ-დროინდელი ზოგიერთი სოფელი თავისი „ავლა-დიდებით და ნაწარმით". სატირა ხუმრობასაც არ არის მოკლებული და შეიძლება „საჯაოხური ხუმრობა ნახევარი მართალიც" იყოს. ვიცით, ზოგს თავის სოფლის მოყვარულს ამ ლექსების გამოქვეყნება არ ეამება, მაგრამ აქ საწყენი და საძრახისი არა-ფერია, პირიქით, ამ ლექსით ნათლად შეგვიძლია წარმოვიდ-გინოთ ძველი და ახალი გურია.

გაქოთნებული აცანა დღეს გაციტრუსებულია, ჩაის გადა-სამუშავებელი ქარხნით დამშვენებული, გაკოტრებული ძიმი-

თი — მილიონერი კოლმეურნეობაა, „გვიმრიანა“ ჯვარცხმა-
სახელმოხვეჭილია, ჩაის უბანი ჰქვია.

3.

მე ვარ ქალი ქვეყნის თვალი,
ეფემია ყენიას ქალი,
საყდარზედა რომ გევედი
ყოვლი ქაცმა დამდვა თვალი.
აგერ მოვა ჩემი ქმარი,
რაფერ დაუყლიპავს თვალი
ღმერთო იგი მომიკალი
შემოგწირო ულლათ ხარი,
იმას თუ არ დამჯერდები
ზედ დაგიდო თეთრი ცხვარი.
მღვდელ-დიაკონს ვაწირვიო
მას მივართვა ბეჭი ფხარი
მას დიაკონი მოყვება
გადაერო ღორის ჭყანი.

4.

(ქობულეთურაი ხელხვავი)
სელემ-ქელემს მოგახსენებს
რისხენ აღა მენაბდეო,
შუაღამემდე რომ გვალხინე
მერე რისთვის გაგვაგდეო.
იმაშიც. მადლობელი ვართ
დილას ადრე რომ გვნახეო.
გამჩენი ღმერთის წყალობით,
ბათომში ფაშად გნახეო,
სამსახურის მოწადე ვარ,
ადგილი შემინახეო.

5.

(ციდეე ქობულეთურაი ხედხვაი)

ალი ფაშა

თათარი და რუსი ჩხუბობს
იგინია ორი „ეში“
ალი ფაშამ გვიღალატა
ჩაგვიყვანა კვირიკეთში,
იმან ფულები აიღო
ჩვენ ჩაგვტია რუსის ხელში,
კარგი არც მას დამართნია
ბაწრით ჩაითრიეს გემში,
მისი ყვირილი ისმოდა
სუფსას გაღმა ბაილეთში.
ღმერთო, იგი მოგვასწარი
ვქეიფობდეთ ჩვენ ქობლეთში.

როგორც გამოკითხვით გავიგე, ეს ლექსი გამოთქმულია 1877 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს. მაშინ ვიღაც ფაშას, სახელად ალის, ოსმალეთისათვის უღალატია, ღალატი გამორკვეულა და ალი ფაშა ოსმალებს დაუსჯიათ.

6.

ბერი აკვანს ეპარება
— აკვანს კარა, აკვნის დედას,
— ბერო სული გირჩევნია
თუ ლამაზი ქალებიო,
— შენი სული შენდა გქონდეს
მე ლამაზი ქალებიო.

ზოგჯერ უმატებენ: სულ შავ-შავი თვალებიო .

როცა გურიაში წერა-კითხვა გავრცელდა, როგორც ხელ-

ხვავში, ისე სხვა სიმღერაში წიგნიდან ნასწავლ ლექსებს იყენებდნენ. განსაკუთრებით სახალხო გახდა გუგუნავას მიერ გალექსილი თამარიანი. ხელხვავს, ერთი მხრივ, ვაჟები ამბობდნენ, მეორე მხრივ, ქალები, მაშინ თამარიანის ლექსით ეჯიბრებოდნენ ერთიმეორეს.

ვ ა ჟ ე ბ ი: შენი ნახვა მესწრაფოდა
მე სხვა საქმე არ მქონია...
ქ ა ლ ე ბ ი: შალვა ჩემო სიხარულო,
სიცოცხლეზე მეტად ტკბილო...

ან კიდევ:

თუ როდისმე ქმარს მაღირსებს
დიდებული დიდი ღმერთი...
ვ ა ჟ ე ბ ი: სად ხარ ჩემო სიყმის შვილო...

მომღერლები ცდილობდნენ ახალ-ახალი ლექსები ემღერათ და ერთი და იგივე ლექსი არ ეხმარათ. ხელხვავში ორივეს მოწონება ჰქონდა — სიმღერასაც და ლექსსაც.

სიმინდის რჩევის დროს იცოდნენ შეჯიბრება და ერთიმეორეს „დანიზლავება“ (სანაძლეო), ქალსა და კაცს შორის, ან ორ ვაჟს შორის — საზომად იყო ერთნაირი ტევადობის გოდორი. მოიგებდა ის, ვინც უფრო ადრე გაავსებდა გოდორს. სანაძლეო სხვადასხვა სახის იცოდნენ. ვაჟისაგან საწელზედაო ჩითი (წელზედა ახლა რომ პერანგს ეძახიან), ქალისაგან მოქარგული პერანგი ან ხაჭაპური და სხვ., ვაჟებს შორის ერთი დღის მოხმარება. მთელი კალო თუგინდ ის 200—300-გოდრიანი (გოდორი $1^1/_2$ ფუთი მარცვლით) ყოფილიყო, უნდა გარჩეულიყო შეუწყვეტელ სიმღერაში, „სიცილ-ტკარცალში“, ოხუნჯობა-სიამოვნება-შექცევაში. სამუშაოს დამთავრებისას მასპინძელს ყველა მრჩეველი ეტყოდა:

„რავაც აგი სიმინდი სიცილ-ტკარცალში და სიამოვნებაში გავარჩიეთ, ისე ღმერთმა სიცილ-ტკარცალში და სიამოვნებასიმღერაში შეგაჭამოსო“.

ნადს იქვე მიართმევდნენ ვახშამს, მაგიდის, სკამის და სუფრის (მაგიდის საფარის) მაგიერი იყო სიმინდის ნაქუჩი-ქურჩელა, რომელზედაც მოაფენდნენ ხაპის (გოგრის) ფოთლებს და ზედ დააწყობდნენ სამხიო, უწვნო საჭმელს: ყალიოთ მოხარშული და შემწვარი ქათმები („საკრეფ-სატეხისთვის“ საგანგებოთ გამოზრდილი), მარილწყალში მოხარშული ბურვაკის ხორცი, ძროხის მოსათალი ბეჭი, სათბილო, გავადუშა, ჩალაღაჯი — საწებლით, ძაღე, ყარაო, ბროწეულის წვენი. ვინც მიირთმევდა, მადის გასაღვიძებლად, არაყსაც სთავაზობდნენ. ცხადია, ღვინოც არ აკლდათ. ზოგს უკვე ჰქონდა საადრეო სამაჭრე ყურძნიდან დაყენებული მაჭარიც (ყანაში ღვინისა და წყლის ჭურჭლად უფრო ხშირად ხმარობდნენ მწვანე ხაპს). თამადას ირჩევდნენ — სმა შეზარხოშებამდე გრძელდებოდა, სუფრაზე იყო მოლხენა-სიმღერა, ქალ-ვაჟების ცეკვა, ზოგჯერ თოფის სროლაც.

როგორც მუშაობის დროს, ისე ნავახშმევს ნადს მიართმევდნენ შემწვარ ან მოხარშულ ჭყინტ სიმინდს. სიმღერითა და სიამტკბილობით დაიშლებოდნენ. დღეს შენ მოგეხმარა, ხელი წაგიკრა, ხვალ შენ მოეხმარები. მუშაობა და გართობა აქაც კოლექტიური იყო.

სიმინდის რჩევას სიამოვნებით ესწრებოდნენ და აქტიურ მონაწილეობასაც იღებდნენ ქალბატონ-ვაჟბატონებიც — მემამულეები და თავად-აზნაურობა, რადგან ეს მუშაობა იოლიც იყო და სასიამოვნოც, მასთან „წლის მოსავლის“ (ყველა ის,

რაც წელიწადში ერთხელ მოდის) „ხელის შერება“ ყველას უხაროდა.

სიმინდის რჩევაში მონაწილეობდნენ აგრეთვე მოსწავლეები და ჯარისკაცები.

ქ. ოზურგეთში (დღევანდელი მახარაძე) ამ ორმოცი წლის წინათ ორად ორი სასწავლებელი იყო — ოთხკლასიანი სასულიერო (ხუცის შვილებისათვის) და სამკლასიანი „სახორციელო“ — უბრალო მოქალაქეთათვის. ამ ორი სასწავლებლის მოწაფეებს შორის ხშირი იყო მეტოქეობა და კინკლაობა. ქალაქის მცხოვრებთ როგორც ვაჭრებს, ისე სხვებსაც, გარდა მოსულ მოხელისა, ყველას ჰქონდა ყანა და უფროსი კლასის მოწაფეებს (ძლიერ ბევრი საცოლოც გახლდათ) სიმინდის რჩევაში სიამოვნებით იწვევდნენ და ისინიც დიდი ხალისით მიდიოდნენ. უხაროდათ კიდეც, რადგან ხმელი ნადერგალი ყველისა და ტარანის ნატრულები კარგად ისიამოვნებდნენ და თან არავინ დაუშლიდა რჩევის დროს ხელში მოყოლილ ჭყინტი სიმინდის წაღებას. კალოს სხვადასხვა მხარეს შემოუსხდებოდნენ და „სულიერ-ხორციელი“ შეჯიბრება გაჩაღდებოდა როგორც მუშაობაში, ისე სიმღერა-ოხუნჯობაში. მღეროდნენ როგორც ხალხურ სიმღერებს, აგრეთვე სკოლაში ნასწავლს — რუსულსა და ქართულს, ზოგჯერ კალოს გარჩევის შემდეგ სიმინდის ქურჩელაში კიდეც ჭიდაობდნენ. ხშირად მოსწავლეთა ნადი ხდებოდა სასწავლებლის უფროსის ნებართვით და, თუმცა იშვიათად, მაგრამ რომელიმე მასწავლებელი ან სკოლის მეთვალყურე ახლდა, უმეტეს შემთხვევაში, უნებართვოდ მიდიოდნენ, დამშეული მოწაფეები ამგვარ ნადს თვით ეძებდნენ და, თუ ვინმე „ქრისტიანი“ პატივს სცემდა, ხვეწნა

არ სჭირდებოდათ, თუ გინდ ამ თავხედობისათვის „ბეზაბედათ“ დარჩენილიყვნენ.

1888 წლიდან საქართველოში სავალდებულო გახდა ჯარში გაწვევა. „სალდათები“ რამდენიმე წელიწადს ოზურგეთში იყვნენ დაბანაკებული. ახლად გაწვეულმა ახალგაზრდებმა — გურულებმა, მეგრელებმა და აფხაზებმა მოსწავლეებს დაუკარგეს მოწონება — სიმინდის სარჩევში უპირატესობას ჯარისკაცების დაპატიჟებას აძლევდნენ და ისინიც დიდის სიამოვნებით მიდიოდნენ და კარგადაც მუშაობდნენ. მათი უმეტესობა გლეხის შვილები იყვნენ, მუშაობას მოწყვეტილებს, მუშაობა ეხალისებოდათ. მასთან „ბორშჩიც“ და „ჟანოვის“ შავი პურით თავმობეზრებულები მშობლიურ ღვინოსა და საჭმელს მადიანად შეექცეოდნენ. რჩევაში შეჯიბრება აქაც ხდებოდა.

როგორც მუშაობაში, ისე სიმღერაში, ერთი მხრით, იყვნენ მასპინძელი გურულები, მეორე მხრით, სტუმრები — მეგრელები და აფხაზები. ჯარისკაცებს ერია რუსებიც, და ეს, სხვათა შორის, ერთი მიზეზთაგანი იყო გურულებთან მათი დაახლოებისა. ბევრი როგორც რუსი, ისე მეგრელი, გურულების სიძე გახდა, უმეტესობა გურიაში დასახლდა და „გაგურულდა“ კიდეც.

ზოგიერთ გურულს ყანა ეზოდან 20—50 კილომეტრის მოშორებით ჰქონდა. ყანის ასაღებად რამდენიმე დღის საგზლით ცოლშვილიანად მიდიოდნენ, ზოგჯერ აკვნიან ბავშვებსაც თან წაიყვანდნენ. დაბინავდებოდნენ კარავში და 5—15 დღე იქ რჩებოდნენ. მეყანეებმა იცოდნენ ერთიმეორის „ხელის წაკვრა“, ერთიმეორის დახმარება. როგორც სოფელში ახ-

ლად დასახლებული კაცი კარგ მეზობელს ეძებს, ისევე მეყანე ეძებდა კარგ მოთაღრეს. სიმინდის ტეხა უფრო ხშირად ხდებოდა შინაური ძალით, უნადოდ, რჩევა კი—მოთაღრეების მეხმარებით, ერთ ღამეს შეიძლებოდა კოლექტიური ძალით ორი მეყანის კალო გაერჩიათ. მოთაღრეები ერთიმეორესთან გამასპინძლების მხრით დიდად არ ბოდიშობდნენ, ვისაც როგორც „მოეღონისკარებოდა", ისე უმასპინძლდებოდა — და ეს არავის არ ეძრახებოდა. აქ ხალისობდნენ ერთად მუშაობით და სიმღერით.

დიდი კალოს პატრონი, თუ ამავე დროს დროსტარების გუნებაზე იყო და შეძლებაც ხელს უწყობდა, ძაშინ ყანის მახლობელ სოფლის მცხოვრებს, მაგალითად, ასკანელს — შავი ზღვის სანაპიროზე (ასკანიდან) 35—40 კილომეტრზე ყანა ჰქონდა, ის საღმრთოელს (5 კილომეტრზე) დაავალებდა ნადს. ცხადია, ასეთ ნადს კარგი გამასპინძლება სჭირდებოდა. და იგი არც თვითონ ჭამდა სირცხვილს და არც ნადის მომყვანს შეარცხვენდა. შეიძლება საკლავიც კი დაეკლა.

ა-გიდელა და აგუნა

ა-გიდელა და აგუნას ღვინის კულტის — ბახუსის — საპატივცემულოდ მღეროდნენ. ეს ორივე სიმღერა ერთმანეთს ენათესავება. ა-გიდელა შრომის სიმღერაა, აგუნა კი საახალწლო და ღვინის დედის — ყურძნის — სიუხვის.

50—60 წლის წინათ, მთელი გურია, შავი ზღვისპირიდან თავსურებამდე პრიმიტიულად გაშენებული მაღლარი ვენახის ბაღი იყო. ვენახის გაშენებას არ სჭირდებოდა დიდი შრომა

და ოსტატობა, გურული თოხით ან ბარით ხეს ძირში ამოუ-ჩიჩქნიდა ვაზის დასაფარავ მიწას, წაქცეულად — წაფერდე-ბულად „ჩააკეტებდა“ შიგ ვაზის ლერწს და ცალი ფეხით მი-წას მიატკეპნიდა. ასე მირგული ვაზი მესამე წელიწადს ნა-ყოფს ისხამდა. მერმე მასზე გაწეული შრომა იყო მხოლოდ მოკრეფა და ღვინის დაყენება, ჭურში ჩასხმა, ამოღება და დალევა...იშვიათად, 5—6 წელიწადში ერთხელ თუ წალდს წააკარებდა, შესხლავდა და ძველ ვაზს გადამაგინება-გადა-წვენით გააახლებდა კარგ მევენახედ და გულ-შემჭირნედ ითვლებოდა. ვენახების მეტი წილი ასეთ „მზრუნველობას“ მოკლებული იყო, მაგრამ მაინც უხვად ისხამდა. ახლაც არიან იმისი მომსწრე მოხუცები, რომ ძველ ჩხავერს ღვრიდნენ და ჭურში ახალს ასხამდნენ. ისეთი სიუხვე ყოფილა, ღვინოს რომ ფასი არ ჰქონია და თვითონ დასახარჯავად ვერ მორე-ვიან. მართალია, წინათ არ ლოთობდნენ, მაგრამ ღვინო მაინც ბევრი უნდოდათ, რადგან უღვინოდ არამც თუ იჯრას, არამედ „ხეფსსაც“ არ მიირთმევდნენ. ყანის მუშას საიჯრო ღვინო მუდამ თან მიჰქონდა. ერთი სიტყვით, გურულს თუ ღვინო ჭურში ეგულებოდა, სტუმრის არამც თუ ეშინოდა, პირიქით, ეძებდა კიდეც. ღვინო იყო მისი ოჯახის მასახელებელი, უღვი-ნობა — „მომჯაყველი“. ღვინის დასაყოლებელს ყოველთვის იშოვნიდნენ. კაი მასპინძლობა ჰქონდათ რომ იტყოდნენ, ამას ჩეორე დაურთავდა: მასპინძელი რა შუაშია, ღვინო იყო კაი მასპინძელიო.

გურულს „მონათლულობით“, ე. ი. ქრისტიანობით თავი მოსწონდა — ღვინო კი ქრისტიანობის ემბლემაც იყო. ქრის-ტიანს ღვინო უნდა დაელია და, გურულის თქმით ვინც ღვი-ნოს არ სვამდა, უნათლავი იყო. ღვინო იყო ზედაშე და ზია-

რება, ორივე კი ქრისტიანობის ბურჯი. რომ ვინმე გარდაიცვლებოდა — ჭირისუფალი თუ კარგ ზედაშეს გააყოლებდა, მიცვალებული „ცხონდებოდა“, კაი ზედაშე გაუვაო, იტყოდნენ. ამიტომ ზედაშის მოყვარული მოხუცი თავის საზედაშე ღვინოს სიცოცხლეშივე იმარაგებდა — ჩემს ტირილზე დახარჯეთო, ანდერძს ტოვებდა. რაკი ღვინის ასეთი პატივისმცემლები იყვნენ, ამის შემდეგ არაფერია გასაკვირი, თუ ვიტყვით, რომ ძველ გურულს ჭურები მარანში განკუთვნილი, გაპირონებული და დაგეგმილი ჰქონდა — იცოდა რომელი ჭური როდის (მოეხადა) მოეთხარა:

საიჯრო ჭურში ყოველდღიურად სახარჯო, ულუფის, სუფრის ღვინო ჰქონდა.

საკალანდოს ახალ წელს მოხდიდა მხოლოდ. უნდა ყოფილიყო საუკეთესო „თეთრად გამოღებული“ ღვინო, მაგარი — ცეცხლი უნდა შეყოლოდა.

სადედაღვთისოს 8 სექტემბერს — ღვთისმშობლობას — მოხდიდა.

საღმრთო—საუფლისწულო დღესასწაულებში იხარჯებოდა.

საეტლოს — საეტლო წირვის დროს მოხდიდა. ყველა ოჯახის წევრს უნდა გადაეხადა ეს წირვა სიცოცხლეში ერთხელ. ამისათვის მას თავზე შემოარებდნენ ცხვარს, რომელიც უნდა დაეკლათ. ვინც ამას შეასრულებდა, „ეტლგადახდილი“ იყო, „ეტლმოუხდელი“ კი შეიძლება რაიმე ავადმყოფობით ან მარცხით მომკვდარიყო.

იყო საუცოდინარო ჭურიც. ფანატიკოსი მორწმუნე ხუცესს აწირვინებდა და ღმერთს სთხოვდა ყველა ის ცოდვა შე-

მინდე, რაც ჩამიდენია და არ ვიციო — ჩემი უცოდინარობით მომსვლიაო.

საგიორგობო, საფერისცვალებო, სამთავარანგელოზო, საღვთისმშობლო ან სხვ. ჭური ატარებდა იმ წმინდანის სახელს, რასაც ატარებდა ის ეკლესია, რომლის მრევლიც იყო ჭურის პატრონი.

როგორც საკურთხეველში ეკრძალებოდა ქალს შესვლა, ასევე ეკრძალებოდა მას მარანზე მისვლა და ჭურიდან ღვინის ამოღება. თუ მასპინძელი კაცი შინ არ იყო, ან უკაცო ოჯახი გახლდათ, მაშინ მეზობელს სთხოვდნენ ღვინო ამოგვიღეო. მარანს მუდამ სიწმინდით უვლიდნენ... შემთხვევით ჭურის თავზე რომ ღორს გაევლო ხუცესს მოიყვანდნენ და აიაზმას მოასხურებდნენ. ღვინოს იღებდნენ სიწმინდითა და სასოებით, კრძალვითა და რიდით.

ცხადია, პირველი ჭიქით ყოველთვის ღმერთი უნდა ეხსენებინათ, და თავშიშველს სასოებით უნდა წარმოეთქვა: დიდება ღმერთსა, ღმერთო, დიდება შენ, ღმერთმა ყველას გაგიმარჯოს. ახლად ენაამოდგმული ბავშვის პირველი გაკვეთილიც ეს იყო. და ვინც ამას ვერ შეისწავლიდა, ღვინოსაც არ დაალევინებდნენ—იტყოდნენ ჯერ დალოცვაც არ იცისო, რაც ასაკისა და უნიჭობის გამომხატველად ითვლებოდა.

გურული ღვინის კულტის ფანატიკური მიმდევარი იყო და ყოველ ჟამს ცდილობდა ღვინის ღმერთი მადლიერი ჰყოლოდა. ეს მისი პატივისცემა, ალბათ, სიმღერითაც გამოხატა. ეს სიმღერა არის ა-გიდელა და აგუნა.

ა-გიდელა რთვლის სიმღერაა — გურიაში რთველს სტველს ეძახიან (ზოგან — სთველს). რთველი იწყებოდა კრე-

ფა-ტეხის შემდეგ „ნადიმიტრობებს“... მაღლარი და განსაკუთრებით ყველაზე მეტად განთქმული ჩხავერი, დათრთვილის შემდეგ უნდა მოკრეფილიყო. რადგან მსუბუქი ყინვა უფრო დაატკბობდა ნაყოფს. ყურძნის კრეფა დიდი სახალისო იყო — დიდსა და პატარას, ასაკისა და სქესის შესაფერი საქმე უჩნდებოდა და ყველა დიდი ხალისითა და მონდომებით აკეთებდა მას.

განსაკუთრებით მხიარულობდნენ ბავშვები. იცოდნენ, რომ ფელამუშს მოადუღებდნენ, ჯანჯუხას ამოავლებდნენ. ისინი მსუნაგი თვალით შესცქეროდნენ ცხელ ფელამუშში ამოვლებულ ჩურჩხელებს, ფელამუშის წვეთები რომ ჩამოსდიოდა, რომელსაც, ცოტა არ იყოს, შეუფერებელი სახელი სკინტი დაარქვეს, მაგრამ ეს სანუკვარი საჭმელი იყო... „ნენა სკინტს თუ მაჭმევ, წყალს მევიტანო“... ოღონდ კი სკინტი გეჭმია და უსმენარიც გამგონ-დამჯერე გახდებოდა. 9—12 წლის ბიჭებს ისიც უხაროდათ, რომ ყურძნის კრეფაში ისინიც მიიღებდნენ მონაწილეობას — ხეზე გასვლა და ყურძნის კრეფა თუ არ შეეძლო, გიდელს ხომ გამოუცვლიდნენ. მკრეფავი სავსე გიდელს ზევიდან რომ ჩამოუშვებდა (თოკით) მხიარული და ომახიანი ხმით—სიმღერის კილოზე გადმოიძახებდა ა-გიდელა-ო... გიდლის გამომცვლელი ყურმახვილად იყო — ცარიელი გიდლით იქით გაეშურებოდა, საიდანაც ხმა მოესმოდა, სავსე გიდელს თოკს მოაშორებდა, ცარიელს დაუკიდებდა და ასძახებდა „მშვიდობით ჩამოდიო“. გიდელს მკრეფავთ შორის შუა ადგილას გოდორში „ჩაცლიდა“. ამრიგად, ერთი გიდელი მუდამ მარქაფათ-სათადარიგოდ რჩებოდა, ამიტომ ერქვა გიდლის მცვლელი. გიდლის მცვლელი ასაკსაც გამოხატავდა „მაშინ გიდლის გამოცვლა შემეძლოო“, იტყოდნენ.

ყურძნის კრეფას წინ უძღოდა სხვადასხვაგვარი სამუშაო და სამზადისი. მზად უნდა ჰქონოდათ საწნახელი (თუ სადმე ეონავდა, ლერწმის თესლს დანაყავდნენ და მოზელდნენ, გააკეთებდნენ „საგოზაველს“ და მით „დაგმანავდნენ“. ხმარობდნენ აგრეთვე „ალიზა“ — აყალო —მიწასაც), ჭურები, ჭურის სარეცხი ხელსაწყოები — ორჩხუმი, „ორკოპე“, ჭურში ჩაასხამდნენ წყალს და ორჩხუმით რეცხავდნენ, ორკოპით კი ნარეცხ წყალს იღებდნენ: ორჩხუმს აკეთებდნენ „ძმერხლისაგან“ (ძმერხლი მაგარი, მუდამ მწვანე ბალახია. სიმაღლით ნახევარ მეტრზე მაღალი. ღეროს ფოთლები ადვილად არ სცვივა, ზამთარში საქონელიც დიდი ხალისით ჭამს. აყვავების შემდეგ ლამაზ მარცვლებს ისხამს. დეკორატიულია).

მზად უნდა ჰქონოდა აგრეთვე ორწუბი (მწარე კვახისგან გაკეთებული დიდი კოპე — ხრიკა, ორლიტრიანი)—საწნახლიდან მაჭრის ამოსაღები. ლაპოტი — ხიდან გამოთლილი ტარიანი ჯამის მაგვარი, რომლითაც საწნახელში ჩამდგარ ტერილს თუ მაჭარს „ამოხაპავდნენ“, ამოწრეტდნენ.

ამრიგად, როცა ყველაფერი მზად იყო ყურძნის კრეფაც გაჩაღდებოდა... თითქოს შეპირებული არიანო. კრეფას ერთსა და იმავე დღეს იწყებდნენ — მართალია, ყველა თავის „მამულს კრეფდა“, მაგრამ რაკი ეს „მამულები“ ერთიმეორეზე იყო მიჯრილი, ყურძნის კრეფაც ნადისებური — კოლექტიური იყო — ერთიმეორეს ხედავდნენ, ეხმაურებოდნენ, სიმღერა-ხუმრობა-ლაზღანდარობა-შაირობაში ეჯიბრებოდნენ. ეს იყო მუშა ადამიანების ცოცხალი ტელეფონი — შორეულ ტერიტორიაზეც კი. გურიანთელი რომ სავსე გიდელს გადმოუშვებდა და მხიარული სიმღერით გადმოიძახებდა ა-ა-ა-გიდელაა-იოო! მას მყის აყვებოდა მეზობლად მკრეფავი, იმას

კიდევ სხვა აყვებოდა და ამრიგად, მთელი სისწრაფით გადამღერება და გადაკიჟინება თავსურებამდე ავიდოდა... გურიის საზღვარს მიაღწევდა და ტობახიას ტყე შეაჩერებდა მხოლოდ.

ა-ა-ა-გიიდელაა, და იო-იო... ზედიზედ — ტკბილ მუსიკად გაისმოდა ყველგან. თუ ზოგჯერ ა-გიდელას სიმღერა შეწყდებოდა, სამაგიეროდ, სხვა გასართობი იწყებოდა. ეს იყო მოთაღრეების ან ერთი სოფლის მეორე სოფელთან გაშაირება... გურული საშაირო ლექსს უძლებდა და ცდილობდა მოპირდაპირესათვის „თავნინამთავნით" გადაეხადა — უარესი ეთქვა:

მარიობისთვე დაგვიდგა
ცუდი დადგა დარებიო,
ბახმაროდან გადმოვიდნენ
უღლათ ჩემი ხარებიო,
ასკანლებმა გადუკოცნა
ბახველებსა ქალებიო.

ასკანელი მკრეფავი — ყარყუმი სიმღერის ხმით გადაუძახებდა მოსაზღვრე ბახველს —ასკანელი მკრეფავები მოწონების, თანხმობის ნიშნით ერთხმათ მიაყოლებდნენ.

ვიო-ვიო-ვიო-ვიო-ვიო.

ბახველიც უპასუხებდა.

სანადიროთ რომ წავედი
გამოვაცხვე მჭადებიო,
ასკანლებს თვისიც გაურბის,
რათ უნდა სხვისი ქალებიო.

ბახველი მკრეფავებიც კვერს უკრავდნენ, უდასტურებდნენ და შესძახებდნენ... ვიო-ვიო-ვიო-ვიო...

ასეთი შაირების მთელი სერიაა — ერთი სოფელი მეორე სოფელს „ყბას უქცევს“, დასცინის... მაგრამ ეს ლექსები მეტისმეტად „სურნელოვანია“, „მწუთხე-კუჭიანი“ და ამიტომ მოყვანილი ნიმუში ვიკმაროთ.

ნადი ყურძნის საკრეფშიც იცოდნენ, ნადს ან თვით მასპინძელი მოიწვევდა, ან სხვას დაავალებდა — შემაწიეო. ხშირად ნადს მეორე და მესამე სოფლიდან მოიყვანდნენ. (30—60 კაცს, ხან მეტს). ცხადია, ნადის დროს მეტი მხიარულება იყო. მუშაობას „სისხამ“ დილაზე იწყებდნენ[1] და მზის ჩასვლამდე მუყაითად „მუშაობდნენ“ — „არც ხელს ასვენებდნენ და არც ყბას“. გურიაში ყბის არ მოსვენება მარტო ჭამას კი არ ნიშნავს, არამედ სიმღერას და მარილიან ოხუნჯობას — ყბაის ქცევას... ჯიბრი ყურძნის კრეფაშიაც იცოდნენ. ჩქარჩქარა ვინც ა-გიდელას იძახოდა, ის ყოჩაღი მკრეფავი იყო.

აგუნა. გურულისათვის ყველაზე მეტად „ბედობა“ და „საბძნილო“ დღე გახლავთ კალანდა — ახალი წელი. ძველად გურული ღრმად იყო დარწმუნებული, რომ კალანდას რასაც „დაიბედებდა“ — რასაც კი ისურვებდა, იმითი მთელ წელიწადს, მეორე კალანდამდე უზრუნველი იქნებოდა. ამიტომ შუაღამიდან იწყებდა სურვილების „გოდრით დადგმას“, მთელი დღე სურვილ-ნატვრით იყო გადაქცეული და ეს გრძელდებოდა 6 დღე მაინც — „ნათლიღებამდე“...

ამ სურვილების გამოთქმას ოჯახის წევრები იწყებდნენ

---

[1] ზოგჯერ ადრე დილით ხის ქვეშ ჩალაბულას ცეცხლს დაანთებდნენ. კვამლი ხეს შეათბობდა, ჭირხლს მოაშორებდა და მკრეფავი მერმე გავიდოდა ზედ (დღე პატარა იყო და მზის მოცხოველებას ვერ მოუცდიდნენ).

ალიონზე — დალოცვისას, სადილზე და ბინდისას — აგუნას გადაძახების დროს.

აღსანიშნავია, რომ მუდამ სტუმრისა და „ჯარიანობის“ ნოყვარე გურული, კალანდა დღეს მეზობლებს მოწყდებოდა. ამ დღეს ის სასტიკად იცავდა ოჯახურ კარჩაკეტილობას, ალბათ, მისი რწმენით, ამით კერძო საკუთრების განმტკიცებას უწყობდა ხელს... კალანდას ყველაფერი ინდივიდუალური — ოჯახური იყო, ნატვრა და სურვილი მხოლოდ და მხოლოდ ოჯახს ეხებოდა — ეზოს არ გასცილდებოდა.

გურული მდიდრდებოდა ოჯახის საკეთილდღეო სურვილებით: კაცის სულით, ჯან-ღონით, ყოველივე „საყოლით“, ხოლო ღვინოს, მარანს, ვაზსა და მის ნაყოფს საღამოსათვის შემოინახავდა.

დაბინდებისას, მამრობითი სქესის ოჯახის წევრები დიდი და პატარა მარანზე მიიტანდნენ გობს, რომელზედაც ეწყო ღორის თავი, სააგუნე ხაჭაპური და ერთი დოქი ღვინო. ოჯახის უფროსი შუა მარანში ჭურის თავზე, გობს დადგამდა, „სამ ღერ“ შინ ჩამოქნილ წმინდა სანთელს (სიგრძით 6—8 სანტიმეტრი) გობის სხვადასხვა კუთხეში სიმეტრიულად მიამაგრებდა და „მოუკიდებდა“, გობს სამჯერ წაღმა შემოატრიალებდა და ღმერთს ხმამაღლა შესთხოვდა — „მშვიდობის წელიწადი გაუთენოს მის ოჯახს, მისცეს უხვი მოსავალი ღვინის და ყოველგვარი „ნამუშიერის““... სასმისით დალევდა ღვინოს, ზედ დააყოლებდა ხაჭაპურსა და ღორის თავიდან ჩამონათალს —ერთ ლუკმას. სასმისს უფროსობის კვალობაზე სხვას გადასცემდა — თითოეული დალოცვის შემდეგ ღვინოს გადაკრავდა და სხვას გადასცემდა. დანაყრების შემდეგ იწყებოდა აგუნას გადაძახება — აგუნას სიმღერა. მიდიან

საწნახელთან, ყველას ხელში აქვს ან კომბალი — ყურძნის ჩასაჭყლეტი ურო, ცული, ნაჯახი, როვოტანა (ხვედა), ან მოკლე, მაგრამ მსხვილი „ტუკი“. საწნახლის გარშემო ჩაირაზებიან და მოიმარჯვებენ „იარაღს“. გადამძახებელი, ძლიერ ხმამაღლა მღერის:

აგუნა, აგუნა გადმეიარე —
ბახვი, ასკანა გადმოიარეეე...

დანარჩენები ბანს შესძახებდნენ: ხო-ხო-ხო-ხო-ხო-იო. და რიტმულად ურახუნებდნენ საწნახელს...

გადამძახებელი განაგრძობს:

ჩვენს მამულში ყურძენიო,
მტრის მამულში ფურცელიო!

ბანები:

ხო-ხო-ხო-ხო და იო-იო!

გადამძახებელი:

ჩვენს ქალებს ჩერია — კვირისთავიო,
მტრის ქალებს „ჩხირი“ და ვირის თავიო.

ბანებიც უბანებდნენ...

გადამძახებელი ზურგზე „მოიკუტურებს“ პატარა ვაჟს, ჩამოეკიდება ხელით ვაზს (ამით მან ისურვა ვაზსაც ისეთივე მძიმე მტევნები მოესხა, როგორც მას ჰკიდია ზურგზე) და გადასძახებს, გადაიმღერებს:

ჩვენს მამულში გოდორ-გოდორიო
მტრის მამულში კიმპალ, კიმპალიო.

ბანებიც უდასტურებენ.

ეს სიმღერა-გადაძახება თითქმის ერთი საათი გრძელდებოდა — მთელი კუთხე-მიდამო, მთელი გურია, აგუნას განგაშით იყო მოცული. ახლო მეზობლები სიმღერას ერთიმეორეს აცლიდნენ, ერთიმეორეს ყურს უგდებდნენ — ერთი რომ ერთ მუხლს იმღერებდა — მეორეს იმღერებდა მეზობელი. ამრიგად, სიმღერა, რახუნი, ბანი რიტმული და ჰარმონიული გახლდათ.

ქალების ზრომის სიმღერა — ღიღინი

როგორც კაცებმა, ისე ქალებმაც იცოდნენ ერთიმეორის ხელის წაკვრა, მოხმარება და ნადი. ქალების ნადში მამაკაცი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. პირიქით, ქალების ნადა სრულასაკოვანი ვაჟიც ვერ დაესწრებოდა. ქალები ქალურ საქმეს აკეთებდნენ, თავისუფლად იყვნენ. მათ სურვილზე მუშაობდნენ და ერთობოდნენ. ქალების ნადი მუდამ ღამით იყო. მეზობელი ქალები ერთიმეორეს ვახშმობის შემდეგ მიეშველებოდნენ და შემოდგომა-ზამთრის გრძელ ღამეში ნაშუაღამემდე მუშაობდნენ: თუ რა საქმეს აკეთებდნენ ამას ქვემოთ მოყვანილი სიმღერა-ლექსიდან მიხვდებით.

ძილო, ნუ დამეძინები
საბრალოსა მეო,
ქმარს პერანგი არ მიცვია
საბრალოსა მეო.
მოუსტავ და მოუკერავ
საბრალოსა მასო.

მასპინძელ ქალს 3—4 საათის მუშაობის შემდეგ ნადისათვის უნდა მიერთმია მსუბუქი ვახშამი, ეგრეთ წოდებული სე-

რის კუდი[1]. თუ სერის კუდს შეაგვიანებდნენ, ნადი სიმღერით მოაგონებდა — ჩამოურაკრაკებდა.

სერის კუდი არ მაჭამა
მა სერის კუდაო.
ვსტვდი, ვკეკდი, ვკეკლუცობდი,
მა სერის კუდაო.

სიმღერა-ღიღინი იცოდნენ მუშაობის დროს, ხელის შეუ-ჩერებლად, მღეროდნენ უფრო ხშირად ორ პირად — ტექსტს რამდენჯერმე იმეორებდნენ.

---

[1] სერი — საღამო, სერობა — ვახშმობა, ალბათ, ეს სიტყვაც აქედან ორის — სერის კუდი.

II. დღეობა-დღესასწაულები

ექვს ათეულ წელს დავუახლოვდი. სიჭაბუკის ხალისი გაქრა. „სიბერემ კისერში ჩამკრა, ჩამიკაკუნა“, მაგრამ ერთ დროს ხომ მეც ვიყავ პატარა და პატარაობის დროინდელ შთაბეჭდილებებიდან თავისუფალი არა ვარ, და არც მინდა ვიყო. ვიცი, მჯერა, რომ ცელქი, ანცი სიყმაწვილის ნანატრი წუთი არასოდეს არ გამეორდება. მაგრამ სიყრმის ხანას ძაინც ვეტრფი, ველოლიავები: განვლილი და დახარჯული, ნანატრი წუთების მოგონება გულს ესალმუნება, ახალგაზრდობას, ახალ თაობას მაყვარებს. მიყვარს ცხოვრების უმანკო ყვავილები, მტრედივით მოღუღუნე ყმაწვილების დანახვა უკვდავ ვიქტორ ჰიუგოს ლექსს მაგონებს, რომლის შინაარსი ასეთია: „ცა ბნელი, პირქუში, უმთვარო, უვარსკვლავო, მინდორ-ველი გადახრუკული, უბალახო და უყვავილო, ხე უფოთლო და უნაყოფო — ოჯახი უშვილო“.

უშვილო ოჯახი დიახაც, რომ უბედურია, გამხმარი, უნაყოფო ხეა, გადასული, ამოწყვეტილი, უსიცოცხლო. ულაზათო და უხალისოა ისე, ვით უმთვარო ღამე.

ბედნიერი იყო მამაჩემის ოჯახი: დედაჩემი ორ აკვანს უვ-

ლიდა „თავმონაწიერი“ შვილებით. არამც თუ წუხდა, არამედ კიდეც ამაყობდა. ახლის გაჩენა ოჯახს არ აშინებდა, პირიქით, „ახლად შეძენილს“ ოჯახში ახალი სიამოვნება შემოჰქონდა... შამაჩემი მკაცრი იყო, შვილებს სპარტანულად გვზრდიდა, მაგრამ თავის დროზე, შესაფერი სიამოვნება, გართობა და ალერსი არ გვაკლდა.

მე დავიბადე 1872 წელს. ჩემს მოგონებათა წერას რვა წლის ასაკიდან ვიწყებ, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ მე თითქოს აღვწერდე ჩემს პირად ცხოვრებას, პირად განცდას, პირად თავგადასავალს, ზოგიერთი, მართალია, პირადი შთაბეჭდილების მოგონებაა, მაგრამ უმეტესი ნაწილი კი შეკრებილია — მომსწრე პირთა მიერ გადმოცემული. მოგონებათა წერას ვიწყებ კალენდარული წესით.

საშობაო სამზადისი და შობა

ნოყიერი, პოხიერი, ანუ, როგორც გურიაში იტყვიან, მსუყე შობის გრძელი ხსნილი გათავდა. 14 გიორგობისთვეს, აღების ღამეს, სრული ორმოცი დღით გამოვეთხოვეთ წიწიას და ჭაჭუას (ხორცსა და ყველს). თვით აღების ღამეს ხორცეული ისე ბლომად მივირთვით, თითქოს აქლემის მოდგმისანი ვყოფილიყავით და შეგვძლებოდა 40 დღის საგზალი შემოგვენახა. მარხვის პირველ დღეს წინა ღამით ნახმარი ჯამ-ჭურჭლეულობა ოჯახის დიასახლისებმა დამდურეს. გადაუფხეკელი და შდულარე გადაურებელი არც სუფრა დატოვეს. ეს იყო ერთგვარი დეზინფექცია, ხსნილის ჭუჭყისაგან გაწმენდა; დიდებს ასე სწამდათ და პატარებსაც შთაგვაგონეს, რომ თუ სახსნილი რამეს წაეკარებოდა, წავწყდებოდით. ჯოჯოხეთისა და

რქიან-კუდიან ეშმაკების კი დიდი შიში და რიდი გვქონდა. მარხვის გატეხას კი შეეძლო ეშმაკის კერძი გავეხადეთ.

მართალია, ეს მარხვა ისე მკაცრი არ იყო, როგორც დიდი მარხვა, რადგან გარდა ოთხშაბათ-პარასკევისა, თევზის ჭამა არავის ეკრძალებოდა; მაგრამ იმ დროს თევზი — თუგინდ უბრალო ტარანი ან ქაფშია — უფრო ძნელად იშოვებოდა, და თან ძვირიც იყო, ვიდრე ხორცეული. ქათამი, ყველი და კვერცხი თითქმის ყველა ოჯახში მოიპოვებოდა. მთელი 40 დღე ლობიოს მრავალფეროვანი კერძი ენაცვლებოდა ერთიმეორეს: ლობიო ამოლესილი, კირკვალი, შეზელილი, ურწყულმოსხმული, ნიგვზით, ყარაოთი, ძაღით, ტყემლის ტყლაპით, სირსვალი, ქონა მამაკალია, პარკად შენახული ლობიო, სულ ლობიო და ლობიო... იშვიათად კეჟერა მხალი და, თუ მის მოხარშულსა და მარილმოყრილ ხვიტს იჯრამდე გვაჭმევდნენ, სამაგიეროდ, წყალსა და ფიჩხს გვაზიდვინებდნენ. პირის ჩასატკბობად გახლდათ შემწვარი ან მოხარშული ხაპი (გოგრაკვახი), რომელიც ძლიერ ხშირად საუზმისა და ვახშმის მაგივრობასაც სწევდა. ზოგჯერ ჯანჯუხასა (ჩურჩხელა) და ტკბილის კვერსაც ჩავაკნატუნებდით, მაგრამ ამას დამსახურება უნდოდა — კარგი ყოფაქცევა ან ცოტა „მოფუღურება“ — მცირე ავადმყოფობა.

მარხვის დაწყების პირველ დღეებში ყურძენი, სულ რაღაც ოციოდე მტევანი ჯერ კიდევ იყო შერჩენილი ისეთ ხეებზე, რომლებზედაც გიდლის გატანა არც კი ღირდა. ბევრი იყო აგრეთვე ზღმარტლი, საზამთრო ვაშლი, ხეჭეჭური მსხალი, პანტა და კვიჭიჭა. ბავშვებიც ყველა ამათ მუსრს ვავლებდით, მაგრამ საზამთროდაც ვიმარაგებდით. ამ დროს პანტა (მაჟალო) მშვენივრად ინახებოდა, ბევრჯერ თოვლის ალების

შემდეგაც ხის ქვეშ ახლად მოწყვეტილივით ცოცხალი აგვიკრეფია. პირველი თრთვილის შემდეგ ხურმასაც არ ვიწუნებდით, მსხმოიარე ნაყოფით დახუნძლულ ტოტებს ვამტვრევდით და სამზადი სახლის სხვენზე ვინახავდით.

ხეზე გასვლა, მის კატარში (კენწეროში) მოქცევა ექვსი წლის გოგოსა თუ ბიჭს ყველას ეხერხებოდა. ერთი მარცვალი ყურძნის ან ერთი ვაშლის გულისათვის მაღალი „შოტიალი“ ხის კენწეროში ბევრჯერ „შემიჭოპნია“. ხის წვერში გოგოებიც მარდად შესრიალდებოდნენ, ოღონდ კი ხელთ ეგდოთ დედოფალას კაბის დასამშვენებლად ვენახის წითელი ბაბილო (ვაზის ფოთოლი).

არ იფიქროთ, რომ ჩვენ, ყმაწვილებს გვანებივრებდნენ, პირიქით, მუდამ გვქონდა ჩვენი შესაფერი საქმე: საბალახოზე ბატები უნდა გაგვერეკა, მისთვის თვალყური გვედევნებინა, ბატებისა და ღორებისათვის ხურმა უნდა ჩამოგვეყარა, გაშობილაში ძროხები გაგვედენა, რიყეში ფიჩხი „მოგვეხიკა“, წყალი გვეზიდა, ეზოში ჩამოცვენილი ფოთლებისათვის ერთ ადგილას თავი მოგვეყარა და სხვა მრავალი „სამოცვეთო“, „საციქციქო“ საქმე, რაც დიდის მოსაცდენად არ ღირდა, ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა. ოჯახის ყველა წევრი შრომობდა და ჩვენც გვაიძულებდნენ მათთვის მიგვებაძა.

დიდრონები კი ამ დროს ერთ „გაწამაწიაში“ იყვნენ. ზამთრის მოსვლას ყველა მეოჯახე მზად უნდა დახვედროდა. მამაკაცები შეშას და ჩალას იმარაგებდნენ, საქონლის დასაბამ ბინას გვიმრით ან ღომის ჩალით „ფუთნავდენ“, „კონახში“ საქონლისათვის პირის ბაგას აკეთებდნენ.

ძმებმა გაყოფა და ცალკე ოჯახად გასვლაც უფრო ხშირად ამ დროზე იცოდნენ. ამიტომ ძლიერ ხშირი იყო ნადი ნა-

დგამის ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადასატანად. რაკი ისლი ახალ აღებული იყო, ახალი შენობის დახურვა ან ძველი სახურავის გამოცვლაც ამ დროს ხდებოდა. ერთი სიტყვით, შემოდგომის „თითის სიგრძე“ დღეს, იალონიდან მოკიდებული „თვალით დანახვამდე“, ყველა გაფაციცებით შრომობდა, ზოგი მთვარიან ღამეშიც არ ისვენებდა.

შრომა-გარჯილობაში კაცებს, არც ქალები ჩამორჩებოდნენ. ახლანდელი ქალებისა რა მოგახსენოთ და ჩემი სიყრმის დროინდელ ქალებს კი აუარებელი საქმე ჰქონდათ და დიდი ბეჯითებიც გახლდათ. მამაკაცი ბევრჯერ უმადურია, ოჯახის ბურჯი მე ვარო, გაიძახის, დედაკაცის გამუდმებულ შრომას კი არ აფასებს. მეოჯახე მამაკაცი თავისუფალ დროს დასასვენებლად ან დროს გასატარებლად ხშირად პოულობს. დედაკაცი კი ვერასოდეს ვერ ისვენებს. ქორწილი, ნათვლა, დღეობა და სხვა ამგვარი მამაკაცისათვის დროს ტარებაა, დედაკაცისათვის კი — დაუსრულებელი შრომა. ის ყოველ დროს ცეცხლთან ფუსფუსებს, მუდამ საქმობს. ძველად დედაკაცი მაინც არ წუწუნებდა, არ აყვედრიდა, როცა მისი მეუღლე მზა სუფრაზე სტუმრებთან ერთად შეზარხოშებული მრავალქამიერს გაიძახოდა, ის ამ დროს „წამოსამატს“ ამზადებდა, წვადს წვავდა, ხაჭაპურს აცხობდა, ღომს ამზადებდა. თავის ხვედრის სრულიად კმაყოფილი, სახეგაბრწყინებული ასრულებდა საქმეს.

დედაკაცის საქმე ოჯახში ყოველთვის დაულეველი, დაუსრულებელი იყო, მაგრამ შემოდგომაზე „შობის მიწურულში“, ყოველდღიური, ჩვეულებრივი საოჯახო საქმის გარდა, მას სხვა ბევრი საქმეც უჩნდებოდა: საშობ-საკალანდოდ დედაკაცს ოჯახის წევრებისათვის უნდა მოექსოვა შინაური შა-

ლი — საჩოხე და „საკვართუე“, საპერანგე ხამი და ხელით უნდა შეეკერა (ზინგერის საკერავი მანქანა სოფლად არავის არ ჰქონდა). დედაკაცები დახელოვნებული იყვნენ გვირისტით მკვიდრი და ლაზათიანი ნაკერის გამოყვანაში, რომელიც ზოგიერთ „მოდისტკასაც“ კი შეშურდებოდა.

შემოდგომის გრძელ ღამეში ქალების ნადი ხშირი იყო. ქალი, ოჯახურ საქმეს რომ მორჩებოდა, ივახშმებდა და მერმე მეზობელ ქალს ეშველებოდა. ქალთა ნადის საქმე გახლდათ: მატყლის დაკეკვა, დაჩეჩა, „შესტვა“, მოტოლვა და მოძახვა, ბამბის დაჩიხრიხება, მისი ძაფად ქცევა, ლერწმის გარჩევა საძაფედ, „ბურდღის“ (ბუმბული) დაკეკვა და სხვა მრავალი. ნადში ქმრიან ქალებზე მეტი გასათხოვარი ქალიშვილები ერივნენ, რომლებიც გამოცდილი და დაოსტატებული ქალების ხელმძღვანელობით საოჯახო ქალურ საქმეში იწაფებოდნენ.

სასიამოვნო რამ გახლდათ ქალების ნადი: შეჯიბრება, ერთიმეორის საქმეში, ზღაპარში, ასახსნელში, ჩქარა გამოსათქმელსა (სულმოუთქმელად), შეუწყვეტელ სიმღერაში. ხშირად ერთ-ერთი ქალი, ზოგჯერ რიგრიგობითაც, ჩონგურს ან ჭიანურს უკრავდა, სხვები ღიღინზე ეშველებოდნენ. ხშირად გასათხოვარი ქალის ბედი ქალთა ნადზე წყდებოდა — აქ მოიყვანდნენ გამსინჯავად სადედამთილოს ან მომავალ მულს... ქალების ნადის ყურება წარმტაცი და სასიამოვნო რამ იყო. მაგრამ ამას ვერ დაესწრებოდა ასაკში შესული ვაჟები. მხოლოდ მცირეწლოვანებს შეეძლოთ დამტკბარიყვნენ მოსაქმე ქალების მარილიანი ოხუნჯობითა და სიცილ-ტკარცალით. ზოგჯერ ახალგაზრდას მოუსურვებია ლაზღანდარა ქალების „წაყურება“ და კარიდან მიუდარაჯებია. ქალებს მზვე-

რავი, აბეზარი თვალი ძნელად გამოეპარებოდათ და მოულო-
დნელად კარს ისე სწრაფად გააღებდნენ, რომ ვაჟს ცხვირი-
დან სისხლი დაეღვარა — შემდეგ კი ცივი წყლით გააგრილებ-
დნენ ღამის რაინდს. ყოველივე ეს განზრახ კი არა, თითქოს
უცაბედად ხდებოდა.

სამი, ოთხი საათის მხიარული, მაგრამ ბარაქიანი მუშაო-
ბის შემდეგ ნადს მეოჯახე ქალი მიართმევდა „სერის კუდს“.
ვახშმის მაგიერ კი ელოდათ „სამხიო“ საჭმელი: შემწვარ-მო-
ხარშული ხაპი, ჯანჯუხა, ტკბილის კვერი, ფელამუში, მსხალი,
ვაშლი, თხილი და სხვ. ცხადია, ვისაც მოესურვებოდა, ცო-
ტაოდენ ღვინოსაც დააყოლებდა ზედ. ვახშმის შემდეგ ქალე-
ბის ნადი მუგუზლით ხელში თავიანთ ოჯახებში წავიდოდა.

ძლიერ ხშირად ბეჯითი დედაკაცები „გატიალებას“ 2—3
საათით დაასწრებდნენ, ადგებოდნენ და გაჩაღებულ ცეცხლ-
თან ხელსაქმობდნენ. ცეცხლი ყველა ოჯახში თითქმის გაუქ-
მებული იყო... დაწოლის წინ ცეცხლის გამტან მუგუზალს
ღადარს მიაყრიდნენ — შეახვევდნენ და თან იტყოდნენ: „ცე-
ცხლო, ელოდე, მელოდე, მე მელოდე, მზეს ელოდე, მთვარეს
ეთაყვანებოდე, დილით ადრე ადგებოდე, დოჩხაური[1] დამხვ-
დებოდე!..“

დადგა შუამარხვა, „ბარბარობა“ დღე. ორი სამი დღით
ადრე მეოჯახე კაცმა ტყეში მოჭრა ველური თხილის წმინდა
წნელი, მოიტანა სახლში და მოღობა ძარა, ანუ სასუქი. „ბარ-
ბარობა“ ქათმების პატარა დღეობაა. ამ დღეს, დილით ადრე
მეოჯახე ქალი ქათმების დაპურების დროს დაიჭერს წინათვე

---

[1] დოჩხაური — დანაკვერჩხლებული, ცეცხლის დიდი ნაკაერჩხლები.
დოჩხირი ზეგრულად ცეცხლია.

ქერია

დანიშნულ ქათმებს. მან, „ასი ფრთა“ ქათამიც რომ ჰყავდეს, თითოეულის „მეტრიკა“ და დამსახურება კარგად იცის. სა-

სუქში დასამწყვდევად და შემდეგ დასაკლავად ის არჩევს ბებერს, ნაკლებად კვერცხისმდებელს, ცუდ „მკეკელს“, ფრთხუს, უვარგის „მოჭვას“ და, საერთოდ, ისეთს, რომელიც სათესლედ და სადგამურად არ გამოდგება, აგრეთვე ყვერულს—ჭაკოდილს, რომელიც საგანგებოდ საკაიდღეოდ ჰყავს გამოზრდილი. „ბარბარობას“ დაჭერილი ქათმების განწირული კრიახი, დეზებიანი სახლის მამლის ფაფხური, ჩვენ, ბავშვებს, სიამოვნებით გულს გვიფართქალებდა. კარგად ვიცოდით, რომ ოცი დღის შემდეგ მსუქანი ქათმის „წიწია“ ლობიოს შესცვ-

საქათმე

ლიდა. ამ დროს ოჯახიდან რაიმეს განათხოვრებას „იბრძნიდ-ნენ“, სწამდათ, რომ ავხელს შეიძლებოდა ქათმის მომრავლე-ბა გადაჰყოლოდა. დაუცდელი ფეხის სტუმრობაც არ მიაჩნ-დათ სასიამოვნოდ.

ერთი კვირის შემდეგ განსაკუთრებულ ადგილას საგანგე-ბო სამწყვდევში ჩასვამდნენ ღორს, ჩვენ მისი ჭყვირილიც კი გვსიამოვნებდა, რადგან ვიცოდით, მას საკალანდოდ კისერში გალესილ დანას „გაუღიტინებდნენ“ და მის ხორცს ბევრჯერ ვიგემებდით.

ქათმებიცა და ღორიც სასუქშია, ოჯახის წვრილფეხობას ადრე ადგომა გვეხალისება: ყველა ჩვენგანი ცდილობს სხვას დაასწროს და სასუქში მყოფთ „კეკალი“ დაუყაროს, წყალი დაუსხას. თან უთხრას: „სუქ, სუქ, სუქ!“ ღორი პირველ დღე-ებში პატივს იფერებს, ხარბად ჭამს, სიმინდის დაყრის დროს როთინით გვხვდება, შემდეგ კი, როცა სიმსუქნე სძლევს, სა-ჭმლით გულს „იმსუყებს“, ზარმაცობა ეპარება, უხალისობა-ეტყობა, წვება და ნებივრობას იწყებს.

შობის დღესასწაულის მოახლოება, მიუხედავად ასაკისა, ოჯახის ყველა წევრს ახარებს და ახალისებს, თითქმის ყო-ველ საღამოს ანგარიშობენ, თუ რამდენი დღე დარჩა ბედნიე-რი დღის გათენებამდე.

... სიცივემ იმატა, ცეცხლი გატკბა. შემოდგომის სტუმარი ფრინველები ბოლოშავი და ჩიჩხინაკი მწიფე ხურმას და ნსხლის „მადას“ (ფითრს) ხარბად შეექცევიან. მასპინძელი შაშვი და ჩხართვი ხურმის გარდა, სუროს მარცვლებსაც არ იწუნებენ. ლენჭყოში ჩიბუხა ტყის ქათმებიც გამოჩნდნენ, ნა-დირობაც გაჩაღდა. დიდრონები, მოზრდილი ბიჭები ჩიტებს საჩიტე ფილთით ან ყავალი თოფით ხოცავდნენ, თოფის წა-

მალს ყიდულობდნენ, საფანტს კი ტყვიისაგან თვით ასხამდნენ.

ახალგაზრდა ვაჟები ხეებზე ჩიტებს უგებდნენ მახეს, ირენჭკას — „რენჭკას“. ირენჭკა მშვილდის მაგვარია, თხილის ნედლი წნელისაგან კეთდება, წვრილ თოკგაყრილი, აწყობის დროს მშვილდივით იზნიქება. მოჭიმულ ირენჭკას ნახვრეტში რიკის შედებით აჩერებენ. რიკზე გადაკიდებულია ორტოლა გასანთლული წვრილი თოკი; ჩიტის მოსატყუებლად რიკის პირდაპირ ჰკიდებენ ღომის თაველს ისე მოხერხებულად, რომ ჩიტი თუ რიკზე არ დაჯდა, ისე მარცვალს კენკვას ვერ დაუწყებს. რიკზე დაჯდომა და მახის აშლა ერთია. ჩიტს ფეხი უსხლტება და თოკი ცალით ან ზოგჯერ ორივე ფეხით იჭერს, ხშირად ფეხებს ამტვრევს. ირენჭკას აგებენ ისეთ ხეებზე (სუროიან ან ხურმის), რომლებსაც ჩიტები ბლომად ეტანებიან. ბევრჯერ ერთ ხეზე რამდენიმე ასეთი მახეა „აწყობილი“.

6—8 წლის ბავშვებიც ჩიტებზე თავისებურად ნადირობდნენ, ნალიის ქვეშ აგებდნენ ირენჭკას მსგავს მახეს „თავკავას“, იჭერდნენ წვრილ ჩიტებს: ბეღურას, სკვინჩას, თავშავას და ყელწითელას, ლენჭყოში კი ძუის მახით — ტყის ქათმებს.

მონადირეს თავის მფარველ „ანგელოზათ“ ივანე მახარობელი სწამდა; აქაო და ივანე მახარობელი უდაბნოში ნანადირევით იკვებებოდა, ამიტომ ხათრს არ გაგვიტეხს და, თვით მონადირე, ჩვენც დაგვეხმარებაო. თოფის გატენისა და მახის დაგების დროს, ივანე მახარობელო, ხელი მოგვიმართეო, შესთხოვდნენ. მონადირეს ვინც შეხვდებოდა, გამარჯვებასთან ერთად, ივანე მახარობელი შეგეწიოსო, უნდა ეთქვა.

თოფის გავარდნის ხმის გაგონებას ან ირენჭკას, ბავშვები აღტაცებაში მოჰყავდა. ირენჭკას აშლისთანავე მყის მოყვე-

ბოდა ფეხებდამტვრეული ფრინველის განწირული წრიპინი. მახის დამგები ხელად შესრიალდებოდა ხეზე, მახეს ისევ ააწყობდა და ნანადირევი ოჯახში მოჰქონდა. სამზადი სახლის კარებთან მონადირეს მეოჯახე ქალი მუჭით ნაცარს შეაყრიდა და თან ეტყოდა: „კიდევ ამდენი, კიდევ ამდენი, შენი ავი თვალითა და ავი გულით შემხედვარეს თვალში ნაცარი, გულში ლახვარი, ივანე მახარობელი იყოს შენი მფარველი!..“ ფრინველს მაშინვე ცივ წყალში დაასველებდნენ, ცხელ ნაცარში ატრიალებდნენ და თან ამბობდნენ: „ასვარია, დასვარია, შენი დედა, შენი მამა, შენი ძამიე, შენი დაიე, შენი ნახული, შენი უნახავი, შენი ნაცნობი, შენი უცნობი — ყველა აქანაი დასვარია“. ცხელი ჩიტი ცოტა ხნით მიტყუპულ ფეხებს შუა ეჭირათ და შემდეგ გაპუტავდნენ, ანუ „გაბურდღავდნენ“.

ჩიტებზე ნადირობა უფრო „ხვავრიელი“ მაშინ იყო, როცა თოვდა, მეტადრე თუ „ბარდნიდა“, ასეთ „ყიამეთ“ ტაროსში, ჩიტებს თოფით ახლოს ეპარებოდნენ და მახეშიც მეტი მოჰყვებოდა. წვრილი ჩიტები თავს აფარებდნენ და საზრდოს „ყუდროში“ ეძებდნენ, გადახურულ შენობაში, სხვათა შორის, ასეთი იყო ის საგანგებო შენობა, საცეხველა, საცა ფეხის ჩამური ედგათ და ღომს ცეხვავდნენ. საცეხველას ყველა ჭუჭრუტანებს „დაგმანავდნენ“ ისე, რომ ჩიტი არსად გამძვრალიყო, ღიას სტოვებდნენ კარს, რომელსაც ზემოდან „საჩხინავში“ ბადეს აფენდნენ. საცეხველაში ბლომად უყრიდნენ „ნახორს“. მშიერი და სიცივით შეწუხებული ჩიტები „ნახორის“ კენკვას არხეინად იწყებდნენ, მაშინ უეცრად კარს დახურავდნენ. დამფრთხალი ჩიტები სინათლეს მიაშურებდნენ და იქ ბადეში მოჰყვებოდნენ. საცეხველა ქალებს ეკუთვნოდა და იქ მხოლოდ გოგოები და ქალები ნადირობდნენ. მათ

არავინ ეცილებოდა. პატარა გოგო-ბიჭები, ნალიის ქვეშ ან სახლის მახლობლად ჩიტებს რაგვსაც უგებდნენ. მოკლულ ჩიტებს გაპუტვის შემდეგ „გამოშიგნავდნენ“, დაამარილებდნენ და ინახავდნენ ან დიდრონ ქოთნებში, ან დერგებში (ხალამი). ზოგიერთ ოჯახს ასობით ჰქონდა საშობაოდ შემონახული „გაპუნტულებული“ ჩიტები.

შობის მარხვა მიიწურა, „ჯიჯაზე“ მიდგა. ლობიო მთლად



წისქვილი

გაუგემურდა, ხსნილამდე „ერთი სული გვაქვს“. შობის წინ, 4—5 დღით დაასწრეს და ქალებმა კვერცხები მაგრად მოხარშეს. მის „გარჩევაში“ ჩვენც ვიღებდით მონაწილეობას, ვიხვეწებოდით კიდეც, პატივი ეცათ. მოხარშული კვერცხის ხელის შეხებაც ჩვენთვის დიდი ბედნიერება იყო, მსუნაგ კატასავით შევცქეროდით, ნაჭუჭმოშორებული კვერცხი არ გვინდოდა ხელიდან გაგვეშვა, „ჩვენი სული კვერცხში იყო“, მაგრამ მარხვის გატეხას ვინ გაბედავდა. მოხარშული კვერცხები ჩეჩოზე დააწყვეს და ოჯინჯალაზე გამოჰკიდეს. ცეცხლის სიმხურვალით კვერცხები ხმება, იმჭვარტლება, ქვასავით მაგრდება. გვიხარია, ვჭყლოპინობთ, საქმეს ხალისით ვასრულებთ, ვიცი, რომ ეს კვერცხები ჩვენი მუცლის სალოცავისა და საშობო ღვეზელისათვის უნდათ.

მხიარულება ჩვენ, პატარებს კი არა, დიდებსაც დაეტყოთ, წარბი გაეხსნათ. ტოლ-სწორი გოგო-ბიჭები თავს ვიყრით და სხვადასხვა თამაშობით ვერთობით: „ხვალ შობა, ხვალ შობა, ჩვენი მტერის დარჩობა“. ხშირად ზოგიერთი ცელქი და გაბედული, რომელიმე „წაუკარებელი“ მეზობლის სახელს ჩაურთავდა, მაგრამ თუ უფროსი მოჰკრავდა ყურს, „პირზე ხელს მიაფარებდა“, შეიძლება ყურებიც აეწია.

შობის წინა დღე — „ბრავაწობა“ — ვათენდა... ჩვენ სიხარულს საზღვარი არა აქვს. ეს ერთი დღეც და გვეღირსება გახსნილება. კანში ვერ ვეტევით. გვიხარია, ერთიმეორეს ალარ ვებაძებით, ოღონდ კი რაიმე დაგვსაქმონ და შესასრულებლად კრიმანჭულით გავრბივართ, ვსიამოვნებთ და უფროსებსაც გვინდა ვასიამოვნოთ... „ბრავაწობა“ დილით ოჯახის უფროსმა მეზობლიდან რამდენიმე ოყა „ყირიმის“ თეთრი პურის ფქვილი მოიტანა. ფქვილის გამყიდველი გახლავს ერთი მხნე

მეზობელი, კურტნიანი კარგი ლაფშა ცხენის პატრონი, ხშირად ფოთში დადის, ჩალვადრობს, თან მიაქვს: ხილი, სიმინდის ფქვილი, ღომი, ღვინო, არაყი; იქიდან კი დროს მიხედვით მოაქვს: ტარანი, ფარგა, მარილი, პურის ფქვილი. ოჯახში აქვს სასწორი — „ყანთარი“ და მეზობლებში ყიდის. ეს იყო მაშინ ჩვენი კუთხის დუქანიც და „კომპერანტიაც“. თეთრი პურის ფქვილის შეძენა ყველას არ შეეძლო, კმაყოფილდებოდნენ შინაური თალხი პურით, რომელიც ზოგიერთებს იმდენი მაინც მოჰყავდათ, რამდენიც საკაიდღეოდ ეყოფოდათ.

დედაკაცები დილიდანვე შეუდგნენ სახვალიო სამზადისს: პურის ფქვილი მოზილეს და რომ „წაღუებულიყო“, ამიტომ საღამომდე თბილად შეინახეს. სასუქიდან ორი ქათამი ამოიყვანეს, დაკლეს, გაპუტეს, „აჩარიქეს“ და ქოთნით ცეცხლზე შემოდგეს, ნიგვზით შეკაზმეს, ხმელი სუნელით შეაზავეს, ზაფრანით ფერი მისცეს და ამრიგად, მისი სუნი მომაკვდავსაც ჭამას მოანდომებდა. ასევე „ჩააზუბზუბეს“ ერთი კარგა მოზრდილი ქოთნით დამარილებული ჩიტები.

საღამო ჟამს გაახურეს კეცები და დააცხვეს ღვეზლები და მუცლის სალოცავი კვერები. მუცლის სალოცავი პატარ-პატარა კოკრებია ყველით გატენილი და შუაზე ერთი გამხმარი კვერცხია დატანებული, ყველა ერთი ზომისა და ღირსებისაა. ღირსება ყველისა და კვერცხის მეტნაკლებობაშია და თითოეულ სულზე თითო ცხვება. ღვეზელი სამკუთხედია, ამასაც სათითაოდ აცხობენ, მაგრამ ის არაა ერთი ზომისა და ღირსების; აცხობენ საუფროსოს და საუმცროსოს, ზოგს თითო 4—5 კვერცხს „მიურთავდნენ“ და ისიც მთელს, ზოგში 2—3 შუა გაჭრილ კვერცხს დააყოლებდნენ. განსაკუთრებით გამოაცხობდნენ აგრეთვე სასტუმრო და მეალილოეს საჩუქარ

ღვეზელს იმის მიხედვით, თუ ვის როგორ მოსწონდა თავი ან როგორ „მოეღონისკარებოდა“.

„ბრავაწობის“ ჩვეულებრივი ვახშამი, ხაპიც, გვაჭამეს, თავიც დაგვაბანინეს — „დაგვახვინჭილეს“. ჩვენი ძილის დროც არის, მაგრამ „კერიასთან“ მოსაქმე ქალებს მაინც არ ვშორდებით, ახლად გამომცხვარი ღვეზლის სუნი გვხიბლავს. გვიჯავრდებიან, გვიბრძანებენ, რომ დავწვეთ, ადრე დავიძინოთ, რადგან ხვალ „ცის ალიონზე“ უნდა ავდგეთ. ურჩობას ვერ ვბედავთ, ვწვებით, დაწოლის წინ, ტანისამოსგახდილი, პირჯვარს ვიწერთ და ვამბობთ: „დავწვები დამეძინება, პირჯვარი დამეწერება, ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი სასტუმალს დამესვენება, ჯვარი მწყალობს ჯვარცმული, ვერას მაწყენს მაცდური, მწყალობს წმინდა გიორგი, ჯვარი პატიოსანი“... (ვისაც, ჯერ კიდევ პატარას არ შეეძლო ეს ლოცვა ზეპირად ეთქვა — მის მაგივრად ამბობდა დედა ან ბებია — მესამე პირში: „დაწობა დაეძინება...“ ვწვებით მაგრამ ღვეზლის ჯავრით დიდხანს არ გვეძინება, ყველას ვეხვეწებით მეალილოეს მოსვლა არ გამოგვაპარონ და ჩვენც გაგვაღვიძონ...

გვაღვიძებენ... ხელად ვიღვიძებთ და დედას ვეკითხებით:

— რა იყო ნენა, მეალილოე მოვიდა თუ?!

— რაღა დროის მეალილოეა, შვილებო, იგინი რომ მოვიდენ, მაშვინ თქვენ ახალ ჩაძინებული იყავით, ქე გაღვიძეთ, მარა სული ვერ ჩაგიდგით... მამალმა იალონის კიდეც შეიყივლა, ადექით, ტანზე ჩეიცვით, ხელ-პირი დეიბანეთ, პირჯვარი გამეისახეთ და გევიხსნილოთ. „ხაციცი“ მზათ არის (ცხელი, ქაფქაფა ღომი და ჩაზუბზუბებული ჩიტები).

სწრაფად ვდგებით, ცოცხლად, ერთიმეორეს ვასწრებთ

ტანზე ჩაცმასა და ხელ-პირის დაბანას. ხელპირდაბანილი, თმა-დავარცხნილი მაშინვე დედასთან მივდივართ, დედაც სათი-თაოდ იღებს ხელში მუცლის სალოცავს, თითოეულს სამ-სამ-ჯერ გვავლებს მუცელზე და ილოცება: „ამისი მუცლის ტკი-ვილი აღმა ქარს, დაღმა წყალს“. მუცელზე შემოვლებული კოკრები მაშინვე შევჭამეთ, ერთიმეორის თავაზობა, თუგინდ ერთი „ფინჩხას“ მიცემაც არ შეიძლებოდა, რადგან ნატეხს ნუცლის ტკივილი გადაყვებოდა და სხვისი ავადმყოფობა ვის რად უნდოდა. რაკი მუცლის სალოცავი მთლიანად შევჭამეთ, ამით მთელი წელიწადი, მეორე შობამდე, მუცლის ტკივილი-საგან დაზღვეული გეახელით, ასე გვეგონა მაინც.

გაჩაღებულ ცეცხლის პირად, ცეცხლისა და ქონის ჭრაქის სინათლეზე ოჯახის წევრები შემოვუსხედით დაბალ საოჯახო სუფრას და გიახელით შობის საუზმე „ხაციც“. მშვენიერ საუ-ზმეს, რასაკვირველია, არც ღვინო აკლდა და თითო ჭიქა ჩვენც დაგვალოცინეს. ჯერ კიდევ ისე ბნელოდა, რომ ზოგიერთი „ალაცარიე“ გათენებამდე ერთ წაძინებასაც მოასწრებდა.

გათენდა. ყველა ოჯახში მხიარული და კმაყოფილი ჟრია-მულია. „კისრამდე“ გამძღარი ბავშვები ცელქობენ, თამაშო-ბენ, მღერიან, დღეს შობაა, დღეს შობაა, გაიძახიან, ზოგნი ალილოსაც ამბობენ. ალათასა, მალათასა, ხელი ჩავყევ კალა-თასა, აი ალილოო დაა..

წირვის დარეკეს, გარდა სახლის მცველისა (იგივე სადი-ლის გამკეთებელიც), ყველანი საყდარზე წავედით: ჩვეულ-ბრივ სადად, „ჩალინჩათ“ ჩაცმული თითქმის არავინ არის, შე-ძლების კვალობაზე ყველა ცდილობ „გამოპრანჭულიყო“, საგა-რეო ტანისამოსი ჩაეცვა. გლეხებს თითქმის ყველას შინ ამო-სხმული თავისივე ხელით შეკერილი ქალამანი აცვია. ხანში

შესულებს — „მოკოპილი“, ახალგაზრდებს კი წულის მაგვარი მეგრული, უფრო კოხტა, მაგრამ ნაკლებად თბილი.

წირვის დადგომის დაირეკა, ყველანი ეკლესიაში შევიდნენ. კაცები წინ დადგნენ — საკაცეებოში, ქალები კი კაცების უკან — საქალებოში. აზნაურები, სასულიერო წოდების და შეძლებული გლეხები, კაცებიცა და ქალებიც თავის უპირატესობას აქაც არ ივიწყებენ და ეკლესიაშიც სხვებზე წინ ამაყად დგებიან, ყოყოჩობენ. ხატის წინ სათითაოდ მიდიან და შინიდან მოტანილ, ოჯახში ჩამოქნილ სანთელს ანთებენ, გარეგნულად მაინც სასიკეთით ლოცულობენ...

მღვდელ-დიაკონი იჩქარის, შიმშილიც აწუხებს და სხვა საქმეც აქვთ, საშური და საშოვნი. გამოწირეს. მღვდელ-დიაკონი „სტაროსტის“ თანხლებით ეკლესიიდან გამოვიდნენ და იქვე გალავანში სასაფლაოებს ესტუმრნენ. გარდა „უპატრონო მკვდრისა“, თითქმის ყველა საფლავზე მზად არის საკურთხი, კალათაში აწყვია: ღვეზელი, შემწვარი წიწილა, დოქით ღვინო და სანთელ-საკმელი. შემოსილი მღვდელი საცეცხლურით ხელში რიგრიგობით უვლის ყველას და აკურთხებს: განუსვენე უფალო სულსა მონისა (ან მხევლისა) შენისა, სული მისი დაამკვიდრე წიაღსა შინა, აბრამისასა...

„სულიერ“ მამას თან დაჰყვება „ხარჯთამკრეფი“ შვილი, მოჯამაგირე ან სადიაკონოდ აყვანილი, რომელიც უკვე დაკურთხებულ ხორაგს დიდ ხურჯინში და ღვინოს მოზრდილ ჰურჭელში — „ჭარიკაში“ — აგროვებს. საკურთხის ღვეზელი მაინცდამაინც არ იყო საგულდაგულო. აცხობდნენ ისე, ფორმის გულისათვის, მდარეს, მეტადრე მიცვალებული თუ გამოგლოვილი, ძველი იყო. ნადავლს მღვდელი და დიაკონი იყოფდნენ, ორი წილი — მღვდელს, ერთი — დიაკონს, ცოტა რამეს „სტაროსტასაც“ ახვედრებდნენ.

ეკლესიიდან გამოსული ხალხი შინ წასვლას არ ჩქარობდა, იყო ერთიმეორის მისალმება, ამბების გამოკითხვა, თუთუნის შეთავაზება... საერთო ამბავი — „მომენტის საკითხი“ — წუხანდელი მეალილოები გახლდათ.

— ვინცხა იყო ამ ლუსკუმა ღამეში და იგიც თავპირახოული, რაფერ მეცნო, მარა ისე კი ცხონდა მაამისი, გაიდონასავით ტკბილი ხმაი ქონდენ.

— უკაცრავათ, სიტყვას დაგეცილე, მარა იმედია მაპატიებ, ძალუანი ხმაშეწყობილად კი გალობდენ.

— სწორია თუ პროტი იგი არ ვიცი, მარა ასე ჩივიან წუხელის გამთენიეს ჩვენი სოფლის მეალილოებს შეხვედრიან მეორე სოფლის ყეიმას ბიჭები, დაუძახიან და მოუნდომებიან ერთიმეორის გაქუცვა, მარა ორივე კედრით მაგრად ყოფილარიან, მერე შერიგებულარიან და ასე მშვიდობით ქე გათავებულა აგი ამბავი.

— ღვეზლის გულიზა ამ ბედნიერ დღეს ერთიმეორის დახვედრა ვითამ რავა იკადრეს.

— ღვეზლიზა კი არა, ვაქკაცობიზა, რომელმა რომელს ვაჯობოთო, თვარა ალილოზე ვინც იარება იგი შენი ღვეზლის მშიერი არ არის.

რიგი რომ ასე ბაასობდა, მეორე რიგი, სოფლის პირობაზე უფრო საპატიო პირები, ქალებთან მასლაათობდნენ. როცა გული იჯერეს, ნელ-ნელა სახლისკენ წასვლა იწყეს.

გალავნიდან გადმოსვლამდე ოჯახის მამაკაცი ჯარში შერეულ თავის ნათლიმამას ეძებდა, მისი მეუღლე კიდევ თავისი ნათლიდედას არ შორდებოდა, „ბუდუას“ (ნათლიას) წუხელის „ნათლულიდან“ საშობო ძღვენი მოუვიდა. ფიჭვის ყავარზე დაკრული 30—40-კვერცხიანი „საიასაღო“ ღვეზელი

„კურტუმჩაყვითლებული“ ყვერული, ფინჩხაურით ჩხავრის ღვინო და ნათლულის ნახელავი წინდა. სამაგიეროდ, დღეს მოყვრებმა სადილი ერთად უნდა ჭამონ, ძღვენის — მოსაკითხის — გამომგზავნი ნათლიამ უნდა დაპატიჟოს და სტუმრებიც მოუპატიჟოს. სამაგიეროს ისიც გადაუხდის — იმასაც თავის დრო აქვს.

— რა არის ოჯო, რეტუმ იკადრებთ, რაცხა პაწეი, გამოსაჩენათ რომ არ ღირდა, მოსაკითხი გამოგიგზავნე, რომ ღირდა ათი იმდენი მომტანიზა გეჩუქებია და სირცხვილში რეიზა მაყენებ, დღეს კიდევ რეღაიზა იხარჯები.

პირის გამოსარეცხათ ბოდიშობს ნათლიდედა, თორემ ისე სახლში უკვე დაიბარა, რომ ის დღეს სადილად შინ არ მოვა, ბუდუასას იქნება.

ნათლიმამა თუ სხვა სოფლის მცხოვრები იყო, ნათლიას წინ ღამით ძღვენს გაუგზავნიდა და მეორე დღეს კიდეც ესტუმრებოდა.

ნათლია თუ თავადი ან გავლენიანი აზნაური გახლდათ, ან ბობოლა „ჩინოვნიკი“, მაშინ 60-კვერცხიან ღვეზელს გამოუცხობდნენ და გარდა კვერცხისა, ახალ მოკლულ 10—15 მსუქან შაშვს, წინასწარ „მონწალულს“ (მდუღარეში ცოტა ხნით ნამყოფს) ჩაურთავდნენ, რომელიც ღვეძლის ცხობის დროს შეიწვებოდა. ჩხავრის ღვინოსთან ერთად ასეთ ძღვენს ახლდა სანთლის არაყიც.

შობის სადილი იყო „ძირდადგმული“, დარბაისლური. სიმღერა, თოფის ან ფიშტოს სროლა, ჩონგურის დაკვრა და ზედ დალიღინება, ცეკვა, ჭამის მადას აღიზიანებდა, მასპინძელი ქალიც წამოსამატს, მწვადსა (შემწვარ ჩიტებს) და ხაჭაპურებს არ ზოგავდა, აურზაური, ჩხუბი წარმოუდგენელი რამ იყო.

როგორც სიამტკბილად დასხდებოდნენ, ასევე მოყვრულად გამოეთხოვებოდნენ ერთიმეორეს და გამომშვიდობებისას იტყოდნენ:

— გაის ამ დროს კიდევ ასე კარგად მყოლოდეს თქვენი თავი.

— თქვენიანებ, თქვენიანებ, და თქვენი კარგად ყოფნით,— უპასუხებდა მასპინძელი.

შობის მეორე დღე — „შობის დედაც“ — უქმე იყო და პირის გემო და სიამოვნება ამ დღესაც არ აკლდათ.



ღომის საცეხველა

ალდგომა და მასთან დაკავშირებული თამაშობა-გართობა

გურულს ძლიერ ბევრგვარი დღესასწაული, ხატობა და სხვადასხვა რიტუალი აქვს და, მაშასადამე, მრავალგვარი მიზეზიც აქვს გაერთოს, ისიამოვნოს, ჯარში გაერიოს, თავი ისა-

ხელოს, მასზე სხვები ალაპარაკოს. ყველაზე მეტად კი ეს მას ეხერხება აღდგომის დღეებში.

გურულს ყველა „დღესასწაული“ უყვარს, მაგრამ კალანდასა და აღდგომას არაფერი ურჩევნია. აღდგომა პირველი გაზაფხულის დღესასწაულია, მასში ქრისტიანული, წარმართული ერთიმეორეში ლამაზად არის შეზავებული, სიცოცხლის ხალისი, გამრავლების ლტოლვა არის ჩაწმახნულ-ჩაქსოვილი. ქრისტეს „მკვდრეთით აღდგომას“ ის თავის აღდგომასაც, თავის ცხოვრების გადახალისება-გაუმჯობესებასაც უკავშირებს, ბრწყინვალე მომავლის იმედი აღაფრთოვანებს, როგორც თვით ბუნება იცვლის ფერს, ზამთრის სუსხისაგან გაძარცული, ტიტველი, მწვანით იმოსება, ირთვება, კეკლუცდება, გურულიც, რაგინდ ღარიბი იყოს, ასევე ცდილობს „კანი გამოიცვალოს“ — ახალ-ახალი ხალათით მოირთოს, მოიკაზმოს, მოძრავსა და ცოცხალ ყვავილს დაემსგავსოს. როგორც ამ დროს ბუნების ყოველგვარი ქმნილება ცელქობს, გალობს, ჟღურტულობს, ტოლ-სწორს ეძებს, ასევე იქცევა გურულიც. ბუნების საერთო ფერხულში ისიც ებმის და ბუნების საერთო ჰარმონიაში მას დისონანსი არ შეაქვს. ამ დროს გურული რჩეულსა და „სანთლით ნაძებარ“ მაყარს მოგაგონებთ, მაყარს, რომელიც ყველაფერში პირველია და ყველაფერი ეხერხება: ცეკვა, სიმღერა, გალობა, მოლხენა, ღვინის სმა, ენამზეობა, გადახტომ-გადმოხტომა, შეხტომა, სირბილი, თამაში, ჭიდაობა, ჯირითი, ნიშანში სროლა, ჩონგურის დაკვრა-დაღიღინება, ლამაზების გულის აფორიაქება.

აღდგომა და აღდგომის დღეები გურულისათვის ნამდვილი ხალხური ოლიმპიადა იყო. ერთი სოფლის, ერთი ეკლე-

სიის მრევლი, სოციალური და სქესობრივი განსხვავების მიუხედავად, ერთიმეორეს ეჯიბრებოდა სხვადასხვა გართობა-თამაშ-სიმღერა-ცეკვაში, მორთვა-მოკაზმაში, სილამაზეში, ზრდილობა-სიდარბაისლეში და, თუ გნებავთ, სიტყვა-პასუხშიც და გარებ-გამორებაშიც. „გარებ-გამორება გშვენის...“ (ხალხური ლექსი).

ძლიერ ხშირად აღდგომის დღესასწაულზე სოფლური ოლიმპიადა სასიძოსა და სარძლოს არჩევაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა. აქ, ქალ-ვაჟის ყველაფერს ფასი ჰქონდა, ყველაფერი სასწორზე იწონებოდა: ჩაცმა, დახურვა, სიტყვა-პასუხი, გარებ-გამორება, ჯარში თავის დაჭერა, გაცინება, დამთქნარება, დახველება, ცეკვა-თამაში, დაკვრა, ღიღინი, სიმღერა, მუხლი, მკლავის ძალა, იერი, თვალ-ტანადობა.

ყოველივე ამას გურული მტკიცე ანგარიშს უწევდა და აღდგომისათვის დამარხვების დღიდანვე, ესე იგი 40—50 დღით ადრე იწყებდა საამისო მზადებას.

სააღდგომო სასმელ-საჭმელს გურულისათვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა (როგორც საკალანდოთ), მთავარი საზრუნავი იყო საგარეო ტანსაცმელი, ჩაცმა-დახურვა, მორთვა-მოკაზმვა. „თვალი სვამს და თვალი ჭამსო“, იტყოდა გურული და ცდილობდა, ნაღდით იქნებოდა თუ ვალითა და ვახშით, „საგარეო გამოსაჩენი პირი“ ჰქონოდა... ცხადია, ამ მხრივ უპირატესობა ეძლეოდა გასათხოვარს და ცოლმოსაყვანს, ყველაზე ლამაზად, ახლით ჩაცმულ-დახურული ესენი უნდა ყოფილიყვნენ, ამის შემდეგ კი წვრილფეხობა. აღდგომას წირვაზე და სათამაშოზე გაუსვლელი არავინ არ რჩებოდა, ყველა უნდა გამოფენილიყო და, მაშასადამე, ყველას კარგად სცმოდა.

შეუძლებელი და წარმოუდგენელი იყო გურულ ახალგაზრდას, რაგინდ ღატაკი არ უნდა ყოფილიყო, სააღდგომოდ ახალი პერანგი (წითელი კვერცხებისათვის ჯიბედაკერებული) და ახალი წუღა არ ჰქონოდა. მაგონდება ჩემი სიყრმე. აღდგომაზე 40 დღით ადრე დამპირდებოდნენ, თუ გამგონი იქნები სააღდგომოდ პერანგსა და პაპუცას (ჩუსტს) გიყიდითო. მეც გულმოდგინედ ვეზიდებოდი წყალსა და ფიჩხს. აღდგომის მერმე მეტყოდნენ: პერანგი დიდხანს გაგიძლებს ამაღლებამდე წყლის მოტანას თუ არ დაიზარებო... მეც მჯეროდა და ამრიგად, ერთი პერანგის და მისი გამძლეობის გულისათვის 4 თვეს წყალს „ვთრაქავდი“.

იმჟამად 10—12 წლამდე არც ვაჟსა და არც ქალს არ ერცხვინებოდა მარტო პერანგის ამარაც რომ ყოფილიყო, და თუ პერანგის საყელო გვირისტით იყო ნაკერი და მასთან ჯიბეც ჰქონდა, ის ხომ საუკეთესო ტუალეტად ითვლებოდა, ამიტომ დიდსა და პატარას აღდგომის გათენება ძლიერ უხაროდა. გურულს თუ უნდოდა რაიმე ფრიად სასიხარულო და სასიამოვნო აღენიშნა, იტყოდა: „აღდგომის გათენებასავით გამეხარდაო“, ან კიდევ „აღდგომის კვერცხივით მომენატრაო“, „ჩემთვის დღეს აღდგომის დღე არისო“, „აღდგომისფერი დღე არისო“ და სხვა.

ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირი არაფერი იყო, თუ ყველა ცდილობდა თავის შეძლების კვალობაზე აღდგომას ჰიგებებოდა... მეფართლე ვაჭრები საგანგებოდ იმარაგებდნენ საღდგომო „ხალათს“ იაფფასიან (არშინი ორი-ხუთი შაური), მაგრამ მხიარულ ჭრელა-ჭრელა ჩითეულს. ხარაზებიც თავისი ნოჭრებით დღიან-ღამიან მუშაობდნენ, კერავდნენ ლამაზ

წუღებს, უძიროებს, საცეკვაო მესტებს, შვიდაბაზიან ქუსლიან „ბაშმაკებს“... სხვადასხვა ზომისა და ფერის ტყავის ბურთებს. მეწვრილმანეები აღდგომამდე 15—20 დღით ადრე გამოფენდნენ კვერცხის საღებავ ჭიაფერს, მეფურნეებიც იძენდნენ საპასქე ფქვილსა და პასქის მოსამზადებელ სხვა მასალას.

აღდგომის 15—20 დღით ადრე საფართლო დუქნები მთელი დღე ვაჭრობდნენ... სოფლად დახელოვნებული ოსტატი მკერავი ქალები ღამესაც კი „ტეხდნენ“ — გამუდმებით კერავდნენ: კაბას (წელზედას და წელქვედას), ახალუხს და ჩოხას. გასამრჯელოს უფრო ხშირად იღებდნენ ნატურით ან ყანაში მიხმარებით. ზოგჯერ კი ფულითაც, უმეტესობა სჯერდებოდა ოჯახური ძალ-ღონით შინ შეკერილს. აღდგომის ორი დღით ადრე (წითელ პარასკევს და დიდ შაბათს) დაასუფთავებდნენ ეზოს, ჩამოხვეტდნენ სამზადი სახლის ჭერს, დააკრიალებდნენ სახლს, დარეცხავდნენ ჯამ-ჭურჭელს, გადაფხეკდნენ და წყალს გადაავლებდნენ კვერცხებს... შაბათს საღამოს დაამზადებდნენ სააღდგომო სადილს — უფრო საუზმეს (იმ დღეს სადილისათვის არავის ეცალა), და მხიარული, მოღიმარი სახით ადრე დაწვებოდნენ, რადგან შუაღამეზე ყველანი უნდა ამდგარიყვნენ.

სწორედ შუაღამისას დაირეკებოდა ეკლესიის ზარი, მოხუცები ზარის ხმაზე სასოებით პირჯვარს გადაიწერდნენ და „დიდება შენდა, უფალო“, იტყოდნენ. ჭრაქის ან ცეცხლის შუქზე ყველანი მოირთვებოდნენ, ჯიბეში წითელ კვერცხებს ჩაიწყობდნენ და გარდა საპყრისა და მძიმე ავადმყოფისა, ეკლესიისაკენ გაეშურებოდნენ, გზას ინათებდნენ ზოგი მუ-

გუზლით და ზოგი ბლის ტყავის ჩირაღდნებით (ბლის ქერქი ბურეჭში ჩარჭობილი). ეკლესია და სასაფლაო მუდამ ერთად იყო... საფლავების უმცირესობას უბრალო მოგრძო რიყის ქვა ჰქონდა „სასტუმლად", ზოგს კი — ქვის ჯვარი. ყველა საფლავი განათებული იყო ჯვრებზე თუ ქვებზე მიწებებული შინ ჩამოქნილი წმინდა სანთლებით, იქვე ეწყო პატარ-პატარა, ყვითელი კოჭით შეზავებული პასქა და შეღებილი სამ-სამი კვერცხი (აუცილებლად კენტი რიცხვი). ზოგ პასქაში ანთებულ სანთელს არჭობდნენ. ყველა სანთელი ერთნაირი ზომის არ იყო.

რამდენიმე საფლავთან მოგრძო სუფრა ან მრგვალი მაგიდა იყო დადგმული. ზედ ეწყო პასქები, შემწვარი გოჭი, ან ბატკანი, თეფშით წითელი კვერცხები, მარილი, ტაბლა (ლოჭის ფქვილიდან აცხობდნენ, რძით ან სველით—შრატით—ზელდნენ და ყველით ხაჭაპურივით ტენიდნენ, მაგრამ ხაჭაპურს ყველი ერთ ფენად აქვს, ტაბლას კი — 2 და 3 ფენად), დოქით ღვინო. ეს საკურთხი იმ მიცვალებულს ეკუთვნოდა, რომელიც ჯერ მთლად გამოგლოვილი არ იყო. ყველა საფლავთან იმყოფებოდა თითო ან ორი ჭირისუფალი ქალი ან კაცი მოზარდის თანხლებით.

აღდგომას ღამის წირვა სრულდებოდა შემდეგი წესით:

აღდგომის ლიტანია...

ეკლესიაში შებრუნება... წირვა.. სახარების კითხვა, ორივეს მიერ (მღვდელი, დიაკონი)...

მთავარი დიაკონი: „პირველიდან იყო სიტყვა!".. მღვდელი საკურთხევლიდან: „პირველიდან იყო სიტყვა!"

მთავარი დიაკონი: „პირველიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღვთისმიერ“...

მღვდელი იმეორებს იმასვე...

ზარების სადღესასწაულო რეკვა და გალობა. ქრისტე აღსდგა და განათლდი, განათლდი!

წირვის გათავება: ეკლესიიდან გამოსვლა, ერთიმეორისათვის მილოცვა, კოცნა, კვერცხებით მტეხლობა. რამდენიმე ჭაღარა კაცი სამრეკლოზე დაკიდებულ ზარს კვერცხებს ესვრის, თუ მოახვედრა, მთელ წელიწადს მუცელი არ ასტკივდება... სიცილი, ეკლესიიდან შემოსილი მღვდლის გამოსვლა, საკურთხების დაკურთხება, საუზმეზე მიპატიჟება და გახსნილება... თითო-ოროლა ლუკმა და „ქრისტე აღსდგა“... დასებად დაყოფა, ტოლი-ტოლს „ემტეხლება“ როგორც კაცები, ისე ქალები. კვერცხის კბილებზე რაკუნი... ბავშვები კვერცხს არჩევენ და სჭამენ... შეღებილი ტუჩები... მზის ამოსვლისას ოჯახში დაბრუნება... სახელდახელო სადილი და სათამაშოზე გასვლა.

სათამაშოზე

სათამაშო მინდორი ყველა სოფელს თავისი ჰქონდა. თუ ეს მინდორი კერძო პირს ეკუთვნოდა, სოფელი მაინც სასოფლოდ, საერთოდ სარგებლობდა და თუ მოხდებოდა ისე, რომ მიწის მეპატრონე მოისურვებდა მიწის შეღობვას, მაშინ სოფელი იძულებული იყო მიწა სასოფლოზე ზეეძინა ან სათამაშო სხვა ადგილას გადაეტანა... სასოფლო-სათამაშო ერთგვარი პრიმიტიული სტადიონი გახლდათ.

აქ იმართებოდა ბურთის თამაში, ჭაკუნობია, ცეკვა, ჭიდა-

ობა, სასოფლო საქანელა (სიკორწიალა), თოფის ნიშანში სროლა და ჯირითი. ზოგიერთ სოფელში სათამაშოზე ვარჯიშობდნენ აგრეთვე მძიმე ქვის სროლით. სოფლის ბავშვებიც აქ იწყებდნენ სხვადასხვა ბავშვურ თამაშს. სათამაშო აღგილით სოფელს თავი მოსწონდა. იყო ისეთი მიწის პატრონიც, რომელიც სათამაშოს სოფელს უფასოდ უთმობდა — საბუთის ქაღალდით. ზოგჯერ რომელიმე სოფლის გარეთ გასული სოფლელი, თავის სოფლის გულს იგებდა, სათამაშოს ყიდულობდა და სახსოვრად სოფელს უტოვებდა.

სათამაშო ადგილი განსაკუთრებით სჭირდებოდა სოფელს მთელი 40 დღის განმავლობაში — აღდგომიდან ამაღლებამდე — ყოველ კვირაობით. აქ იმართებოდა თამაშობა და დროს ტარება. აღდგომის მეორე და მესამე დღეს კი გაუწყვეტელი თამაში იყო. სათამაშოზე ყველაზე ადრე თავს იყრიდნენ ახალგაზრდები — 8—20 წლის ასაკის ვაჟები, ოლიმპიადასაც ესენი ხსნიდნენ. დაიწყებდნენ სხვადასხვა სახის თამაშს — ჯაფარიკას, ჭიდაობას და სხვა. ორი იკისრებდა თავკაცობას, პირველი იტყოდა — არჩევანი მე, მეორე — არადანი მე, პირველი — გიორგი მე, მეორე — ივანე მე, და მოთამაშეთა თანასწორი რიცხვით შეუდგებოდნენ ბურთის თამაშს.

ბურთის თამაში სხვადასხვაგვარი იცოდნენ. ახალგაზრდობა უფრო ეტანებოდა „ხელგაკვრიას". დაინიშნებოდა ორივე მხრივ მიჯნა — ლელო, და შუა ადგილიდან ერთი მხარე შეისროდა ზევით ბურთს, დაუპირისპირებდა ხელის გულს და გაისვრიდა მოწინააღმდეგე ბანაკისაკენ. მეორე მხარე ცდილობდა ბურთი ჰაერშივე დაეჭირა, შეეჩერებინა და საცა კი შეაჩერებდა, სწორედ იმ ადგილიდან იმგვარათვე გამოისვრი-

და... ხელმარჯვე გასროლილ ბურთს ჰაერში არტყამდა ხელს და უკანვე ისროდა. ხელგაკვრა იყო ორგვარი — უბრალო და „დარჩენიე". თუ მოწინააღმდეგე მხარე ბურთს ჰაერში დაიჭერდა ან, როგორც გურიაში იტყოდნენ, „დაირჩენდა", მაშინ დამრჩენი თავისი ამქრით გამოიქცეოდა და მოირბენდა სწორედ იმ ადგილამდე, საიდანაც ბურთი ისროლეს და იქიდან გაისროდა ბურთს. მოწინააღმდეგე ცდილობდა ბურთი დაერჩინა და იმით მანძილი მოეგო. ყველა ფხიზლობდა, ყველა ცდილობდა გასროლილი ბურთი დაერჩინა, ბურთს დაირჩენდნენ თუ არა, გასროლილის ამქარი დიდი სიჩქარით უკან დაიხევდა და ბურთის გასროლის მანძილზე დადგებოდა, ცდილობდა გასროლილი ბურთის დაჭერას და მოწინააღმდეგის უკან დახევინებას, დაკარგული პოზიციის დაბრუნებას.

როგორც ხედავთ, აქ თვალი, ხელი და მუხლი ყველა მოძრაობაშია, ზევით შეხტომაც ხშირად უწევს მოთამაშეს, ცდილობს ბურთი მაღლა ჰაერში დაიჭიროს. გამარჯვებული მხარე ის არის, ვინც ლელოს გაიტანს, ესე იგი, ბურთს დათქმულ მიჯნას გადააცილებს. ბურთის პირველი გასროლა და მხარის არჩევა უბრალო წილის ყრით ხდება — მაღლა დანიშნული ქვის შეგდებით, ლელოს გატანის შემდეგ თამაშის განახლება საჭირო არ არის, რადგანაც ახლა მხარეებს იცვლიან და ბურთსაც პირველად ის გაისვრის, ვინც პირველ თამაშში მოპირდაპირე იყო. ხელგაკვრიაში შეიძლება ბურთი იმან არ გაისროლოს, ვინც დაირჩინა, ან ვინც ხელში აიღო. ბურთს გადასცემენ დახელოვნებულ შორსმსროლელს. თამაშობაში მონაწილეობას ღებულობენ 12 წლის ვაჟებიც, უფრო პატარები მოწინააღმდეგე მხარეს დასცინიან, აბრაზებენ, ბურთს დააგდებენ წინ და უცუცქდებიან, თან გესლიანად ეუბნებიან

(მისკენ ნეკს უჩვენებენ): „ერის სიგრძე, მერის სიგრძე, მოკაკული თითის სიგრძე“.

დარჩენითი ხელგაკვრიას მაშინ თამაშობენ, როცა სათამაშო მინდორი ვრცელია. თუ ლელო ახლოს არის, მაშინ ბურთის დარჩენა სიმარჯვეა, ირჩენენ კიდეც, მაგრამ საცა ბურთს დაირჩენენ, იმავე ადგილიდან გაისვრიან.

გაგდებ-გამოგდებიანი

ამ თამაშშიაც ორი დასი — ორი ბრიგადა მონაწილეობს. ბრიგადირები წევრებს აირჩევენ — არადანით იყოფენ. ყველა მოთამაშე — თავისი ბრიგადის პატრიოტია, ამიტომ ყველა ცდილობს უკეთესი აირჩიოს, ზოგჯერ ერთი მოთამაშე ორად ფასობს. ერთის ნაცვლად ნება აქვს ორი აირჩიოს. თუ ვინ თქვას პირველი „არჩევანი მე“, აქაც წილისყრით გადასჭრიან.

თამაშობა თუ გაახლდება, შეიძლება ახალი არჩევანი — არადანი ითამაშონ. ამ თამაშში ბურთს ერთ-ერთი მხარე ზევით აისვრის. ორივე მოქიშპე მხარე ცდილობს ბურთი ხელში იგდოს, დაიჭერს თუ არა, ბურთს გადაუგდებს თავის ამქარს — ბრიგადის წევრს, „ბურთი არ უნდა გააცივოს“ ან „არ დაამოჭვოს“ (მოჭვა—კრუხი), მაშინვე თავის ამხანაგს უნდა გადაუგდოს, მოწინააღმდეგე მხარეც ფხიზლობს, ვერცხლის წყალივით მოძრაობს.

გამარჯვებული ის მხარეა, რომლის ხელშიაც ბურთი ხანგრძლივად არის, აქ ხდება დაჩაგრული ბრიგადის „ხანჭკის“ მორება-დაცინვა, გამარჯვებული, დამარცხებულს წამოსძა-

ხებს, „პაწიე მეიცაოეთ, ნუ ტირით და ბურთს გაჭმევთ“ (მოგშივდა, მოგშივდა!).

ეს თამაში თხოულობს თვალის, ხელის და მუხლის სისწრაფეს. თითოეულ ბრიგადაში შეიძლება იყოს 20—30 მოთამაშე და აქ ერთგვარი მახსოვრობაც არის საჭირო, შენიანი იცნო და ბურთი მუდამ მას გადაუგდო... ზოგჯერ ბურთს მოწინააღმდეგეს გადაუგდებენ და ეს სიცილს იწვევს.

ფეხგაკვრიე

ეს თამაში, საერთოდ, იგივეა, რაც ხელგაკვრიე, განსხვავება აქ მხოლოდ ის არის, რომ ბურთს ხელით კი არ ისვრიან, არამედ ფეხით. ეს თამაშიც შეიძლება იყოს ორგვარი— უბრალო და „დარჩენიეთი“.

ფეხგაგორებით (ფეხგორიე)

ეგეც ამგვარი თამაშობაა, მაგრამ ბურთს არ შეიძლება ვინმემ ხელი ახლოს, უნდა აგორო მხოლოდ და მხოლოდ ფეხით, ცხადია, აქ ბურთის „დარჩენა“ (დაჭერა) არ შეიძლება — ორივე მხარე ცდილობს ბურთი ლელოსაკენ ფეხით აგოროს.

ეს იგივე ფეხბურთია, მხოლოდ უფრო უბრალო, პრიმიტიული — აქ შეიძლება მოწინააღმდეგე მხარეები იყოს განუსაზღვრელი, იმისდა მიხედვით, თუ რამდენია თამაშის მსურველი. რა თქმა უნდა, თანაბარი რიცხვით. ფეხგორიეში ბადე არ არსებობს. საკმარისია ბურთი გასცილდეს წინასწარ გა-

შიზნულ მიჯნას და მოგებად ითვლება, უფრო ხშირად მიჯნად არის ღობე, თუ ორივე მხარეს სათამაშო ადგილი შეღობილია...

გატანიე ბურთი

ყველა ზემოთ მოხსენებული ბურთის თამაში უფრო ჭაბუკების საქმე იყო და მასში მონაწილეობდა წინასწარ განსაზღვრული მცირე რიცხვი. შეიძლება ამ თამაშში ათასი და შეტი მოთამაშეც იღებდეს მონაწილეობას.

გატანიე ბურთი ნამდვილი მასობრივი სპორტია. ერთი სოფელი მეორეს ეჯიბრება, ერთი სამამასახლისო — მეორე სამამასახლისოს, სოფლის ზემოური მხარე — ქვემოურს, ცოლიანი — უცოლოს, ერთი ტიპის სკოლა — მეორეს, ერთი კუთხის მოსახლეობა — მეორესას, მაგალითად, გურულები და მეგრელები, ხონელები და სამტრედიელები და სხვა.

წინათ, ბატონყმობის დროს, სცოდნიათ თავადებს შორის შეჯიბრება, მაგალითად, ერისთავი და გუგუნავა, გურიელი და ნაკაშიძე. ალბათ, ამისი ნაშთი იქნებოდა, რაც მე მახსოვს — ჩვენ სოფელში იყო მოაზნაურე შალიკაშვილები, მათ შორისაც იმართებოდა შეჯიბრებით თამაში — ერთი მხრივ იყო გიტო, მეორე მხრივ — კონსტანტინე, დაიძახებდნენ — ვის უნდა ჩემკენ, აქეთ გადმოდგეს — ვისაც ჩემკენ გინდათ, თამაში აქეთ... ამრიგად, სოფელი ორ მოწინააღმდეგე ბანაკად იყოფოდა და მათ შორის სასტიკი შეჯიბრება იმართებოდა.

გურულ-მეგრელები ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ პირველ შაისს, ქალაქ ფოთში. ძველად გეოგრაფიულად ნახევარი ფოთი გურიას ეკუთვნოდა, ნახევარი — სამეგრელოს. მცხოვრე-

ბლებისა და ვაჭრების რიცხვიც ჭრელი იყო... ბურთის თამაშს სამეგრელოში მეთაურობდა დადიანი, გურიაში — გურიელი, ერთსაც და მეორესაც გურია-სამეგრელოდან ამ დღისთვის საგანგებოდ ჩამოჰყავდათ რჩეული მოთამაშეები როგორც გლეხები, ისე აზნაურები და თავადები. ბურთი გავარდებოდა (ადრე ნასადილევს) ფოთის პარკში... მონაწილეობას იღებდნენ ცხენოსნებიც. თამაშის საყურებლად (სასეიროთ) დიდძალი ხალხი იყრიდა თავს. საგანგებოდ ჩამოდიოდნენ ორივე მოქიშპე მხრიდან. გურული ქალები გურულებს აქეზებდნენ, მეგრელები — მეგრელებს.

აქვე იყვნენ ღრმად მოხუცებული თავადები, რომლებიც იცავდნენ წესრიგს, და, ასე ვთქვათ, ასრულებდნენ ახლანდელ „მსაჯების“ მაგივრობას. ბურთის თამაშს არ თაკილობდნენ არც მღვდლები, პირიქით, ბევრი ძლიერ კარგი მოთამაშე გახლდათ, მოხუცი მღვდლები კი წესრიგს იცავდნენ...

გატანიე ბურთს თამაშობდნენ ორგვარს: „ღლეტით“ და „არა ღლეტით“ ან „უღლეტია“... (ბურთის ძალით ხელიდან გამოცლა). ერთ-ერთი მხარის საპატიო პირი შეისვრის ბურთს ჰაერში შუა ადგილას, მოქიშპე მხარეები ცდილობენ ბურთი ხელთ ეგდოთ და გაქცეულიყვნენ ლელოსაკენ, მოწინააღმდეგე გამოუდგება, როცა ატყობს დაეწევა, ის ბურთს გადააგდებს, თუ მისმა ამქარმა იგდო ხელში, ახლა ის გარბის. მოწინააღმდეგე, ცხადია, ცდილობს თავის ლელოსაკენ წაიღოს ბურთი, მაგრამ მოხდება ისე, რომ ბურთის გადაგდებას მოწინააღმდეგე არ დააცლის და აქ ბურთი „შეიკვრება“ ორივე მხარეების უფრო ღონიერ, მკლავმაგარ, შეჯგუფებულ მოთამაშეებთან. ვის ხელშიაც ბურთია, ის ცდილობს ბურთი ხელი-

დან არ გაუშვას, მოწინააღმდეგე ეკვეთება და ცდილობს ბურთი ხელიდან „გამოღლიტოს“ — წაართვას. ეს ანის ღლეტა... ბურთის ღლეტის დროს მღლეტელები შეჯგუფებულია, ერთიმეორეს ეწინააღმდეგებიან. ამ ჯგუფს თავისიანები ყიჟინით და ზოგჯერ სიმღერითაც აწვებიან და ორივე მხარე ცდილობს თავის ლელოსაკენ დასძრან მასა, ზოგჯერ ღლეტა დიდხანს გრძელდება, ვერც ერთი მხარე ვერ ახერხებს ბურთის განთავისუფლებას, აქ შეიძლება ცხენიდანაც გადაეშვას შარჯვე მღლეტელი ან ამ ცოცხალ ადამიანთა რგოლში თავით დაეშვას, ბურთი ხელთ იგდოს და თავისიანს გადასცეს. თუ ეს არ მოხდა, მაშინ მოწესრიგეები ღლეტას შეაჩერებენ და ბურთს ნეიტრალურ ადგილას (ღლეტის ადგილას) ზევით შეისვრიან და ამრიგად, თამაში კალაპოტში ჩადგება. თუ დათქვამენ (მაგრამ ეგ იშვიათი იყო), რომ ღლეტა არ იყოს, მაშინ ლელოს ერთ-ერთი უფრო ადრე გაიტანდა. ზოგჯერ ისე გამწვავებულა საქმე, რომ ბურთი მჭრელი კაჟით (ტალით) ღლეტის დროს ნაკუწ-ნაკუწად უქცევიათ (კოწია შაფაქიძეს თქმით).

გატანიე ბურთის დროს როლებს ინაწილებდნენ, ყველას მიჩენილი ჰქონდა შესაფერი საქმე: მღლეტელი, გამქცევი, გზის ამრევი, გამქცევის დამცველი, გზა-გზა დამალული შემცველელი, მარქაფა შემონახული მოთამაშეები და სხვ.

ზოგიერთი სოფლის სათამაშო იყო მდინარის პირად, ჭალაში. მოხდებოდა ხშირად, რომ ბურთი მდინარეში ჩავარდებოდა, ბურთის თამაშით დამთვრალი, გაბრუებული მოთამაშეებიც წყალში ჩაყვინთავდნენ, აბა, ღობეს ვინ ერიდებოდა — „პინტრიშათ“ გაჰქონდათ, ეზოს ზიანს აყენებდნენ, მაგრამ ზარალის ანაზღაურებას არავინ მოითხოვდა, ზოგჯერ

ძალთა ისეთი განწყობილებაც ყოფილა, რომ 5—6 საათის გაფთრებულ თამაშს უშედეგოდ ჩაუვლია, ლელო ვერც ერთს ვერ გაუტანია, სამაგიეროდ, ისიც მომხდარა, რომ ერთ-ერთ მხარეს ლელო ადრე გაუტანია და თამაში ხელახლად დაწყებულა და თუ დაღამებამდე ლელოს გატანა ვერ მოუსწრიათ, თამაში მთვარიან ღამეშიც გაგრძელებულა.

მეტად კარგი საყურებელი და წარმტაცი თამაში ერთი სოფლის ცოლიანებისა და უცოლოების შეჯიბრება იყო, რაც აღდგომიდან ამაღლებამდე გრძელდებოდა. უცოლოები გაიხდიდნენ ჩოხას, შემოიხსნიდნენ ქამარ-ხანჯალს, გადასცემდნენ გასათხოვარ ქალიშვილებს, ქალიშვილები ჩოხას კაბაზე გადაიცვამდნენ, ქამარ-ხანჯლით ვაჟურად მოირთვებოდნენ... ახალმოყვანილებიც ასევე მოირთვებოდნენ თავიანთი ქმრების ჩოხა-ქუდით, ქამარ-ხანჯლით. ქალებიც ბურთის მოთამაშეებს დასდევდნენ და თავისიანებს ამხნევებდნენ, გასათხოვარი — უცოლოებს, გათხოვილები — ქმრებს... იყო სიცილ-კისკისი, ოხუნჯობა, ხანში შესული მოხუცებულებიც კი შეუამხანაგდებოდნენ მოთამაშეებს, ცოლიანები — ცოლიანებს, ქვრივები — უცოლოებს, შეუძახებდნენ: აბა, ბიჭებო, თქვენ იცით, მარჯვედ იყავით, თვარა თუ მაჭამეთ სირცხვილი და „ყაზილარებმა“ გაჯობათ, ქალები გაგექცევათ, აბა, ბიჭებო! არ გაჯობოს ცოლიანებმა, თვარა, უცოლოთ დარჩებით და სხვა.

საღამოს მიდიან სიმღერით, ცეკვა-თამაშით, დავლურით, დაირის და დოლის დაკვრით.

ჭაკუნობია (ახლანდელი ჰოკეის მაგვარი)

ჭაკუნობია ბურთის უძველესი თამაშობაა, ფეხ-გაგორების მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ აქ იხმარება ხის ბურთი (ხის

მრგვალი სოკოს მაგვარი — ხორცმეტი"), ფეხის მაგიერ კი ამ ბურთს ურტყამენ ჭაკუნს — კაუჭა ჯოხს (ჭაკუნობია თამაშის სახელწოდებაც აქედან წარმოსდგება). თამაში ითხოვს მეტისმეტ სიფრთხილეს, სიმარდეს, თვალმჭრელობას. შეიძლება ხის მაგარი ბურთი მუხლს ქვემოთ კოჭებში მოგხვდეს, ფეხი დაგიზიანოს და მოთამაშეთა „მწყობრიდან გამოგიყვანოს", კი არ მოგკლას, მაგრამ მაგრად გაგკენწლოს. გამარჯვებად ითვლება არა მარტო ლელოს გატანა, არამედ ისიც თუ რომელ მხრიდან რამდენი „კოჭამოგდებულია".

ჭაკუნის ბოლო ზოგიერთს კანაფის თოკით ჰქონდა ამობანდული. ხის ბურთის მაღლა ასროლა არ შეიძლებოდა, მუდამ მიწის პირად უნდა ეგორებინათ. ჭაკუნობიას თამაშობდნენ მოზრდილები — 17—18 წლისები და უფროსებიც. ამრიგად, ჭაკუნობია ასაკის საზომიც იყო — ჭაკუნობიას თამაში შეეძლოო, — იტყოდნენ. ჭაკუნობიას დიდი ხალისით თამაშობდნენ... ტყეში საგანგებოდ ეძებდნენ როგორც საჭაკუნო ბურთს, აგრეთვე კაუჭა ჯოხს.

ს ა ხ ი ო ბ ა

უმთავრესად თამაშობდნენ ვ ა ჭ რ ო ბ ა ნ ა ს... ერთ-ერთი ვითომ ფართლის გამყიდველი ურია იყო და მასთან სავაჭროდ მიდიოდნენ ქალები და კაცები. ქალის მაგიერ ქალურად ჩაცმული ვაჟები. ურია ქალებს ორაზროვანი სიტყვებით სთავაზობდა სხვადასხვა საქონელს, ქალებს აცყუებდა, ვაჟი (ქმარი) მიუხტებოდა ურიას სცემდა, ურია ტიროდა და „ურიულათ" ლოცულობდა...

საქორწლის ვაჭარი. ერთ-ერთი ვითომ ძროხას ან ხარს

კლავს, ასო-ასოდ აქნილს მუშტრებს სთავაზობს, მუშტრები ქალებიც არიან და კაცებიც, ყიდულობს ვისაც რა სურს, მხოლოდ აქ იხახსოვრებენ, ვინ რა იყიდა. საქონელი მთლიანად რომ გაიყიდება, იწყება თამაში. საქონლის პატრონი კითხულობს: თეკლემ რა იყიდა. პასუხი — ბარკალი! ყარყუმი: ბარკალი, თეკლეს ბარკალი, საერთო სიცილი და სხვა.

ხ ტ ო მ ა

ფეხმუწია. მოთამაშე ფეხი ფეხთან მიტყუპებული უნდა გადამხტარიყო, გამარჯვება იმისი იყო, ვინც უფრო შორს გადახტებოდა

გამოქცეული გადახტომა. რამდენიმე მანძილის დაშორებით მხტომელი გამოიქცეოდა და დანიშნული წერტილიდან ხტებოდა. ხტებოდნენ როგორც სიგრძეზე, ისე სიმაღლეზე, შეხტომაც ასევე ორგვარი იყო — სიმაღლეზე შეხტომა — „ფეხმუწიე“ და გამოქცეული.

გადახტომა იცოდნენ აგრეთვე გრძელი საბიჯგი ჯოხითაც. ესეც ორგვარი იყო — გამოქცეული და ადგილიდან. აღნიშნულ წერტილიდან ჯოხს დაეყრდნობოდა და ისე გადახტებოდა.

ნაბადზე გადახტომა. ეს თამაში აღინიშნებოდა იმისდა მიხედვით თუ ვინ რამდენ ნაბადზე გადახტებოდა. დაიწყებოდა ერთი ნაბდით და თანდათან უმატებდნენ ნაბადს (დათა გუგუნავა ხტებოდა სამ ნაბადზე).

აღდგომის დღეებში „ბურთის გავარდნამდე“ თავს იჭ-ცევდნენ სხვადასხვაგვარი ცეკვით და სიმღერით, ცეკვის დროს უკრავდნენ ხან ერთად, ხანაც ცალ-ცალკე.

„ფარცაკუკუ“ ყველაზე უძველესი ცეკვაა, ცეკვავდნენ ქალები, უფრო გათხოვილები, ვაჟები იშვიათად — უფრო ქალებს აჯავრებდნენ. ცეკვის მანერით და ცეკვის დროს სიმღერის ტექსტის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ცეკვა ქართველი ამორძალების (ამაზონელები) ცეკვა უნდა იყოს. ცეკვა არის ჩამჯდარი, წყვილ-წყვილი. შეიძლება ცეკვავდეს 2, 3, 4 და 10 წყვილი. მოცეკვავე ტაშს უკრავს და კიდეც უვლის, თამაშობს, პირველად ხელს ხელზე დაირტყამენ, მეორედ — ორ ხელს მუხლებზე, და მესამედ სხეულის უკანა რბილ. ადგილებზე. ამავე დროს მღერიან და ჩამჯდარნი, სიმღერას ფეხებს აყოლებენ, სიმღერის ტექსტი ასეთია:

ფარცა კუკუ, ფარცა დინა!
ყურსა სისხლი რამ გადინა?!
ლაშქარს ვიყავ დავიკოდე,
ყურსა სისხლი მან მადინა!..
ზღვას გადავკედ ნემსებითა,
ზედ გავიარ ჩექმებითა!

ცეკვა სიცოცხლით სავსე და ამავე დროს ვნების აღმძვრელია, მაგრამ არა ისე ვულგარული, როგორიცაა ევროპული ცეკვა კეკუოკი ან ტვისტი.

კალმახურიც ძველი ცეკვაა. კალმახურის მოცეკვავე ჭლიერ იშვიათი იყო, უფრო ხშირად ერთპიროვნულად ცე-

კვავდნენ. მოცეკვავე უნდა ყოფილიყო კალმახივით ცოცხალი, სწრაფი და მოძრავი.

გურიაში სურებელ რამიშვილს ჰქონდა საკუთარი საგვარეულო ლოცვა (დღეობა) „ჭაბუკობა". ეს დღეობა იციან ადრე გაზაფხულზე და იმ დღეს ზვარაკად ჭურის პირზე ცოცხალ კალმახს დაკლავდნენ. ეს არის ჭაბუკობის—ახალგაზრდობის, ტრფობის რიტუალი. ჩემი აზრით, კალმახური ცეკვაც ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რადგან კალმახი მეტისმეტად მოქნილი და სიცოცხლით სავსე თევზია, ზვარაკად, მსხვერპლად კალმახი აურჩევიათ მისი სისწრაფისა და სიმარჯვისათვის.

ფოთლით ცეკვა. აღდგომასა და მეორე-მესამე დღეს (ახალ კვირამდე) სათამაშოზე ცეკვა რომ დაიწყებოდა, 10—15 საცოლედ შეღერებული ჭაბუკი სათამაშოდან მოშორებით, ერთ-ერთ კარგ მოცეკვავე ვაჟს მთლიანად მორთავდნენ მწვანე ფოთლებით, დაამსგავსებდნენ ადამიანის ფიტულს, ქუდი და ქამარ-ხმალიც კი ფოთლებისაგან უნდა ყოფილიყო და ამავე დროს დამალული ჰქონოდა თავის ადგილას კარგა მოზრდილი მწვანე „ფალოსი". ვაჟი არ უნდა ეცნოთ. როცა ქალ-ვაჟი თავდავიწყებით უვლიდნენ, ამ ფოთლის ვაჟს შემოატარებდნენ, გაარღვევდნენ წრეს და საცეკვაო წრეში შეაგდებდნენ. ის დაიწყებდა ცეკვას და ვაჟს ქალს წაართმევდა, დაღლიდა ერთს, გაიწვევდა მეორეს, მესამეს და შეიძლება მეტსაც, და როცა თვითონაც დაღლას იგრძნობდა, მაშინ „ფალოსს" იშიშვლებდა და იმათ ყველა მხრივ სალამს აძლევდა — „აბაბრიკებდა". შეიქმნებოდა ქალების წიოკი. დაირცხვენდნენ, მაგრამ ცალი თვალით მაინც უცქეროდნენ, ვაჟები ჟრიამულობდნენ, იცინოდნენ, ამავე დროს წაეტანებოდნენ მას და ცდი-

ლობდნენ ფოთლის შემოგლეჯას, მაგრამ·ის წრიდან თავის ტოლებს გაჰყავდათ, ზოგჯერ ვერც კი გაიგებდნენ თუ ვინ ცეკვავდა.

ეს ცეკვა, უსათუოდ, გაზაფხულის მიგებებისა და გამრავლების კულტის არის.

მოკვლა-გაცოცხლება. ორი ვაჟი ცეკვავს, ცეკვის დროს ვითომ წაიჩხუბეს, ერთიმეორეზე ხანჯლით მიიწევენ (ისე, რომ ცეკვა არ წყდება). ერთი სძლევს და მეორეს „მოკლავს“ — წააქცევს, გულზე ხელებს დაუკრებს — „გაასწორებს“, გარშემო ცეკვით უვლის, ცეკვის დროს მიუახლოვდება, ყურს დაადებს, რწმუნდება, რომ მკვდარია, აღარ სუნთქავს, თავით „საკურთხს“ დაუდებს, კიდევ გარს უვლის, ხანჯალს ამოიღებს და შეულოცავს, რაღაც გაუგებარ სიტყვებს ჩასჩურჩულებს, მერე ამ შელოცვით ხანჯალს „მიცვალებულს“ სიბრტყით სცემს და მიცვალებულიც გაცოცხლდება, წამოიჭრება და ორივე მოღიმარი ცეკვავენ.

მიმიკით ცეკვა (პანტომიმა). ორი ვაჟი იწყებს ცეკვას, ჯერ სერიოზულად შეხვდებიან, მერმე ერთიმეორეს ტუჩის, ხელის, ფეხის და უკანა ნაწილის სხვადასხვა სასაცილო მოძრაობით ერთიმეორეს ემანჭებიან, მაიმუნობენ და ეს დიდ სიცილს იწვევს.

ფერხულით ცეკვა თავდებოდა, ეს იყო, ასე ვთქვათ, უკანასკნელი ცეკვის აპოთეოზი... ჯერ დინჯი და შემდეგ კი თანდათან სწრაფი... ეს ცეკვა უნდა იყოს მზის კულტის, ფერხულს საკუთარი სიმღერა და ტექსტი აქვს:

ეწერში კახამბალები,
ზედ შეყურულა ქალები,
ზოგს მოკვდომია ქმარები,

ზოგს საყვარელი ძმანები.
ძმანების მომტირალებსა
ცრემლით სავსე აქვთ თვალები,
ქმარების მომტირალებსა
კიდევ სხვაზე აქვთ თვალები...

ფერხული იცოდნენ ორსართულიანიც და მეტიც.

ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ

სალამი. დილა მშვიდობის — ღმერთმა მშვიდობა მოგცეს.

შუადღე მშვიდობის — იგივე.

ღამე მშვიდობის — ღმერთმა დილა სიხარულის მოგცეს.

აღდგომიდან ამაღლებამდე — სალამი და გამარჯვება იყო. ქრისტე აღსდგა გიხაროდენ! — ჭეშმარიტათ აღსდგა — მადლი მახარობელს! (მუშა კაცს სათესურში წითელი კვერცხი ჰქონდა შემონახული ამაღლებამდე).

მუშაობის დროს: კაი გამარჯვება შენი! გაგიმარჯოს, ღმერთმა გამარჯობა ნუ მოგიშალოს (მან, ღმერთმა გამარჯვებით გამყოფოს!).

ქალის გამარჯვებაზე პასუხი — ღმერთმა გადღეგრძელოს.

სიმინდის ტეხისა და კრეფის დროს — კაი გამარჯვება, კაი ხვავი! ღმერთმა გაგიმარჯოს.

რჩევის დროს კალოზე — კაი გამარჯვება თქვენი, კაი ხვავი, ჯვარი გიწერია. — ღმერთმა გაგიმარჯოს — ჯვრის მადლი გწყალობდეს, შენს ძვალს არაფერი ეტკინა.

ღომის წყობის დროს — კაი გამარჯვება — ნელი ფუტი!.. ღმერთმა გამარჯობა ნუ მოგიშალოს!..

არაყის გამოხდის, შალის თელის, ძროხის წველის, ფუტკ-

რის ყრის, ახალი წიწილებისა და აბრეშუმის ჭიის დაპურების, ბოსტანში მუშაობის დროს — ჯვარი გიწერია. ფუტკრის ყრისა და საპონის მოხარშვის დროს, შალის მოთელვის დაწყების წინ ძაღლს დაუძახებდნენ წინასწარ და მერმე ფეხადობის არ ეშინოდათ. აბრეშუმის ამოღების დროს — კაი ხვავი, კაი ყოლა.

ყანაში მოსადილეებს — გამარჯობა — ბარაქიანი იყოს თქვენი პურის ჭამა.

წყევლა, გადაცემა, დალოცვა

გამრავლების, შვილიერების კულტი მთელ საქართველოში ძლიერი იყო და, ცხადია, გურულიც სხვებს თუ არ აჭარბებდა, არ ჩამორჩებოდა. ამოჭიჭვე, შენი ჭიჭვი ამოვარდა, უძიროდ გადაშენდი, შენი საფესვებელი არ გაიშვა, კერიე გაგიცივდა, შენსას ფუტი არ დეინახა კაცმა, გვარად ამოვარდი, შენი გვარი და გუჯაბი დეიქცა — ყველა ეს და კიდევ სხვა ბევრი ამისი მსგავსი უსაშველო წყევლა იყო, გურულისათვის მეტისმეტად მტკივნეული და აუტანელი. ცეცხლი შენს ენას, მაისის გველმა გიკბინა მაგ ენაზე — დამაწყევარს ეტყოდა და შეიძლება ფიშტოც კი ესროლა. ბევრის დასახელება შეიძლება იმისი, რომ უშვილო გურულ ქალს „ხელოვნურად“ შვილი შესძენია, ბალიშის აკვრით „ორსულობა“ დაუწყია, თავის დროზე „ომშობიარებულა“ და მისთვის სხვისი შვილი „შეუგორებიათ“... უკიდურეს შემთხვევაში ნათესავის შვილს იშვილებდა ან უპატრონოს ეპატრონებოდა.

შელოცვა, გამოლოცვა, ღვთისმშობლის ხატთან ფეხშიშველი მისვლა, ლოცვა, ხატის შეწირვა, სხვადასხვა აღთქმა,

თუგინდ ასეთიც — ღვთისმშობელო დედაო, ოღონდ შვილი მაღირსე და ისევ შენვე გამსახურო: ქალი იქნება მონოზნად შემოგწირო და ვაჟი — ბერად. იმის მაგალითსაც დაგისახელებთ, რომ ასეთ „შეწირულ“ ბერ-მონაზნებს სრულ ასაკამდე „უმალაზონ-უბერიათ“, მაგრამ მერმე სულის ცხონებაზე ხელი აუღიათ და ხორციელს სიამოვნებას შედგომიან, ჩოხანი და ანაფორა გადაუგდიათ (შეიძლება გვარი ბერიშვილი და მალაზონია აქედან წარმოიშვა).

შვილი ჭინჭალასაც კი უყვარსო, იტყოდა გურული, შვილი ღმერთმა გველსაც ნუ მოუკლასო, დასძენდა მეორე. ორსულ ქალს მარცხად მუცელი თუ მოეშლებოდა, დიდ ცოდვად მიაჩნდა და ღმერთს შენდობას ევედრებოდა. მუცლის მომშლელი კაცის მკვლელის თანაბრად ითვლებოდა. ჯვრისწერის გარეშე დაორსულებული ქალიშვილი ან ქვრივი ამჯობინებდა მისთვის კახპა დაეძახათ, ვიდრე მუცელი მოეშალა.

უშვილო ცოლ-ქმარი, გურულის გამოთქმით, ლევანდი მეუღლეები, საერთო პატივისცემით და ნდობით ვერ სარგებლობდნენ, გადასულ კაცს ეძახდნენ და არ აირჩევდნენ სოფლის რაიმე მოხელედ, არც შუა კაცად, რადგან, ხალხის რწმენით, ასეთ კაცს არ შეეძლო საქმის სამართლიანი გაჭვრეტა, რადგან არ იცოდა რა იყო შვილის სიყვარული. სამაგიეროდ, მრავალშვილიანს დიდი პატივისცემა ჰქონდა. ნათქვამიდან აშკარაა, თუ რაზომ სასურველი იყო გურულისათვის შვილი — ძე და ასული მისი გვარის და „მოდგმა-გუჯაბის“ გამგრძელებელი და წარმომადგენელი. ამიტომ, ცხადია, გურული ყოველთვის ცდილობდა ცოლის შერთვის დროს არ მოტყუებულიყო, ჯვრის დაწერამდე ან, როგორც გურული იტყოდა, „საუკუნე შეუღლებამდე“ კარგად გამოიძიებდა მო-

ძავალი მეუღლის და მისი მშობლების შთამომავლობის ვითარებას. საქმროზე მეტად ამას იკვლევდნენ ჭირისუფლები (ორივე მხრივ), წარმოიდგინეთ, მიუხედავად ქონების დასაკუთრებისა, ერთადერთი ქალიშვილის შერთვას ერიდებოდნენ, ვაითუ, ისიც უნაყოფო დარჩესო.

* * *

ღმერთმა დაგწყევლოს, დაგკრულოს, შეგაჩვენოს, გაგისკდა მიწა და გეიარე ქვესკნელი, არ დეინახე ცის სინათლე. ქვეყნის საშიშრათ მოგინახა ცა და მიწამ. არ დაგეცალა, არ დაგედავლა, დედის წყევლათ შეგერგოს სმული და ჭმული. გაგიჩნთა წელკავი, ილანჯუხმა მოგტეხა კისერი, არ აქცილდა სიავე და ფათერაკი, შენს სიცოცხლეში არ გაგახარა შენმა გამჩენმა. აბლაუცა ლოღიარა, თიაქარმა მოგიარა, მიზღემჩი არ გაგიარა. ხუმრობით შელოცვა მტკივან ადგილზე: ქარია, ქარსტეხი ასტკივდი, ასტეხდი, დედალი ჩამოფრინდება, მაშვინ შამოგაფრინდება, ძაღლი აყეფდება, მაშვინ აქტეხდება, მამალი დეიწყებს ყივილს, მაშვინ დაგიწყებს ტკივილს, ანდაგიარა, მანდაგიარა რაცხაში გეტეკა არ გაგიარა.

* * *

თუ ვინმეს რამე დაეკარგებოდა ან რაიმე ზარალი ნოუვიდოდა კაცის ხელით და დამნაშავე არ იცოდა, ჯერ ეკლესიაზე აცხადებდა ან თვითონ ან მღვდლის პირით: ეს და ეს ზარალი მომივიდა, ეშმაკს არ უქნია, კაცმა ქენი, შენდა ჯობს გამოტყდი, ან გაპატივებ, ან ნიორთა ნაქურჩალას (ძლიერ ჩცირე) დაგჯერდები, თვარა გადაწყვეტილი ამბავია გადაგცემ და მე ცოდვაში არ ვიქნები — თან ასახელებდა გადაცემის

დღეს, რომელიც კვიმატად იყო მიჩნეული, სახელდობრ, წითელი პარასკევი, დადეგი — პირველი ენკენისთვე, ძველ-ახლით წირვა, თოთხმეტი ენკენისთვე და სხვები. გადაცემის დროს მიჰქონდა ეკლესიაზე მსხვილი ლურსმანი, სანთელი, ბწარე ხაპი ან კიდევ მწარე ბალახი — ანწლი, წალიკა და სხვა. წირვის შემდეგ დაიჩოქებდა იმ ხატის წინ, რომლის სახელზე მისი ეკლესია იყო აშენებული და დაიწყებდა: „ღმერთო და წმინდაო გიორგი“, (ან სხვა წმინდანი) — ასახელებდა ზარალს — ვინც მე აგი საქმე მიქნა, ნუ მისცემ საშველს, გაამწარე სააქავოსაც და საიქიოსაც, კითხე ჩემი ცოდვა მის ძეს და მომავალს, ნუ გაახარებ შვილისშვილამდე, სანამდი არ გამოგწიროს — ასახელებდა ხარს ან ცხვარს იმფერი ნიშნებისას, რაც ან სულ არ შეიძლებოდა ან იშვიათი საშოვარი იყო — სანამდი ფორთხვით არ მევიდეს შენს საფარველში და აგი ლურსმანი კბილით არ ამოაძროს, მანამდი საშველს ნუ დააყენებ, — და არჭობდა ლურსმანს ეკლესიის კედელზე ან გალავანში მდგომ ხეზე რაც შეიძლება მაგრად, შემდეგ სტეხდა ეკლესიის კართან მწარე ხაპს — ღმერთო ასე გაამწარე ჩემი გამამწარებელი — ან მწარე ბალახს უსვამდა კარის საკეტში. ამით და ხალხის ამინით თავდებოდა გადაცემა.

* * *

ღმერთმა დაგლოცა, აგაშენა, გაგაძლიერა, წელი და გული გიმთელა, ცოლ-შვილში გაგახარა, მტერი დაგიმორჩილა, სიამოვნებაში და სიტკბოებაში დაგაბერა, ცხოვრება და ცხონება არ მოგაკლო, კაი შვილები და შვილისშვილები დაგატიებია.

ტირილის წიგნი

უწყალომან სიკვტილმან „გადაგვიღო“ საყვარელი და სასურველი დედა, ჩვენი ფაქიზო გამრჯელაძის ქალი, რომლის ტირილი და საუკუნო გამოთხოვების დღე დანიშნულია ენკენისთვის ხუთს, დღით შაბათს, რისთვისაც უმორჩილესათ გთხოვთ მობრძანდეთ და ანუგეშოთ დამწუხრებული ოჯახი ჩვენი, მწუხარებასა შინამყოფი ლევან, ლომინ და ბიჭია მშრომელიძე.

ქორწილის წიგნი

ამა გიორგობისთვის ოთხს, დღით კვირას, სადილათ მაქვს გათხოვებითი ქორწილი ასულისა ჩემისა გინატრეს, გთხოვთ დამავალოთ სამუდამოთ და გაინაწილოთ ჩვენი ოჯახის ბედნიერება, რითაც დავშთებით თქვენგან პატივცემული და საშვილისშვილოთ დავალებული. კაცია ქეიფაძე და შვილები ჩემი გომარონ, თაყა და როსტომი.

წირვა სალმრთო

ეს იცოდნენ ნაახალწლევს. უფრო ხშირად დაკლავდნენ ღორს ან მოზრდილ გოჭს, რასაც წირვის შემდეგ დააკურთხებდა მღვდელი, ნაკვერჩხალს დაყრიდნენ თიხის ჭურჭლის ნამტვრევებზე და ზედ საკმეველს დაადებდნენ, ყველა, ვინც იქ იყო, ღმერთს სთხოვდა ოჯახისათვის მშვიდობის წელიწადს. შემდეგ იწყებოდა სადილი და ერთმანეთის დალოცვა.

წირვა ნაწყევარ-ნაფიცარი

ამ წირვისათვის კლავდნენ თხას, და იმავე წესით როგორც საღმრთოს, აკურთხებდა მღვდელი, თხის ხორცს აწყობდნენ გობზე, უნთებდნენ სანთელს, დააკმევდნენ საკმეველს, ევედრებოდნენ ღმერთს, რომ დაეხსნა ოჯახი, თუ ვინმემ დასწყევლა ან თუ რამე დაიფიცა მის მაგიერ, ან სხვისი დავალებით. შემდეგ იწყებოდა სადილი, აიღებდა მღვდელი სავსე ჭიქას და დაიწყებდა: „ღმერთო დიდებულო (მერმე იმ წმინდანის სახელი, რომლის სახელზედაც მათი ეკლესია იყო აშენებული), შენ იხსენი ჩვენი მასპინძელი ყოველი ჭირისა და ფათერაკისაგან, ნაწყევარი იყოს, ნაფიცარი იყოს, თავზე შამონარები იყოს, ყოველივე შეუნდე და მუუტავე, ცოდვას ნუ კითხავ და შენს მადლს და მოწყალებას ნუ მოაკლებ". ყველა იქ მყოფი ამავე შინაარსით ლოცავდა მასპინძელს. შემდეგ იწყებოდა ცალკე სადღეგრძელო. თხის თავ-ფეხი, ტყავი და რამდენიმე საპატიო ნაწილი მღვდელს აუცილებლად უნდა წაეღო.

წირვა საეტლო

ეს წირვა ხშირად ბავშვებისათვის სრულდებოდა, ამისათვის აუცილებლად ცხვარი უნდა დაეკლათ. შემოარებდნენ ბავშვს თავზე სანთელ-საკმეველს და მიჰქონდათ მღვდელთან. ამ წირვისათვის მთვარეს არჩევდნენ ასე: ათი დღის მთვარიდან ცხრომამდი, სადილზე იწვევდნენ ახლო მეზობლებს, ბავშვის ბუდუას, ბებიას, წირვის შემდეგ მღვდელი ბავშვს მიიყვანდა იმ გობთან, სადაც ეწყო ცხვრის ხორცი, იქვე თავ-ფეხი და ტყავი, შამოარებდა ბავშვს თავზე სანთელ-საკმე-

ველს და დალოცავდა, სთხოვდა ღმერთს და მის სალოცავს: „გაზარდე ფერით, ხორცით, ჭკუით, ცნებით და კეთილი სინდისით“. შემდეგ დააკურთხებდა ხორცს. ყველა იქ მყოფი დააკმევდა საკმეველს და ბავშვს უსურვებდნენ ყველაფერს კარგს. სადილზე პირველი სადღეგრძელო ბავშვის იყო. საეტლოს დიდსაც უწირავდნენ, მაგრამ იშვიათად, რადგანაც დედები ამ მოვალეობას ბავშვობაში უსრულებდნენ შვილებს.

სახლიკაცის წირვა

ყველა ერთი გვარის კაცი მოიყრიდა თავს ერთ ოჯახში, დაკლავდნენ მოზვერს ან თხას, უფრო ხშირად ორივეს, აწირვინებდნენ მღვდელს. წირვის შემდეგ შეჯგუფდებოდნენ ერთად და მღვდელი საერთოდ ყველას შემოარებდა სანთელ-საკმეველს, ევედრებოდა ღმერთს ივანე ნათლისმცემელს, ანგელოზებს, ადგილობრივ წმინდანს, თუ ეს გვარი სხვა სოფლიდან იყო მოსული, იმ სოფლის წმინდანს. ჩამოთვლიდა ბაბუებს ან პაპებს, „ღმერთო იმათი ნაგრამი ქალი და კაცი, გათხოვილი ქალი შვილიანა გააძლიერე და გაამრავლე, ერთმანეთში თვისებას და ძმობას ნუ მოუშლი“, ერთი სიტყვით, დალოცვა მის მჭევრმეტყველებაზე იყო დამოკიდებული, ეს წირვა გამახსენებელი იყო მათი ერთი ოჯახისშვილობის, სადღეგრძელოშიც ყველა ერთმანეთს ამას უსურვებდა, ერთი ოჯახიდან ვართ, დღესაც ერთად ვართ და სამუდამოდ ერთ ოჯახად დავრჩეთო. თუ ვინმე მომდურავი იყო ერთმანეთის, ამ დღეს შეარიგებდნენ. დიდი მხიარულებით სრულდებოდა სადილი. ასეთი წირვა იცოდნენ სამ წელიწადში ერთხელ. ზოგჯერ — წელიწადშიც.

სათესლე სიმინდის კურთხევა

წინათ გურიაში თესვა იწყებოდა 25 მარტიდან. სთესდნენ უფრო მთაგორიან ადგილებს. სათესლედ საუკეთესო სიმინდის ტაროებს არჩევდნენ, ფშვნიდნენ, ურევდნენ შიგ ლობიოს თესლს და ყრიდნენ თავღია ჭურჭელში. შემდეგ მოჰყავდათ მღვდელი სათესურის საკურთხებლად. იგი წაიკითხავდა სათანადო ლოცვას, შემოაბრუნებდა სამჯერ წაღმა თესლით სავსე ჭურჭელს, ასხურებდა აიაზმას და ამით თავდებოდა კურთხევაც. მასპინძელი მღვდელ-დიაკონს უმასპინძლდებოდა შეძლებისდაგვარად. ფულს არ აძლევდა, ამის შემდეგ გაჰქონდა მეყანეს იგი პირველ საყანეში დასათესად.

მარგვლა, თოხვა, წმენდა

თესვას მოსდევდა მარგვლა, მარგვლას — თოხვა, თოხვას — წმენდა, ანუ მესამე თოხი. მესამე თოხი უფრო მაშინ იყო საჭირო, თუ მომავალი წლისათვის მეყანე ღომის დათესვას აპირებდა.

მაინდი და ნადი

მიწის მუშის მკაცრი მბრძანებელი, გარდა იმდროინდელ მემამულისა, ბუნება იყო და არის. თუ მუშამ ბუნებას არ შეუფარდა თავისი მუშაობა, იგი ერთ ჯამ ნამუშევარსაც ვერ გამოიტანს ყანიდან. ამიტომაც ყანის მუშას სულ მოკლე დროის ავადმყოფობაც კი აბანინებს ხელს მოსავლისაგან. ასე

ჯი საშიშროების თავიდან ასაცილებლად მიწის მუშებს თა-ვიანთ შორის დაუწესებიათ მაინდი[1]. მიწის დამუშავების ხა-სიათიც იძლევა ამის საშუალებას: რადგან მეყანეები თესვას ერთ და იმავე დღეს არ იწყებენ, ამიტომ მათ მარგვლა-თოხვის დაწყებაც სხვადასხვა დროს უწევს. დღეს შენ უძახი მას სა-შველად, ხვალ ან ზეგ შენ გიძახის და ასე შემდეგ. თუ ღა-რიბი მიწის მუშა ყანის დამუშავების დროს ავად ხდებოდა და ამის გამო მისი ყანები დაუმუშავებელი რჩებოდა, იგი ამ შემთხვევაში იწვევდა ნადს. ნადიც იმავე მიზნით იყო დაწე-სებული, რა მიზნითაც მაინდი.

პაპაჯვარი (პაპის, ანუ კეპერას ჯვარი)

20 ივლისს, ანუ „ელიობა“ დღეს, თითოეული მიწის მუ-შის ოჯახი ლუკუმხის ხისგან აკეთებდა იმდენ პაპაჯვარს, რამ-დენიც მას ყანა და ბახჩა ჰქონდა. სჭრიდნენ ლუკუმხის გრძელ ჯოხებს, აჭრელებდნენ მათ ტყავის ხვეულად გამოღე-ბით, უპობდნენ ჯოხებს თავს და უკეთებდნენ შიგ მისვე ჯვა-რედინს, შემდეგ წაიღებდნენ და ასობდნენ თითოეული ყანის შუა ადგილას, მიუსობდნენ პაპაჯვარს ძირში იელის ბოლს (ტოტს), იმდროინდელი რწმენით, პაპაჯვარი „პატიულობდა“ ყანებს ავი სულისაგან, იელი კი — ელვა-ქუხილისაგან.

---

1 მაინდი — ურთიერთდახმარების სახე. ჩემს დამხმარეს (შეზობელს) იმავე სახისა თუ ოდენობის დახმარებით უნდა ვუზღო (ილია ჭყონიას განმარტებით).

ძველი წლის ბოლო და ახლის დასაწყისი იყო პირველ ენკენისთვე. ამიტომაც ეწოდებოდა მას დადეგი, რაც ნიშნავ და ძველის წასვლას და ახლის დადგომას. ამ დღეს, მაშინდ ლი წარმოდგენით, თავიანთი მოღვაწეობის წლიური ანგარ ში უნდა ჩაებარებინათ კუდიანებს (მზაკვრებს) როკაპისათ ვის და თანაც მიერთმიათ ახალი მსხვერპლი. როკაპი წარმოდ გენილი იყო ტახტზედ დამჯდარი დიდ კბილებდახვანულ არ სებად. თითოეულ კუდიანს უნდა მიეხალა იმ დახვანულ კბი ლებზე მისგან მიტანილი მსხვერპლი (მაგალითად, პირუტყვი ნივთეულობა, ჩამური, ყანა და სხვ.) თუ მსხვერპლი როკაპ მოეწონებოდა, იგი გადაიხვიხვინებდა — ნიშნად კმაყოფილ ბისა. რომ ოჯახს თავი აერიდებინა მსხვერპლისაგან, იგი თა ვის წევრებს თმას უბეჭდვიდა თაფლის სანთლით, აწებებდ სანთელს სახლს, კარს, პირუტყვებს, ბოსტანს და ყანებს. უკ ნასკნელს ოთხივე კუთხეში შებეჭდვიდნენ და თანაც გადაიკ ჟინებდნენ: „შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსას ჯვარი დამიწ რე-უუუ“.

ღამის თევა ავადმყოფისათვის

თუ რომელიმე ოჯახის წევრი ავად გახდებოდა, მას ღამეს უთევდნენ მეზობელი ოჯახის წევრები. ასეთი ჩვეულების მი ზანი იყო: ერთი მხრივ, ავადმყოფის გართობა და, მეორ მხრივ, ავადმყოფის მომვლელთა ღამღამობით დასვენება. ღამის მთევარნი ავადმყოფის ოჯახში თავს იყრიდნენ ნავახ შმობებს და დილამდე ართობდნენ მას სხვადასხვა სასაცილო

თამაშებით, შაირებით, ჩონგურზე დაკვრით და სხვა. ავადმყოფს აძინებდნენ, საზოგადოდ, ჩონგურითა და ღიღინით. ხოლო თუ მას ძილი მაინც არ ეკარებოდა, იმ შემთხვევაში ცდილობდნენ მოხერხებული ოხუნჯობით გაეცინებიათ ავადმყოფი და მით შეემსუბუქებიათ მისთვის ტკივილების გადატანა — დროებით მაინც. გათენებისას ღამის მთევარნი ბიდიოდნენ თავ-თავიანთ სახლებში.

ბრძნილოგები[1]

ქალის თავშიშველი დაჯდომა, კარზე ჩამოჯდომა „წელშიშველი“ ანუ შეურტყმელი, პირჯვრის დაწერა, კარზე ორივე ხელებით მიდგომა, პირდაუბანელი სალამის მიცემა, ფულის ან სათესლე რაიმეს ხელში მიცემა. ოთხშაბათ, პარასკევს, ახალ მთვარეზე ორშაბათსაც ყველის და კვერცხის გაცემა, კვიმატი დღეები — იანვარი 2, 8; მაისი — 3, 6; ენკენისთვე — 3, 6. გადაცემა იცოდნენ უხმარი ქოთნით და ახალი მამლით, რომლებსაც დატოვებდნენ ეკლესიის გალავანში, მამალს სახურავზე შეაფრენდნენ, შემდეგ ეკლესიის კედელში ლურსმანს მიაჭედდნენ. გადაცემა იცოდნენ კიდევ მწარე ხაპით — „სტკლეცდნენ“ გალავანში წყევლა-კრულვის შემდეგ.

ნერჩი. მელოგინე ქალი

გამოაცხობდნენ ღომის გულს, შიგ შეურთავდნენ ნიგოზს, ხახვს, ბროწეულს. ბროწეული ბავშვს კარგ ფერს მისცემსო, ხახვი — კარგ ხორცს, ნიგოზი — სიმსუქნისათვის. თუ ხსნილ იყო ყველსაც შეაყოლებდნენ. დადებდნენ ტაბლას გობზე,

[1] ბრძნა — რაიმე საქმის არქმნა ან სიტყვის ართქმა.

შემოუნთებდნენ სამ ღერ სანთელს, ტაბლაზე დაადებდნენ ერთ ნაჭერ საქონლის ხორცს, თხის არ შეიძლებოდა. ბებიაქალი ხელში დაიჭერდა სამ ცალ ნიგოზს და ღომის ჩხოს, დამსწრე ქალთაგანი ერთი დაიკავებდა ბოთლით ღვინოს. გობთან ახლო დასვამდნენ დედას მისი ბავშვით. პირს მიაბრუნებინებდნენ აღმოსავლეთისაკენ. ბებიაქალი უვლიდა გარშემო და აგორებდა მიწაზე ნიგოზს და რამდენიმე ადგილს მოხაზავდა ჯვარედინად მიწას, ჯვრის შუა გულზე ამოტიკნიდა დანის წვერით მიწას და დამსწრე ქალი ჩაასხამდა შიგ ღვინოს. ბებიაქალი შიგ ჩაყრიდა ჩხოს და ტაბლიდან მოციცქნილ ფინჩხებს. ასე მეორდებოდა სამჯერ, მერმე წინ, აღმოსავლეთისაკენ წააჩოჩებდნენ გობს და ქალ-ბავშვს. გობზე შემორების დროს ბებიაქალი ამბობდა: ნერჩო ბედნიერო, ნერჩო მშვენიერო, ღვთისაგან ნაბრძანებო, საბედნიეროთ, საკეთილდღეოთ ლოცვა მოგვიხსენებია, მიწა გაგვიჯერებია (სახელი დედის და ბავშვის) საკეთილდღეოთ, საბედნიეროთ, ჯანსაღობა მიეცი, ტანის სიმრთელე, გულის სიმხიარულე, აღმატება წაღმ ყოფნა. იხსენი ყოველი ფათერაკიდან, იხსენი დაავადებისა და ავი საქმისაგან. თავდებოდა ასე: უნერჩო ბავშვზე იტყოდნენ — ფერხორცი არ ექნება, ვერ ისწავლის, ბლაუცაო და ბაიტარაი იქნებაო, უნერჩოს დაძახება დიდი შეურაცხყოფა იყო.

მუცელატკენილ ქალთან ბებიაქალი რომ მოვიდოდა, წელიდან სარტყელს იხსნიდა, შემოავლებდა თავზე მშობიარეს. „ღვთის მშობელო დედავ, გზაი ხსნილი მიეცი, მშვიდობით გადაარჩინე. ღვთისმშობელო, შენ გახსენი მისი გზაი“. ამბობდა ამას და მუცელზე ხელს აუს-დაუსობდა. მორჩენის შემდეგ ცეცხლს მიუტანდნენ და ჰკითხავდნენ: „მარიამ ალი გი-

ნახავს, სამჯერ“, პასუხი იყო — კი. სასთუმალს ბადეს დაუ-
ყიდებდნენ, მუთაქას ქვეშ დანას ან მაკრატელს დაუდებდნენ.
მნახველები რომ მოდიოდნენ, პირველად მივიდოდნენ ცეცხლ-
თან და შემდეგ მელოგინესთან მისალოცად. თოფის გასროლა
აუცილებელი იყო ვაჟის დროს, მშიშარა იქნება თუ თოფი არ
ვისროლეთო. ვაჟის ჭიპის მოჭრა ხდებოდა წიგნზე, ხანჯალზე
ან ცულზე. ქალის—გარდა წიგნისა, კიდევ რაიმე სახელსაქმო
ნივთზე. ორმოც დღეს ქალს დიდი პატივისცემით ინახავდნენ,
რჩეული საჭმლით კვებავდნენ, საქმეს არიდებდნენ. ლო-
გინობაზე თუ ქალი გაილახა. სამისდღემჩიოდ წახთებაო.
სალოგინო საჭმელი თაფლით, ღვინით, პურისა და ღომის
ფქვილისაგან კეთდებოდა, რასაც „ხავიწი“ ერქვა. ქალი რომ
მორჩებოდა, იმ დღეს ოჯახიდან არაფერს გასცემდნენ, ბავ-
შვი ქურდი იქნებაო.

მოისარობა

გააკეთებდნენ ფეტვის ცომს, არგვალებდნენ თვალებივით,
შუაზე მასრით დანიშნავდნენ. დაიდებდნენ ხელის გულზე,
თვალის სიახლოვეს ატრიალებდნენ ხელს და ლოცულობდნენ
ასე:

„ხატო მოისარისაო, თვალი გაგვინათლე, გული გაგვიმხი-
არულე, მშვიდობის წელიწადი მოგვეცი, ჩემ თვალს ააშორე
ყოველივე მავნე და ახილე ყოველივე კარგი“. ამ ცომს, რამ-
დენიც იყო ოჯახში, ყველა შემოივლებდა თვალზე ამ ლოც-
ვით. შემდეგ ერთი წაიღებდა და ჩააგდებდა მდინარეში და
იტყოდა: „ჩვენი თვალის ტკივილი დაღმა წყალს და ალმა
ქარს“.

საღამოს გამოაცხობდნენ ქონიან მჭადს. დიდი ჭიქით აღნი-შნავდნენ და ამბობდნენ ამდენი ცხენის ჯოგი, პატარა ჭი-ქით — ამდენი ძროხის ჯოგი, ორკაპი ფიჩხით — ამდენი თხის, ცხვრისა და ქათმის ჯოგი. ამ ჭადს, გამოცხობის შემდეგ, შე-მოუნთებდნენ სანთელს. ოჯახის უფროსი კაცი იკითხავდა: ბოსლო შინა ხარო, ერთი უპასუხებდა — შინ გახლავარო. ცხენი რამდენი გყავს — ჯოგი, ძროხა — ჯოგი, ცხვარი და: თხა — ჯოგი, ღორი — ჯოგი, ქათამი — ჯოგი და თავდებო-და ამით.

ბოჰის ხუთშაბათი...

ამ დღისთვის შენახული ჰქონდათ კალანდის ღორის ყბა. თუ ეს არ იყო, გოჭს კლავდნენ, კალანდის ნარჩენ ღვინოს ხაჭაპურს და ყბას შემოუნთებდნენ სანთელს და ლოცულობდ-ნენ. „წმინდა ბასილის ძალო და მადლო, კალანდას თუ რამე ლოცვა დაგვაკლდა, ახლა შეგვისრულებია. მშვიდობა და ბედ-ნიერება ჩამეიყვანე ჩვენს ოჯახში, კაი წელიწადი მოგვეცი"

მერცხალი რას ამბობს

მუშის უპატიო ქალი ცეცხლო დაწვი, ნავთო დაწვი,
მუშის მოპატიჟე ქალი სამოთხისა კარსა დასვი.

ვარდენ გუგუნავას თქმული

საზოგადო მიზეზები ასახსნელად არის მალი
რა შეიქნას თექვსმეტი წლის კაცი იყოს გინდა ქალი,
სადმეიდან გაუჩთება სიყვარულის ნაპერწკალი,

ზოგს დასწვავს და ზოგსაც ნელათ მოედება მისი ალი.
წელში წვრილი და მაღალი თეთრ ლოყებში შავი თვალი,
წარბები ერთათ შეყრილი გველის სახით განათალი.

ზეწყენილის ლოცვა

სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულით წმინდითა, ანი იძრა, ბანი იძრა, ცაი იძრა, მიწა იძრა, ზღვაი და ხმელეთი იძრა, მარმარილოს კოშკი იძრა, ცის კიდის კიდემდე სულიერი და უსულო იძრა, ვისაც ულოცავ დრომდი სასიკეთოთ საწაღმართოთ გასაზდელი ბავშვი იძრა, ანი დადგა, ბანი დადგა, ცაი დადგა, მიწა დადგა, ზღვაი და ხმელეთი დადგა, მარმარილოს კოშკი დადგა, ცის კიდის კიდემდე სულიერი და უსულო იძრა და დადგა, ვისაც ულოცავ იმის მუცელში სასიკეთო ბავშვი დრომდი დადგა, ელესიეს მინდორში გველესიეს ხიდე დევს, დეიდაი, მამიდაი კიდობანში წევსა, უძრავი ეიძრა, კიდევ მაგრათ ზისო, ადამ დეიბა და სამი დეიძახა, ციხე აშენდა, კოშკი დამაგრდა, ვისაც ულოცავ იმის მუცელში დრომდე სასიკეთო ბავშვი დამაგრდა.

ნათვალევის

მე გილოცავ თვალყვისასა, ქალისა და კაცისა, ბრძენისა და რეგვენისასა, შიგნისა და გარისასა, დაბლისა და მაღალისასა, წითურისა და დიაცისასა, მევიდოდა შავი წყალი მას მოქონდა შავი გველი, ჩავყავ შავი ყავარჯენი, ამევიღე გველი, გავჭერი, გამევიღე წელი, შევკიდე ღობესა ჩარჩხსა, ფარჩხო კანისასა, იგი ღრეობდა, ჭკნებოდა, გაქარდებოდა ისე, ვისაც

ულოცავ იმის ავი თვალით შემხედვარე ღრეგობდა, ჭკნებოდა, გაქარდებოდა. ისისირი, მისისირი, მას სიკტილი, პაპასკირი, მან გევიდეს მთაზე, თავი დაკრას ქვაზე, გული სამართებელზე, თვალი გველის ფხაზე, გასკდა რვალი, წავარდა თვალი, რაც სულიერმა ავი თვალით, ავი სულით, ავი გულით ვინც შეხედა, იმას წავარდა მისი სამზერი თვალი, ავი თვალისას თვალში ნაცარი, გულში ლახვარი, ვაი და ვუი, ქვაი და რკუი, გველისა ფხაი, ეჭვისა რქაი, წმინდა გიორგის რისხვა, ბოძალი პირუკულმართი, ბარდი და ეკალი, ჯინჭრისა კატარი, ადუღებული კუპრი, გახურებული შანთი, გასკტა და მოხთა მის თვალსა და ყურს, რაც სულიერმა ავი თვალით და ავი სულით და გულით შეხედა, იმას წავარდა მისი სამზერი თვალი, ავი თვალისას თვალი წავარდა, ავი სულისას — სული გავარდა, ავი გულისას —გული გუუსკტა, თავი გუუხმა. თეთრი კაცის თვალი ეცა, თეთრმა ზღვამა გადიტანა, წითელი კაცის თვალი ეცა, ნაპერწკალმა გადიტანა. გასკტა რვალი და წავარდა თვალი, ავი თვალისას და ყურისას დასწერე ღმერთო ჯვარი შენი და არგე ლოცვა ჩემი.

მარიამ იჯდა სამოთხისა კარსა, ქსოვდა ქსელსა ძეწეულისასა, ქრისტეს კვართისასა. ცამა ნახა განიხარა, კაცმა ნახა განიხარა. შამეევიდა ერთი ევა როსკიპი ქალი, შვიდ თვარეს შექნილი, შაფათ დღეს დაბადებული, გამითვალყვა ქსელი ჩემი, ვერ ავიღე მხარი ჩემი, ნურას ტირი მარიამ დედაო, ღვთისაო, ნურას ჩივი, ნურას გოგოთობ, ნურას ყრი მარგალიტისა კურცხალსა, ჩადი ველისა ბოლოსა, ცეცხლი ანთია, დაასხი ძმარი, დააფსე ცეცხლი, დიეფსება თვალი და ყური მისი. რაც სულიერმა ავი თვალით და ყურით შეხედა, იმას წიეფსება თვალი და ყური მისი.

შენახთომო დედიანო, შენახთომო ბაბიანო, შენახთომო შვილიანო, შენახთომო ძირიანო (სახელი) თუ ორშაფათს შეხვედროდე, თუ სამშაფათს შეხვედროდე, თუ ოთხშაფათს შეხვედროდე, თუ ხუთშაფათს შეხვედროდე, თუ პარასკევს შეხვედროდე, თუ შაფათს შეხვედროდე, თუ კვირეს შეხვედროდე, თუ წარმოს შეყროდე, თუ უკუნს შეყროდე, თუ დღეი შეყროდე, თუ ღამე შეყროდე, თუ ძილში შეყროდე, თუ ღვიძილში შეყროდე, თუ გზაში შეყროდე, თუ მგზავრობაში შეყროდე, თუ წყალში შეყროდე, თუ ხმელეთათ შეყროდე, თუ დაცემაზე შეყროდე, თუ ადგომაზე შეყროდე, თუ თანაშობაზე შეყროდე, თუ გულის მოსლაზე შეყროდე, რითაც ფერათ შეიყარე, იმ ფერათ გიეყარე... რომელი ხარ წმინდამან გიორგიმ დალახვროს ამის მაწყენარი, უჟმური შენახთომი წმინდამან გიორგიმ დალახვროს. აგი ბავშვი მონათლულია, ქრისტიანია, ქრისტიანის შვილია, მირონცხებულია, ნათელღებულია, ჯვარი სწყალობს ჯვარცმული, ვერას აწყენს მაცთური, სწყალობს წმინდა გიორგი, ჯვარი პატიოსანი. მამა აცვია, ძე არტყია, სული წმინდა გარემოსია. სამი ძმაი თავდგირიძე, შვიდი ძმა რუსაძე, მივიდოდა ფთასა, ხელი სტაცა ფხარსა, შეიყვანა სახლსა, დააჟინა კარსა, სამსა ძმასა ალსა, ხვალ დასჭრიან თავსა. ვაი ალის თავსა, საჩეჩელი გვერდსა, ბადე სასტუმალსა, ფთას ირემი დუუკლავენ, თავი შენდა შეუბერავან, იქ წადი, იქ ჭამე, იგია შენი სასმელ-საჭმელი. გამოშორდი უჟმურო მენახთომო (სახელი) ტვინში ხარ, ძვალში გამოდი, ძვალში ხარ, ბილში გამოდი, ბილში ხარ კანში გამოდი, კანში ხარ კარში ოფლათ გამოქარდი, გამოშორდი

უქმურო შენახთომო (მლოცველს ამ დროს ძუჭძი უჭიოავს ჩხოი და ნაცარი (და ეუბნება გუუშვი და გაგიშობ) და მუჭავს ხელს), მერმე ნაცარს და ჩხოს ყრის უკანა კარებში.

ნათლისღებას წყლის კურთხევაზე, ვისაც ცხენი ყავდა ზედ ჯდებოდა და წყალში იდგა. ქალები ნაკურთხ წყალში სანთელს აქრობდნენ და ინახავდნენ, ელვა-ქუხილის დროს ყაჭს დაუნთებდნენ. მოხუცებულები ყმაწვილებს აფრთხილებდნენ: ჩიტებს აწი ნუღარ სდევთ, ვეღარ მიეპარებით, ნაკურთხი წყალი დალია და თვალი გაუნათლდა, თან კიდევ აწი მოჭვაც არის და გამრავლებას იწყებსო .

კლიმოგა — 29 იანვარი

ამ დღეს აუცილებლად ღვინიან ჭურებს მოხთიდნენ თავს და ღვინოს მოაკლებდნენ, ლოცვა არაფერი იცოდნენ, მხოლოდ ხაჭაპურს გამოაცხობდნენ და რამდენიმე მეზობელი ერთად შეიყრებოდა და რიგრიგობით ერთმანეთის ღვინოს გასინჯავდნენ. ამას ძალიან მხიარულება და ოხუნჯობა ახლდა. „იმის ღვინო ვკლიმეთ, მარა არ ვიცი როდის შესვამს“. ასე ყველასთვის რასმეს იხუმრებდნენ.

სულთა შაბათი

ამ დღეს ხორცეულისაგან საკურთხს გააკეთებდნენ და ეკლესიაზე აგზავნიდნენ: უმეტესად ბავშვების ხელით. წავღებს სასტიკად უკრძალავდნენ უკან მოხედვას.

ყველიერის ორშაბათი

ამ დღეს არაფერ საქმეს არ აკეთებდნენ — იგი დღეი ყვავილ-ბატონებს ეკუთვნისო — წიგნის წაკითხვა მაინც ძალიან აკრძალული იყო — ბატონები თვალს დუუფსებსო.

ყველიერის სუთშაბათი — ილოროგა

გამოაცხობდნენ ძალიან დიდ ხაჭაპურს, რაც შეიძლება მეტი ყველით სავსეს — ძროხა კაი მეწველი იქნებაო. გააკეთებდნენ ძროხის ცურნესავით ცომს, ამასაც ყველს უზამდნენ და გამოაცხობდნენ. საქონლებს რქებზე სანთელს დაუბითებდნენ და ლოცულობდნენ: „ღმერთო და ილორის წმინდაო გიორგი, იხსენი ჩვენი საქონელი ჭირისა და ფათერაკისაგან, ნადირის კბილისაგან, ძვალი ტვინით გუუფსე, ძარღვი სისხლით გუუფსე, ტყავი ხორცით გუუფსე, ცურნე რძეით გუუფსე, და პატრონს მშვიდობაში და სიამეში მოახმარე“. საქონლებზე თავშემორებული სანთელი ეკლესიაშიც მიქონდნენ და წმინდა გიორგის ხატს უნთებდნენ.

ყველიერის შაბათი — ცოცხლის ხულთა

ამ დღეს ეკლესიაში უეჭველად აგზავნიდნენ საკურთხს: ყველსა და კვერცხს, ხაჭაპურს — პირწაყრილს, აუცილებლად ოთხ კუთხით შემოკეცილს. საზოგადოდ, საკურთხზე დასადები რამე — კვერცხი, ჯანჯუხა და სხვა — კენტი უნდა ყოფილიყო, წყვილს „იბრძნიდნენ“.

ლამპრობა

პირველი თებერვალი, ანუ მიგებება საღამო. ამ საღამოსათვის ბავშვები ძალიან ადრიდან ემზადებოდნენ, რომ კარგი ლამპარი ჰქონოდათ, რასაც აკეთებდნენ უფრო ხშირად ბალის ტყავისგან, ნასხვენიდან, ანწლის ღეროსგან, ჩალისგან და სხვა. კარგად რომ დაბნელდებოდა, ოჯახის ყველა წევრი, დიდიან-პატარიანა, თითო ლამპარს გამოიტანდა ანთებულს, ამნაირად, მთელი არემარე განათდებოდა, ბავშვები ყიჟინებდნენ, ლამპრობაო — იყო სიცილი, ხუმრობა, ლამპრის ლამპარზე დარტყმა. სოფელი სოფელს ეჯიბრებოდა და ოჯახი — ოჯახს — ვის კაი ლამპარი აქო. ვახშამი იმ ღამეს განსაკუთრებით კარგი კეთდებოდა. მეორე დღეს — მირქმას — კიდევ კარგი სადილი. ყველა ეკლესიაში მივიდოდა და იქაც წინა ღამის ლამპრის შესახებ ლაპარაკობდნენ. ძველი კაცები გაზაფხულის მაგიერ გალამპრობას ხმარობდნენ. — გალამპრობაზე ძროხა წველას იზამსო და სხვა ასეთები. ლამპარს კიდევ უძახოდნენ ჟინჟღლს და ფაკლას. ჟინჟღლივით ლოყები აქო, ფაკლასავით იენთოვო, ხმარობდნენ ასე ლაპარაკში.

ჯვრისწერა

ქალსაც და კაცსაც დედები არიგებდნენ ჯვრისწერის დროს, ფეხის ფეხზე დადგმა მოასწარი და შენი მორჩილი იქნებაო. ეკლესიის კედელზე მიწოლა ან ხელის დამჯიღვა არ შეიძლებოდა — შვილი არ ეყოლებაო, ჯვრისწერა რომ თავდებოდა, მეფე-დედოფალი სამხრეთის კარებიდან გამოყავ-

დათ, ორი კაცი კარის თავზე ხანჯალს გადააჯვარედინებდა და იმის ქვეშ გამოდიოდნენ. მდადე ნამწვავ სანთლებს ერთმანეთს ჩუმად აზომებდა და რომელიც მეტი დამწვარი იყო, მისი აზრით, უწინ ის მოკვდებოდა ნეფე-დედოფლისაგან. მდადს კარგად ასაჩუქრებდნენ, ეშინოდათ, თუ გულს შეაკლდა ქორწილის ღამეს „ჭინჭს გამოსკნის“ და შვილი აღარ ეყოლებათ.

დედოფალს სახლში პირველად მარჯვენა ფეხს შეადგმევინებდნენ. პირში შაქარს ჩაუდვებდნენ, ჩხოს მოაყრევინებდნენ, კალთაში ბავშვს ჩაუგორებდნენ, „ზანტუკზე“ დასვამდნენ — მდიდარი იქნებაო. მეორე დღეს ღომით სავსე ჭურჭლიდან რასაც საომჩხულე ერქვა, ღომს გადმოაყრევინებდნენ კარდლის გამოსაწყავად და დასამზადად.

შაბათი საღამო

შაბათს უფრო ხშირად ყანაში სადილი აღარ მიჰქონდათ, ბუშები შინ ადრე ბრუნდებოდნენ. ამ დღის ნახევარი სისუფთავისათვის ზრუნვას ეკუთვნოდა. ქალები ეზო-მიდამოს და სახლ-კარს ასუფთავებდნენ, ძველს და ახალს რეცხავდნენ, კერავდნენ, აუთოებდნენ, თავისა და ტანის დასაბან წყალს ათბობდნენ. ბოლოს წარბს იღებავდნენ — გუნდა ლოხოსტაკით, რასაც ადგილობრივ ყიდულობდნენ, უფრო ხშირად კი ურიასთან, მთელი წლის საყოფს — მარიამობის, პეტრეპავლობის ან ჯუმათობის ბაზარზე. შინ კიდევ ბრწყეულის გამხმარ კანს ინახავდნენ, ამას ფესეს ეძახოდნენ, გუნდას წვავდნენ, ნაყავდნენ, ლოხოსტაკს ლესავდნენ, ამ სამს ერთად აურევდნენ, ისლის კალამზე გაწეწილ ყაფს დაახვევდნენ და ამით იცხებდნენ წარბზე, ზოგი ცალ-ცალკე, ზოგიც წარბებს

აერთებდა საღებავით. ამას გირა-შესვნილი ერქვა. ხანში შესული ქალები წამწამებსაც იღებავდნენ, თვალში სინათლეს გვმატებსო, ამბობდნენ. ეს შაბათის განუშორებელი საქმე იყო. თან კიდევ კარგი ვახშამი. „ვინ იცის, ვინ წავა და ვინ მუა, იტყოდა ოჯახის დედა ქალი, ღვინო დღის სინათლეში ამეიღე კაცო“ — შაბათ საღამოს საღვინე ჭურჭლის მთლად დაცლა არამც და არამც არ შეიძლებოდა: ანგელოზი ჩამეიარს, ჭურჭელში ჯოხს ჩაყოფს და თუ მშრალი ამოყვა, დაფსებული ყოფილაო, იტყვისო, გვიანამდი არ წვებოდნენ, რაღვან სტუმარს ელოდნენ ვახშამზე: მიცვალებულებს იგონებდნენ, შესანდობარს სვამდნენ.

წარმო და უკუნი

ახალ მთვარეზე ხუთშაბათი, შაბათი უკუნია, დანარჩენი დღეები — წარმო. ძველ მთვარეზე შეცვლით ხუთშაბათი და შაბათი წარმოა, სხვა—უკუნი. კვირა და პარასკევი არც წარმოა და არც უკუნი. უკუნზე იცოდნენ ხის მოჭრა, ახალ სახლში შესვლა, მიცვალებულის დამარხვა და სხვ. წარმოზე — საძირკვლის დასკვნა, ბავშვის წიგნის დაწყებინება, თმის გაკრეჭა, დარგვა, დამყნა.

ექიმობა და მკურნალობა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მთელ გურიის მოსახლეობას ემსახურებოდა ერთადერთი მაზრის ექიმი ორი ფერშლით. უმთავრესად იმათი მოვალეობა იყო უკვე მომხდარი ფაქტის დადასტურება და „სათანადო ოქმის“ შედგენა,

ესე იგი, „მართლმსაჯულების დადგენა“ განზრახ ან უცაბედად ჭკვლელობის შემოწმება და დაწვრილებით გამოკვლევა, ტყვია „ან ცივი იარაღი“ რა ადგილას აქვს მოხვედრილი ან დარტყმული. ექიმს თან უნდა ხლებოდა გამომძიებელი და ორი-სამი მოწმე.

კანონის ძალით მოკლული უნდა შეემოწმებინათ დამარხვამდე, მაგრამ ძლიერ ხშირად უდროობის გამო ვერ ასწრებდნენ და უხდებოდათ 15—20 დღის შემდეგ მიცვალებულის საფლავიდან ამოღება, გაჭრა და შემოწმება... ყოველივე ეს ხდებოდა სასამართლოში დანაშაულის გამოსარკვევად.

იმ დროს ექიმის მოსაწვევად საამისო შეძლებაც რომ ჰქონოდათ, ექიმის თავის დროზე შოვნა არ შეეძლოთ და იძულებული იყვნენ შინაური ექიმებისათვის მიემართათ, რადგან ერთი ექიმი და ორი ფერშალი მთელ გურიას როგორ მოუვლიდა. 80-იან წლებში ქ. ოზურგეთში საჯავახოელი სოფრომ ხუნდაძე ხსნის აფთიაქს. აფთიაქის შენობის გვერდზე დგება სტუდენტი მედიკი იაგორ თაყაიშვილი, მართალია, თაყაიშვილს საექიმო ფაკულტეტი დასრულებული არ ჰქონდა, მაგრამ კეთილსინდისიერი იყო და მასთან ადვილი მისადგომი... ადრე გაითქვა სახელი და მთელ გურიას დიდი ენერგიით ემსახურებოდა და ხალხსაც ძლიერ უყვარდა... მეტისმეტად პუნქტუალური ადამიანი იყო. ავადმყოფისათვის საჭმლის მოსამზადებელ ჭურჭელს ამოწმებდა, კარგად ახეხინებდა, დაწვრილებით ასწავლიდა ყველას, თუ როგორ გაეკეთებინათ ქათმის ბულიონი, კისელი და სხვა. თუ მარხვის დროს ავადმყოფი მარხვას არ „გატეხდა“ (იშვიათი იყო მარხვის გამტეხი), მა-

შინ ის ურჩევდა კანგაცლილი თეთრი ლობიო და მოლოქა მხალი ეჭმიათ მისთვის.

ექიმი დავიდიანცის რჩევით ხალხმა დაიწყო ბახმაროს აგარაკით სარგებლობა და, საზოგადოდ, ჰაერის გამოცვლა. დიდი უმადურობა იქნება არ აღვნიშნოთ აგრეთვე დავიდიანცის მახლობელი თანამშრომელი ფერშლები: პროკოფი ბერეჟიანი და ბესარიონ კალანდაძე. ორივე ფერშალი მთელი გურიის მოსახლეობის სანდო და საყვარელი ადამიანები იყვნენ. ესენი იყვნენ პირველი მერცხლები და მათ შეჰქმნეს ერთგვარი ტრადიცია — სიკვდილამდე ყველა პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას...

1890 წლიდან გურიას ემატება ექიმი დიმიტრი ერისთავი — საზოგადო მოღვაწე, იშვიათი ადამიანი. დაბებსა და მოზრდილ სოფლებში ჩნდებიან ახალგაზრდა ფერშლები, იხსნება აფთიაქი ჩოხატაურში (ალნის ფიალკოვსკი — უცხოელი) და ლანჩხუთში (კოჩინაშვილი — იმერელი). ამრიგად, სოფლური ექიმობა თანდათანობით ქრება, მაგრამ სავსებით ის დღესაც არ არის დავიწყებული. ჩემი სიჭაბუკის ასაკში შინაურ ექიმობას საპატიო ადგილი ეჭირა.

შინაურული ექიმობა იცოდნენ როგორც ქალებმა, ისე კაცებმა. ყველა სოფელს ჰყავდა თავისი ექიმი ქალი და კაცი. ქალები უმთავრესად კურნავდნენ შინაგანი სნეულობით დაავადებულებს, კაცები დასტაქრობდნენ.

ექიმობაში ქალები შელოცვითა და სხვადასხვა სამკურნალო ბალახით მკურნალობდნენ. ზოგიერთი მათგანი თავის სოფლის გარეშეც ცნობილი იყო და შორეული სოფლიდანაც მოჰყავდათ, ავადმყოფთან მიჰქონდათ შემზადებული წამალი. მაგალითად, ფოჩხისჯვარელი „გელის ქალი“ (შარაბიძის ასუ-

ლი), ჭანჭათელი „მესანაკე“ მონოზანი დარეჯან ფირცხალაიშვილის ქალი (გოგუაძის ქვრივი), უნაგერაზე (სუფსა) ნინო ტაკიძისა და ბევრი სხვაც დიდად იყვნენ განთქმულნი. პირველმა ორმა იცოდა სხვადასხვა წამლისა და მაჯუნის შემზადება. ექიმობდნენ საყმაწვილოს, უქმურს და ქრონიკული ჩველით დაავადებულთ.

ნინო ტაკიძისამ იცოდა დამწვრისა და დამდუღრულის წამალი, მისი მოურჩენელი არავინ იყო. ერთ თვეს რომ აფთიაქის წამალმა ვერაფერი უშველა დამწვარს, ნინოს მალამომ ორ დღეში მოაშუშა. იმანვე იცოდა საქონლის ექიმობაც. ჭანჭანთელმა ანუკი გოგუაძის ქალმა (წულაძის ქვრივმა) იცოდა თვალის ექიმობა. სამწუხაროდ, მისი ცოდნა მას არავისთვის დაუტოვებია. დარეჯან ფიცხელაიშვილის ექიმობა შეისწავლა მისმა უფროსმა რძალმა ბარბალე ნინიძის ქალმა და ისიც განთქმული იყო, მაგრამ „მემკვიდრეობა“ არავის არ დაუტოვა. ისევე ითქმის ნინოს შესახებაც.

ექიმი ქალები გასამრჯელოს იღებდნენ, მაგრამ მათ სასახელოდ უნდა ითქვას ისიც, რომ ხარბი არ იყვნენ, გასამრჯელოს იღებდნენ განკურნების შემდეგ და ზოგჯერ „რაც შენი ნამუსი იყოს“ ჯერდებოდნენ. ექიმმა ქალებმა იცოდნენ ყოველგვარი სამკურნალო ბალახების სახელი, გამოცნობა, ათვისება და მოხმარა, ზოგს კიდეც რგავდნენ ბოსტანში... ზოგ ავადმყოფს სხვადასხვა ბალახიდან ნახარშის აბაზანასაც უკეთებდნენ. ასეთი აბაზანა მე გამიკეთა მშვიდობაძის ქალმა — „ვადაჭკორიას ქვრივმა“ — და ციებით დახუთული კიდეც მომარჩინა. ექიმმა ქალებმა იცოდნენ აგრეთვე სხვადასხვა წამლის ლესვა. ამ გასალეს წამლებს ყიდულობდნენ ზოგს აფთიაქში და უფრო მეტს კიდევ მეწვრილმანეების დუქნებში.

შინაურ ექიმ კაცებიდან ყველაზე სახელმოხვეჭილი იყო როსტომ არობელიძე და მისი მოწაფე გაბრიელ არობელიძე (სოფელი ბოხვაური — ოზურგეთის მახლობლად). მოტეხილის, დაჭრილის და ნაღრძობის იშვიათი ექიმი — გურიის ეურმანიძეები.[1]

არობელიძე თავის გვარის წარმოშობას და გურიაში დასახლებას უკავშირებს ისტორიულ თორნიკე ერისთავის ხანას და, ამბობენ, თითქოს მათი წინაპარი ყოფილიყო არობელიძეები, და იმ ომში, რომელსაც თორნიკე სარდლობდა, არობელიძე ყოფილიყოს ჯარის ექიმი — დასტაქარი. როსტომს მე თვით არ მოვსწრებივარ, პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ მის შესახებ ზღაპრული გადმოცემით, თავის ხელობის პირდაპირ ჯადოქარი ყოფილა, ამავე დროს თავისი საქმის დიდი მოყვარული — გატაცებული, ავადმყოფს თვით ეძებდა და ძლიერ ბევრი უკურნებელი განუკურნავს თურმე... მისი ასული აპიროზი (მდინარაძის ქვრივი, ვაკიჯვრელი) გურიიდან ზემო აჭარაშიაც კი მიჰყავდათ, ან მასთან მოჰყავდათ მძიმედ დაჭრილი ავადმყოფი. მეორე მისი ასული ელისაბედ წულაძისა, ისიც ცნობილი ექიმი იყო და თავისი ცოდნა მის შვილს ნესტორ გაბრიელის ძეს გადასცა.

გაბრიელ არობელიძემ მხოლოდ ხელის მოწერა იცოდა, რუსეთ-ოსმალეთის ომში (1878 წ.) ჯარს ახლდა ექიმ ქირურგად, დაჯილდოებული იყო წმინდა გიორგის ჯვრით, ეძლეოდა პენსია, ეხმარებოდა არა მარტო გურიას, არამედ აჭარასაც და იმერეთ-სამეგრელოდანაც ჰყავდა ავადმყოფები, ხშირად სახლშიაც ეწვა რამდენიმე თვეობით დაჭრილები თუ დასახიჩრებულები. როგორც როსტომი ისე გაბრიელიც ავადმყოფთან იყვნენ მეტისმეტად მკაცრი მკურნალობის დროს, ისე კი —

მეტად ჩვილი გულის, კაცთმოყვარე. ყოფილი პაციენტებიც ამას არ ივიწყებდნენ და ყველა ნათესაური გრძნობით იგონებდა, ჭირსა თუ ლხინში არ აკლდებოდნენ.

ფაქტია, რომ გაბრიელს რამდენიმე ათეული ისეთი ავადმყოფი „სალ-სალამათად“ მოურჩენია, რომლის შესახებ პროფესორებსა და ექიმებს ხელისა თუ ფეხის მოკვეთა ურჩევიათ. არობელიძის შალამო ისევე ნაქები იყო, როგორც თურმანიძის. გაბრიელი ხალხს ემსახურა 70 წელიწადზე მეტი, ემსახურა უანგაროდ. არ იყო არც ის და არც მთელი ზემოთ ჩამოთვლილი საგვარეულო ფულის ხარბი... ავადმყოფის განკურნება თუ მის ცოდნა-გამოცდილებას აღემატებოდა, მაგალითად, თუ საჭირო იყო დაუყოვნებლივ ოპერაცია, თვით უწყობდა ხელს და ავადმყოფს სხვაგან ისტუმრებდა. ღრმად მოხუცებულს კიდევ შესწევდა მუშაობის უნარი. გარდაიცვალა 1935 წელს. თავისი ცოდნა და გამოცდილება გადასცა თავის რძალს ანიკოს (ელიზბარ ლოლუას ასულს), რომელიც თავისი სიმამრის კვალობაზე უანგაროდ და კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ხალხს.

კატაჯვარა

გურიაში დიდად იყო გავრცელებული და დიდი ზიანი მოჰქონდა კატაჯვარას. ეს ავადმყოფობა უმთავრესად ყმაწვილებს ავლებდა მუსრს და ამიტომაც მას ავადმყოფობის პირველ სტადიაში საყმაწვილოს ეძახდნენ. საყმაწვილო თუ გართულდა — ჯირკვლები მოსდევს, ჯირკვლებსა და მეტ გართულებას კატაჯვარა, რომელიც შემდეგში ფილტვებზე გადადის, ჭლექად იქცევა და მკურნალობაც ამაო იყო. საყმაწვილოს

წამლობა გურიაში ძლიერ ბევრმა ქალმა იცოდა (დღესაც იციან), მაგრამ ჯირკვლებსა და კატაჯვარიანს კი ვერას შველოდნენ. შემდეგ ამისი შეუდარებელი ექიმიც გამოჩნდა. მას მთელი საქართველო კი არა, რუსეთი და აზერბაიჯანი იცნობდა. ავადმყოფს თვით ექიმები და პროფესორები უგზავნიდა და მკურნალობა სოფლური საშუალებით მთავრობიდანაც ნებადართული ჰქონდა. ეს ექიმი იყო ლევა პაჭკორია და მისი მეუღლე ელისაბედ ხავთასის ასული. დვაბზუელი კოწია ხავთასი ცნობილი გლეხი იყო, შეძლებული და ფხიზელი. ყავდა ცქრიალა, სიცოცხლით სავსე გოგონა ელისაბედი. რვა წლის ასაკიდან ელისაბედს კატაჯვარა გამოაჩნდა. მამას არაფერი დაუზოგავს, მაზრის ექიმ დავიდიანცსაც უჩვენა. ექიმმა ფილტვების სისუსტეც შეამჩნია და ავადმყოფი სოხუმში გასწერა. ერთ წელიწადს სოხუმშიაც ჰყავდა, მაგრამ უკეთესობა არ დაეტყო. ჯოგის პატრონი დათუნაიშვილი, კოწიას მეზობელი, იცნობდა ზუგდიდელ მეჯოგეს ლევა პაჭკორიას, იცოდა რომ ასეთ ავადმყოფს აქიმობდა... პაჭკორიამ იკისრა ელისაბედის მორჩენა. დაუწყო ექიმობა და ოთხი წლის მკურნალობით სავსებით გაჯანსაღებული კიდეც შეირთო, გურიაში სოფელ სუფსაშიც დასახლდა.

ამრიგად, 40 წლის განმავლობაში ეს ცოლ-ქმარი ერთად მუშაობდა. მათ საქმიანობას ბრწყინვალე შედეგიც ჰქონდა. ლევას კარზე ყოველდღიურად რიგში იყვნენ ჩამდგარი შეკვეთილი წამლის მისაღებად თუ ახლის შესაკვეთად... სიყმაწვილის ჯირკვლებს და კატაჯვარას წარმატებით აქრობდნენ. ლევას მკურნალობა 20 წლის ასაკიდან შეუსწავლია, თვით ყოფილა კატაჯვარით დაავადებული, მოურჩენია ხორგელ ნიკოფაციას და წამლობაც მასვე უსწავლებია, ლევას სიტყვით,

რომ ვთქვათ, „მისი სულის სამადლოდ“. იმჟამად ამ ორ ადამიანს 3.000-ზე მეტი ავადმყოფი მოურჩენია. აღსანიშნავია, რომ ლევაც არ იყო თურმე ფულის მოყვარული, პირიქით, ავადმყოფს საშუალებას აძლევდა იაქიმნა და მორჩენილიყო. ოთხი ავადმყოფი ქალიშვილი, ჭირისუფლების მიერ მიტოვებული, ამ ოჯახმა შეივრდომა, განკურნა და თავისი ხარჯით გაათხოვა...

ლევა კოლმეურნეობის საამაყო წევრი იყო, მთელ კუთხე-შიდამოს საყვარელი, კოლმეურნეობის გაბწევ ცოცხალ ძალას უვლიდა, მის მიერ შემზადებული საქონლის მალამო — პაჭკორიას მალამო აფთიაქშიც იყიდება. მანვე იცოდა ცოფისა და შეშლილის წამლობა.

III. მიცვალებულის კულტი გურიაში

მეზობლობა ჭირსა და ლხინში

ეს ამბავი ჩემი სიყრმის დროინდელია. იწყება 1880 წლიდან და წყდება 1905 წელს. როგორც ვიცით, ამ წლიდან ვთელ საქართველოში, განსაკუთრებით კი გურიაში, დიდი გარდატეხა მოხდა. ძველი ჩვეა, ადათი, სხვადასხვა კულტი თუ სავსებით არ აღმოიფხვრა—შეგალდა, განელდა, შეირყვნა, ახალმა სიომ დაბერა და ძველი „პირსარჩული“ შემოაცალა... ბევრი დავიწყებას მისცა, ზოგიერთი კი ახალი დროის შესაფერად მორთო-მოკაზმა. ამის განხილვას მე არ შევუდგები და, ამ მოკლე წინადობილას შემდეგ ძველს ამბავს მოგითხრობთ.

ერთი სოფელი, ერთი ეკლესიის მრევლი (შემავალსაც იტყოდნენ), ერთიმეორესთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული და კარგი მეზობლობაც ჰქონდათ. ერთიმეორის დახმარება, შემოძახება, ნუგეში, ჭირისა და ლხინის გაზიარება, გასესხება-ჩასესხება, მაინდი, ყანის, ძროხის, ღორის და ცხენის მოზიარება, მურდუ-ნათლულობა, დედაშვილ-შვილობილობა, ერთად პურის ჭამა, გადაპატიჟება-გადმოპატიჟება, ერთიმეორეში მოსაკითხის გაგზავნა, ჩვეულებრივი იყო.

ოჯახის უფროსი ქალისა თუ კაცის შესახებ თუ იტყოდნენ, კაი სამეზობლო არისო, ეს დიდი ღირსება გახლდათ... მე რა

ვარ, კაი მეზობლის წყალობით, ქე ძიდგია სულიო. — ხშირად გაიგონებდი ხელმოკლე ოჯახის პატრონისაგან. — ისეთი კაი მეზობელი მყავს, რომ თუ რამეზე მივდექი მისგან გაწბილება არ იქნება, მისი რომ არ ჰქონდეს, სხვისაგან მიშონის და ხელს გამიწყობსო.

— კაი მეზობელი კვიდრ ძმაზე უკეთესია.

— იმისთანაი კაი მეზობელი მყავს — თვალში რომ ჩამივარდეს, თითს არ ამოვისობ.

— იმისთანა კაი სამეზობლო დედ-მამა მყავს, ღმერთო მისი გულიზა მომკალიო, ნატრობენ მისი მეზობლები (გასათხოვარი ქალის შუამავალი იტყოდა).

— რა ვქნა, რა გამეწყობა; ავია თუ კაია მაინც ცეხლიკერის მეზობელია, რაც უნდა მაწყეინოს მომდურება მაინც არ შემიძლია, ცეხლი რომ გამიჩნდეს, მაინც მისი იმედი მაქვს. მან უნდა მომაშუროს, უცბათ გული წამივიდეს — წყალი მან უნდა „შემაშეშხოს“... შორეულ ნათესავს მაინც მირჩევნია.

რამდენადაც ქებული იყო ადამიანი კარგი მეზობლობით, ორი იმდენად აძაგებდნენ „გლახა“ მეზობელს, ასეთი მეზობელი კეთროვანივით განდევნილი, გარიყული, ყბადაღებული იყო, „კუთხე-მეზობლების საჯაყავად გაჩენილი — სოფლის სასირცხო“... ნათქვამის შემდეგ ცხადია, მეზობლობაში უბრობა (დამდურება), ხმის არ გაცემა საძრახად, სათაკილოდ იყო მიჩნეული.

— ისეთი კაი სულიერია, რომ მის მომდურავს, სანთლით რომ ეძებო, ვერ ნახავო, — იტყოდნენ.

— რა უნდა გითხრათ, ვის უნდა დავაბრალოთ ჩემი ḍაზარალება, არავის ვემდური და არავინ მემდურის... — იტყოდა რითიმე დაზარალებული.

ამრიგად, გურულისათვის მეზობელი ყველაფერი იყო და მთელი სოფელი იმას ცდილობდა ერთიმეორეში კარგი მეზობლობა ჰქონოდათ, სოფლის შეხმატკბილება და ჰარმონია არ დარღვეულიყო. თანხმობა, თვისება, ერთიმეორის გატანა მთელი სოფლის საზრუნავი გახლდათ. დამდურებული და ერთიმეორეში უბრალ მყოფი მეზობლების შერიგება, სიამტკბილობის და მეზობლური კავშირის აღდგენა ყველას სავალდებულოდ — მთელი სოფლის საერთო საქმედ მიაჩნდათ. უბრობა, ხმის არგაცემა მეტისმეტ სათაკილოდ ითვლებოდა უსათუოდ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ 1904—1905 წლებში გურიაში ფართოდ შემოღებული ბოიკოტი გურულებისათვის ყველაზე სასტიკი სასჯელი იყო და ბევრი ბოიკოტქვეშ მყოფი იხვეწებოდა — მომკალით მირჩევნიაო. მეზობლებს რომ ერთიმეორეში მტკიცე მეზობლური კავშირ-თვისება ჰქონოდათ, მათ შორის მომდურავობა და უბრობა რომ არ ყოფილიყო, ამისათვის გურულებმა რამდენიმე მიჩნეული დღე დანიშნეს, აღნიშნულ დღეებში მეზობლები უნდა შერიგებულიყვნენ, ერთიმეორე გადაეკოცნათ და ძველი მეზობლური დამოკიდებულება აღედგინათ. მთელი სოფლის გადაწყვეტილებას უარს ვერც ერთი ვერ ეტყოდა.

მომდურავთა შერიგება ხდებოდა: ქალანდას, აღდგომას, ზიარების მიღების წინ და შემთხვევების დროს, როგორც იყო, მაგალითად, მძიმე ავადმყოფის სიკვდილამდე. ეკლესიაზე თუ სათამაშოზე მთელი სოფელი თავს იყრიდა. ერთიმეორეს კოცნიდნენ, ულოცავდნენ, ყოველივე კეთილს უსურვებდნენ და, ცხადია, მომდურავებიც და ერთიმეორის უბრებიც ამ დღეს უნდა შერიგებულიყვნენ — მთელი სოფლის მხიარულება და ერთობა არავის დაერღვია. ავადმყოფს თუ

სიცოცხლეში არ შეურიგდებოდა, მაშინ ტირილი და ჭირისუფლისათვის სამძიმრის გამოცხადება არ შეეძლო. ეს კი დიდ „აიბათ“ და აუგ საქმედ იყო მიჩნეული — მთელი სოფლის სირცხვილად ითვლებოდა. შერიგება ხდებოდა აგრეთვე ს ა ს ა ხ ლ ი ს კ ა ც ო ბ ი ს ა ს (საგვარეულო წირვის დროს და ქორწილობას) გათხოვ-მოყვანის და ნათლობის წინ.

ამგვარად, სოფელი ჭირსა და ლხინში ერთსულოვნად უნდა ყოფილიყო, ერთიმეორის დანდობა და გატანა უნდა შეძლებოდათ — კეთილმეზობლური ჰარმონია არავის არ უნდა დაერღვია. ტირილი, ქორწილი, ნადი, ერთიმეორის „ხელის წამოკვრა“ საერთო გახლდათ და ამ ფერხულში ყველას უნდა მიეღო მონაწილეობა. მომდურავ მეზობლებს რომ ცეცხლი გასჩენოდა მის ჩაქრობაში ყველაზე უფრო მეტი მონაწილეობა მომდურავს უნდა მიეღო და თუ გულგრილობას გამოიჩენდა და „მოშაირესავით“ შორიდან დაუწყებდა ცქერას — მთელი სოფლის გულისწყრომას დაიმსახურებდა. მთელი ერთი სოფელი, ერთ ეკლესიაში შემავალი, ასე ვთქვათ, ერთ ერთეულს წარმოადგენდა. მაგრამ ჭირსა და ლხინშიაც მათშიაც იყო დაყოფა. (ახლანდელი გაგებით, ბრიგადებად იყო დაყოფილი). სოფელი იყოფოდა ერთი გვარის მიხედვით — სახლისკაცობით ან „ხევისკაცობით“, რომ ადვილი გასაგები გახდეს, მოვიყვან მაგალითს... ჩემს სოფელ ჭანჭათში 1880 წლებში 130 კომლი ითვლებოდა: წულაძე, ვადაჭკორია, გოგუაძე, მგელაძე და ჩიჩუა. მათში ყველაზე მეტი იყო წულაძე, შემდეგ ვადაჭკორია და ასე შემდეგ, როგორც ზემოთ არის ჩამოწერილი. სოფელი იყოფოდა ოთხ სახევისთაოდ (იგივე სასახლისკაცო). წულაძე, ვადაჭკორია და გოგუაძე წარმოადგენდა თითოეულ სახევისთაოს. მგელაძე და ჩიჩუა ერ-

თად იყვნენ და ეს ორი სხვადასხვა გვარი ერთ სახევისთაოდ ითვლებოდა.

სოფელში იყო თითო-ოროლა მოსახლე ჩასიძებული ან ჩამოსახლებული სხვა მაზრიდან, ან კუთხიდან: ბოჭორიშვილი, ბერძენიშვილი, ცინცაბაძე, თორაძე, შალიკაშვილი. ესენიც არ დარჩენილა „კოლექტივსა და ბრიგადის“ გარეშე და თავისი სურვილის თანახმად მიწერილი იყვნენ იმ გვარზე, ვისკენაც „გული უფრო მიერჩოდათ“. თითოეულმა ხევისკაცობამ, ჭირსა თუ ლხინის დროს გამოიმუშავეს სავალდებულო წესები და მასთან ერთიმეორეში მეზობლური დამოკიდებულება. თვისების გარეშე ნათესაურის მსგავსი კავშირი ჰქონდათ, გაჭირვების დროს ჭირისუფლად ითვლებოდა და ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც მახლობელი — განაყოფი სახლის კაცი. მაგალითად, ტირილის დღეს ქალები თმაგაშლილი ჭირისუფლად უნდა დამსხდარიყვნენ, კაცებს ყველას მიჩენილი საქმე გაეკეთებინა და მასთან, ურთიერთშორის შეთანხმების მიხედვით, ტირილის დღეს უნდა მოეტანა თითოეულ სახევისთავოს წევრს: (ერთი ოჯახიდან) 1 ოყა ღომი, 1 ოყა ლობიო (ზოგჯერ ლობიოს ნაცვლად 3—4 ყველი 1 კილომდე), 1/2 ოყა-ნიგოზი., ერთი დოქი ღვინო (ნახევარ ვედრომდე). შესაწიერი ეს ნუსხა ყველგან ერთნაირი არ იყო. დროსა და გარემოების მიხედვით ის იცვლებოდა, შესაწიერის რაოდენობა ხშირად დამოკიდებული იყო სახევისთაოს წევრთა რაოდენობაზე — მცირერიცხოვან სახევისთაოს შესაწიერიც მეტი უნდა მოეტანათ, მაგალითად, ზოგ სახევისთაოს 3 ოყა ღომი, 3 ოყა ლობიო და სხვა. თითოეულ შესაწიერის მიმტანს ფულად უნდა მიეტანა ზოგან 25 კაპ., ზოგან კი — 50 კაპ., ერთი სიტყვით, შესაწიერით და „წასაბურავით“ უნდა გასტუმრებუ-

ლიყო ყოველივე ხარჯი და ზოგჯერ „წაქცეულ“ ოჯახს კიდეც რჩებოდა ცოტა რამ — სურსათიც და ფულიც.

მიცვალებულის ოჯახში, მიცვალებულის დასაფლავებამდე „ცეცხლი არ დაინთებოდა“, ესე იგი, საჭმელი არ გაკეთდებოდა. ყოველდღიურად მზა სადილ-ვახშამი რიგრიგობით მოჰქონდათ ხევისკაცებს და „ყურის მეზობლებს“, არამც თუ მარტო მიცვალებულის ოჯახის წევრების საყოფი, არამედ შავის შემკერავი მეზობელი ქალების, კუბოს გამკეთებელის და, საზოგადოდ, მოსამსახურეების დასაკმაყოფილებელიც.

მიცვალებულის კულტში ყველა ეს რომ აღსანიშნავია, ამაში შემდეგ დარწმუნდებით. კვირა დღეა... სოფლის ეკლესია მლოცავი ქალებითა და კაცებით სავსეა. წირვა გათავდა. შემოსილი მღვდელი ადგილობრივი ეკლესიის მთავარ ხატთან (ვის სახელზეც არის აშენებული ეკლესია) მიდის და ხმამაღლა, ვედრება-ხვეწნის კილოზე მიმართავს ხატს: „მთავარანგელოზო, ძლიერო, შენს დიდებასა და ძლევამოსილებას შენს მლოცავთ... მახარობელ მახარაძე ავათ არის, და ჩემი ცოდვილი და უღირსი პირით გევედრება მოუოხე და მოარჩინე ყოვლად ძლიერო და ყველაფრის შემძლევ“. ამ სიტყვებთან ხატს ადგილიდან დასძრავს, ზევით ასწევს... მლოცავებიც ყველა ერთხმად შესძახებს: „მოარჩინე, მოარჩინე მთავარანგელოზო, ძლიერო“. ეს არის ავადმყოფის „ხატის აძვრა“.

ხატი აუძრეს — ეს იმის ნიშანია, რომ მძიმე ავადმყოფია. მთელმა სოფელმა გაიგო და ვისაც რითიც კი შეუძლია ვალდებულია ავადმყოფს მიხედოს. ეკლესიიდან რომ გამოვლენ, სანამ საყდრის გალავნიდან გადავიდოდნენ, მანამდე შეიქმნება კითხვა-გამოკითხვა — რა მოუვიდა, რა „წიეკიდა“, რამდენი ხანია რაც ავათ არის. ავადმყოფს თუ მომდურავ-

უბარი ჰყავს, იქვე ურჩევენ მივიდეს — ნახოს, შეურიგდეს; დაწყევლილი ან ხატზე გადაცემული თუ ჰყავს — დალოცოს, გადაცემა უკანვე დაიბრუნოს — მოხსნას.

— ახლა თუ არ შეურიგდი, რომ „გაწყრეს ღმერთი“ და მტერი და ავი, მოკდეს, მერე გვიან იქნება, სატირლათ არ მიგიშობს ჭირისუფალი და სამკტრო-სასიცოცხლოთ, სამისღემჩიო (სამუდამოდ) გადაკიდებული იქნებით. ამ საჯაყ საქმეს ნურც თავს უზამ და ნურც კუთხე-მეზობლობას... ნუ იზამ ამფერ გლახა საქმეს შენც და მასაც ძე და მომავალი გყავს, ჩვენი ხათრი და მორიდება თვარ გაქ, შენი შვილების გულიზა მაინც შეურიგდი. თოფი არ გავარდნილა თქვენში და კაცი არ მომკტარა. რაცხა ერთი მწვადი მიწიზა დამდურდით, საზღვარზე ეიშალეთ. ყველაი მიწაში ჩავალთ, მიწა ყველას გაგვაძღობს... კაცის მკვლელს შეურიგდნენ და ერთი ნაწეკვაი მიწის გულიზა თქვენ შორის მტყუან-მართალი ვინ არის ახლა მაგის გაკითხვის დროი არ არის — იგი ავათ არის, შენ კარგათ ხარ და კარგათაც გამყოფა ღმერთმა — შენ უნდა დასთმო და შენ უნდა შეურიგდე.

გარემოებისა დროს შესაფერი სიტყვებით კაცები მოჰდურავ კაცს იმორჩილებდნენ, ქალები — ქალს. ბევრი მახსოვს შემთხვევა, რომ მომდურავი ქალი თუ კაცი, ხატის აძვრის დღესვე დაუჯერებიათ, შეუყვანიათ ეკლესიაში და იქ საჯაროდ ხატისათვის მიუბარია ეს: „მთავარანგელოზო, ძლიერო, მუხლმოდრეკილი გევედრები, მე რომ პეტრე კილაძე დავსწყევლე და გადავეცი — ნუ ისმენ უფალო, ჩემი წყევლა და კრულვა ლოცვით მოგვარე და მოარჩინე, ყოვლად ძლიერო და ყველაფრის შემძლევ“.

ოჯახში დაბრუნებისა და სადილის ჭამის შემდეგ ბევრი წა-

ვიდოდა ავადმყოფის სანახავად. თუ ვის წაეყვანა მომდურავი და მოეხდინა შერიგება, ამას ეკლესიაზე ათავრიგებდნენ. ზოგჯერ ისიც მოხდებოდა, რომ ავადმყოფი მომდურავს მოინატრებდა, მაჩვენეთ, შემარიგეთო მოითხოვდა.

მიცვალებულს თუ მომდურავი ჰყავდა, სწამდა, რომ მას „მიწა არ მიიღებდა", ამიტომ ცდილობდნენ სიცოცხლეშივე მომხდარიყო შერიგება და ხმის გაცემა. თუ ეს არ მოხდებოდა, მომდურავი მიცვალებულს მაინც უნდა შერიგებოდა —უნდა ეტირა (ხმით) და ეს იყო მისი გარანტია, რომ მიცვალებულს მიწა აღარ „დაიწუნებდა".

მნახველები ავადმყოფს „შემოუძახებდნენ", გაამხნევებდნენ, ავადმყოფობას გაუადვილებდნენ, კიდეც გაეხუმრებოდნენ, ღამესაც უთევდნენ და ჩონგურის დაკვრით და დაღიღინებით ართობდნენ. ზოგ ავადმყოფთან შესაფერი „მოსაკითხიც" მიჰქონდათ. მისვლის ხანს ეტყოდნენ: „მოგარჩინოს ღმერთმა და შენმა სალოცავმა"... წამოსვლისას ასევე უსურვებდნენ მორჩენას და ადრე ფეხზე დადგომას. რაც უნდა მძიმე ავადმყოფი ყოფილიყო, მნახველი მასთან მაინც თავს იჭერდა, ნაძალადევი მხიარულობით ეჭირა თავი — ავადმყოფს არ აშინებდა. ჭირისუფალს — მახლობლებს გამოკითხავდნენ ავადმყოფობის მიზეზს და ყველა თავისებურ რჩევას აძლევდა, თუ როგორ მოქცეულიყო. მკითხავს (მარჩიელს) მიასწავლიდა, ზოგი სოფლის ექიმ ქალს ან კაცს, ზოგი ფერშლის ან „დოხტურის" მოყვანას ურჩევდა... ზოგიც ხელის გამართვას — ფულის სესხებას, ცხენის თხოვებას, ან გაგზავნ-გამოგზავნას შესთავაზებდა, თუ რითიმე შემიძლია დაგეხმარო, აბა, მეტი რა დღეიზა გინდებვარო.

იმ დროს სამაზრო ექიმი ჰყავდათ. ხალხი დიდად არც

ეტანებოდა, მაგრამ ვისაც მათი რაიმე სწამდა, არც იმას შეეძლო ესარგებლა, რადგან ხალხისათვის მათ არ ეცალათ. გამომძიებლის დავალების ასრულებასაც (მოკლულის გაკვეთა და შემოწმება) თავის დროზე ვერ ასწრებდნენ (ხშირი იყო მოკლულის, დამარხვის 15—20 დღის შემდეგ საფლავიდან ამოღების, გახრწნილი გვამის შემოწმების შემთხვევა) ექიმი სხვა ერის იყო და თუ იშოვნიდი, თარჯიმანი უნდა გეძებნა (აქა-იქ, 3—4 მოზრდილ დაბა-სოფელში იყვნენ ყოფილი ჯარისკაცები, რუსები). რეცეპტის დაწერა არ შეეძლოთ და არც უფლება ჰქონდათ. პირველ ხანებში აფთიაქიც ერთი იყო. რამდენიმე წლის შემდეგ მოემატა კიდევ ორი და, ამრიგად, მთელ გურიას სამი აფთიაქი ემსახურებოდა (ოზურგეთში, ჩოხატაურში და ლანჩხუთში). ცხადია, ხალხი მომხდარ უვიცობას შესთხოვდნენ ხატს, იწვევდნენ შემლოცავ-გამომლოცავ დედაბრებს, მიმართავდნენ მკითხავს, მოჰყავდათ სოფლური ექიმობის მცოდნე დედაკაცები. სწამდათ ავი თვალი, ავი ფეხი, კუდიანი და ქარჩხავ-მზაკვავი.

ბევრი ვიცით იმისი მაგალითები, რომ შვილი დედას გაშორებია, სამოსახლო გამოუცვლია და მზაკვრობაში შეწამებულ დედას ჩამოშორებია. მის ავთვალს მორიდებია. ამის შემდეგ არაფერი გასაკვირი იქნება, თუ ავადმყოფის ჭირისუფალი, მისი ავადმყოფობის მიზეზით, ვინმე „კუდიანს“ უთვლიდა და თუ ამას მკითხავი შეუთვლიდა „კუდიანს“ — ყოველივე ეჭვის გასაფანტავად, „თუ მას თავი მართლათ კი მიაჩნდა“, მოსულიყო, ავადმყოფი ენახა, დაელოცა და, ასე ვთქვათ, გათვალვის ყადაღა მოეხსნა. ცხადია, შეწამებული ამას ასრულებდა, რადგან თუ ასე არ მოიქცეოდა, მაშინ თავის „პროფესიას“ თვით ამტკიცებდა. ქარჩხავ-კუდიანი, გუ-

ჩულის აზრით, ქალიც შეიძლებოდა და კაციც, მაგრამ უფრო ჯშირი „ეშმაკის სულის მიმყიდველები“ ქალები (მოხუცები) იყვნენ. ერთი სიტყვით, ავადმყოფის ყველა მნახავი თუ ჭირისუფალ-ნათესავი, ყველა ცდილობდა ავადმყოფობის მიზეზი გამოენახა, ყველას თავისებური დიაგნოზი მიაჩნდა უებარ წამლათ და ჭირისუფალიც ცდილობდა „გული შეეჯერებინა“ და ყველას რჩევა-დარიგება მიეღო“...

ძუძუმწოვარა ბავშვის ავადმყოფობის მიზეზად იტყოდნენ: ლოგინაუღებელია, უნათლავია — მის სახელზე ჯერ სანთელს თავი არ მოსწვიაო. ბებიაქალი იქნებ უკმაყოფილოა... უნათლავი ბავშვის სიკვდილი არამცთუ ოჯახის დიდ უბედურებად ითვლებოდა, არამედ მთელ კუთხე-მეზობლობას „ცოდვათ მოეკითხებოდა“... ამიტომ ბავშვი აკაღ გახდებოდა თუ არა, „ნაუცბათევად, წანათლავდნენ“, ლოგინსაც აუღებდნენ, ბიწასაც შეაჯერებდნენ და ბებიაქალსაც პატივს ცემდნენ, „მის აყვანილს“ დაალოცვინებდნენ. და, ცხადია, ყველა ამ რიტუალის დროს წმინდა სანთელსაც „თავი მოეწობოდა“... ამავე დროს არ მოაკლებდნენ აგრეთვე სხვადასხვაგვარ შელოცვა-გამოლოცვას: „ნალვალევის, ნაუქმურევის, მიწიდან ანაყოლის, სიყმაწვილის, პილწის ქარის, დასუნულის“ და სხვა. ეს ეხება დიდსა და პატარას. ხატის და ღმერთის „მოჭრთამვაც“ სავალდებულო იყო. თავზე შემოარებდნენ მის სიგრძე სანთელს (ავადმყოფის სიმაღლის ზომისას), ზედ თეთრ ფულს დააწებებდნენ და მის სალოცავ ხატს შესაწირავად აღჭვამდნენ, საეტლო თუ არ ჰქონდა მოხთილი — თავზე ცხვარს შემოარებდნენ, ცხვარს მარჯვენა ყურს გაუჭრიდნენ, თუ ცხვარს ასე „მოსწრებათ“ ვერ იშოვნიდნენ, მის მაგივრად გიჩაოს — სპილენძის მოზრდილ ჭურჭელს, ღირებულებით

მეტს შემოარტყამდნენ და ცხვრის დაკვლამდე არ იხმარდნენ. გირაოდ ან საწინდრად ხმარობდნენ თოფს, ქალმარ-ხანჯალს.

გურულებს იმ დროს სწამდათ თავისი ეტლი — ბედი. არსებობდა ხელნაწერის სახით საეტლო წიგნი, წიგნი დაყოფილი იყო თვეების მიხედვით. სხვადასხვა თვეში დაბადებულს წიგნი სხვადასხვა ბედს უქადდა. მაგალითისათვის მოვიყვანთ (სიტყვასიტყვით) ერთი თვისას:

ეტლი მაისის (სამამო).

ტყუპსა ზედა რომელი იშვას, ტანად და პირად ,ორგი, ცუდი ზრახოს, ნიშანი ჰქონდეს მხარსა, მკლავსა, მახვილსა და ცეხლსა უფრთხილდეს, დიდი კაცობა უყვარდეს, შეიქნას მწიგნობარი, ანუ ხელისუფალი მისი დღესიმით მოჭამოს, საქონელი მიხდეს, ურიგოთ წააგოს, სიტყვით გამარჯვებული, სხვათა ანაღვლოს, შვილისაგან საპყრობილობა გამოსცადოს. ორი ცოლი შეირთოს, მეორისაგან დიდი საქონელი მიხდეს. ბტერმოყვარიდან ბედი არ მოაკლდეს, ორპირი იყოს, ყოველი კაცისაგან ბედი ჰქონდეს, დიდი კაცისაგან ბედი ჰქონდეს, სულისათვისაც უნდოდეს შაბათს ქმნას, ოთხშაბათს ეკრძალოს, ტანისამოსი ფერქცეული ჩაიცვას. ხელი ისწავლოს, თუ ესენი იქნას გაიხაროს. ა/წ ავათ გახდეს, (ვ) (ᲬᲗ) (ᲬᲮ) (იბ) (12). 3 (20) მ. (40) თუ დარჩეს რვა (106) წელი დაყოს.

სადედო ეტლი:

მაისის ეტლი სადედო, ტყუპსაზედა რომელი იშვას, ნიშანი ჰქონდეს მხარსა, ანუ ფეხსა. იყოს თეთრფერვანი, თვალ-ყოჟო, სახლის მაშვენებელი, საუბარი იამებოდეს, მჭვრეტელი, სტუმრის მოყვარე, პირმცინარი, ხელი ისწავლოს, სადაც რძლათ შევიდეს მარჯვენა ფეხი შეიდგას, იგი ოჯახი აშენდეს, ჭელსა გაიხსნის ბალღამის წამალსა აიღებდეს, დიდი საცხოვ-

რებელი შეიქნას, დიდი პატივი მიეცეს, ქმარი მისი ბედნიერი ეგონდეს. ტანისამოსი ფერქცეული ჩაიცვას, ბეჭედი ბასოისა, საქონელი და საყოლო ენამთ დასდვას. 1 წლით ავათ გახდეს, 5, 10, 25, 45 თუ გადარჩეს 80 წელი დაყოს.

საეტლო წიგნი მღვდლის ოჯახში ჰქონდათ და ზოგიერთ „წიგნობრობის მიმდევარ ოჯახშიაც ბოიარდა... იყო ისეთი ძოხეტიალე მღვდელი, რომელიც კარიკარ დადიოდა და მსურველს თითო თვის საეტლოს თითო შაურად უკითხავდა... ავადმყოფის პატრონიც წააკითხვინებდა ეტლის წიგნს და მით გებულობდა თუ როდის უწერია ავადმყოფობა ან სიკვდილი. ეტლის მოხდა ცხვრის დაკვლით და წირვით სავალდებულოდ მიაჩნდათ. ეტლით წირვა უნდა გადაეხადათ ეტლის წიგნის მიხედვით, როგორც მის ეტლში „ეწერა". მაგალითად, მაისში დაბადებულს (ვაჟს) ავადმყოფობის წლების მიხედვით — 1 წლისას თუკი გადარჩებოდა უნდა დაესწრო სამი წლის ასაკამდე, მერე 8 წლის, 12, 20 და 40 წლის, ესე იგი, სულ 5-ჯერ უწევდა „ეტლის მოხდა" (ქალს 4-ჯერ).

ყოველთვის ცხვრის დაკვლა და წირვის მოხდა სავალდებულო არ იყო. შეიძლებოდა ცხვრის მაგიერ დაეკლათ 9 მტრედი, დაკვლის წინ ეს თავზე შემორებული მტრედები უნდა გაეძღოთ მღვდლის მიერ ნაკურთხი პურის ან სიმინდის მარცვლით. შეიძლებოდა აგრეთვე 9 ახლად დაჭერილი — სიცოცხლე დაუკარგავი თევზი — ამას სჭირდებოდა ნაკურთხი მარილი. გარდა ამისა, ავადმყოფობის გამოწვევა შეეძლო კიდევ „ნაწყევარ-ნაფიცარ-გადანაცემარობას" და „თავზე შემონარებობას", წირვის თავის დროზე არ გადახდას, წირვა უნდა გადაეხადათ და თხა უნდა დაეკლათ. მღვდელს ეწირა და ოჯახის ყველა წევრისათვის თავზე სანთელი შემოერო და

ღმერთის მისამართით ეთხოვა: „დიდებულო, დიდო ღმერთო, ძმანო მიქელგაბრიელ მთავარანგელოზო. რომელიც თქვენ შემოგევედრენ ჩემის ცოდვილის და უღირსი პირით, თქვენ შეიწირეთ ზვარაკი ესე ნაწყევარი იყოს, ნაღივარ-იყოს, გადანაცემარი იყოს, ანუ თავზე შემონარები იყოს — ნუ უკარნახებთ და ნუ მოსთხოვთ პასუხს. იგი თქვენს წინაშე, რამეთუ სცოდავ უვიცობით შენდობილ უყავით უმეცრება მათი". აბ წირვის შემდეგ სწამდათ, რომ ღმერთი შეუნდობდა თუ ვინმემ ცრუ ფიცი მიიღო ან თუ ვინმე სხვის მიერ დაწყევლილი, ახ ხატზე იყო გადაცემული, ანდა კიდევ თუ ვინმე ავადმყოფს თავზე შემოარეს გირაო-საწინდარი (სპილენძის ჭურჭელი, თოფი, სახლი). ავადმყოფი მორჩა, მაგრამ ხატს აღქმული არ შეუსრულეს, საწინდარი არ დაიხსნეს.

ყველაზე საშიში იყო „გადანაცემარი". რა იყო გადაცემა? მოვიყვანოთ მაგალითი: „გურულს დაეკარგა ხარი, ეძება, ვერ იპოვა, ჩემი ხარის ქურდი თუ ხარს არ მომიყვანს იცოდეს მასაც „გადავცემ" ხატზე და იმასაც, ვინც იცის ჩემი ხარის ქურდი და მალავს". ეს გაფრთხილება ზოგჯერ სჭრიდა — „დაბნეული" ხარი პატრონს აკითხავდა. იმედდაკარგული ხარის პატრონი მუქარას ასრულებდა, ზოგჯერ მთელი სოფლის თხოვნით ვადას აგრძელებდა. „ნაწირვობევს" მიდიოდა მთავარ ხატთან, აუნთებდა სანთელს, შესწირავდა თეთრყელას და დაჩოქილი „გადასცემდა": მთავარანგელოზო, ძლიერო, შენ გევედრები, ნუ მისცემ საშველ-სახიდებელს ჩემი ხარის ქურდს და მის ხელის შემწყვეს. ნუ გაახარებ, ნუ მოასვენებ, შენი რისხვა იყოს მის ძესა და მომავალზე, აყვირე, ამაზე, რაკაც გამამწარა, ამომაგდო და დამავსო, ისე გაამწარე და გაამხამე მისი ოჯახი. ზოგჯერ ადგილობრივ ხატს არ ჯერდებოდ-

ნენ და ეძებდნენ ყველაზე „ძლიერ ხატს“, როგორიც იყო ლომის კარელი, ეს ხატი იყო თავსურებში, რასაც ძლიერ ხშირად საგასტროლოდ „დააბრძანებდნენ“ საპატიო თოფთან ყარაულობით, არამც თუ გურიაში, არამედ გურიის გარეშეც.

ხარისა და ცხვრის ქურდის დამკარგავი გადიოდა სამეგრელოში და იქ ილორის ხატზე გადასცემდა... ამრიგად, ხატი გურულების რწმენით, აღმასრულებლის როლს თამაშობდა.

იცოდნენ კიდევ სხვაგვარი გადაცემაც. ეკლესიის გალავანში ურთხლის, მუხის, ცაცხვის ხეზე ან ეკლესიის კედელზე, ან სვეტზე ძლიერ მაგრად მიაჭედდნენ მჭედლის მიერ გაკეთებულ გრძელ ლურსმანს და ღმერთს შესთხოვდნენ: „ღმერთო დიდებულო. სანამდი აგი ლურსმანი მისი კბილით არ ამოაძროს ჩემი ცხენის ქურდმა, მანამდე ნუ მისცემ მოსვენებას, ნუ გაახარებ მის ნურაფერ სასიკეთოს“.

გურულის რწმენით, გადაცემას მოჰყვებოდა ავკაცობის ჩამდენის (ან მისი შვილის და შეიძლება მეუღლის სულიერი შერყევა, გადარევა).

გადაცემა და დაწყევლა ყოველთვის ერთნაირად „არ კვეთდა“, ესე იგი, ერთნაირად არ მოქმედებდა, სწამდათ, რომ ის „დაუცვეთელი“ იყო „გამუალ დღეებში“. ესე იგი, ისეთ დღეებში, რომელიც წელიწადში ერთხელ იყო ხოლმე. მაგალითად, კალანდას, შობას, აღდგომას, დადეგს (1 სექტემბერს), წითელ პარასკევს და სხვა. სწამდათ, რომ ამ დღეებში გადაცემა და დაწყევლა „კვეთდა“ „დაუცვეთელი“, ესე იგი, აუცილებლად პირველხარისხოვანი გადაცემაც ასეთ დღეებში იცოდნენ, უბრალოსი კი — კვირაობით.

სავალდებულო იყო აგრეთვე საღმრთოს წირვა (გოჭით, ქათმით), სხვა სოფელში გათხოვილი ქალი, ან სხვაგან წასული

ვაჟი თუ წელიწადში მისი ეკლესიის ხატის დღესასწაულს (გიორგობა, ღვთისმშობლობა, დიმიტრობა, კვირიკობა და სხვ.) არ დაესწრებოდა „არ მოულოცავდა“, ხატს შესაწირავს არ მიუტანდა, ამასაც შეეძლო ავადმყოფობის გამოწვევა. ამრიგად, ავადმყოფობის დროს ყველა ეს უნდა გამორკვეულიყო და ხატისათვის აღქმა უნდა მიეცათ —ვალს გადავიხდით და მანამდე „საწინდარი“ იკმარეო.

რამდენადაც ავადმყოფობა გართულდებოდა და რამდენადაც ავადმყოფი პატივსაცემი გახლდათ — ხატს იმდენად მეტს ქრთამს აღუთქვამდნენ: ეკლესიის შესაწირავს, სხვადასხვა წირვის გადახდას, სალოცავი ხატის მოლოცვა-გამშვენიერებას, ხატის ვერცხლით მოჭედვას, ეკლესიის ზარის შეწირვას, ხატისათვის მამულის უვადოთ ან ვადით შეწირვას, 1 ან 3—5 წლის სახსნილოს (ხორცეულის) ჭამის „დათმენას“ — აკვეთას (ვადით და საუკუნოდ), ეკლესიაზე ფეხშიშველ გასვლას, ოჯახის რომელიმე წევრის ბერად ან მოლოზნათ შედგომას. თითონ ავადმყოფი თუ უცოლო იყო ან გასათხოვარი, ღმერთს აღუქვამდნენ, ოღონდ კი გადაარჩინე და შენი მონა იქნება— ბერად ან მოლოზნად შემოგვიწირავსო. ბატონყმობის ხანაში, ბატონს, თავადსა ან აზნაურს გლეხისშვილს შემოარებდნენ თავზე, ავადმყოფი ბატონის მაგიერ ეს ინებე, თუ მის მაგიერ ან ინებებ და არ მოკლავ, შენ შემოგწირავო. აქეღან წარმოსდგა (უმთავრესად) საეკლესიო გლეხები. გვარი შეწირულიც აქედან არის. ავადმყოფის დედა საყვარელ შვილს შემოარებდა: „ღმერთო, ეს გადამირჩინე და მე მიმიღე მის სანაცვლოთ („თავზე შემორებული ხომ არ ვარო“, გურული რომ ხშირად იტყვის, აქედან არის წარმოშობილი).

საწინდრად და გირაოდ არ ზოგავდნენ სახლს, ბეღელს, ნა-

ლიას და რომ ეს საწინდარი უფრო მტკიცე და ურყევი ყოფილიყო, სახლს ოთხი კუთხით წოწინარს ამოსდებდნენ, შეანგრევდნენ — თავზე შემორების მიმსგავსებას აკეთებდნენ— სახლის სახურავზე ერთი მხრიდან მეორე მხრით თავს გადაისვრიდნენ — ამით საწინდარს აბეჯითებდნენ, თითქოს კრავდნენ და ასეც იტყოდნენ — სახლი შეკრესო. ზოგჯერ იტყოდნენ — „სახლი დაუხსნელი აქვსო"...

მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობით შეპყრობილს თავზე შემოარებდნენ რიყის ქვას (თითქმის 1/2 — ფუთიანს). წაიღებდნენ მოშორებით, ჩაფლავდნენ ღრმად მიწაში და იტყოდნენ: ღმერთო, ძლიერო, და მოწყალეო, სანამ აგი უძრავი ქვაი მისით მოძრავი არ შეიქნეს, მანამდე მისით სული არ ჩაედგას, ჩემს ავადმყოფს, ვისი თავზე შემონარებიც არის ნურაფერს გაუჭირვებ, ქვასავით მაგრათ ამყოფე და მუდამ შენი დიდების მაქებ-მადიდებელი ვიქნებით.

იმ სახლს, საცა ავადმყოფი იწვა, თუ სახურავზე ყორანი გადაუფრინდებოდა, ყორანს ქვას მიაყოლებდნენ, ისე რომ ქვას სახლის სახურავზე გადაევლო. იმავე ქვას აიღებდნეხ და მოშორებით ბებერი ფუღუროიანი ხის ძირში ღრმად „დამარხავდნენ" და იტყოდნენ: ღმერთო, დიდებულო, ამ ოჯახიდან თუ ვინმე სასიკვდილოთ გნებავს, მოხუცი მოკალი და მოზარდი მაჩუქეო.

ფოცხვერი თუ ვინმეს ეზოში სახლის მახლობლად თავისი უსიამოვნო ხმით დაიძახებდა, ცუდი ნიშანი იყო, ოჯახის რომელიმე წევრის სიკვდილს ნიშნავდა, მაგრამ არა ბებერისას, არამედ ახალგაზრდისას. იტყოდნენ, მოზარდი მოკვდება და მოხუცი ფოცხვერივით დაიმარხებაო.

ავადმყოფის ეზოში ღამით ბუს დაძახებაც სიკვდილის მოგასწავებელი იყო, „დაცდილი გვაქვსო“, იტყოდნენ.

თუ ავადმყოფი განწირული იყო — „სიკვდილი შუბლზე ეწერა“ — გურულის თქმით, მას არაფერი არ წაადგებოდა და თანდათანობით პირს საიქიოსაკენ იჭერდა, „საცნაურის“ დაკარგვამდე მეზობლები ჭირისუფლებს ურჩევდნენ (თუ ავადმყოფი წლოვანი იყო): ზიარებით კაცი არ მოკვდება და მით არაფერი დაშავდება მღვდელი მოვიყვანოთ, ვაზიაროთო. ჭირისუფალი მამაკაცები ადრე თანხმდებოდნენ, მაგრამ გურული „საბძნელი“ ქალები არ იყვნენ ადვილი დასათანხმებელი. მოყვებოდნენ წუწუნს: — აგი რა გეიგონა ჩემმა დასავსებმა ყურებმა... სასიკვდილოთ ზიარება რავა უნდა დუუმედო! ვაი, ჩემს დღეს, ვაი, ჩემს მოსწრებას!..

ბოლოს მაინც გადაწყდებოდა მოეყვანათ მღვდელი და „ხატის პირის ნაბანიც“ თან წამოეღო. მღვდელი ადგილობრივი ეკლესიის მთავარ ხატს „პირს დაბანდა“ და „პირის ნაბანს“ ბოთლით თან მოიტანდა. მღვდელი ავადმყოფს ჯერ ნუგეშს აძლევდა, გაამხნევებდა, ცოდვების მონანიებას და აღსარების თქმას ავალებდა და „ხატის პირის ნაბანით“ — ხელ-პირს მოსწმენდდა. თუ ავადმყოფს შეეძლო, აღსარებას ეტყოდა, თუ ვერ შესძლებდა, „წმინდა საიდუმლოს იესო ქრისტეს სისხლსა და ხორცს“ პაწია კოვზით ჩააყლაპებდა... როგორც მღვდელი, ისე სხვა დამსწრე პირები ჩვეულებისაგებრ იტყოდნენ: „სულის საცხონებლათ და ხორცის საჯანმრთელოთო“... ავადმყოფი თუ ზიარებას მიიღებდა და იოლად გადაყლაპავდა, ეს კარგი ნიშანი იყო. მღვდელი იტყოდა: წმინდა საიდუმლო წალმა დაბრუნდა და ღვთით მორჩებიო. თუ წამოაღებინებდა — ეს ცუდი ნიშანი იყო — ავად-

მყოფის უეჭველ სიკვდილს მიასწავებდა და ამავე დროს ცოდვილადაც ითვლებოდა.

ზოგი ავადმყოფი, ზეტადრე მორწმუნე მოხუცი, თვით მოითხოვდა მაზიარეთო... ზიარების მიუღებლათ სიკვდილი, გურულის აზრით, „მეორე სიკვდილი“ იყო, უზიარებელი მოკვდიო, წყევლად იყო მიჩნეული. ზიარების „ძალა-გამძლეობა“ ერთ წელიწადს გასტანდა. მაგალითად, ავადმყოფი ეზიარა დიდმარხვის პირველ კვირაში (თებერვალ-მარტში), მეორე ასეთივე მარხვის პირველ კვირამდე დაზღვეული იყო, რომ მომკვდარიყო უზიარებელი მოკვდაო, ვერავინ იტყოდა. ზიარების მიღება 4 წლის ასაკიდან წელიწადში ერთხელ მაინც სავალდებულო იყო ყველასათვის — მოხუცი წელიწადში 2-ჯერაც ეზიარებოდა.

ზეცხადება

ავადმყოფს, როცა „საცნაური შეეშლებოდა“, ეს იგი, როცა დაეკარგებოდა ლაპარაკის უნარი და აღარც ვისიმე შეეძლო ცნობა, უცხო სიტყვით რომ ვთქვათ, აგონიაში ჩავარდებოდა, მახლობელი ქალები უკვე იწყებდნენ ხმადაბლა ტირილსა და გულ-მკერდში მჯიღის ცემას, მახლობელი მეზობლები თუ არ იყვნენ — ატყობინებდნენ და ისინიც სასწრაფოდ მოდიოდნენ. წინასწარ „ნუ უბედებთ“, ცოდვაა, იქნება ქე ეყურება, თუ ღმერთი გაწყრა, მერეც მოესწრებით, ეტყოდნენ ქალები. როცა ავადმყოფი სულთაბრძოლას იწყებდა, „სასტუმალს“ გამოაცლიდნენ, ბალიშს ქვეშიდან მუთაქას გამოიღებდნენ. „სასტუმლის გაშლა“ უკვე მოასწავებდა უკანასკნელი

წუთების მოახლოებას. წყევლაოაც იყო შემოღებული „სასტუმალი გაგიშალესო“. კაი ექიმის საქებრათ იტყოდნენ, სასტუმალგაშლილ ავადმყოფს მიუსწრო და გადაარჩინაო.

სულთაბრძოლა

ხშირად მოხდებოდა, რომ მომაკვდავის სულთაბრძოლა დიდხანს გასტანდა — ჭირისუფალი ღმერთს შესთხოვდა „მიიღე უფალო მისი სულიო“... მღვდელს მოიყვანდნენ და ის „საღმრთო წიგნიდან“ (კურთხევანიდან) „სულთა ბრძოლისას“ წაიკითხავდა და ისიც შუამდგომლობდა ღვთის წინაშე ავადმყოფი ადრე გასცლოდა ამ წუთისოფელს. თუ მღვდლის ვედრებაც არ გასჭრიდა და „სული კიდევ არ ეყრებოდა ხორცს“, მაშინ მოიტანდნენ წირისთავს (ღომის საცეხველის ნაწილია) და ავადმყოფის სასთუმალთან ტახტზე ან სახლის კედელზე მაგრად არახუნებდნენ...

ასეთი ავადმყოფის შესახებ იტყოდნენ, ცოდვილიაო.

მომაკვდავის ბინიდან გარეთ გამოჰყავდათ ყველა. იქ რჩებოდა მხოლოდ ერთი ან ორი მხნე და გამოცდილი ადამიანი ქალი ან კაცი, რომელთაც ევალებოდათ ავადმყოფის უკანასკნელი სამსახური „მოკვდინება“ — ფეხის გასწორება, გულზე ხელის ჯვარედინად დაკრება, თვალების დახუჭვა და პირის მოკუმვა... ჭირისუფლები ამ დროს ეზოში არიან და ხმადაბლა ტირიან და მოსთქვამენ, როცა ყველაფერი მორჩება — „ავათმყოფმა ღმერთს სული ჩააბარა“... ვინც ავადმყოფი „მოაკტინა“ დაღონებული, ნელის ნაბიჯით, გარეთ გამოდის და თავში ხელს წაიშენს! ეს არის ნიშანი იმისა, რომ ყველაფერი გათავებულია და ახლა ყველას ნება აქვს იტიროს და ივა-

გლახოს. არც აყოვნებენ და მაშინ შეიქნება ხმამაღალი, შემზარავი, უსიტყვო და უტექსტო, თუ გურულ ქალებს არ ვაწყენინებ, კივილ-ჩხივილი — შეცხადება, რომელიც 2—3 კილომეტრის მანძილზედაც კი ისმის. რაც ხმამაღალი, ხანგრძლივი და „ჯარი სულისაგან“ იქნება შეცხადება, მით მეტი ეფექტიანია, მით მეტად ამტკიცებენ, რომ მიცვალებული დიდად უყვარდათ.

— განსვენებული ისე გულმოკლულად შეიცხადეს, რომ მთლათ ჩააქუხეს ყველაფერი... ქვა-ქვაზე დაადუღეს, ცას ბისცეს იმ მადლიანმა ქალებმა.

შეცხადებას მთელი სოფელი შეიტყობდა, ვინც ვერ შეიტყობდა ან ვერ „შეიმხრობდა“ ვისას იყო შეცხადება, მეზობელი გადაუძახებდა. მახლობელი კარის მეზობლები, ზოგი უკვე იყო მიცვალებულის ოჯახში და, ვინც არ იყო, ცოტაოდენი ტანისამოსის „მისწორ-მოსწორებით“ ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა, ნათესავ-მოყვარე გზადაგზა სიარულის დროს თმას იშლიდა და ეზოში ისიც შეცხადების წესით კივილ-ჩხივილით ჩამოვიდოდა. შეცხადება ქალების საქმე იყო და ჩინებულადაც ასრულებდნენ. დამსწრე კაცები მიცვალებულის მახლობელ ჭირისუფალ ქალებს მკლავში აფრინდებოდნენ, არ აძლევდნენ ნებას გაშლილი თმა დაეგლიჯათ, ლოყა ფრჩხილებით დაეკაწრათ, თავი კედელზე ან ხეზე „მიერახუნებიათ“. მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, ზოგი ქალი (დედა, ცოლი, დაი) სახეს მაინც „დაიფხაჭნიდა“ — სისხლს იდენდა. შეცხადება ხდებოდა გარეთ — ეზოში. ის გრძელდებოდა 10—20 წუთს. ამის შემდეგ დაიწყებოდა მოთქმა-ტირილი, შედიოდნენ მიცვალებულთან და იქ გრძელდებოდა მოთქმა-გოდება.

შეცხადების ხმა შორს მიდიოდა, თითქმის მთელი სოფელი გაიგებდა, რომ ესა და ეს მეზობელი გარდაიცვალა და მეზობლური ვალის მოხდაა საჭირო და სავალდებულო, უნდა მოვიდეს „მიუმტკივნოს, სამძიმარი უთხრას — მიუსამძიმროს“... მიცვალებულის კულტი გურიაში, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ერთგვარი სახიობაა — ერთგვარი (არ ვიცი რა ვუწოდო) წარმოდგენაა, თეატრალურია, რამდენიმე სურათად არის, მეორე სურათი სამძიმარია, მესამე და მთავარი — ტირილი. სამძიმარი, ასე ვთქვათ, ტირილის რეპეტიციის მსგავსია, ზოგიერთისთვის განსაკუთრებით — ახალგაზრდა ქალ-ვაჟისათვის — დებიუტია, სამძიმრით ეჩვევა ტირილს...

გაიგო თუ არა მეზობლებმა ვისას იყო შეცხადება, მეზობელი მეზობელს „შეიპირებს“ სამძიმარზე ერთად წავიდეთო და შეცხადების რამდენიმე საათის შემდეგ იწყებენ ჯგუფ-ჯგუფად წასვლას, თალხ ტანისამოსში გამოწყობილი კაცები ქალებს წინ წაიმძღვარებენ და მიცვალებულის ოჯახში ისე შედიან. ტირილს იწყებენ ეზოში ჩასვლისთანავე... ზოგჯერ იქ, სადაც ზეწარგადაფარებული მიცვალებული ასვენია. ჭირისუფლის ტირილი არ მოისმის (ისვენებენ, შეიძლება იქ რომელიმე მთავარი ჭირისუფალი არ იყო, მაშინ მას ატყობინებენ მესამძიმრეთა მისვლას და ისიც მიცვალებულთან მიდის და ტირილს იწყებს), მაგრამ შემოესმებათ თუ არა ეზოდან ტირილის ხმა, დამხთურებიც დაიწყებენ ტირილს. ტირილის სიტყვები — ტექსტი როგორც ჭირისუფლების მხრით, ისე მოსამძიმრეთაგან უნდა ყოფილიყო შეხამებული, შეგუებუ-

ლი, „მისადაგებელი“ მიცვალებულისა და სამძიმრის გადამხ-
დელის ურთიერთობასთან.

მაგალითად, მეზობელს მოუვიდა სამძიმარზე მისი ყანის მოზიარე მეუღლით.

მოსამძიმრე ქალი: გიორგი ძმაო, ჩემო ტკბილო, გაუწყეი-
ნებელო მეზობელო, ჩემი ოჯახის კეთილისმდომელო, ჩემი ქმრის მარჯვენაში ამომდგარო, აბა, შენ იცი, თუ შენებურა მომეგებები და შენებურა მეტყვი — შენ და შენს დამკარგავ უბედურ ჩემს ქმარს, ყანაში სადილათ რა გიამება მოგიტა-
ნო, ჩემო ტკბილო ძამია...

მიცვალებულის მეუღლე: ვაიმე, ვაიმე!.. გიორგის ნუ სტირი, ჩემო დაია კელასი, მე მიტირე, მე უბედურ გაჩენილ დღეს... გიორგი, ჩემო გაუხარელო გიორგი, შენ ასე უზდელი რომ არ იყავი, ახლა რა წაგეკიდა, ადექი, კაცო, შენებურა მიეგებე, შენი ძმასავით საყვარელი ყანის მოზიარის ცოლი მევიდა, შენ ძალიან გიყვარდა მისი ნახელავის ჭამა, ყოველ-
თვინ იმას მიჩივოდი კელასის ნახელავს არაფერი სჯობია — ლობიეი, რომ გააკეთოს თითს ჩაატკვერ შითო... ვერ მოს-
ცილდები და ვერ გაძღებიო... ვაი, ვაი! ახლა რას იტყვი, რას უბარებ, ხვალიზა რას ინატრებ, რა მოგიტანოს ყანაში, უი, უი, მეტი არაა ჩემი მტერი, ჩემო დაია, კელასი, მაგან აწი არაფერი ჭამოს, ისე არაფერი ჭამა მისმა მაწყევარმა...

მოსამძიმრე ტირილითა და შერჩეული სიტყვების წარმო-
თქმით თავზე წაადგება მიცვალებულს, შეიძლება ცხედრის წინაშე კიდეც დაიჩოქოს... ზოგმა შეიძლება მიცვალებულს პირს საბურავი ახადოს, და მიცვალებულის ნახვამ, მძაფრი და გულის ამაჩუყებელი სიტყვები ათქმევინოს:

— ვაი, ვაი, ვაიმე, ამას რას ხედავს ძმაო, გიორგი, ჩემი

დასავსები თვალები, რავა დაგიკრეფია ბიჭო, გულზე მაგი მშრომელი ხელები — აწი რა ეშველება ბიჭო, შენს უბედურ ცოლ-შვილს. აგია ბიჭო, ვაქკაცობა, ფუი შენს ნამუსს... სხვაი თუ არ გეცოდებოდა უბედური დედაშენი ძაღლის საჭმელათ როგორ გეიმეტე. ღმერთმა გაცხონოს, სასუფეველი დაგიმკვიდროს... ვაი, ვაი...

მიცვალებულის დატირების შემდეგ თითოეული სამძიმრის მომხდელი მიდის მახლობელ ჭირისუფალთან და ეუბნება „სამძიმარს"... (მოსული და დამხდური ერთიმეორის გულითადი თანაგრძნობის ნიშნად ერთიმეორეს ეხუტებიან).

მოსული მიცვალებულის ქვრივს: — შე უდროვოდ გაუბედურებულო, რა უნდა გითხრა, რაით უნდა განუგეშო, კაი ქმარი დაგეკარგა მარა, ახლა გმართებს ქალობის გამოჩენა... მის დატიებულს ობლობა არ უნდა შეატყობინო, ღმერთმა გიცხონოს, ღმერთმა მოთმინება მოგცეს. ვაი, ვაი!..

ჭირისუფალი: ვაი ჩემს დღეს, ვაი ჩემს მოსწრებას, თუ აგი დღეი მომელოდა მე, რეიზა ვერ მოვასწარი სიკვდილი — ქე ვიცი რომ არაფერი ნუგეში მომეწყობა. ვაი, ჩემს უბედურებას... მადლობელი ვარ, ღმერთმა მისი დანაკლისი შეგმატოს, მაგიერი სასიკეთოთ გადამეხადოს... ვაი, ვაი!

სამძიმრის მოხდა მეორე დღესაც გრძელდება. სამძიმრის მოსახდელად მოვიდოდა აგრეთვე თუ ახლოს იყო ოჯახიდან გათხოვილი ნათესავ-მოყვარე ან მურდუ-ნათრული. გზასთან მოახლოებისას შეიცხადებდნენ (თითქოს ახლა გაიგეს) და მათ მოსვლას შინაურებიც შეცხადების კილოთი, წივილ-კივილით შეხვდებოდნენ... „სამძიმრის მოხდა" 1—2 დღეს გასტანდა.

შეცხადების პირველი გამგონი და, ზოგი მათგანი მონაწილეთაგანი, იყო ხევისკაცობა და, როგორც კი შეცხადება გათავდებოდა (გარდაცვალებიდან 1—2 საათის შემდეგ), თავმჯდომარეს არავინ ირჩევდა, მაგრამ თათბირი-ბჭობა სრული წესრიგით დაიწყებოდა, ყველა სოფელს და თითოეულ სახევისთაოსაც ყოველთვის ჰყავდა მოთავე „ჭკუა საკითხავი“ კაცი, რომლის სიტყვა, რჩევა-დარიგება სხვებისათვის „ბეჭედიც“ იყო. ის გამოირჩეოდა გამოცდილებით, სიდარბაისლით, ჭკუა-მახვილობით, ზნეობით, ის იყო თავის გვარისა და კუთხის დიდი პატრიოტი, მის გარეშე მის დაუკითხავად და უდასტუროდ ოჯახური საქმეც არ გადიჭრებოდა, მით უმეტეს, სასოფლო. ამრიგად, ხევისკაცობას ჭირისუფალთან შეთანხმებით უნდა გადაეწყვიტა ტირილისა და დასაფლავება-დაკრძალვის ყოველივე წვრილმანი.

პირველ ყოვლისა, უნდა გადაწყვეტილიყო ტირილისა და დაკრძალვის დღე. საზოგადოდ, მიღებული იყო მიცვალებული უნდა დამარხულიყო გარდაცვალებიდან მესამე დღეს, მაგრამ ყოველივე ეს არ შეიძლებოდა ზუსტად დაეცვათ. სხვადასხვა პირობების გამო შეიძლებოდა დაკრძალვა მე-4 და მე-5 დღესაც მომხდარიყო, იშვიათ შემთხვევაში კი მეორე დღესაც.

დაჩქარებით დასაფლავება ხდებოდა მცირეწლოვანის — „ანგელოზის“ გადამდები სენით დაავადებულის და ზოგჯერ ისეთი მიცვალებულის, რომლის „შენახვა“ 3—4 დღეს შეუძლებელი იყო, რადგან „მწოლარეს ჰქონდა მკვდრის სუნი“.

მცირეწლოვანის ჩვეულებრივი ცერემონიით ტირილი არ

იცოდნენ, „დიდ ხარჯს არ სწევდნენ და არც შორეულებს ატყობინებდნენ“, ამიტომ მისი მიწის მიბარებაც ადრე შეიძლებოდა. გადამდები სენით (ყვავილ-ბატონები, ტიფი, შავი ჭირი) მკვდარს ადრე მარხავდნენ, არც არავის ატყობინებდნენ და არც არავინ „წაეკარებოდა“. მარხავდნენ სულ ახლობლები, „გამსვენებლის“ შოვნაც ჭირდა და ყოფილა შემთხვევაც მიცვალებული საფლავზე ურმით მიუსვენებიათ. ზოგჯერ ადრე დამარხვის მიზეზი იყო ოჯახის მდგომარეობა, თუ ოჯახში მეორე ავადმყოფი იყო, მაშინ ეს გარემოება აიძულებდათ ადრე დაემარხათ.

ასეთ შემთხვევაში ტირილი სხვა მოხერხებული დროისათვის უნდა გადაედოთ... ყვავილბატონებიან ოჯახში მიცვალებულის არც შეცხადება შეიძლებოდა, არც შავის ჩაცმა და, არც ტირილი. ბატონები გაჯავრდებოდნენ, შეიძლება „პირიც ებრუნებიათ“ და ყველა დაეხოცათ... დრო გაივლიდა „ბატონები წაბრძანდებოდნენ“ და ამის შემდეგ რამდენიმე თვის წინათ მიცვალებულს, ახლად გარდაცვლილის მაგივრად „შეიცხადებდნენ“ და „ნიშნით“ იტირებდნენ. შეიძლებოდა ერთსა და იმავე დღეს ორი და სამი ერთად ეტირათ. სახევისთაოს თათბირი ყველაფერს ანგარიშს უწევდა და ჭირისუფალთან შეთანხმებით ტირილის დღეს და ტირილთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს სწყვეტდა. ეს საკითხი ბევრგვარი გახლდათ: ტირილი დღის დანიშვნა, ტირილი ზარით თუ უზაროთ, რითი იტირონ, ესე იგი, საჭმელი რა მიართვან მოტირალს და რამდენი რა არის საჭირო... რამდენი არშინი შავი კმარა და რამდენი სურათი, მატირალთა დასაპატიჟებელი სიის შედგენა, „ტირილის წიგნით“ მოსაწვევისა და სიტყვიერის, („სახლის“) კუბოს გაკეთება და სხვა. თუ რომელ დღეს დაენიშნათ

ტირილი ამასაც სჭიროდა კვლევა-ძიება, სხვადასხვა გარემოების გათვალისწინება.

ორშაბათი „დამრჩვალის დღე“ იყო. იმ დღეს შეიძლებოდა დაესაფლავებინათ მხოლოდ და მხოლოდ წყალში დამხრჩვალი. პარასკევი ქრისტეს ჯვარცმის დღე იყო. გურულის აზრით, იმ დღეს არ შეიძლებოდა ქრისტიანისათვის რკინის იარაღის ხმარა, მაშასადამე, არ შეიძლებოდა საფლავის „გაჭრა“, ძლიერ ბევრი მორწმუნე პარასკეობით არც ღვინოს სვამდა. მიცვალებული „უზედაშოთ“ „შეუნდობელი“ არ დაიმარხებოდა. ამრიგად, ამ ორ დღეს არ ანგარიშობდნენ. ტირილის დღედ ყველაზე უკეთესი იყო შაბათი, რომელიც მიცვალებულის დღედ ითვლებოდა. თუ შაბათს არ ხერხდებოდა, მაშინ შეიძლებოდა სამშაბათს, ხუთშაბათს და უკიდურეს შემთხვევაში ოთხშაბათსაც. მაგრამ აქ კიდევ სხვა პირობებიც იყო გასათვალისწინებელი „მთვარე და წარმო-უკუნი“. მთვარეს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. აქ შეიძლებოდა დათმობაზე წასვლაც. რაც შეეხება წარმო-უკუნ[1], აქ კი ლაპარაკი ზედმეტი იყო. მიცვალებული უნდა დაემარხათ უკუნზე, გურულებისათვის ამ მეტად „საბნელო“ დღეებს ასე ანგარიშობდნენ:

კვირა დღე არც წარმო იყო და არც უკუნი. ახალ მთვარეზე ხუთშაბათი და შაბათი უკუნი იყო, წარმო კი—ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი. ძველ მთვარეზე — წინააღმდეგ: ხუთშაბათი და შაბათი —წარმო, დანარჩენი — უკუნი. ძველი მთვარე იანგარიშებოდა — ცხრომის შემდეგ 15 მთვარიდან. გურულების ღრმა რწმენით, ზოგი საქმის გაკეთება შეიძლებოდა (და სასურველი იყო) უკუნზე, ზოგის — წარმოზე. მიცვალებული უნდა დამარხულიყო უკუნზე —

„უკუნითი უკუნისამდე“ — იქნებოდა განსვენებული და, რაც მთავარია, ოჯახს „უკუნისამდე არ მოიკითხავდა“ და ოჯახის წევრი არ მოკვდებოდა... მიცვალებულის დამარხვას, თუკი ეს შესაძლებელი იქნებოდა, არჩევდნენ ძველი მთვარის უკუნს, რადგან იგი მიაჩნდათ გამძლეობისა და ხაგრძლივობის ნიშნად. ღრმა და მასთან ჭარმაგი მოხუცი კაცისა თუ ქალის შესახებ იტყოდნენ: მაგას რა მოკლავს. ან რა მოახუცებს, ძველი თვარის უკუნზე არის დაბადებულიო.

ხეს რომ ფიცრად დახერხილს მეტი გაეძლო და არ დაეფოტრა, ძველი მთვარის უკუნზე უნდა მოეჭრათ, ასევე უკუნზე სჭრიდნენ ღამის წნელს. „სასხო ხეებს“ — საწნახელს, ნავისა თუ სახიდე (ბოგირის) ხეს და სხვა (შესაძლებელია, აქ ხალხი ანგარიშს უწევდეს მთვარის მიმოქცევას და ხეში წვენის მოძრაობას). ახლად აშენებულ სახლშიც გურული უკუნზე შედიოდა, ბეღელსა და ხულასაც უკუნზე „შესძრავდა“: სტუმარს თუ წასვლა მოუგვიანდებოდა იტყოდა: უკუნზე მოველ და ჩემი წაუსვლელობა ნუ გიკვირთო.

ალავერდ-იახშიოლს შორისაც გაიგონებდი ამგვარ გადაკრულ სიტყვას — გვაღირსე მამაო, მაგი ღვინის დალევა — მე წარმოზე დაგილიე და შენ უკუნით ნუ აქცევო. წარმო დღეს გურული წამოიწყებდა ახალ რამეს, როგორიც იყო: ახალი მოსახლეობის დაწყება, სახლის საძირკვლის „დადგმა“, სახლის გადადგმა, „კაპეტი“ (ყამირი) მიწის საყანედ გაკაფვა, ყანის ხელის მოკვრა („პირველი თესლი“), ბოსტნის დათესვა, სასიმინდეებში სიმინდის შეყრა და ბეღლის შეღობვა, სამგზავროდ წასვლა, ვაჭრობის დაწყება და სხვა ამგვარი საქმესწამდა, რომ საქმეს ადრე და წარმატებით გაათავებდა.

მიცვალებული აუცილებლად ზარით უნდა ეტირათ. იგი

იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, მიცვალებულის სამგლოვიარო მარში — ტირილისა და გლოვის მუსიკა. ტირილის აკომპონიმენტი — უსიტყვო და უტექსტო გალობა, სჭიროდა სამი კაცი: დამწყები, მოძახილი და ბანი. ზარი მიცვალებულის პატივისცემაც იყო და მოტირალსაც ტირილს უადვილებდა. თავის დროზე მოტირალს ორი საპატიო, დარბაისელი ამოუდგებოდა, მოტირალი ქალი თუ იყო და ისიც მიცვალებულის მახლობელი — ჭირისუფალი — ლოყები რომ არ დაეკაწრა ან გაშლილი თმა არ დაეგლიჯა, ორივე მკლავს გაუკავებდნენ და ნებას არ აძლევდნენ ხელები თავისუფლად ეხმარა... მოზარეები წინ დაუდგებოდნენ (ცხადია, ზურგშექცევით) და „ზარს აუშვებდნენ", გალობას დაიწყებდნენ, და მოტირალნიც ზარს ტირილის სიტყვებს ტექსტს შეუწყობდნენ, შეუხამებდნენ, ისე როგორც ჩონგურს ხმას შეუწყობს ლექსის დამღიღინებელი. ზოგჯერ მოტირალი მოზარეს წინასწარ აძლევს გაფრთხილებას მაღალი ან დაბალი თქვას... მოზარეები გალობით მოტირალს კუბოსთან მიაცილებენ და გალობას იქაც განაგრძობენ მანამდე, სანამ მოტირალი მიცვალებულის „დატირებას" მორჩებოდეს. ხელში ჩამკიდე ამავე დროს წესრიგის დამცველებიც იყვნენ და ჰეროლდის როლსაც ასრულებდნენ; მოტირალი კუბოსთან ორივე მუხლით იჩოქებდა, ხელში ჩამკიდებელიც ცალი მუხლით იჩოქებდა, მოტირალს ნებას არ აძლევდნენ გადამლაშებისას — აყენებდნენ და მიჰყავდათ „ნუგეშის სათქმელათ" ჭირისუფლებთან. სრული წესრიგის დაცვით, ესე იგი, პირველად მიცვალებულის ყველაზე მახლობელთან და ასე შემდეგ, ზოგი მოტირალი პირადად არ იცნობდა (ეს იმ დღეს არ შეეძლო ეცნა) ჭირისუფალს — ხელში ჩამკიდე აცნობდა... მოტირალი ჭირისუფალს ხელს კი არ

ართმევდა, არამედ ნიშნად გულითადი თანაგრძნობისა ერთ-ურთს გულით ეხუტებოდნენ. ნუგეშის ცემის, ანუ მისამძიმ-რების შემდეგ ხელში ჩამკიდებელს მოტირალი გარეთ გამოჰ-ყავდა. (მახლობელი ნათესავი მოტირალი ქალი შიგ რჩებო-და, ჭირისუფლებთან ჯდებოდა, ან დადგებოდა) მოზარეე-ბიც გარეთ გამოდიოდნენ და ახლა მეორე მოტირალი შემოჰ-ყავდათ.

თავმომწონე და „დიდი მტერ-მოყვარის" მიცვალებულის პატრონს მეორე პირი მოზარე ჰყავდა გაჩერებული კუბოსთან და პირველი მოზარე კუბოსთან მიცვალებულს მიიყვანდა თუ არა მოტირალს გადააბარებდა, უკან გაბრუნდებოდა და „მეო-რე წყება" მოტირალი შემოჰყავდა.

ეს იყო ჩვეულებრივი, ასე ვთქვათ, ოჯახური ზარით ტი-რილი. მაგრამ იყო კიდევ მეორეგვარი ზარით ტირილი. მიც-ვალებულის ჭირისუფალი თუ ნათესავი მოყვარეს „ტირილის წიგნით" თუ ატყობინებდა „თავისწინაი" მიტირეო, მაშინ ნა-თესავი ვალდებული იყო სატირლად წასულიყო მარტო (ოჯა-ხის წევრებთან) და თან არც თავისი მოზარე, არც სხვა „დამ-შვენებლები" არ წაეყვანა. თუ ასეთი წინასწარ გაფრთხილება არ იყო, მაშინ ნათესავ-მოყვარეს თუ თავი მოსწონდა და მი-ცვალებულსაც პატივს სცემდა მაშინ ის უნდა ეტირა ზარით, ესე იგი, თან უნდა წაეყვანა თავისი მოზარე სამი კაცი, ორი ხელში ჩამკიდე და რამდენიმე ქალი და კაცი „კაი ტან-ფეხით" (თავისი ტანისამოსით კარგად ჩაცმულ-დახურული) „საგა-რიოთ გამოსაჩენი" დარბაისელი ხალხი, რაც მეტი იახლებო-და მით უკეთესი იყო. ადგილობრივ ეკლესიის მღვდელსაც თუ იახლებდა თავის მოწონებაც იყო და მიცვალებულის „გა-პატიოსნება", ცხადია, დამშვენებლები ამჯობინებდნენ წაეყვა-

ნათ თავადი, აზნაური და ჯვარ-მედლიანი გლეხი. თან უნდა წაეღოთ აგრეთვე „კელეპტარი“. კელეპტარს აკეთებდნენ ასე: აიღებდნენ ისლის მაღალ ღეროებს სიგრძით 1 არშინზე მეტს, მჭიდროდ მიაწყობდნენ ერთიმეორეზე „მკლავის სისხოს“ (მეტსაც). გარედან მაგრად შემოახვევდნენ ორ-სამ წყებად წმინდა სანთელში გაჟღენთილ და ამოვლებულ მიტკალს, ასე მომზადებულ კელეპტარს ჩაარჭობდნენ დურგლის მიერ ჩარხზე (კოჭის) სამფეხში და ეგეც ოან მიჰქონდათ, და როცა მიცვალებულის ეზოში ჩავიდოდნენ კელეპტარს უკიდებდნენ და „გაბდღიალებულს“ წინ გაიმძღვარებდნენ — მიცვალებულის კუბოს თავთან დადგამდნენ.

მიცვალებულის პატივისცემა და სიყვარული ზარითა და კელაპტრით ფასდებოდა — რამდენმა იტირა ზარითო, რამდენი კელეპტარი მოუვიდაო, იკითხავდნენ. ზოგი მოტირალი ზარით დამშვენებული მოვიდოდა. ერთი პირი მიცვალებულს დაადგებოდა თავზე და იქ გალობდა, მეორეს მოტირალი შემოჰყავდა, ამ დროს შინაური მოზარეები ისვენებდნენ. ზოგჯერ მეტადრე თუ ზარით მოსული სხვა კუთხის (სამეგრელო ან ქვემო იმერეთი) ან შორეული სოფლიდან იყო, მაშინ შინაურ და სტუმარ მოზარეებს შორის ერთგვარი თავაზიანი შეჯიბრება ხდებოდა. ვთქვათ, ზარით მოტირალს —მოტირალი მოჰყვა „ჯარით“—7—12 სული. 5—7, რომ ატირდებოდა მოსული მოზარე, მერმე შინაურ მოზარეებს სთხოვდნენ — გვეცით პატივი და ახლა თქვენი კაი ზარით ატირე ჩვენი მოტირალიო.

ეს იყო ერთგვარი გამოწვევა, რომელსაც შინაურები მცირეოდენი „გაპირების“ შემდეგ იღებდნენ. სამაგიეროდ, მოსულებს სადილის მორთმევის შემდეგ შინაური მოზარეები მო-

ხულებს შესთავაზებდნენ — გვეცით პატივი და თქვენი ზარით ჩვენი მოტირალი ატირეთო.

გალობით მიცვალებულის პატივისცემით თავმოყრილი ხალხი სიამოვნებდა, ერთიმეორეში ბაასი შეწყდებოდა და მოზარეებს გულისყურით უსმენდნენ — ზარის მოქმედებას ერთიმეორეს ადარებდნენ, თავიანთ აზრს გამოსთქვამდნენ — ზოგის მოსწონდათ, ზოგს იწუნებდნენ. იმდენი და ისე კაი მოზარეებით იტირეს წასაწყმედი რომ იყოს, მაინც ცხონდებაო, იტყოდნენ.

ზარის მცოდნეს მოწონება ჰქონდა, ერთგვარი ხელობა იყო, სარგებლიანი. თითოეულ სახევისათაოს თავისი მოზარე ჰყავდა და ეს სამი კაცი — სახევისთაოს წევრები მიცვალებულის სხვა სამსახურისაგან თავისუფალი იყო. თუ მოზარე სახევისთაოს არ ჰყავდა, მაშინ მეზობელ სახევისთაოდან მოიყვანდნენ. ზარით მოტირალი (სხვა სოფლიდან მოსული) მოზარეს გასამრჯელოს აძლევდა ან ფულით, ან მაინდით, მაგრამ მაინდი პირდაპირი არ იყო, ერთი დღის ნაცვლად ყანაში ორ დღეს უნდა მიხმარებოდა და მასთან თუ ცხენი იყო საჭირო, ცხენის ქირაც უნდა გადაეხადა. მოზარე უნდა ყოფილიყო ტანადი, კარგად ჩაცმულ-დახურული, ამიტომ ცხადია, მოზარეები მოსახლეობის უფრო შეძლებული ფენიდან იყვნენ, სხვებთან შედარებით თავმომწონე — შავი საქმის მოძულე.

ზარის მასწავლებელს გასამრჯელოს აძლევდნენ უფრო ხშირად ნატურით, როგორიცაა, მაგალითად, ჩექმა, სიმინდი, ჩოხა, ღომი, ღვინო ან 10—20 დღით ყანაში მოხმარება. ზარის თქმა ოჯახში (თუ მიცვალებული არ ესვენა) „საბძნილო“ იყო, არ „დაიბედებდნენ“ „ზარი გავიგონე შენსასო“, მაგარი წყევლა

იყო, ამიტომ ზარს სწავლობდნენ ეკლესიის საყარაულო ქოხში (სასაფლაოზე) ან ტყეში, „ღარდაში“ ღელის პირად. სწამდათ, რომ ცეცხლმოკიდებულ თავლიდან ცხენს სხვა ვერავითარი საშუალებით (ვერავითარი „მამაო ჩვენოთი“) ვერ გამოიყვანდნენ თუ არა ზარით. ზარს ეტყოდნენ და ცხენიც გამოყვებოდა. ეს გურულისათვის უდავო იყო. ასახელებენ ამის ფაქტებს, და ეს დასაჯერებელიც არის. „გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“ — ალ-ევე შეიძლება, ცეცხლისაგან დამფრთხალ პირუტყვს გალობა აწყნარებდეს, ასულებდეს... ასევე ითქმის მიცვალებულის ახლობელი ჭირისუფლის შესახებაც — ზარი გულმოკლულ მოტირალს უსათუოდ აწყნარებს, ამშვიდებს, თავდავიწყებიდან გამოჰყავს — არანორმალურს ნორმალურად ხდის.

ზარით ტირილი ორივე მხრიდან იწვევდა ხარჯს; ზარის მომყვანს მოზარეებისა და დამამშვენებლებისათვის გასამრჯელო უნდა მიეცა, თუ პირდაპირ გასამრჯელოს არ აძლევდა, ივალებდა მაინც, სამაგიეროდ, პატივისცემა რითიმე უნდა გადაეხადა, გარდა ამისა, კარგი, სანაქებო სადილი მიერთმია, ნამდვილი ტირილი ლობიოთი იყო ან თევზით. ზარის წამსვლელი თავის „საპატიო ამალას“ ქორწილის შესაფერი სუფრით უმასპინძლდებოდა — ზოგჯერ საკლავიც კი იყო საჭირო. სუფრიდან მხიარული დგებოდნენ და გზაშიც მოგზაურობა მაყრულს უფრო ჰგავდა, ვიდრე მატირალს, მეტადრე თუ ეს ტირილი უფრო ფორმალური იყო და არა დიდად „გულსაწვავი“. მაგალითად, გათხოვილ ქალს საჭირისუფლოში გარდაეცვალა ღრმად მოხუცებული ბებია, ან ბაბუა და თუგინდ მშობელი. „ქვეყნის შესახედავად“ ზარით იტირებდა, მიცვალებულის კუბოსთან გულმომწვავ სიტყვებსაც იტ-

ყოდა, „კურცხალსაც გააყოლებდა“, მაგრამ ოჯახსა და გზაში სიცილიც იყო, ოხუნჯობაც და ხშირად მხიარული სიმღერაც, მეტადრე — „ვალის მოხდის შემდეგ“ — უკან დაბრუნებისას.

მასპინძელიც — მიცვალებულის პატრონიც — ზარით მოტირალს ღირსეულათ უნდა დახვედროდა — სადილი მიერთმია, მაშასადამე, ისიც უნდა „დახარჯულიყო“... თან უხერხულობას კიდევ ის იწვევდა, რომ მასპინძელმა ზუსტად არ იცოდა რამდენი სურსათ-სანოვაგე დასჭირდებოდა ზარით ტირილს — არ იცის რამდენი მოზარე მოუვა და ვის რამდენი სული იახლება დამამშვენებელი. შეიძლებოდა ზარით მოტირალი 15—20 სული ყოფილიყო და ზოგჯერ 100-ზე მეტიც. 1892 წელს სოფელ აკეთში გარდაიცვალა თავად თავდგირიძის მეუღლე კულაშელი სიღლიკიტა მიქელაძის ასული. გარდაცვალებულის საჭირისუფლოდან მოვიდა მთელი ზარით 150 ცხენოსანი... მათში მოტირალი იქნებოდა 8—10 სული. სამეგრელოდან „დილაბნელზე“ წამოსული 50 ცხენოსანი მოზარე (მოტირალი მხოლოდ სამი იყო, ქალი და კაცი) ყველა შავი ცხენით, შავი ტანისამოსით, ასკანაში მოვიდნენ მზის ჩასვლის ჟამს.

ცხადია, ზარით ტირილი ეკონომიურად ზარალის გამომწვევი იყო. თათბირიც ამას ანგარიშს უწევდა და თუ დრო და გარემოება ხელს არ უწყობდა მიცვალებულს ტიროდნენ უზაროთ —„თავისწინაი“...

1890 წლიდან, ცხოვრების გართულებამ ამას ანგარიში გაუწია და სიტყვიერად და გაზეთის მეშვეობით გაჩაღდა კომპანია ზარით ტირილის საწინააღმდეგოდ და, სულ რაღაც, ათიოდე წლის განმავლობაში, არამც თუ ზარით ტირილი, არამედ „თავისწინაი“ ტირილიც კი გადავარდა. ზოგჯერ ავადმ-

ყოფი სტოვებდა ანდერძს ზარით მიტირეთო, ეს ანდერძი 1922 წელს შეუსრულეს სოფელ კვირიკეთის მცხოვრებ კალისტო ლომინაძეს. ეს იყო უკანასკნელი და გამოსათხოვარი ზარი.

ორი საკითხი გადაწყვეტილია, რა დღეს მოხდეს დაკრძალვა და ტირილი ზარით თუ „თავისწინაი". ახლა უნდა გადაწყდეს, თუ რითი იტირონ მიცვალებული — სამარხვო თუ სახსნილო საჭმელით. ცხადია, დასაფლავების დღე თუ მარხვა იყო ეგ საკითხი უკვე გადაწყვეტილად ითვლებოდა, მაგრამ თუ ხსნილი გახლდათ, მაშინ კითხვა გადაჭრასა და მსჯელობას ითხოვდა... საზოგადოდ, ტრადიციად მიიღეს ახალგაზრდა, „მეტათ გულსაწვავი, ცხოვრებით გაუმაძღარ-გაუხარებელი", ჩორცეულით—სახსნილოთი არ ეტირათ, არამედ თევზეულით და, საერთოდ, სამარხვო საჭმლით, როგორიცაა: ლობიო, სოკო, ზეთისხილი და ბრინჯის ფლავი სამარხვო ზეთით. თევზი ნახევარ სამარხვოთ ითვლებოდა, მაგრამ ქრისტიანის მიერ ყოველთვის არ შეიძლებოდა მისი ჭამა, მაგალითად, მთელი დიდი მარხვის განმავლობაში (ზედიზედ 48 დღეს), გარდა ორი— ბზობა-ხარება — დღისა. ამასთანავე თევზის ყიდვას ფული სჭიროდა და თუ მიცვალებული ღარიბი იყო ამასაც ანგარიშს უწევდნენ.

ამგვარად, თათბირი ცდილობდა ისედაც „წაქცეული ოჯახი" ტირილის მიერ გამოწვეული ხარჯიდან კიდევ უარესად არ წაქცეულიყო, ვალი არ დასდებოდა ოჯახს. და თუ ოჯახი შეძლებული იყო და თუ კიდევ მასთან მიცვალებულს „მისი არჩივი ცხოვრება მოჭმული ჰქონდა", მაშინ, პირიქით, ცდილობდნენ ჭირისუფალს სირცხვილი არ ეჭამა — „არ მოჯაყულიყო"—და მიცვალებული საკადრისი პატივისცემით „ხეფ-

სით და ზედაშით“ დამარხულიყო, შეიძლებოდა საკლავიც დაეკლათ და თუ თევზით მარხვა არ იყო, მაშინ ნედლ თევზსა და „თართის დოშსაც“ არ შეურევდნენ. სასტიკი მარხვის დროს კი სხვადასხვანაირად შექმაზული ლობიოთი, სოკოთი, ზეთისხილითა და ფლავით ტიროდნენ. ზოგი მოხუცი ფულსაც სტოვებდა და ანდერძსაც, ხორცით მიტირეთ და „კაიზედაშე“ (კარგი პურ-ღვინო) გამაყოლეთო.

სრულწლოვან მიცვალებულს აუცილებლად ზედაშე უნდა გაყოლოდა, ყველა ვალდებული იყო მიცვალებულის შესანდობარი მეტი თუ არა თითო ჭიქა ღვინო მაინც დაელია. ღვინის დალევამდე კი ორი-სამი წვეთი ღვინო პურზე დაეღვარა (ან პურის ნატეხი ჭიქაში ჩაეწო) და ეთქვა „ღმერთმა აცხონოს, საუკუნო სასუფეველი დაუმკვიდროს, მის დატოვებულს შვიდობა მისცეს“... ღვინოზე უნდა დაეყოლებინა ერთი ლუკმა ღვინოგადარებული პური. ვიმეორებ, ეს სავალდებულოდ იყო აღიარებული, მაშასადამე, ტირილისათვის რამდენი ხარჯი იყო საჭირო თათბირი ვარაუდობდა, ცოტაოდენი მორჩენოდა ის ერჩია, ვიდრე მოკლებოდა და „საუკუნის სირცხვილი ეჭმია ოჯახისათვის“.

საჭმელ-სასმლის მოკლება ან ურიგოდ გაკეთებულის მირთმევა მარტო ოჯახის სირცხვილი და „მოჯაყვა“ კი არ იყო, არამედ მთელი გვარის, მთელი სახევისთაოს და თუგინდ მთელი სოფლისაც (ზოგჯერ კი მთელი გურიისაც: იტყოდნენ მეგრელები, იმერლები გვიტირებს და სირცხვილი არ ვაჭამოთ გურიასო).

„ცხოვრება გაუხარებელი“ მიცვალებულის ტირილი, გარდა იშვიათი შემთხვევისა, უნდა „გადაეხადათ“ თუ ხსნილი იყო თევზით, მაკარონით, ან ზეთით გაკეთებული ფლავით,

სირცხვილად არ ითვლებოდა თუ პირველი კერძი იქნებოდა კარგად შეკაზმული ლობიო, ცხადია, ყველიც შეიძლებოდა.

მარხვა თუ იყო, მაშინ მთლიანად სამარხვო საჭმელები უნდა შეემზადებინათ. ლობიო ამოლესილი, მოზელილი, ურწყულით ან კირკვალი; ზეთისხილი, ფლავი ან მაკარონი — სამარხვო ზეთით შემზადებული.

ხნიერი — „დრომოჭმული“ — მიცვალებული არ იძრახებოდა „ეტირათ ხორცით“. დაეკლათ საკლავი და გაეკეთებინათ ორი თავი ხორცეული — წვნიანი (ხარჩო) და მშრალი ხორცი — „მოსათალი“... მახლობელი ნათესავები, მიცვალებულის „სულის ახსნამდე“ ხორცეულს არ სჭამდნენ, ტირილში აუცილებლად იქნებოდა ბერები და მოლოზნები, არც ესენი მიირთმევდნენ და, ამიტომ სახსნილოსთან ერთად რამდენიმე „სულის საყოფი“ უნდა ჰქონოდათ სამარხვო საჭმელიც — ლობიო და ნახევრად სამარხვო თევზი, ცხადია, ყველიც. მიცვალებულის სახსნილოთი ტირილი სავალდებულო იყო აღდგომა ახალკვირესშუა, შობა დღიდან ნათლისღებამდე (25 დეკემბრიდან 7 იანვრამდე)... ამ დღეებში სამარხვო საჭმლის ჭამა „ღვთის გმობად“ მიაჩნდათ, ისეთივე ცოდვათ ითვლებოდა, როგორც მარხვაში ხორცეულის ჭამა.

მცირეწლოვანი „ანგელოზათ“ ითვლებოდა... „სამძიმრის მომხდელებიც მშობლებს ამ სიტყვით ანუგეშებდნენ: „ანგელოზი იყო ანგელოზმა წაიყვანა — მისი ტირილი ცოდვაა, მის სულს დაამძიმებთო“. ასეთი მიცვალებული ჩვეულებრივზე ადრე დაიმარხებოდა „ცას და ქვეყანას“ არ ატყობინებდნენ, აცნობებდნენ მახლობლებს და უბრალოდ, შინაურულად „თავისწინაი“ მიწას მიაბარებდნენ. წარმოიდგინეთ სამგლო-

ვიარო შავს ნაკლებად იკერავდნენ — ზოგიერთ მშობლისათვის სავალდებულო არ იყო. არც ზარს საჭიროებდა.

„შავის შეკერვის“ წესი ასეთი იყო: ქვრივი ქალი ან კაცი, წლამდე ატარებდა ძაძას — ხამის სრულიად უბრალოსა და იაფფასიან შავს (ძაძა-ფლარი), მაგრამ მეტისმეტად გულის შემზარავს, ამავე დროს სრულიად უშნოდ, ულაზათოდ შეკერილს — ტომარისებურს. მხარზე წითელი ძაფით ჯვარს გამოხატავდნენ. მახლობლები: შვილები, დები, ძმები, რძლები იკერავდნენ „შავს“. შეძლებულები „შავშალს“ ძვირფასს, დაშორებული მოყვარე-ნათესავი ვაჟები შავს გადიკერავდნენ ჩოხის „გულთათაზე“ (სამასრეზე) და თუ ატარებდნენ ხანჯალსაც შავით „ჩამასავლენ“. ამ გლოვის ნიშანს ატარებდნენ 40 დღემდე — „მიცვალებულის გამოტირილამდე“ და ზოგჯერ მხოლოდ ერთი დღითაც, ამიტომ შავის თხოვებაც კი იცოდნენ. სახლის კედელზე, სვეტებზე და ჭისკარზე შავის გაკვრა არ იცოდნენ. მიცვალებული თუ მხედარი იყო, მის ცხენს შავით მორთავდნენ და ეზოში ჰყავდათ დაბმული.

სახევისთაო თათბირს მიცვალებულის ოჯახის წევრებთან ერთად. უნდა გამოერკვიათ, თუ რამდენი არშინი და „რა და რა სოის“ შავი, რამდენი ყუთი პური და სხვა რამ სურსათ-საზოვაგე იყო საყიდელი, მე „ლანდათ“ მახსოვს, რომ იცოდნენ თორნის პატარ-პატარა კვერების ცხობა. დიდ ჭურს ი...ვსა და ბოლოს გადასტეხდნენ და თორნეც მზად იყო. შესაწირის სახით მოტანილს ფქვილს მოზელდნენ და კვერებს აცხობდნენ, ღომს ამზადებდნენ და „პურის ხარჯი“ ან სულ არ იყო, ან ძლიერ ნაკლები. ბათუმის აღების შემდეგ კი ტირილში მჭადის ხარჯი თითქმის სავსებით გადავარდა, ღომისა და პურის ხარჯი შემოიღეს. ღომი „ინჯრათ“ საკმარისი უნდა მიერ-

თმიათ. პური კი უმთავრესად მისი შემოღების პირველ წლებში „არჩივათ“ იყო, ყველას მისი ულუფა მიერთმეოდა, შეეძლო სუფრაზე ეჭამა, შეეძლო შინ წაეღო — არავის არ ეთაკილებოდა (ხშირად ერთიმეორეს სთავაზობდნენ: „ბაღნიანი ბრძანდები და ჩემდა ნახელავად შენს ბაღნებს წაუღეო“) პურს თითოეულ სულზე ნახევარ გირვანქას მაინც ანგარიშობდნენ.

„სერვიზი“ — საინი, ჭიქა, ბოთლი, დანა-ჩანგალი და სხვა ამგვარიც ანგარიშგასაწევი გახლდათ, მაგრამ უბრალოთ კმაყოფილდებოდნენ. სასოფლო ჰქონდათ ნაყიდი 100—200 ხის ჯამი და რამდენიმე ცალი უბრალო ყუფრები. მთლიანი განიერი გრძელი ფიცრები ფეხებგაყრილი (ტირილიდან ტირილში მიჰქონდათ). სხვა შემთხვევის დროს ამათ არავინ იხმარდა, „იბრძნიდა“, ღომს, მჭადს, და პურს პირდაპირ „სუფრაზე არიგებდნენ“... (სამღვდელოებას და სხვა დიდად მოსარიდებელ მოტირალს მიართმევდნენ ჯამით — ან საინით) ჭიქებს მეზობლები მიიტანდნენ თითო-ოროლა, ბოთლი საჭირო არ იყო, მერიქიფე დოქიდან დაუსხამდა ყველას. 1880 წლებიდან ჯამის ნაცვლად საინები შემოვიდა ხმარებაში და ბევრ სოფელს სასოფლო ჰქონდა, ზოგჯერ კი ჭიქა-საინი იმავე დუქნიდან მოჰქონდათ სანათხოვროთ, საცა პურს ყიდულობდნენ. თათბირი ყოველივე ამას ითვალისწინებდა, გეგმას ადგენდა, წევრებს თავის შესაფერის სხვადასხვა საქმეს ავალებდა და ისინიც ნაკისრ საქმეს შეუდგებოდნენ.

ტირილის წიგნი. სახევისთაოს თუ არ ჰყავდა (ძლიერ იშვიათი იყო) ტირილის წიგნის დამწერი, მაშინ მოიწვევდნენ ვინმეს სხვას და მას უნდა დაეწერა რამდენიმე ათეული ცალი ტირილის წიგნი, რომელიც შორეულ ნათესავ-მოყვრ: ბ-

ში ადრე უნდა დარიგებულიყო. ტირილის წიგნის შინაარსი ასეთი იყო.

„ღრმა მწუხარებაში მყოფი ძმები: სტეფანე, კიმოთე და პავლე ვადაჭკორიები, გაცნობებს გარდაცვალებას ჩვენი საყვარელი დედის ელისაბედის, რომლის ტირილი და დაკრძალვა დანიშნულია მაისის ექვს, დღით ხუთშაბათს და გთხოვთ მობრძანდეთ და ანუგეშოთ დამწუხრებული ოჯახი ჩვენი“. იმ შემთხვევაში თუ სახევისთაოში და მრევლში წიგნით მოყვარეს არავინ პატიჟობდა, მაშინ ყველა ოჯახში კაცი ჩამოიარდა და სიტყვიერად აცნობებდა... გარეშეებს კი წინასწარ შედგენილი სიის მიხედვით მისამართს წააწერდნენ და განსაკუთრებულ კაცს უნდა დაერიგებინა (ცხენით თუ ფეხით). ტირილის შესაფერისი მისამართი უნდა დაეწერათ, მაგალითად, თავადს: მის ბრწყინვალებას თავადს როსტომ თავდგირიძეს, აზნაურს: მის მაღალკეთილშობილებას აზნაურს როსტომ მგელაძეს. გლეხს: მის პატიოსნებას გიორგი წულაძეს. მღვდელს: მის კურთხევას მღვდელს ივანე წულაძეს. „ჩინოვნიკ“-მოხელეს: მის მაღალკეთილშობილებას გუბერსკი სეკრეტარს ილარიონ მგელაძეს.

მიცვალებულის „სულიერი მამა“ — ადგილობრივი მღვდელიც — მოდიოდა ამ დროს და მიცვალებულის ჭირისუფლებს (მეტადრე თუ მიცვალებული „სუქანი“ იყო) ურჩევდა მოეწვიათ სხვა, მახლობელი ეკლესიის მღვდელი, ადგილობრივი ბლაღოჩინი, მონასტრიდან არქიმანდრიტი (გურიაში სამი არქიმანდრიტი იყო: შემოქმედელი, ჯუმათელი და ნათლისმცემელი — ამაღლებაში). შეიძლებოდა ისეთი შეძლებული და მასთან დიდად თავმომწონე ჭირისუფალი ჰყოლოდა მიცვალებულს, რომ ეპისკოპოსიც მოეწვია თავისი კრებულით. რაც

მეტი და რჩეული სამღვდელოება შემოსილი დაადგებოდა კუ-
ბოსთავს და „ღაღადითა“ და ლოცვა-გალობით მიცვალებუ-
ლის „წიაღთა შინა აბრამისა და განსვენებას“ ღმერთს შეს-
თხოვდა, მიცვალებულის პატივისცემაც იყო და ჭირისუფლის
საამაყოც. მაგრამ ყოველივე ამას ფული უნდოდა. უცხო
მღვდლისათვის უნდა მიეცათ ეგრეთ წოდებული „საწირავი“
2-3 მანეთი, ბლაღოჩინისათვის — 3-5 მანეთი, არქიმანდრი-
ტისათვის—5-10 მანეთი, ეპისკოპოსისათვის თავის კრებუ-
ლით — 100 მანეთი, გარდა ფულისა, საჭირო იყო ნათ-
თვის განსაკუთრებული სასმელ-საჭმელი: მღვდლებს ერთი-
მეორეში კავშირი ჰქონდათ — სხვისი ხარჯით ერთი-
მეორეს პატივს სცემდნენ, ამასაც მრევლში ვინმე გარდაე-
ცვლებოდა და სამაგიეროს გადაუხდიდა. მღვდლებს ჭირისუფ-
ლის დასტურით, მღვდელი მოიწვევდა წერილით ან სიტყვიე-
რად. რამდენიმე წლის შემდეგ შემოიღეს წერილების კონვერ-
ტებით დარიგება, ნიშნად გლოვისა კონვერტს შავ ხაზს შე-
მოაყოლებდნენ მსხვილად (ზოგი შავი ლუქითაც კი ბეჭდავ-
და) — კონვერტიან წერილს უგზავნიდნენ უფრო მოსარიდე-
ბელს, წერილის დამტარებელი არასოდეს მისამართის მიხედ-
ვით ოჯახში არ ჩავიდოდა „ჭიშკარს არ გასცილდებოდა“...
მასპინძელს იქ „გამოიხმობდა“ და გადასცემდა... ზოგჯერ
მიმღები არც კითხულობდა. წერილის მომტანიდან სიტყვიე-
რად იტყობდა შინაარსს და წერილს იქვე ხევდა-ეზოში ჩა-
ტანას „არ იბედებდა“.

წერილის დამრიგებელი ზოგიერთ შემთხვევაში წინასწარ
იყო გაფრთხილებული თუ როგორ მოქცეულიყო. მაგალითად,
გათხოვილ ქალიშვილს ატყობინებენ დედის ან მამის გარდაც-
ვალებას, ასეთ შემთხვევაში წერილის დამრიგებელი, მეზო-

ბელს ატყობინებდა — მეზობელი მეზობელს და მეზობლები მოხერხებულად, დროს შერჩევით „შეაპარებდნენ“ სამწუხარო ამბავს, „შეცხადებაზე“ მიეშველებოდნენ და კიდეც მიუსამძიმრებდნენ.

ასეთი სამწუხარო ამბავის „უცბათ დატაკება“ სირცხვილად ითვლებოდა.

კუბო. სიტყვა კუბოს თქმა ძლიერ ეზარებოდათ — ამბობდნენ მიცვალებულის „კორახი“, სახლი, ბინა. უწინ კუბო არ სცოდნიათ, ხმარობდნენ „ჯალამბერს“. ჯალამბერი საკაცეს მსგავსი სცოდნიათ (ორი მსხვილი 4—5- არშინიანი ჯოხი გაბანდული ტყიური მიწის სუროთი ვენახიან „წირეხვით“ — ღელექით) ტანგაბანილ მიცვალებულს მთლიანად შესუდრულს (ვისაც შეძლება ხელს უწყობდა სუდარს გასანთლავდა, წმინდა სანთელში ამოავლებდა და ამ „გალიყულ“ სუდარში შეახვევდა სრულიად უტანისამოსოდ) დაასვენებდნენ ზედ, საფლავში ხელით ჩაასვენებდნენ. ჯალაბერის მახსოვარი ახლაც არიან.

ჯალამბერი შესცვალა უთავო კუბოს მაგვარმა ყუთმა, უბრალო ფიცრიდან „ შეკერილმა“, ამაშიაც შესუდრულ მიცვალებულს ჩაასვენებდნენ, საფლავთან, ამოიღებდნენ და მიცვალებულს საფლავში ჩაასვენებდნენ.. კუბო-ყუთი იქვე რჩებოდა, შეიძლებოდა სხვასაც ესარგებლა. თუ არავინ ისარგებლებდა, ეკლესიის ღამის დარაჯი, ან ეკლესიასთან დაბინავებული მოლოზანი შეშად იხმარდა... ასეთი კუბო-ყუთის მომსწრე მეც ვარ. შემდეგ შემოიღეს კუბო, მაგრამ პირველ ხანებში ბევრი მორწმუნე თავის მიცვალებულს კუბოდან იღებდა და უკუბოოდ მარხავდა, სწამდა ანდერძის აგების ლოცვის ერთი ადგილი: „მიწა ხარ და მიწათ იქეცი“ და როცა ადრე

ბიწად იქცეოდა მადლად მიაჩნდა, კუბო ამის ხელის შემშლელი იყო. ამასთან ერთად გამოცდილებით იცოდნენ, რომ უკუბოოდ დამარხული მიცვალებულის ძვლები რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც „ოქროსავით“ იყო შენახული, „თეთრად კიანთობდა“, კუბო კი დიდად ამახინჯებდა — „ნიგუზალივით აშავებდა“...

კუბოს შემოღების პირველ წლებშივე — კუბოს აკეთებდნენ მთლიანი ხისას — ნავის ან ყურძნის საჭყლეტ საწნახლის მსგავსად. მოჭრიდნენ ხეს (მიცვალებულის ტანის შესადარს), მიცვალებულის სიმაღლის შესაფერად გამობარავდნენ, ერთი მხრიდან ერთ მესამედს „ჩამოიღებდნენ სიგრძის ხერხით“ — კუბოს თავათ, დიდ ნაჭერს ერთად ამოართმევდნენ გულს და, ამრიგად, ამ ვარცლის მაგვარ კუბოში მისივე თავმისადაგებულში ჩაასვენებდნენ მიცვალებულს.

ძუძუმწოვარა ბავშვებს თავისი აკვნით მიასვენებდნენ სასაფლაომდე და იქ უკუბოოდ ასაფლავებდნენ, აკვანი იქვე რჩებოდა.

რამდენიმე წლის შემდეგ მთლიანი კუბო შეცვალა დურგლის მიერ „შეკერილმა“ კუბომ... კერძო მეკუბოე სამაზრო ქალაქ ოზურგეთშიაც რომ არ იყო, ეს მე კარგად მახსოვს. კუბოს აკეთებდნენ მიცვალებულის ოჯახში — აკეთებდნენ სრულიად უბრალოს — სადას. ეკლესიიდან ქირაობდნენ (50 კაპიკად) ფარჩას და ამას გადააფარებდნენ, სილამაზის გულისათვის... შემდეგ წლებში დაიწყეს კუბოს სხვადასხვაგვარად გალამაზება და ასე წარმოიდგინეთ ზოგი კუბოსთავს პატარა-პატარა ორ სარკმელსაც კი უკეთებდა იმ ანგარიშით, რომ მიცვალებულის პირისახე გამოჩენილიყო. უწინ კი მიცვალებულის სახის დანახვა ცოდვად მიაჩნდათ... შემდეგ და შემდეგ

მიცვალებულს თავღია კუბოში ტიროდნენ, სანიტარულ-ჰიგიენის მხრივ თუ გავსჭვრეტთ, ეს რეგრესია და არა პროგრესი.

მიცვალებული კუბოში ჩასვენებამდე თბილი წყლითა და საპნით უნდა დაებანათ (მამაკაცს მამაკაცები და დედაკაცს დედაკაცები). ამ საქმეს კისრულობდნენ ხანში შესულები — სახალისო არაფერი იყო და ზოგჯერ მისი შემსრულებელი საძებარი და საქირაოც კი იყო. მეტადრე თუ მიცვალებული რაიმე გადამდები სენით გარდაიცვალა. მონასტრის ბერები და „მოსენაკე მოლოზნებიც" აკეთებდნენ ამ „სამადლო" საქმეს. გასამრჯელოთ აძლევდნენ მიცვალებულის ტანისამოსს. „ნამკვდრევი" ტანისამოსს შინაურები მაინც ვერ მოიხმარდნენ — ერიდებოდათ...

ამრიგად, ორი-სამი და ზოგჯერ მეტი დღეც სახევისთაოს ქალები და კაცები ყველა საქმობდა და ცდილობდა ტირილის დღეს არ შერცხვენილიყვნენ.

ტ ი რ ი ლ ი

ტირილის დღეს სახევისთაოს წევრები განსაკუთრებით მამაკაცები, გათენებისთანავე მოიყრიდნენ თავს და შეუდგებოდნენ თავიანთი ფუნქციების შესრულებას.

შესაწირავის მიმღებს უნდა მიეღო მთელი თითოეული წევრისაგან შესაწირავი და შეედგინა სია თუ ვინ რა მოიტანა, ღომი ღომთან ჭურჭელში ჩაეყარა, ლობიო ლობიოსთან, ღვინო — ღირსებისა და ფერის მიხედვით ორნაირ ჭურჭელში ჩაესხა — კარგი ღირსების, სამღვდელოებისა და საპატიო სტუმრებისათვის შემოენახა.

„ჩოხაო, ან ჩიხაოს“ უნდა მიეღო მთელი სურსათ-სანოვაგე და მას გამოზოგვით საჭიროების მიხედვით ეძლია მზარეულებისათვის და მერიქიფისთვის (ეს უცხო სიტყვა ახალი უნდა იყოს და ის, ალბათ, შემოიღეს „სადნიკათ“ გამყოფებმა — გერმანული „ცეჰენგაუსიდან“). პურის დამთლელის მოვალეობა იყო „თვალის გაზომვით და ხელის ცნობით“ დაეთელა — დაეჭრა „გოგორა“ პურები ერთნაირი წონის სტანდარტული ნაჭრები, ყველას ერთნაირი ულუფა, არჩიეი უნდა მოსწეოდა, გული არავის სტკენოდა... პური იმ დროს ნანატრი ხილი გახლდათ, მეტად სანუკვარი იყო ბავშვებისათვის. აბეზარსა და მტირალა ბავშვებს პურით აწყნარებდნენ... მიცვალებულის ბავშვებს, რომ არ ეტირათ, ტირილის დღეს პურს მუდამ აძლევდნენ...

მეხონჩეები. ხონჩა იყო მთლიანი, ფართო (განით არშინი და სიგრძით 2 არშინი. ფიცარი — ბოლო სწორი და ორივე მხრივ სახელურდაყოლებული). ხონჩას ირგვლივ ერთი გოჯი სიმაღლე კარბა ჰქონდა. ამ ხონჩაზე აწყობდნენ ულუფა-ულუფად დაჭრილ პურს და ის ორ მარჯვე კაცს მიჰქონდა მაღლა აწეული, მიიტანდნენ სუფრასთან და იქ გაუჩერდებოდნენ სუფრის გამრიგეს.

სუფრის გამრიგე უნდა ყოფილიყო ზრდილი, დარბაისელი, კარგი მოლაპარაკე, მისი მოვალეობა იყო ხონჩით მირთმეული საჭმლის ჩამორიგება, თავ-თავისი ულუფის ზრდილობიანად მირთმევა, ყველასათვის უნდა ჩამოერიგებინა ღირსების მიხედვით, უფროს-უმცროსის დაცვით (მეხონჩეებიც და პურის დამთლელიც ფხიზლობდნენ. დაჭრილი პურის გატაცებას ან „აცოცებას“ კარგა მოზრდილი ბიჭებიც არ თაკილობდნენ).

მესტუმრეს მოვალეობა იყო უჭმელი და „ზედაშე გადაურებელი“ არავინ დარჩენოდა. სტუმრები მიეღო, წინ გასძღოლოდა, ყველა თავის შესაფერ ადგილას „დაებრძანებინა“, ცხადია, ისიც უნდა ყოფილიყო ზრდილი და ენაწყლიანი, დარბაისელი, საპატიო კაცი — „მოსარიდებელი“.

მერიქიფეების მოვალეობა იყო ცარიელი ჭიქის ღვინით შევსება. ეს საქმე ევალებოდა საერთო სამსახურის ახლად დამწყებ ახალგაზრდობას, ასე ვთქვათ, დებიუტი გახლდათ; ამათზე უმცროსებს კიდევ ევალებოდათ:

ცხენების ჩამორთმევა. ცხენოსან მოტირალს უნდა მიგებებოდნენ, ცხენი ჩამოერთმიათ. თუ ცხენი ოფლიანი იყო, უნდა ეტარებინათ. მერმე დაებანათ, წასვლის ხანს ცხენი „მიერთმიათ“ და უზანგი დაეწიათ.

მერიქიფეობა და ცხენის ჩამორთმევაც წლოვანების ალსანიშნავიც იყო, იტყოდნენ: მე მაშინ მერიქიფეობა შემეძლო, და ეს რომ გარდაიცვალა, მის ტირილში ცხენის ჩამომრთმევად ვიყავიო.

მზარეული. მზარეულზე ძლიერ ბევრი იყო დამოკიდებული. მას შეეძლო კარგი სანოვაგე გაეფუჭებინა და, პირიქით, ამიტომ ხშირად მეორე-მესამე სოფლიდანაც კი მოჰყავდათ დახელოვნებული მზარეული, გასამრჯელოს აძლევდნენ და დამხმარეებსაც შიაპირებდნენ.

ღომის დამამზადებელი რამდენიმე კაცი იყო. ნამდვილი „ღომის“ დამზადება ადვილი საქმე არ იყო, გამოცდილება და ცოდნა სჭირდებოდა. რთული საქმე იყო „ჭურჭლის გამორწყვა“, ესე იგი, თუ რამდენი ჩაეყარა ჭურჭელში, არც მეტი (ჯარჯი) მოსვლოდა და არც თხელი გამოსვლოდა, არ უნდა დაზარებოდა ღომის რამდენჯერმე გადარეცხვა, ცეცხლ-

ზომაზე შეეკეთებინა, არ უნდა დასწვოდა, კარგად დაემუშავებინა და კარგად დაეზილა, ლამაზად ამორიგებაც უნდა შესძლებოდა. „ღომის ნათალაი“ ერთი ზომის უნდა ყოფილიყო. თითოეულ ღომის დამამზადებელს თანაშემწე ჰყავდა, კიდეც ეხმარებოდა და კიდეც იწაფებოდა.

სამარის გამჭრელი ორი კაცი კმაროდა, კუბოს ზომას აიღებდნენ და სასაფლაოზე დილის საუზმის შემდეგ წავიდოდნენ... საამისო იარაღი: ბარი, მოკლეტარიანი თოხი და ხის ნიჩაბი ეკლესიის სადარაჯოში ინახებოდა — სასოფლო იყო... სადილს იქვე მიუტანდნენ. სასაფლაო უფრო ხშირად ეკლესიის გალავანში იყო ან ნაეკლესიარზე... მიწა, საერთოდ, „ნაკურთხი“ იყო, მაგრამ წინათ ამას არ სჯერდებოდნენ და სასაფლაოს გაჭრის წინ მღვდელს მიწა უნდა ეკურთხებინა. უკურთხ მიწაში დაგმარხეო, წყევლა იყო. უნათლავი, ცოდვამოუნანიებელი და არაქრისტიანი ნაკურთხ მიწაში არ დაიმარხებოდა. ფირალად გავარდნილს პოლიცია უკურთხ მიწაში მარხავდა, მაგრამ ჭირისუფალი მოიპარავდა და ნაკურთხში დაასაფლავებდა. სასაფლაო ყველას ჯერ გვარების და მერმე თითოეული ოჯახის მიხედვით თავისი ჰქონდა, საზღვრის დარღვევა — „სხვისი წყენა“ — სასაფლაოს მითვისება არ შეიძლებოდა — უსიამოვნებას იწვევდა. იყო ასეთი მაგალითიც: ერკეთის თემის მცხოვრებმა აზნაურმა მგალობლიშვილმა გლეხს სასამართლოში უჩივლა — მიცვალებული ჩვენს კუთვნილ სასაფლაოზე დამარხაო. სასამართლომ გლეხი იძულებული გახადა რვა თვის მიცვალებული მოეთხარა და სხვაგან დაემარხა.

წასაბურავის მიმღები და მწერალი. ყველა, წერილით თუ სიტყვიერად დაპატიჟებული, ვალდებული იყო „წაებურა“,

ანუ მოეტანა „წასაბურავი“, ესე იგი, „წაქცეულ ოჯახს“ დახმარებოდა ფულით. ეს იყო „სესხი და ვალი“. წასაბურავი იწერებოდა, დასტურდებოდა მიმღების და მწერლის მიერ. მაშასადამე, ისიც ვალდებული იყო „სესხი და ვალი“ მსგავსი შემთხვევის დროს გადაეხადა, თუ მეტი არა, რაც მას მიუტანეს იმდენი მაინც. სია სიფრთხილით, ვექსილივით ინახებოდა და შემთხვევის დროს ათვალიერებდნენ და ვისაც რამდენი „წაუბურავს“ იმდენივე მიჰქონდა — ვალს პირნათლად იხდიდნენ.

სიტყვა წასაბურავი ძველი ქართულია. როგორც ზემოთ აღვნიშნე მიცვალებულს მთლიანად ბურავდნენ მარტო სუდარით. ამრიგად, სუდარა ყოფილა წასაბურავი—სახისა და სხეულის დასაფარავი — და რაკი უწინდელი მიცვალებული მხოლოდ „წასაბურს“ ითხოვდა და მეტს არაფერს, ალბათ, ამ ფულად შესაწირსაც დაერქვა წასაბურავი — სუდარის შესაძენი დახმარება. მიცვალებულის პირისახის დანახვა ცოდვად ითვლებოდა—„ქამოშას“ მოასწავებდა, „წაბურვაც“ ამიტომ იყო სავალდებულო.

„წაბურვიანი ტირილი“ ყოველთვის არ ხდებოდა, მაგალითად, მცირეწლოვანი „წაუბურავათ“ იმარხებოდა. ზოგიერთ შეძლებულ ოჯახს სასახელოდ მიაჩნდა თავისი მიცვალებული (მეტადრე მოხუცი) „ქვეყნის შეუწუხებლათ“ დაემარხა. იყო ისეთი მოხუციც, რომელიც „თავის სამარხს“ სიცოცხლეშივე უყრიდა თავს და ანდერძს ტოვებდა „წაუბურავათ“ მიტირეთო.

ზოგ შემთხვევაში მიცვალებულს „წაუბურავათ“ იტირებდნენ. მაგრამ ახლობელი მოკეთეები ნაუცბადევად „ხელს-

ქვეშ“ შეეწეოდნენ. ესე იგი, ვისაც რამდენი შეეძლო გაუხმაურებლად შეეწეოდა — არ იწერებოდა.

1905 წლის შემდეგ „წაბურვიანი“ ტირილი მოისპო. მაგრამ ტირილის ხარჯი ოჯახს თავზე მძიმე ტვირთად რომ არ დასწოლოდა, ამის ნაცვლად შემოიღეს ეგრეთ წოდებული სამარხი „კასსა“. ეს იყო დაზღვევის მსგავსი. წასაბურავის მიმღებად — (მოლარედ) ირჩევდნენ დარბაისელ მოხუცს — ანგარიშის მცოდნეს — მართალ კაცს, გვერდით მოუსვამდნენ მწერალს.

თითოეული „წამბურავი“ მიდიოდა მასთან და ვის რამდენი სურდა, ან რამდენით ვალდებული იყო, იმდენი ფული მიჰქონდა. არანათესავ-მოყვარეს მიჰქონდა აბაზიდან დაწყებული 2—3 მანეთამდე. ნათესავ-მოყვარეს კი როგორც თავი მოსწონდა 2—10 მანეთამდე. თითოეული „წამბურავი“, თუ ის გლეხი არ იყო, თავის „ღირსებას“ აქაც არ კარგავდა და მწერალს აწერინებდა სრულად მის „ტიტულს“...

„**წასაბურავის**“ სია ასე იწერებოდა:

„წასაბურავის“ სია — გარდაცვალებულის
ოთარ თალაკვაძის 1893 წელს სექ-
ტემბოის 10 მან. — კაპ.

1. აზნაურმა ივლიანე შავარდნაძემ ერთი მანეთი 1 „
2. მღვდლის შვილიშვილმა ივლიანე ჯაველიძემ
ათი შაური 50
3. სიმონ ნაცვალაძემ ორი აბაზი 40

მოლარე ფულს ინახავდა ყელზე გადაკიდებულ ყაბალახში, ან პატარა ყუთში...

„წამბურავის“ უმეტესობა ყოველთვის ცდილობდა შეემოწმებინა—სისწორით ჩაიწერა თუ არა მის მიერ „წაბურული.“

ფულის მიმღებს ჰქონდა კიდევ მეორე სია, სადაც წერდა გასავალს... მაგალითად, მასპინძლის ნებით მიეცა მღვდელს ნიკიფორე ინწკირველს საწირავი ერთი მანეთი, გაიცა სამოწყალო ერთი შაური და სხვა.

მიცვალებულის გასვენების შემდეგ ფულის მიმღები ლობიოს მარცვლების დახმარებით — მასპინძელს ანგარიშს აბარებდა... „წასაბურავის“ მიმღები შეიძლებოდა ყოფილიყო სახევისთაოს არაწევრიც, მაგრამ ერთ ეკლესიაში შემავალი.

საერთოდ, ტირილის ყოველგვარი სამსახური უმთავრესად ევალებოდა სახევისთაოს და მას დახმარებას უწევდა მთელი სოფელი — რაიმე დავალებას არავინ არ თაკილობდა. ყველა ცდილობდა რიგიანად ემსახურათ — სოფლის თავმოსაწონი — ზრდილობიანსა და მართებულ სამსახურში სოფელი სოფელს ეჯიბრებოდა... ტირილისას იკითხავდნენ როგორი ზარი იყოო, როგორი პურ-ღვინო და როგორი სამსახურიო.

„წასაბურავის“ მიტანა ტრადიციად გადაიქცა, თუ არ „წაბურავდი“ ეს იმას ნიშნავდა, რომ გარდაცვალება არ გწყენია, „შენი წაუბურავი მოვკვდეო“, იტყოდნენ და ეს ერთგვარი ფიცის მომასწავებელი იყო... ხშირად წერილობით ან სიტყვიერად დაუპატიჟებელიც კი მოვიდოდა, მიცვალებულს იტირებდა და „წაბურავდა“ ან თუ არ მოვიდოდა „წასაბურავს“ ვისიმე ხელით აგზავნიდა, სამაგიეროს გადახდაც სავალდებულო იყო.

ამასთან დაკავშირებით მაგონდება ერთი კურიოზული ამბავი. 1894 წელს გარდაიცვალა ალექსანდრე მესამე. იმ დროს ოზურგეთის მაზრის უფროსად იყო ზ. ალშიბაია, რომელმაც მოინდომა დაემსახურებინა მთავრობის მეტი ყურადღება. 4—

5 სამოსახლოს მცხოვრებლებს ერთად მოუყარა თავი. დიდის მწუხარებით გამოუცხადა, რომ — „დაობლდა მთელი რუსეთი, უდროოდ განისვენა ჩვენმა მამამ, ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ (თვითონვე ქუდი მოიხადა და ყრილობის ხალხსაც ქუდი მოახდევინა). გურულებო, შვილებო და ძმებო, ყოჩაღები ხართ და იმედი მაქვს ახლაც იყოჩაღებთ და სხვების წასაბაძ მაგალითს იზამთ, გამოიღეთ ძმებო და შვილებო კომლზე ხუთი შაური და ამით ხელმწიფე იმპერატორს ძეგლი დაუდგათ“... მოწოდებას ხალხი მდუმარედ შეხვდა... გლეხს, საერთოდ, ყოველთვის ეშინოდა მუდმივი ყოველწლიური გადასახადის, და, ალბათ, იფიქრა, რომ ეს იქნებოდა მუდმივი ბეგარა. ასე რომ ფიქრობდნენ ეს გამოამჟღავნა ერთმა გლეხმა: — „ბატონო უფროსო, ხელმწიფიზა კი არა ჩემისთანა ფეხბურდღიზა ხუთ შაურს რავა არ წავბურავთ, მარა იგი თუ ყოველ წელიწადს დაგვედვა გადასახადათ კი ვართ უკაცრავათ, მარა არ შეგვიძლია“. გლეხის სიტყვა მაზრის უფროსმაც თავისებურად გაიგო, იწყინა და მრისხანედ დაუყვირა:

— აგი რა თქვი შენ ენა გასახმობო, ერთი ხელმწიფის სიკვდილს ვერ გადავიტანთ და შენ გინდა წელიწადში თითო ხელმწიფე მოკტეს — მანამდე შენ ამოგხდა სული...

როცა გამოირკვა რომ ეს იქნება მხოლოდ ერთდროული გადასახადი, ყრილობაც დათანხმდა კომლმა ხელმწიფეს „წაბუროს“ ხუთ-ხუთი შაური.

ჭირისუფლების და მოსამსახურეთა დილის სადილი. ტირილის დღეს ჭირისუფლებს და მოსამსახურეებს საუზმის დროს სადილი უნდა ეჭამათ. იცოდნენ, რომ ვახშმობამდე ჭამის დრო აღარ ექნებოდათ. მიცვალებულის ოჯახის წევრე-

ბის გარდა ჭირისუფლად ითვლებოდნენ: განაყოფი სახლის კაცები — ბიძათაშვილები და სახევისთაოს წევრებიც. ამათ შორის მამაკაცებიდან კუბოსთან იდგნენ ოჯახის სრულწლოვანი წევრები, ქალები კი ყველა თმაგაშლილი ჭირისუფლობდა, კუბოს მახლობლად გაშლილ ნოხზე, ფარდაგზე ან ჭილოფზე ჩამჯდარი გამუდმებით და ხმამაღლა თუ არ ტიროდნენ, დროგამოშვებით რიგრიგობით მოთქვამდნენ, მაშასადამე, დილით ამათაც უნდა ესადილათ. მოსამსახურეებიც პირველ რიგში სადილს მიართმევდნენ მოტირალ ჭირისუფლებს... სულ მახლობელმა ჭირისუფალმა ქალებმა დიდი „გაპატიჟება" იცოდნენ. დიდი ხვეწნა და დარიგება სჭირდებოდათ, რომ „პირი გაეღოთ და ლუკმა ჩაეცდინათ პირში". მეტად განაზება იცოდნენ ქმრის დამკარგავებმა — ქვრივებმა — საჭმლის არჭამა უზომო გლოვად მიაჩნდათ. „რა ვქნა, მე ძაღლის დასაჭმელმა, რაფერ ვჭამო, პირი ავაფჩინო, ყორყაში გამეკეტება ლუკმა — ვერ გადავყლაპავ. — ზლუქუნით იტყოდნენ: — ვჭამ მე უბედური, გენიის ცეცხლზე გაჩენილი, მარა რომ არ მინდა"...

მოტირალი ჭირისუფლების შემდეგ ყველა მოსამსახურე ისადილებდა, 3—4 ჭიქა ღვინოსაც დალევდნენ, ადრე ადგებოდნენ და მოტირალთა პატივსაცემ საქმეს შეუდგებოდნენ.

მომსახურეებთან დილის სადილს არ ჭამდნენ მოზარეები, ხელში ჩამკიდეები, წასაბურავის მიმღები და მწერალი. ამათ აჭმევდნენ ადრე, პირველ რიგში, ტირილის ცერემონიის დაწყებამდე.

ნამდვილი ტირილი და საუკუნო გამოთხოვება. ტირილის დღეს ადგილობრივ ეკლესიაში მიცვალებულის სულისმოსახსენებელ „შესანდობარ-საცხონებელი" წირვა სავალდებულო

იყო. ცხადია, წირვას ასრულებდა ადგილობრივი მღვდელ-დიაკონი და თუ ერთი მღვდლის ნაცვლად, მღვდლის რჩევით და მიცვალებულის ჭირისუფლის თანხმობით, მახლობელი სოფლის მღვდლებიც მიიღებდნენ მონაწილეობას, მეტი სასახელო იყო, განსაკუთრებით სასახელოდ მიაჩნდათ თუ ამ წირვას შვიდი ხუცესი შეასრულებდა (ალბათ, „შვიდი საიდუმლოს“ და „შვიდი ცოდვათა მისატევებლად“ აღსანიშნავად[1]). წირვას ჩვეულებრივზე ადრე „გამოიყვანდნენ“, წირვის მომსმენი გარდა ეკლესიასთან მყოფ მესენაკე მოლოზნებისა, არავინ იყო. წირვის შესასრულებელი „ქრისტეს სისხლი“ — საზედაშე ღვინო — მიცვალებულის ოჯახიდან გაიგზავნებოდა ერთი პატარა ბოთლი, ნაწირობევს, ეკლესიის „სტაროსტა“ (მნათე) მღვდლის შესამოსელს დაკეცავდა, გამოკრავდა ფუთაში და მიჰქონდა მიცვალებულის ოჯახში, თან წაიღებდა აგრეთვე საცეცხლურს, საკმეველს, რამდენიმე ათეულ ღერ წმინდა სანთელს (სხვადასხვა ზომისა და ფასის), საეკლესიო ხუცურ წიგნს — კურთხევანს. მოგვიანებით, რუსული ეკლესიის გავლენით შემოღებული იქნა აგრეთვე საეკლესიო დროშები („წმინდანების“ სურათით და სირმიანი ფოჩებით). „საღმთო მოვალეობის“ შესრულებით კმაყოფილი „სულიერი მამების“ ხროვა, მხიარული ხორხოცით, მაგრად გაძღომისა და ფულის აღების მოლოდინში — „შავი ყორნები ლეშისაკენ მიისწრაფოდნენ“, „სხვათა ჭირი“ მათთვის ლხინი იყო — „ალილო და მოწყალეო-გაძღომისთვის ვისწავლეო“.

ოჯახში მისვლისთანავე მღვდელს ხელის საბან წყალს

---

[1] „შვიდეული“ გადაუხადე, შვიდ მღვდელს ერთად ვაწირვინეო—სასახელოდ მიაჩნდათ.

მიართმევდნენ. ამ მოვალეობას ორი ახალგაზრდა ასრულებდა: ერთს თუნგით წყალი ეჭირა — უსხამდა, მეორე პირსახოცს მიაწოდებდა. შემდეგ საპატიო ადგილას, სუფრის თავში დააბრძანებდნენ, „სამღვდელოების პატივსაცემად მათ გვერდში მესტუმრის მიწვევით დასხდებოდნენ სოფლის ბობოლები, ამათი გამასპინძლება ჩვეულებრივი ტირილის არ იყო, რჩეული კერძი და საუკეთესო ღვინო უნდა მიერთმიათ... მათი ჯდომა და პურობაც ხანგრძლივი იყო. საზოგადოთ, ტირილში მოსადილე სამ-ოთხ ჭიქა ღვინის მეტს არ სვამდა — პირველი ჭიქა იყო ღვინის დალოცვა: „დიდება ღმერთისა, ღმერთის დიდება შენ, ღმერთო შენს მოწყალებას ნუ მოგვაკლებ, ღმერთმა ყველას გაგიმარჯოს“... სუფრაზე ხუცესიც თუ იჯდა, მაშინ დასძენდნენ: „შენდობა მამაო“, მღვდელიც ეტყოდა — ღმერთმა შეგინდოს! ან „შენდობილ იყავ“, მეორე ჭიქიდან ღვინოს პურზე დააპკურებდნენ და იტყოდნენ: ღმერთმა შეიწყალოს ამ ოჯახის მიცვალებული, აცხონოს და საუკუნო სასუფეველი დაუმკვიდროს. მესამე ჭიქაზე: ამ ოჯახის მიცვალებულის დატოვებულს ღმერთმა მშვიდობა მისცეს, მოთმინება მისცეს, აკმაროს აგი ერთი და მიცვალებული არ დაავიწყოს (ესე იგი, ამაზე მეტი „გულსაწვავი“ არ მოუკლასო, გულისხმობდნენ).

მეოთხე ჭიქა იყო სამშვიდობო: ღმერთმა ყველას მშვიდობა მოგცეს. სასიკეთო საქმეზე შევყრილიყავით ამ ოჯახში.

ამის მეტი ღვინის დალევა ტირილში აიბი იყო — სირცხვილი და სიხარბე. ცხადია, თამადა არ იყო საჭირო. სუფრის რომელიმე უფროსი წევრი იწყებდა და ყველა მას ბაძავდა... ხანგრძლივი ჯდომა „გასუფრავება“ საძრახისად მიაჩნდათ. ერთი რიგი (50—60 სული) ადგებოდა, მეორე რიგი უნდა

დამჯდარიყო, ორჯერ დაჯდომა ხომ მთლად „მოკიცხვა“ (სირცხვილი) გახლდათ. სუფრაზე მიირთმევდნენ ღომს. პურს იშვიათად.

სამღვდელოება, ცხადია, აჭარბებდა, ერთიმეორის სადღეგრძელოსაც გიახლებოდნენ და თუ ღვინო მოეწონებოდათ კიდეც „ოქროპირამდე“ შეჭიკჭიკებულნი მიცვალებულის მახლობელ ჭირისუფალს გამოიხმობდნენ და მისი თანდასწრებით მიცვალებულის სულის შესანდობარს მეორედ მიირთმევდნენ. მიცვალებული თუ მოხუცი იყო, მრავალჟამიერის მაგიერ, მრავალჟამიერის ჰანგზე „საუკუნოთ იყოს ხსენება იმისი!“, „ჩააღაღადურებდენ“. მერმე თვით მასპინძელს ადღეგრძელებდნენ, შეაქებდნენ, რომ მიცვალებულს პატივისცემა, კაი პურ-ღვინო და კაი წირვა-ლოცვა გააყოლა.

„წირვის დადგომის“ რომ დაირეკებოდა, იმავე სოფლის მცხოვრები მოტირალები იწყებდნენ „ტირილში წასვლას“, ყველაზე ადრიანად მიდიოდნენ უფრო ახლო მეზობლები და უფრო დაკავშირებულნი მიცვალებულის ოჯახთან — ისეთები, რომლებიც ტირილის დღეს ოჯახს რაიმე სამსახურს გაუწევდა... ესენი მიცვალებულს იტირებდნენ შინაურულათ, უზაროთ.

ნამდვილი ტირილი, ზარით და ცერემონიით იწყებოდა „დაბალი სადილობის“ შემდეგ. ზარის მთქმელებს, ხელში ჩამკიდეებს და სხვა საქმის ამსრულებელ პირებს, სადილს მიართმევდნენ და ამის შემდეგ „ზარი აიშვებოდა“ და, თუ შეიძლებოდა ასე ითქვას, ტირილის წარმოდგენა-გათამაშებაც იწყებოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გურული ტირილი და, ისიც ზარით, ნამდვილი თეატრალური სანახაობა იყო: დრამ-მელოდრამა, ოპერა და, თუ გურულები არ მიწყენენ,

კომედიაც კი ერთიმეორეში იყო არეული. მსახიობთა როლს უმთავრესად ასრულებდნენ მიცვალებულის ჭირისუფლები, თმაგაშლილი, მჯიღისმცემელი, შავითა თუ ძაძა-ფლასით ჩაცმული კაცები — მთავარ როლებში გამოდიოდნენ. მეორეხარისხოვან როლს ასრულებდნენ მიცვალებულის ოჯახს გარეშე მყოფი ნათესავები — ქალები და კაცები. მესამეხარისხოვანი როლის შემსრულებლები იყვნენ უბრალო „ვალის მომხდელები", „ზეპირათ მოტირალები", გულს რომ არ ეწვის, გინდ მკვდარი, გინდ ცოცხალი, მისთვის სულ ერთია, იქნებ კიდეც უხარია, მაგრამ „ქვეყნის შესახედავათ" ვითომც ისიც ტირის, გლოვობს.

მე თვით ვყოფილვარ ხელში ჩამკიდებლად და ბევრჯერ შემხვეწია მოტირალი ქალი „გავიწიწები", მარა შენ მაგრად ჩამაფრინდიო... მეც მიხუმრია და მაგრათ რომ გაიწიწა, თმის დაგლეჯა ან ლოყის „დაკაწვრა" მოინდომა, არ შემიჩერებია და გამწყრალ ქალს „გადმოუჩურჩულებია: „რას შვრები შე წყეულო, ჩამაფრინდიო".

ზოგიერთი ჭირისუფალ-ნათესავი, თუ ახლო მეზობელი გარინდებულია, ჩამჯდარი ან ამდგარია, ხმას არ იღებს, ცრემლს იწმენდს, ოხრავს. მიცვალებულის პატივსაცემად მოსულები უმთავრესად სანახაობის მაყურებელი არიან. ზოგი მართლა გულით არის მოსული და მსახიობთა „თამაშს" განიცდის, მათებრ ტირის და გლოვობს, ზოგი კიდევ „მოშაირეთ", გულგრილ მაყურებლად არის მოსული, დამცინავია, მქურდავი, მეჭორე, სხვათა ტირილი მოთქმა-გოდებას ფხიზლად უყურებს, ცდილობს არაფერი გამოეპაროს, არაფერი გამორჩეს — ტირილიდან წავა და მოტირალ ქალს ან კაცს დასცინებს, „გამწარებული ჭირისუფლის ნათქვამ სიტყვას ორაზ-

როვან მნიშვნელობას მისცემს — „გადაასხვაფერებს“, გაკილავს, ტირილს სასაცილოდ გახდის, დრამას გააფარსებს... ასეთი „მატირალი“ ქალებისა და კაცების მიერ ძლიერ ბევრი ანეკდოტური სასაცილო ამბავია შექმნილი. აქ გასაკვირი არაფერია, ზოგიერთი ჭირისუფალი თუ უბრალო არა, ნათესავი მოტირალი, მართლაც, „ნაკურთხ“ მსახიობს მოგაგონებს. თუ გინდ არ ეტირებოდეს, გულს არ ეწოდეს, მაინც შეძლებს დიდი გულმოწვით იტიროს, ცრემლები დაღვაროს, ლამაზი სიტყვებით მიცვალებული შეამკოს, სიტყვები ზარს შეუწყოს — შეუხმატკბილოს. არამც თუ მაყურებელი, არამედ „ქვა აატიროს“... ბევრი ქალისა თუ კაცის შესახებ იტყოდნენ: „ისეთი კაი მოტირალია, ჯირკვი რომ იტიროს, ქვას აატირებსო“. იმისი მაგალითიც ვიცი, რომ ტყის პირად მომუშავე ყანის შუშებში გამორევია ხელოვანი მატირალი — ჯირკვისთვის ჩოხა გადაუფარებია და უტირია, ყველა აცრემლებულა და სანაძლეო მოუგია.

ტირილს თეატრალური დისციპლინაც აქვს. თავისებური წესრიგი. ზარის მოტირალი ოპერის მსახიობს მოგაგონებს... ზარი აკომპონიმენტია — „ზარი აუშვეს“. ზარის ჰანგს, მის კილოს, მოტირალმა ხმა უნდა ააყოლოს — შეუწყოს, როგორც ჩონგურის ხმას დამღიღინებელი შეუწყობს ხოლმე. ამავე დროს მოტირალი არჩევს ლამაზ სიტყვებს, მიცვალებულის კარგი თვისების დამახასიათებელს, ურთიერთშორის, ოჯახურსა და საზოგადოებასთან აღსანიშნავს, აქ შეიძლება მოტირალმა მიცვალებულის ცხოვრებიდან მოიგონოს მისი თავმოსაწონი ეპიზოდი. მოკლედ, ტირილით მოტირალი ცდილობს მაყურებლის ყურადღება და ქება დაიმსახუროს: ზარზე ხმის შეწყობით, ლამაზი შინაარსიანი და გულის ამაჩუყე-

ბელი სიტყვების თქმით, კარგი ქართულით. ამავე დროს უნდა ეცადოს „არ წამოცდეს“ და ტირილის დროს არ იხმაროს „გასაკილავი“, „უკან ჩამოსართმევი“ სიტყვები — ორაზროვანი „წალმა-უკულმა გასაგები“.

მოტირალთა შორის ყველაზე მეტად ეს ეხება ქალებს. ქალების ტირილს, მათ მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, ყოველთვის მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე კაცისას.

ამრიგად, ყველაფერი მოწესრიგებულია, მოტირალები ეზოში ჩასავალთან, ჭიშკრის მახლობლად რიგში დგებიან. ერთი ოჯახიდან ცოლ-ქმარი თუ არის მოტირალი, პირველმა ქალმა უნდა იტიროს. თუ ქალი მიცვალებულის დიდი ახლობელია, მაშინ მის ხელში ჩამკიდები ორივე მკლავში „ჩააფრინდებიან“ და თუ შორეულია და არ „იბრძვის“ — ლოყას არ იკაწრავს, თმას არ იგლეჯს, მაშინ „ფორმისათვის“ ორივე გვერდით ამოუდგებიან, წინ მოზარეები დადგებიან და „ზარს აუშვებენ“. ზარის კილოს მოტირალიც თავის „სატირალ“ სიტყვებს მიაგუებს, შეაწყობს. მაგალითად, მეზობელი ქალი ტირის ქალს — ქმარ-შვილიანს: ჩემო დესპინე, ჩემო დაია, კალმით დახატულო ქალო, აბა, შენ იცი და შენმა ქალობამ, თუ არ მემდური იმით მივხვდები, რომ შენებურა გამომეგებები, შენებურა მომაფართქალდები, ჩემი მოსლა ყოლთვის გიხაროდა, მარა ვაი, ჩემს დღეს, ვაი, ჩემს მოსწრებას, დასტურ თუ აღარ მყავხარ... მე თუ გინდა ქე მომიძულე შე ქალო, მარა შენი ნაკვდავ-ნაწყტავთ ოჯახში შენი უბედური ქმარი და შენი მარგალიტის კაკალივით ბაღნები რაფერ შეიძულე (ეს გზად, კუბოსთან მისვლამდე, კუბოსთან დაჩოქილი)... ვაიმე, ვაიმე, ამას რა ხედავს ჩემი დასავსებელი თვალები, დასტურ აღარ მყავხარ, ჩემო დესპინე, ჩემო გამორ-

ჩეულო დაია, ჩემო ქვეყნის უკეთესო... ღმერთმა გაცხონოს და შენგან განწირული შენი ბაღნების ცოდვა არ მომკითხოს... (ხელში ჩამკიდე აყენებს და ნუგეშის მისაცემად მიყავს განსვენებულის მეუღლესთან).

— რა უნდა გითხრა ძმაო ლევანტი, დესპინეს დამკარგავს ყბას ვერ მოგიქცევ. აფერი ნუგეში არ მოგეწყობა, მარა რას იზამ შე საცოდაო, მისი დატიებული ბაღნების გულიზა თავს უნდა შემოუძახო და უდედობა არ შეატყობინო, ღმერთმა გიცხონოს, ღმერთმა მოთმინება მოგცეს...

მიუბრუნდება ახლა შვილებს:

— კაი დედა გადაგეღოთ თქვენ უბედურებო, მარა რა გიეწყობა, — დედა უნდა მოკტეს და შვილი დარჩეს. უნდა ვითმინოთ და დიდმა პაწას უნდა მიხედოს, ვაი, ვაი!

„ნათლული“ როგორ იტირებს თავის „ბუდუას“ (ნათლიას).

— ჩემო ბუდუა, ჩემო ქვეყნის უკეთესო, ჩემს ოჯახში მირონის შემომტანო, ჩემო დამამშვენებელო, ჩემო სასახელოვ, ჩემო წყალობელო, კაი დღეის გათენება შენით მიხაროდა, ყორიფელს დაჭუჭკულს მიგზავნიდი, შენი ნათლულები და დედამისიც პეპელასავით გყავდა გამოწყობილი. აწი, რაღამ უნდა გამახაროს, ყორიფელი დაბნელებული და ჩალუსკუმებულია ჩემდა, ვაი, ჩემს დღეს და ვაი, ჩემს მოსწრებას. თუ მეტი დღეი არ ქონდა, უბედურ ვასკვლავზე გაჩეხილს შენს ნათრულს, ნეტაი, სულაც არ გამეცანი, ნეტაი, თვალითაც არ შენახე, ჩემდა გულის მოსახარჩავათ და გულის მოსაჭეჭკათ იყავი კაი და სახელოვანი...

ვაიმე, ვაიმე! ამას რას ხედავს ჩემი დასაფსები თვალები, ერთ სოფელში არ ეტეოდი, ორ თვალ ოდაში ვერ დაეტიე,

პალატზე ოთხთვალი ოდა დეიდგი და ახლა ამ ერთცახა[1] კონახში რაფერ ხარ, უიმე, უიმე! იმე!!...

როგორ ტირიდა გათხოვილი ქალიშვილი დედას. გათხოვილ ქალს სიფრთხილით შეუცხადებდნენ დედის გარდაცვალებას. ისიც თავის ქმარეულში შეიცხადებს, „იკივლებს, იჩხივლებს"... მეზობლებიც მოიყრიან თავს, მიუსამძიმრებენ... იქაც თათბირობენ, თუ როგორ სცენ მიცვალებულს პატივი, უმეტეს შემთხვევაში შვილს დედა ზარითა და კელეპტრით უნდა ეტირა, კიდეც „წაებურა", რაც მეტი „დამშვენებული" წავიდოდა სიძე, მისი სახელი იყო. ქალი და სიძე შავს იკერავდნენ, სხვები კი თალხს იცვამდნენ. გზა თუ 4—5 კილომეტრზე მეტი იყო გასარები, ცხენით მიდიოდნენ. მიცვალებულის ეზოს რომ დაუახლოვდებოდნენ მოტირალი ქალები (გათხოვილი ქალი, მისი დედამთილი, მული, რძალი) თმას გაიშლიდნენ... მახლობელ მოტირალს გათხოვილს ქალს ორი მარჯვე კაცი ხელში ჩამკიდე, ორივე მხრით „ჩამოუდგებოდნენ". მოესმოდათ თუ არა ტირილის ხმა, ქალიშვილიც ცხენზე იწყებდა კივილ-ჩხავილს-შეცხადებას: ვაიმე, უიმე, უიმე, ვაიმე... ცდილობდა თმა დაეგლიჯა, ლოყები დაეკაწრა, მაგრამ ხელში ჩამკიდეები ამის ნებას არ აძლევდნენ „გაკაიპებული" ჰყავდათ... უფრო დაბალი ხმით, მოთქმის კილოზე „ებანებოდნენ" მხლებელი მოტირალი ქალებიც... ეზოში შესვლისთანავე ცხენიდან ჩამოხტომაში ეშველებოდნენ და ყველა დინჯად დაიჭერდა ადგილს — ჩაირაზმებოდნენ (სხვა რიგითი მოტირალები თავის რიგს სთმობდნენ). ზარით მომსვლელებს თუ მღვდელი იახლა წინ, ჯერ ის დადგებოდა, მერმე მოზარდები, მერმე

---

1 პატარა.

მოტირალი (ქალი გათხოვილი თავისი ხელში ჩამკიდეებით, უკან დამამშვენებელი ქალები და კაცები). სულ წინ წაიმძღვარებდნენ კელეპტარს, რომელსაც დამხდურები ჩამოართმევდნენ, აუკიდებდნენ და მათ შეჰქონდათ. „ზარი აიშვებოდა“ და დედის მოტირალიც ზარს ხმას შეუწყობდა (ზოგჯერ მოტირალი მოზარეებს აფრთხილებდა, თუ როგორი ზარი ეთქვათ — მაღალი თუ დაბალი).

— ნენავ, ნენავ, ნენავ, ჩემო ჯუჯუელა, ნენავ, ვაი თუ დასტურ აღარ მყავხარ, ნენავ, ვაი თუ დასტურ მიღალატე, ნენავ, ვაი თუ დასტურ დამაობლე, ნენავ, უბედურ ბაბას, ბაბას, უშენოდ რა ეშველება, რა ეხიდება, ნენავ, შენს სიკტილს ვერ დავიჯერებ, ნენავ, არ მემეტებოდი ჯერე.

პროცესია იძვრის ნელა, დინჯი სიარულით უახლოვდებიან კუბოს — გათხოვილი ქალის დანახვისთანავე კუბოსთან ჩამჯდარი ჭირისუფლებიც იწყებენ ხმამაღლა ტირილს: „მევიდა შენგან დაობლებული, შენი ქალიშვილი, დამშვენებულათ მოვიდა, ზარითა და კელეპტრით გტირის, მარა შენ რას ხედავ“ და სხვა მსგავსი. გათხოვილი ქალი „ახლა ფაქტის წინაშეა“ იჭაჭება, იწეწება, მთელი ძალ-ღონით ცდილობს ხელები გაინთავისუფლოს და ლოყა დაიკაწროს, თმა დაიგლიჯოს... რაც შეიძლება ხმამაღლა შეიცხადებს (მესამედ), ვითომ ეს არის ახლა გაიგო: უიმე, უიმე, უიმე, ვაი, ვაი, ვაი!... დამხდურებიც შეცხადების კილოზე ებანებიან. აწი რა ვქნა, ნენავ, აწი რა ვქნა, უშენოთ აგი ოჯახი აწი რაფერ იქნება ნენავ, რაფერ შემაძულე აქაურობა, ნენავ! ნენავ! (დაემხობა კუბოს, ცდილობს კუბოს თავი დაარტყას)... ნენავ, ნენავ, ნენავ, რას მემდური, ნენავ, მითხარი რაცხა, ნენავ, ჭკუაზე დამარიგე, ნენავ, შენს ჭკუას ვენაცვალე, ნენავ. (ძალათ აგლეჯენ

კუბოს, აყენებენ, მიყავთ მამასთან, ჯერ შორიდან უსაყვედურებს):

— ბაბავ, ბაბავ, შე უბედურო, ბაბავ, რა უყავი ჩემი ნენაი, ბაბავ, რაფერ დამახვედრე, ბაბავ, მარტუაი შენ რათ მინდებხარ, ბაბავ! (ჩაეხვევა) ახლა მეცოდები, ახლა მეცეცხლები, ბაბავ, ვინ მოგხედავს აწი, ვინ მოგისტავს, ვინ შეგიკერავს, ვინ გაგირეცხს, თბილ საჭმელს ვინ გაჭმევს, ბაბავ?! იქნება მიაკელი რამე, იქნება მეინატრა რამე, მითხარი ბაბავ, ნურაფერს დამიმალავ, ბაბავ!

მამა ხან შუბლზე, ხან გულზე მჯიღს მაგრად ირტყამს, თავს უნუგეშოთ იქით-აქეთ იქნევს და შვილს ეუბნება:

— ნუგეში არ მომეწყობა, შვილო, კაი აფხანაკი დამეკარგა, სულ წარბში მიმზერდა, აფერი ვაწყეინო, მეც აფერი მომიკლია, მარჩიელი არ დამიტიებია, წირვა და ლოცვა არ მომიკლია, აფერი გამივიდა და რა ვქნა, ცავ, რა ვქნა შვილო!.. სახლიანებ ყორიფელი შამუარე თავზე, მარა დიდება მის სახელს, მაინც წამართვა ღმერთმა.

გათხოვილი ქალიშვილი ჭირისუფლებში ჩაჯდებოდა და სახლში წასვლამდე ისიც ჭირისუფალივით სტიროდა... მთელი შემადგენლობა როგორც შევიდნენ იმავე წესით უკან გამობრუნდებოდა და მეორე მოტირალით შეიყვანდნენ სიძეს, მესამეთ — დედამთილს, მამამთილს და ასე შემდეგ.

მოტირალი ყოველთვის თითო-თითო შეჰყავდათ, ჯგუფური ტირილი არ იცოდნენ. მოტირალ მამას, დედას ან სხვა მახლობელს შეყვებოდა მცირეწლოვანი, მოზარდი ახალგაზრდა, ჯერ ხამი, გამოუცდელი და ის ტიროდა ცრემლით, უხმოდ. ყველა მოტირალი რიგში ჩამდგარი გლოვის ნიშნით გულხელდაკრეფილი იდგა, ამასთან კაცები თავშიშველა.

მესტუმრე ფხიზლად ადევნებდა თვალს, ტირილს ვინც მოათავებდა ყველას მიიწვევდა „ზედაშეს გადასაშობათ“ და შენდობის სათქმელათ, ცდილობდა არვინ გამორჩენოდა... ზარით მოსულებს, ცხადია, ერთად მიიწვევდა... გათხოვილი ქალი, თუ სხვა დიდად ახლობელი ნათესავი მოტირალი გაინაზებოდა, „გაიპატიჟებდა“, მაგრამ ხვეწნა-განმარტების შემდეგ იმასაც დააჯერებდნენ, რომ ეს საჭიროა — მიცვალებულის პატივისცემა მოითხოვს. სადილის მირთმევის შემდეგ გათხოვილი ქალი (სხვა ახლობელი ნათესავ-მოყვარე ქალიც) ისევ შებრუნდებოდა და ჭირისუფლებში ჩაჯდებოდა, კიდევ ტიროდა... როცა წასვლის დრო მოაწევდა, მას ატყობინებდნენ, დროა წავიდეთო... იხვეწებოდა ცოტა კიდევ მამყოფეთ, ტირილით გავძღეო... როცა კიდევ მოაგონებდნენ წასვლის დროს, მიუჩოქებდა კუბოს და მოთქვამდა: ნენავ, უნდა გადაგიხადო მაგიერი, რავაც შენ მიმატიე ისე მეც უნდა მიგატიო, მაპატიე, ნენა, თუ რამე გაწყეინე, შენ რომ გეკადრებოდა ისე პატივი ვერ გეცი, დამლოცე, დამლოცე, ჯუჯუავ, გეცოდებოდეს შენი ნაკვდავ-ნაწყვეტი ოჯახი, უკან აღარ მეიხედო, საცოდავი ბაბაიც არ წეიყვანო, არ წამართვა და თლა ცეცხლათ არ დამტიო... შენ იქინეი სხვაიც კი დაგხთება, ჩემი უდროვოდ გამოწყვეტილი ძამიეი იქინეა, იმან მიღალატა და იმან წამართვა შენი თავი... მშვიდობით ნენა, მშვიდობით ნენა, ადრე მოგეწია შენგან დაობლებული შენი კესარიე.

ძალით „ააგლეჯენ“ კუბოს და გამოყავთ გარეთ... ეზოში გაიარ-გამოიარს და „მოუმოთქმებს“. თითოეულ საგანს, მიცვალებულის მოსაგონებლის შესაფერი სიტყვებით აღნიშნავს: ნენავ, ბატონო, ნენავ ვაი, მეოჯახე ქალო, აწი, შენ ამ სამზად სახლში ვეღარ დაგინახავ, დილაბნელზე რომ წამოხტებოდი,

დააკრიალებდი, მიაჭუჭკებდი და მერე ცეხლს დაანთებდი, უშენობით ფუტი გაცივდება, ნენავ! ქათამს ვინ დააპურებს, ტურას სისოს ვინ შეუძახებს, ტურამ და მგელმა შეჭამა შენი უბედური კესარიე... ბაღჩა ისე ქონდა შეღობილი ჩიტი ვერ ჩაფრინდებოდა შით, ყორიფელი სუნელი გქონდა შით, აწი ვინ მიხედავს, რამდენი რა ვიტირო, რამდენი რა უნდა ჩამოვთვალო, ყორიფელი შენი ხელშენარებია ჩემო ნენავ, სხვაი თვარ გეცოდებოდა, საცოდავი ბაბა რეიზა არ შეიცოდე, მარა ყორიფელი ჩემი ძამიეს ბრალია, მისმა სიყვარულმა ყორიფელი დაგავიწყა და მას მიაშურე, ნენავ...

მახლობელი ვინმე ტირილს, მოთქმას შეაწყვეტინებს: „ქაიაწი, გეყოფა, თავს ნუ გადააყოლებ, მას ვერ გააცოცხლებ და თავს ქე დეიგლახებ, მაგი არც მიცვალებულიზაა ქაი და არც ცოცხლიზა“... ისიც წყნარდება, ხმით აღარ მოთქვამს, მაგრამ ქვითინებს... მოაგონებენ, რომ თმა „დეიპწნას“, თმაგაშლილი სახლში შესვლა არ ვარგა, „საბძნილოა“... „თვალკურცხლიანიც“ არ უნდა ჩავიდეს ეზოში...

ზოგჯერ ავადმყოფ დედას გათხოვილი ქალიშვილი „თავს ედგა“, უვლიდა. დედა გარდაიცვალა — ქალიშვილი სახლში არ წასულა, დარჩა, ტირილის დღეს. სიძე დამშვენებული ზარით მოვიდა, „გათხოვილი ქალიშვილი ჭირისუფლის ადგილს ტოვებს, გამორბის გარეთ — შეუერთდება ქმარეულიდან მოსულებს და იმავე წესით იტირებს, როგორც ზემოთ ავწერე — ვითომც და ახლა გაიგო. კიდეც შეიცხადებს და კიდეც იკივლებს... თავის „როლს“ უნაკლოდ გაითამაშებს.

ქალიშვილი თუ მშობლებისავე სოფელში იყო გათხოვილი, სიძე თავს იმით მოიწონებდა, რომ მოზარეს, უცხოს — მეო-

რე-მესამე სოფლიდან მოიპატიჟებდა, დამამშვენებლებსაც „უცხო“ სოფლიდან იახლებდა.

ტირილი, საზოგადოთ, გრძელდება „მაღალ ზამლობამდე“ (სამხრობამდე) უცდიან მოტირალთა მოსვლის „მოთავებას“ და როცა უკვე მეტს აღარ მოელიან, მაშინ შეუდგებიან მიცვალებულის სასაფლაოზე გასვენების თადარიგს. ზაფხულის დიდი დღე თუ იყო, შეიძლებოდა მოტირალისათვის მეორე ჯერის ვახშამიც მიერთმიათ, უმეტეს შემთხვევაში, ერთი ჯერი იცოდნენ... როცა გადაწყდებოდა, უკვე დრო არის გასვენების, მაშინ ყველა მოსამსახურე — სახევისთაოს წევრი მამაკაცები მიჩენილ საქმეზე ხელს იღებენ, ერთად შექუჩდებიან (კოლექტიურად) წინ უხუცესს წაიმძღვარებენ და მიცვალებულს ზარით იტირებენ. ამრიგად, სახევისთაოს წევრები სამჯერ ტირიან, სამძიმარი, ტირილის დღეს დილით, და ტირილის დღეს — უკანასკნელად. ამის შემდეგ იწყება მღვდლის მიერ წესის (ანდერძის) აგება, წესის აგება ხდებოდა სახლში ან ეზოში. სახლიდან მიცვალებულის გამოსვენებისას ქალები კიდევ მართავდნენ შეცხადებისებურ კივილ-ჩხივილს: ვაიმე, ვაიმე, უიმე, რომ მიხვალ, სად მიხვალ, რაფერ მიხვალ, ვის გვიტიებ შენ მაგიერს!.. ვაი! ვაი! ვაი!.. საეკლესიო შესამოსელით შემოსილი მღვდელი (ან მღვდლები), გაჩაღებული საცეცხლურით ხელში, დიაკონისა და მგალობლების დახმარებით იწყებდა „ღვთის მსახურებას“, ყველას, ჭირისუფლებსა და სხვა დამსწრე პირებს, ხელში უჭირავთ ანთებული წმინდა სანთელი... საღმრთო წერილის ლამაზი და დროს შესაფერი სიტყვები, — ამქვეყნიური ადათების გამომხატველი, სანთლის ლიცლიცი, საკმევლის სუნი და კვამლი, თმაგაშლილი ქალების მწუხარება და მდუმარება და მეტადრე წესის აგების საგალო-

ბელი „სულთათანა განუსვენე“... მეტისმეტად გულის ამაჩუყებელი სურათია, დამაღონებელი, სევდის ამ'შლელი, ადამიანის მომშლელი—მოიშლები, სასოწარკვეთილება გიპყრობს, „კაცი ვითარცა ყვავილი ველის“ ეგრეცა აყვავდეს და ეგრეცა ჩაჭკნეს“... „ჰოი, რასა მტირით მე, გუშინ თქვენთან ვიყავი“... „ერთბაშათ წარსდგებიან წინაშე უფლისა მდიდარნი და გლახაკნი, ბრძენი და მეფენი“... გესმის მსგავსი სიტყვები და რწმუნდები, რომ დღეს ხარ, ხვალ აღარ იქნები — სიკვდილი ყველას ათანასწორებს. გალობის ჰანგიც ამ განწყობილებისაა და ამ სიტყვების შესაფერი, ის ყველაზე მოქმედებს და ასე წარმოიდგინეთ ჭირისუფალ ქალებსაც კი ამშვიდებს, აწყნარებს. „აცხონე უფალო, ღვთისმშობელო შეიწყალე“... წესის აგება თავდება მაღალი „მოხსენიებით“ მრავალჟამიერისებური გალობით: „საუკუნოთ იყოს ხსენება მისი“.

მიცვალებული სახლიდან უნდა გამოასვენოს ახლობელმა ნათესავებმა, უმთავრესად მოგვარეებმა. კუბო აუცილებლად წაღმა, მარჯვნით უნდა მოაბრუნონ და ფეხით წინ და თავით უკან გაასვენონ. წესის აგება თუ სახლში მოხდა, მაშინ მიცვალებულს ცოტა ხნით ტახტზე ან სკამებზე დაასვენებენ — ეზოდან გასვენებამდე კიდევ დაიტირებენ. ზოგი, ვისაც სასაფლაოზე გაყოლა არ შეუძლია ან ეკრძალება, აქვე გამოეთხოვება... მიცვალებულს აასვენებენ და კიდევ შეიქმნება ქალების მიერ შეცხადებისებური კივილ-ჩხავილი. გურულის თქმით, „ერთ საწყენს მეორეც უნდა მიემატოს“. მიცვალებულის ეზოდან გადასვენებამდე ეზოშივე უნდა მოეჭრათ ხე. რამდენადაც შეიძლებოდა „საწყენი ხე“, თუგინდ ეს ხე ვენახიანიც ყოფილიყო. ასე მიასვენებენ ჭიშკრამდე. ამის შემდეგ კი სასაფლაომდე მახლობელი ქალები კუბოს მოთქმით მისტირიან.

სამგლოვიარო პროცესიას წინ მიუძღოდნენ ანთებული კე-ლეპტრებით... იმას მოჰყვებოდა — „სულის საგძალი“ შაუ-რიანი პური, საგანგებოდ აცხობდნენ („საკურთხის“ პურს უძახდნენ), ბოთლი ღვინო, აღდგომის დღეები თუ იყო, მა-შინ ერთი პატარა პასქა, 1 ან 3 წითელი კვერცხი და ბოთლი ღვინო. ბავშვი თუ იყო ფოჩიან კამფეტებსაც წაუმატებდნენ. ყოველივე ეს ეწყო ფრიალ თეფშზე და ედგა მიცვალებულს კუბოს თავთან. სასაფლაოდან ყველა ეს მღვდლის საგზალი გახლდათ, მას მიჰქონდა შინ, ამიტომ იყო მღვდლის ოჯახში ყოველთვის სხვადასხვანაირი თეფშები და ბოთლები.

ჩირაღდნებსა და სულის საგზლის შემდეგ ადგილი ეჭირა შემოსილ ხუცესს...

სასაფლაოს რამდენიმე ნაბიჯით რომ მიუახლოვდებოდნენ, ეკლესიაზე სამგლოვიარო ზარს ჩამოჰკრავდნენ... მიცვალე-ბულს ეკლესიის ირგვლივ სამჯერ შემოატარებდნენ და მერმე დაასვენებდნენ სამარის პირას. სამარის დანახვაზე ქალები იწ-ყებენ კივილ-ტირილ-მოთქმას. ამ სოფლის ქალები ახლად მი-ცვალებულს ტოვებენ და მიაშურებენ თავიანთ მიცვალებულის სასაფლაოს — ჯერ კიდევ გამოუგლოველს და თავიანთ მიც-ვალებულს ტირიან, ახლად მიცვალებულის „სტუმრობას“ აც-ნობენ, ეუბნებიან, რომ ჩვენს აქაურ ამბავს ის მოგიტანსო... ბევრი მოტირალი, მეტადრე გარდაცვალებულის ახლობელი ჭირისუფალი, მიცვალებულს ტირილს არ აკლებდა, მაგრამ სხვის მიცვალებულზე მეტად თავისას ტირის, ახლად გარდაც-ვალებულს — ჯერ კიდევ დაუმარხავს — ბევრგან დავალებას აძლევს. მაგალითად, ასე: „შენ იცი და შენმა ქალობამ ჩემთ კესარია, დაიავ, ჩემს საცოდავ ბაღანას თუ მიხედავ და საი-ქიოს ჩემს მაგივრობას უზეამ, კი გიცნობს მისი ჭირიმე, შენი

ძუძუ ნაჭამია, მოგეფართქალდება და შენც მეესიყვარულე, უთხარი, რომ ძაღლის დასაჭმელი დედამისი ქე იარება ფეხზე, მარა დღეი და ღამე მტირალი არის, მარა სიკვდილს არ ეღირსა თქვა"...

„საზომისაებრ ჩემისა მადლისაგან ნიჭისა და ხელმწიფებისა, ყოვლად წმინდისა და ცხოველისა სულისა მიერ მოცემულისა, მაცხოვრისა ჩვენისა იყო ქრისტეს მიერ საღმთოთა და სამღვდელოთა თვისთა მოწაფეთა და მოციქულთა, შეკვრისა და გახსნისა ცოდვითათვის კაცთა, რომელსა რქვა მათ მიიღეთ სული წმინდა, რომელთა მიუტევნეთ ცოდვანი — მიუტევნენ მათ და უკეთუ ვიეთნამე შეიპყრენით — შეპყრობილ იყვნენ, ხოლო რაოდენნი შეჰკრათ და გახსნათ ქვეყანასა ზედა იყავნ შეკრულ და გახსნილ ცათა შინა. ხოლო მათ მაგივრად მათ მიერ ჩვენდა ერთი ერთ არს მიცემულისა მადლისა მიერ იყავ შენდობილ სულისა მიერ წმინდისა, საყვარელო შვილო (სახელი, მაგალითად, პეტრე), რაოდენი სცოდე წინაშე ღვთისა ვითარცა კაცმან ხორციელმან: სიტყვით, საქმით და გონებით, ნებსით და უნებლიეთ და ყოვლითავე სახითა უკეთუ წყევასა და შეჩვენებასა ღვდელმთავრისასა, გინამმღვდლისასა შთავარდი, ანუ დედისა, ანუ მამისა, ანუ თავით თვისით კრულ იქმენ, გინა თუ ფიცსა გარდახველ, ანუ ჟამთა ვითარებისაგან სხვათა ცოდვათა შინა შთავარდი ვითარცა კაცი და იგი ყოველივე სულიერსა მამასა შენსა აღუარე და მის მიერ მოცემული კანონი გულითა კეთილითა შეიწყნარე და აღასრულე ამათ ყოველთა კრულებათაგან ხსნილ იყავნ და განთავისუფლებული და შენდობილი, ყოვლად ძლიერისა ხელმწიფებისა და მადლისაგან სამღთოსა და თაყვანის საცემლისა სულისა მიერ და რაოდენი დაგავიწყდა ვერ აღიარე ყო-

ველივე შეგინდვეს მოწყალემან ღმერთმან თვისით კაცი მოყვარეობითა, მეოხებითა ყოვლად კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა ღვთის მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამ მისათანა და წმინდისა მოციქულისა სწორისა ნინოსითა და ყოველთა წმინდათა მისთათა—ამინ".

ეს იყო ცალკე ფურცლად, ხუცური ასოებით დაბეჭდილი, მიცვალებულის „საიქიოს პასპორტი-საგზური". ქაღალდის ამ ფარატინას წყალობით „ქრისტეს მოადგილე" ხუცესს ნება ეძლეოდა მიცვალებულისათვის ყოველივე შეცოდებანი შეენდო—ეპატიებინა. ეს კი ჯდებოდა სულ რაღაც ერთი მანეთი (შენდობის წიგნის ფასი 1 მანეთი იყო). ამის წაკითხვის შემდეგ კუბოს თავს დასჭედდნენ და მიცვალებულს საერთო ტირილსა და ქვითინში საფლავში ჩაუშვებდნენ.

ყველას „სამადლოთ" მიაჩნდა თითო პეშვი მიწა მიეყარა, რის შემდეგ ქალებს საფლავს აშორებდნენ და მამაკაცები სამარეს მიწით ავსებდნენ და ფეხებით მაგრათაც სტკეპნიდნენ. სამარის სიღრმე სავალდებულო იყო კუბოს სიგრძის. თმაგაშლილი ქალები იქვე, ეკლესიის გალავანშივე თმას „დაიპწნიდნენ", ნამტირალევ თვალებს ამოიწმენდდნენ და წყნარი ნაბიჯით უხმოთ სახლისაკენ გაეშურებოდნენ... გზაში „წატირება" და ოჯახში ტირილით მისვლა არ შეიძლებოდა. სასაფლაოზე გამყოლთა ნაწილი თავიანთ სახლებში წავიდოდნენ, ნაწილი კი — სახევისთაოს წევრები, მოსამსახურეები და ოჯახის წევრები — მიცვალებულის სახლში ბრუნდებოდნენ, ეზოში ჩასვლისთანავე მათ „მაკავით" (ღვინით) ხელს დააბანინებდნენ, ივახშმებდნენ და თავიანთ სახლებში წავიდოდნენ.

თმაგაშლილი ვინც ტიროდა, უმთავრესად კი ვინც ჭირისუფლად იჯდა, „ნაჭირისუფლევი" თმა შინ მისვლისთანავე

უნდა დაებანა, უნდა გაერეცხა აგრეთვე „ნაკურცხლი“ ცხვირსახოცი.

მიცვალებულის დამარხვამდე მეზობელი ქალი თავს არ დაიბანდა, თუ შუაზე გამქარვანე მდინარე არ ჩამოდიოდა.

მეზობელს არ შეეძლო აგრეთვე საკრავს ჩასჯდომოდა. სწამდა, რომ მიცვალებული იტყოდა: „მოისტი და მოიკერე“, „დაიბან-დაირეცხე და უკან მომეწიე“.

პირველი შვილის დამკარგავი დედა შვილს სამარის კარამდე ვერ მიაცილებდა, თუ გზაზე მდინარე ჩამოდიოდა, მიაცილებდა მდინარის პირამდე და უკან დაბრუნდებოდა. მიცვალებულის ოჯახში უნათლავი ბავშვი თუ იყო მიცვალებულის ეზოდან გადასვენებამდე უნდა მოენათლათ, სწამდათ, რომ ბავშვის უნათლობა მიცვალებულს „ცოდვათ მოეკიდებოდა“.

ტირილიდან სხვის ოჯახში გამოვლაც „საბძნილო“ იყო.

სულის ახსნა

გურულის რწმენით, მიცვალებულის სული, სანამ მას „სულს არ აუხსნიდნენ“, დაბმული იყო, არც სამოთხეს იყო და, არც ჯოჯოხეთს. საზოგადოდ, სულის ახსნა ხდებოდა მესამე დღეს, დღეებს შორის სულისათვის ყოველთვის ამჯობინებდნენ შაბათს, სამშაბათს, ხუთშაბათს და კვირას. დანიშნულ დღეს, მღვდელს წინა დღით უგზავნიდნენ საზედაშე ღვინოს და სანთელ-საკმეველს. მღვდელიც მიცვალებულის სულის საოხ-შესანდობარს სწირავდა და წირვის შემდეგ მიდიოდა მიცვალებულის ოჯახში. სულის ახსნის მსხვერპლი— ხვარადი, უფრო ხშირად იყო ცხვარი, მაშასადამე, მღვდელს უნდა დახვედროდა მიცვალებულის სახელზე დამზადებული

„საკუთარი“ ცხვრის ხორციდან ხარჩო და მოსათალი ხორცი, წვნიანი ქათამი, შემწვარი ქათამი, ღომი, ხაჭაპური და მშრალი პური. ყველა ამას მღვდელი დააკურთხებდა — გადაიხდიდა მცირე პანაშვიდს, ლოცვაში მიცვალებულს მოიხსენიებდა და ღმერთს შესთხოვდა „რათა დაამკვიდროს სული მისი წიაღსა შინა აბრამისასა — საცა მართალნი მისნი მკვიდრ არიან“... ლოცვისა და საკმევლის თითოეულის მიერ დაკვეთის შემდეგ მღვდელი მოჭრიდა ხორცის ნაჭერს, მარილზე დააწებდა და თითოეულ ჭირისუფალს პირში ჩაუდებდა... ზოგი „საბძნელი, კევატი“ ქალი გაჯიუტდებოდა, არ მიიღებდა, მას არწმუნებდნენ, რომ ამით ის მიცვალებულის სულს ამძიმებს და სანამ მის ხორცეულს არ ჭამს, მიცვალებულის სული დაბმულია და ყოველდღე რომ მის საფლავზე ულუფას გადადებენ, სულის ახსნამდე ის მიცვალებულს არ არგია. ძალით ჩასჩრიან პირში, ისიც დაიწყებდა უმადოდ ღეჭვას, გული აერეოდა და პირიდან ლუკმას გადააგდებდა, მაგრამ ფორმალურად მაინც იყო „სული ახსნილი“... ზოგი კი მადიანად ჩალუკმავდა... ამ ცერემონიის შემდეგ სუფრა გაიშლებოდა და სადილს შეექცეოდნენ... ზოგიერთი ჭირისუფალი, უმთავრესად დედა ან ცოლი, სუფრაზე მაინც არ ჭამდა ხორცეულს, ყველსა და კვერცხს სჭამდნენ, ზოგი კიდევ შეპატიჟების შემდეგ მიირთმევდა, ცხადია, სუფრაზე მიცვალებულის სულის შესანდობარს პირველად მიირთმევდნენ.

ზოგ მიცვალებულს, მეტადრე მოხუცს, სულის ახსნის საკურთხს დასაფლავების დღეს გაუკეთებდნენ და სულს იმავე დღეს ვახშამზე აუხსნიდნენ — წირვა კი შეიძლებოდა „ნისიათ“—რამდენიმე დღის შემდეგ ეწირა მღვდელს. საკურთხი და „არჩივი“ — მღვდელს შინ წასაღები კერძი (ცხვრის თავ-

ფეხ-ტყავი, ცხვრის კარგი ნაჭრები, მოხარშული შემწვარი ქათამი და ხაჭაპური) — ავანსად ჰქონდა მიღებული. გარდა ამისა, მას აძლევდნენ ფულით საწირავს ათი შაურიდან ერთ მანეთამდე. მარხვაში სულის ახსნის წირვას გადაიხდიდნენ, მარხვის შესაფერ საკურთხსაც შეაძლევდნენ. ზოგი მიცვალებულს თუთუნით სავსე ქისას დაუკურთხებდა, მონადირეს — თოფს და იარაღის მოყვარულს — ხმალ-ხანჯალს.

არჩივი, საკურთხი და აღაპი

40 დღემდე სასაფლაოზე საკურთხის გატანა არ იცოდნენ, სამაგიეროდ, მიცვალებულის სახელზე ყოველდღე, ყოველ იჯრაზე, ესე იგი, ყოველ სადილ-ვახშამზე, „ოზანდარაში“ (კედელზე მიშენებული კარადა—წალოსებური) დგამდნენ მიცვალებულის არჩივს —ულუფას, ჯერს, ანუ მის იჯრას... მათხოვარს ან მგზავრს თუ შეხვდებოდნენ არჩივს სიამოვნებით მიართმევდნენ, და თუ არა, მაშინ სადილის არჩივს ვახშამზე დახარჯავდნენ, ვახშმისას — სადილზე. ამრიგად, კერძი მიცვალებულს მუდამ ედგა 40-მდე. მეორმოცე დღეს „გადაიხდიდნენ“, არჩივთან ერთად დგამდნენ ერთ ჭიქა წყალს ან ღვინოს, ბავშვის რძეს. მეორე ტირილს — ეგრეთ წოდებულ „გამოტირილს“ და ამის შემდეგ თავთავის დროზე არჩივს შესცვლიდა საკურთხი. სწამდათ, რომ მიცვალებულის სული საჭმელს ითხოვს, ამიტომ მიცვალებული უპატრონოდ თუ არ არის, მას საჭმელი არ უნდა მოაკლდეს. საკურთხი არჩივთან შედარებით უფრო მსუქანია. არჩივი ერთი სულის ულუფაა, საკურთხი — რამდენიმე სულის, თან საჭმლის მხრივ მრავალფეროვანია, რაც მიცვალებულს სიცოცხლეში უყვარდა, ან

ივიწყებდნენ. მიცვალებულმაც საკურთხი მეორე საკურთხამდე უნდა გამოიზოგოს და თუ მიაკლდა მისივე მდგომარეობაში მყოფი მეზობლიდან „ისესხოს“... საკურთხის და არჩივის მიკლება დიდ ცოდვად მიაჩნდათ... ზოგ ჭირისუფალს ან ჭირისუფლის მეზობელს, სიზმარში მიცვალებული „გამოეცხადებოდა“ და უსაყვედურებდა: „შიმშილით მკლავთო“.

საკურთხის დღედ შაბათი იყო მიჩნეული, მიცვალებულის ჭირისუფალიც ცდილობდა წლამდე ყოველ შაბათს, ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო, სასაფლაოზე გაეტანა საკურთხი. უჭირისუფლო გადასულ მიცვალებულის სახელობაზე „თავის სულის სამადლოთ“ ზოგჯერ არა ნათესავი, არამედ მიცვალებულის ნაცნობი ამზადებდა საკურთხს. შორს (მეორე კუთხეში ან მაზრაში) გათხოვილი ქალიშვილი ან ახლო ნათესავი თავის საყვარელი მიცვალებულის სახელზე აკეთებდა საკურთხს ან თავის ოჯახში მიიწვევდა მღვდელს და დააკურთხებინებდა, ან თავის ეკლესიაზე გაიტანდა.

გარდა უბრალო შაბათისა, საკურთხის სასაფლაოზე დაკურთხება სავალდებულოდ მიაჩნდათ: ხორციელისა და ყველიერის შაბათს („დაუწყების“ შაბათს), დიდი მარხვის პირველ შაბათს — თედორობა დღეს, ბზობის წინა შაბათს — ლაზარობას, აღდგომას ლიტანიაზე, სულთა დღეს (სული წმინდის მოფენის დღეს) და შაბათს, 25 დეკემბერს. ამ დღის ნაკურთხები განსხვავებული უნდა ყოფილიყო. ყველა დროს საკურთხებიდან გამორჩეული უნდა ყოფილიყო აღდგომის საკურთხი. 48 დღის ნამარხულები ხალხი აღდგომას „გაიხსნილებდა“, და ეს გახსნილება ხდებოდა სასაფლაოზე, ამიტომ მიცვალებულის თავმომწონე ჭირისუფალი მიცვალებულს დაუკურთხებდა შემწვარ მთელ გოჭს, ბატკანს, ქათამს, პასქას, რამდენიმე

ცალ წითელ კვერცხს (უსათუოდ, კენტ რიცხვს), დიდი დოქით ღვინოს. არაყის, კონიაკის და სხვა ამგვარი სპირტეულის დაკურთხება არ იცოდნენ და ეს, ალბათ, აიხსნება იმით, რომ საკურთხი როცა შემოიღეს არაყს მაშინ არ ხმარობდნენ, ზოგიერთ საფლავზე დადგამდნენ მოგრძო სუფრას და, როცა მღვდელი საკურთხს აკურთხებდა, ეკლესიაზე მყოფ მლოცველებს ყველას ეპატიჟებოდნენ გაეხსნილებინათ და მიცვალებულის შესანდობარი ღვინო დაელიათ. აღდგომის ლიტანიაწირვა შუაღამეზე იწყებოდა და მთელი სასაფლაოც წმინდა სანთლის სხივებით „გადაკაშკაშებული იყო". არ დარჩებოდა არც ერთი საფლავი, არც ძველი და არც ახალი, გაუნათებელი და უსაკურთხო.

საკურთხის ნაწილი (ზოგჯერ უმეტესი) მიჰქონდა მღვდელს, მის დიაკონს და მნათეს. აღდგომისა და შობის საკურთხი მღვდელს იმდენი შეხვდებოდა, რომ ზოგჯერ ორი კაციც ძლივს წაიღებდა სახლში. მღვდლის ოჯახში ძლიერ ხშირი იყო საკურთხის ჯერი. ამიტომ ძლიერ ხშირად ხუცის შვილებს საკურთხით გაზრდილებს ეძახდნენ.

აღნიშნულ დღეებში საკურთხი სავალდებულო იყო წლამდე, აღდგომისა და შობის საკურთხი კი (პასქა და ღვეზელი) უვადო გახლდათ — პეპერასაც კი მოიგონებდნენ.

მიცვალებულის სულის საოხი და მისი ხსოვნის პატივისცემა იყო კიდევ აღაპის. გამართვა, აღაპის გადახდა. აღაპი ბერძნული სიტყვაა (სიყვარულის ინახი) — ჩვენებური ქელეხია, განსხვავება მათში ის არის, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ქელეხი გარდაცვალებულის დასაფლავების დღეს იცოდნენ, გურიაში კი აღაპი მიცვალებულის დასაფლავების რამდენიმე ხნის შემდეგაც შეიძლებოდა გადაეხადათ, ერთი

წლის შემდეგაც. უწინდელი აღაპის მიზანი იყო გლახაკთა, მათხოვართა, ხეიბართა და მშიერ-მწყურვალთა გაძღომა და მათთვის მოწყალების მიცემაც კი.

დროთა ვითარებაში აღაპმაც სახე იცვალა და აღაპზე მაძღრებსაც კი პატიჟებდნენ, აღაპის გადახდა უმთავრესად იცოდნენ მოხუცი ქალისა და კაცისათვის, უძეოდ და უმკვიდროდ „გადასულისათვის“. აღაპს საჭმელ-სასმელის სიუხვე ამშვენებდა და აღაპზე მაგრად გაძღომა არავის არ ეთაკილებოდა, „ისე გავძეხი, როგორც აღაპშიო“, იტყოდნენ შემთხვევის დროს. „შენს აღაპზე გავძეხიო“, ცალი ყბით ეტყოდნენ მოხუცს. მოხუცი ამას არ იწყენდა და უპასუხებდა: „გაგიგონა ღმერთმაო“. აღაპი არც ლხინ-ღრეობა იყო და არც გლოვა-ტირილი. ერთიც იყო და მეორეც — ნარევ-შეზავებული, ერთიმეორეზე გადაბმულ-ჩასკვნილი. აღაპზე საეკლესიო გალობა-ძლისპირი ითქმოდა, „საუკუნოდ იყოს ხსენება მისი“ დააგუგუნებდნენ, გრძელ მრავალჟამიერსაც დასჭექდნენ და ხასანბეგურასაც შემოსძახებდნენ, თოფსაც ისროდნენ და ფიშტოც ბევრჯერ გავარდებოდა. ამრიგად, აღაპი გლოვის „გამოსათავი“ იყო. მიცვალებულს საუკუნოდ ხსენება, საიქიოს განსვენება, ცოცხალს მრავალჟამიერ დღეგრძელობა და კარგად ყოფნა, ეს იყო აღაპის მრწამსი და გლოვის დასასრული, ლხინის დასაწყისი.

მომსწრე ვარ რამდენიმე, ასე ვთქვათ, ავანსი აღაპის. მაგალითისათვის დავასახელებ ერთს, 1904 წელს, ქ. ოზურგეთის მცხოვრებმა, ოზურგეთის საკრებულო ტაძრის მნათემ მაქსიმე ურუშაძემ თავისთავს და მის მეუღლეს გადაუხადა სანაქებო აღაპი, საკლავიც დაკლა, ხუცები, ბერები და მონოზნები მიიპატიჟა, საწირავ-სალოცავი გასცა, მათხოვარ-გლახაკებს

სამოწყალო უბოძა — მეზობლები და ნათესავ-მოყვრები მოიწვია. თამადამ, როცა მისი და მისი მეუღლის შესანდობარი დალია „საუკუნოთ იყოს ხსენება მისი“ მგალობლებს თვით მიეშველა — „მიებანა“. ფიშტო თვითონ გაისროლა და ამ 90 წლის მოხუცმა კიდეც იცეკვა და მისი „ბალიშის მოზიარეც“ აცეკვა. აღაპის დასასრულს შეზარხოშებულ სტუმრებს დიდი მადლობა გადაუხადა და ყველას უთხრა, რომ ის სიკვდილის შემდეგ ტირილსა და გლოვას არავის ავალებს: „თქვენ იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ, მე კი ჩემი არჩივი ქვეყანა მოვჭამეო“... წლისთავზე გარდაიცვალა.

გამოტირილი

გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს იცოდნენ მიცვალებულის „გამოტირილი“. გურულის რწმენით, 40 დღეს მიცვალებულის სული თავის ოჯახს არ სცილდება, საუკუნო ადგილას არ ბინავდება. 40 დღის შემდეგ კი გაფრინდება, ოჯახს მოშორდება, გამოტირილი რომ 40 დღის შემდეგ მოხდეს, მიცვალებულის სული ვერ გაიგებს, „დაიბნევა“, ამიტომ გამოტირილის 2—3 დღით დასწრება შეიძლებოდა, მაგრამ გადაცილება კი — არა. გამოტირილი, ასე ვთქვათ, პატარა შემოკლებული ტირილი იყო. დანიშნულ დღეს მოიწვევდნენ ახლობელ ნათესავ-მოყვრებს და ახლო მეზობლებს. მღვდელს წინასწარ ატყობინებდნენ, რომ მან იმ დღეს მიცვალებულის სულის მოსახსენებელი სწიროს. მოწვეული პირები დილიდანვე იყრიან თავს ოჯახში. წირვის გამოსვლის დროს ყველანი სამგლოვიარო ტანისამოსით და „მოწყენილი სახით“ მიდიან სასაფლაოზე, თან მიაქვთ მიცვალებულის ტანისამოსი — ნიშანი,

შაგალითად, კაცისათვის ჩოხა-ახალუხი, ქალისათვის კაბა. ეკლესიას რომ მიუახლოვდებიან, იწყებენ ტირილსა და მოთქმას... ტანისამოსის წამღები მოტირალთა პროცესიას წინ გაუსწრებს და წინდაწინვე მოსუფთავებულ საფლავს გადააფენს ნიშანს. ყველანი მოვლენ ამ ნიშანთან, ზოგი მიუჩოქებს, ზოგიც ჩაჯდება და ხმამაღლა ტირიან, გოდებენ და მოთქვამენ, ნიშანზე ხელს უსობენ, ესიყვარულებიან. კაცები ადრე მოათავებენ ტირილს, ქალები კი ნახევარ საათს (თუ მეტს არა) ტირიან, ისე როგორც ნამდვილი ტირილის დღეს. მიცვალებულის ცხოვრებიდან იგონებენ სხვადასხვა ეპიზოდს, აძლევენ მიცვალებულს 40 დღის ანგარიშს, უამბობენ, თუ რა მოხდა მისი სიკვდილის შემდეგ, ვინ როგორ იტირა, ვინ რა პატივი სცა და სხვა.

შეიძლება რაიმე საპატიო მიზეზით ნამდვილ ტირილს ვერ ეაესწრო, სულ ახლო ნათესავი — და, ქალიშვილი, დედა — ასეთები ძველ ვალსაც იხდიან, „ორმაგად" ტირიან, შეიძლება საფლავთან მისვლის ხანს კიდეც იკივლოს, შეცხადების ინსცენირება გააკეთოს, ლოყების დაკაწვრა და თმის დაგლეჯაც მოინდომოს....

გამოტირილი გათავდება, მღვდელი საფლავზე მცირე პანაშვიდს გადაიხდის და ყველა სახლისაკენ ამავე წესრიგით წავა, როგორც ტირილის დღეს გვაქვს აღწერილი... სახლში ყველას მიერთმევა დროს შესაფერი სადილი, ტირილზე ცოტა უკეთესი და ამ სადილზე ღვინოც მეტი დაილევა და პურობაც მეტი ხანგრძლივი იქნება, ვიდრე ნამდვილ ტირილში. თუ მიცვალებული „დრომოჭმული" იყო, შეიძლება ყველასათვის თუ არა, უმეტესობისათვის გლოვაც გამოტირილით გათავდეს (ზოგი შავს 40 დღემდე ატარებს).

საზოგადოთ, 40 დღემდე მიცვალებულის გლოვა ყველა მეზობელმა იცოდა, მით უმეტეს სახლევისთაომ. გლოვის მიზეზით არ შეიძლებოდა მომხდარიყო ქორწილი, ნათვლა, დღობა და სხვა ამგვარი, რაც გამომწვევი იყო ლხინისა და სიმღერის. წარმოიდგინეთ, ნადიც რომ ყოლოდა მგლოვიარე მეზობლის მორიდებით ყანურ სიმღერასაც არ იტყოდნენ. თუ დაემთხვეოდა ასეთი შემთხვევა, მაგალითად, გათხოვ-მოყვანა, რომლის გადადება აღარ შეიძლებოდა, მაშინ შემთხვევა „როყიოთ“ სადად ჩაიარდა — არ იმღერებდნენ. ზოგჯერ მიცვალებულის ჭირისუფალს მოციქულს მიუგზავნიდნენ, ბოდიშს მოიხდიდნენ და სიმღერის ნებართვას მოითხოვდნენ. ასეთი შემთხვევაც ვიცი, მიცვალებულის მეზობელს მეზობლის მიცვალებამდე ქორწილი ჰქონდა დანიშნული, მიცვალებული დაიმარხა, ქორწილის გადადება არ ხერხდებოდა. მიცვალებულის ჭირისუფალი თვით მიდის და აძლევს წინადადებას ქორწილი არ მოშალოს, კიდეც ილხინონ და კიდეც იმღერონ — ეს მას არ ეწყინება. ერთი სიტყვით, ერთიმეორის პატივისცემა დიდი ჰქონდათ — ჭირი და ლხინი საერთო საქმე იყო. სხვა შემთხვევის მოწამეც ვარ. კაცს ქორწილი აქვს, მგლოვიარე მეზობელს ჯერ 40 არ გადაუხდია, ქორწილში მსახურობს... მისი მორიდებით სიმღერას არ ამბობენ. მეფე-დედოფლის სადღეგრძელო დაილია და ეს მგლოვიარე კაცი, შავით მოსილი მრავალჟამიერს იწყებს, ამით ის ლხინის ნებას იძლევა და სხვები მადლიერები, სიმღერაში ჩაებმებიან და განაგრძობენ; თვითონ კი მეტს არ მღერის. გამოტირილის შემდეგ მღვდელს აწირვინებენ „ოჯახის სამშვიდობოს“ — ეს გვიკმარე აწი „მშვიდობა ჩამოგგვარეო“. რასაკვირველია, ეს წირვა კარგი სადილის გარეშე არ იქნებოდა.

ზოგჯერ სხვადასხვა მიზეზის გამო არ მოხერხდებოდა ბუნებრივი ტირილი, ტირილი კი აუცილებელი იყო და სხვა დროს უნდა გადაეხადათ, თუგინდ რამდენიმე თვის შემდეგ. ტირილის გადადების მიზეზი სხვადასხვა გარემოება შეიძლებოდა. მაგალითად, გარდაცვალების მიზეზი იყო ყვავილბატონები, ან წითელბატონები, ან სხვა რამ გადამდები სახადი. იმავე ოჯახში სხვაც არის ავად, ამის მიზეზით ტირილი უნდა გადაედვათ — ვიდრე ოჯახი ასე თუ ისე ზომიერ კალაპოტში არ ჩადგებოდა. მეორე მიზეზი შეიძლება ყოფილიყო მიცვალება უცხო მხარეში, შორს, საიდანაც მიცვალებულის ოჯახში მოსვენება ჭირისუფალს არ შეეძლო. მესამე მიზეზი იყო — დიდი თოვლი, გზების შეკვრა. ასეთ შემთხვევაში მიცვალებულს მიწას მიაბარებდნენ უტირლად, ტირილს კი მოხერხებულ დროს გამართავდნენ.

ტირილი რომ სანახაობა იყო, თვით ეს გამოთქმაც ადასტურებს — ტირილის გამართვა. კაი ტირილი გაუმართა მის მიცვალებულსო, კაი გამართული ტირილი იყო, იტყოდნენ. და რომ ტირილი თეატრალური იყო, ამას ქვემოთ აწერილი, ეგრეთ წოდებული ნიშნით ტირილი, სავსებით ადასტურებს. რამდენიმე ხნით გადადებული ტირილის საბადლოდ იბარებს ნიშნით ტირილს, ნამდვილი ტირილის დროს მოტირალი ტიროდა ნამდვილ ცხედარს. ნიშნით ტირილის დროს კი მიცვალებულს ტიროდა წარმოდგენით, მიცვალებულის ნიშნით.

როგორც ნამდვილი ტირილის შემთხვევის დროს სწორედ იმგვარად მოიწვევდნენ ნათესავ-მოყვრებს და მეზობლებს,

ისევე იყო ხარჯი და ყოველგვარი ცერემონია, მიცვალებულის მაგიერ კი იყო მისი ნიშანი, მისი მსგავსება და ხატება, ისლით ან ღომის ჩალით გააკეთებდნენ ფიტულს, ჩააცმევდნენ „ნამკვდრევ“ ტანისამოსს, ფეხსაცმელსაც კი, ცდილობდნენ მიმსგავსებული პირის სახეც გაეკეთებინათ, ფიტულს „დაასვენებდნენ“ ლოგინზე — ორივე ხელში წმინდა სანთელს ჩაუდებდნენ და ამ მიცვალებულის მსგავსებას — ნიშანს — ისეთივე ხმით, მოთქმით, შეცხადებით და ზარითაც კი ტიროდნენ, როგორც ახლად გარდაცვალებულს და „ჯერ კიდევ არ გაცივებულს“. ეს სავსებით ჰგავდა გადადებულ წარმოდგენას. ზოგისათვის კი არა, მაგრამ უმეტესობისათვის მიცვალებული გამოგლოვილია, სულ არ არის „ტირილის გუნებაზე“, ხოლო რაკი „ბილეთი შეძენილი“ აქვს ვალს იხდის და ხელოვნურად, არტისტულად ტირის... ცხადია, ნიშნით ტირილი, რაც უნდა ეცადონ ისე „გულმოწვით“ და ცრემლით არ შეიძლება „გაითამაშონ“, როგორც ეს შეიძლებოდა ნამდვილ ტირილში.

მაგონდება ასეთი კურიოზიც. სოფელ სურებში ყვავილით მკვდარს ნიშნით ტირიან... ტირილი მოთავდა. „მიცვალებული“ სახლში მარტო ასვენია. განის კარიდან სახლში ხბო შევიდა და ნიშნიდან ჩალა გამოძურწა და ჭამა დაუწყო... პატარა ვაჟმა შენიშნა და უფროს ძმას დაუძახა: „ბიჭო, გადენე ფხოი, თვარა ქე შეჭამა ბაბაიე“. ბოლო წლებში ფოტოგრაფიული სურათების გავრცელების შემდეგ, მიცვალებული თუკი იყო გადაღებული, ნიშნად ფოტოგრაფიულ სურათს ხმარობდნენ.

ტირილის „გადადება“ და ტირილის ეპიზოდები

მიცვალებულის ტირილი სავალდებულოდ რომ იყო მიღებული, ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, ასეთი თქმა, დაწ-

ყველა: შენი უტირალი ღმერთმა ნუ მომკლას, შენი ტირილის ღირსი არ ვყოფილიყო, ისე მომკვდარიყავ, არავის ვეტირო. ამრიგად, მიცვალებული ეტირებოდა თუ არ ეტირებოდა, ჭირისუფალსაც უნდა ეტირა და მეზობელ-ნათესავ-მოყვარესაც. ზოგჯერ ეს ტირილი რომ ფორმალური იყო, ჩვევა-ტრადიციის ასრულება შემდეგნაირად მტკიცდება. აღვნიშნავ მომხდარ ფაქტს.

ახალი წლის წინა დღეს — „ცხემლის ჭრას"—გურულისათვის ბედობა დღეს, სოფელ ჭანჭათში გარდაიცვალა მოხუცი დედაქალი. გურული გაფაციცებით ემზადება ძველი წელი მშვიდობით გაისტუმროს და ახალს მხიარულად შეეგებოს, ტირილს ვერ „დაიბედებს", „იბრძნის". მისი რწმენით, კალანდას თუ ატირდა, მთელ წელიწადს ტირილში გაატარებს, ამას თავის ოჯახს ვერ „დაუბედებს". არც თვითონ წაიმწარებს ამ დღეს და არც მეზობლებს „წაამწარებს"... ლხინი, სიამოვნება, დღესასწაულის მხიარულად გათენება „მოსასწრებია", არ გადაიდება, მიცვალებული კი ხომ „არ გაიქცევა", მის ტირილს მერეც მოასწრებს, ოჯახის დიდი ხნის ნაამაგარ „დედაბრის" სიკვდილს მთელი ოჯახი „მდურეთ" შეხვდა, ხმა არ ამოუღიათ. სამზადი სახლის უკნიდან მოდგმულ „საფურეში" დაასვენეს. და „შემცხადიების" ნაცვლად საკალანდო ღორს კისერში დანა „გაუღიტინეს" და ააჭყვირეს. კარგი დღეები ჩვეულებრივად, სიმღერით, ქეიფით და თოფის სროლით გაითენეს და ნათლისღების მეორე დღეს, ესე იგი, ერთი კვირის შემდეგ, შეიცხადეს, როგორც ახლად მიცვალებული. მიცვალებულის ასე ხანგრძლივ შენახვას ხელს უწყობდა თოვლი და მკაცრი სიცივე. მეორე მაგალითი. ქ. ოზურგეთის მცხოვრებ ი. ნ. ხავთასს ქალიშვილის ქორწილი აქვს დანიშნული. სეფა გაკეთე-

ბულია. მოსაწვევი ბარათები დარიგებულია. საკლავი დაკლულია... ქორწილის წინა დღით უეცრად გარდაიცვალა ოჯახის ერთგული წევრი, ხავთასის ახლობელი ნათესავი — სირინოზი (ურუშაძის ქვრივი). კრინტი არავის დაუძრავს... მიცვალებული გადამალეს. ნაყიდი თოვლით შეინახეს, ქორწილი გადაიხადეს, ცხადია, ქორწილს რომ შეშვენის ისეთი ლხინით. მეორე დღეს სეფა აიღეს, ყველაფერი „მიაჭუჭკეს" და სირინოზი „შეიმცხადეს" და დიდის „გულმოწვით" იტირეს, გარდაცვალებიდან მე-5 დღეს.

სხვადასხვაგვარი ტირილი

ტირილის პირველი მუხლი, შესავალი — დაწყება არის „შეცხადება". ეს ქალების საქმე არის (ვიცი ისეთი შემთხვევაც, რომ ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა, ოჯახში მარტო ერთი ქალი იყო, მეზობელი კაცები კი ბევრი, ამ ერთ ქალს შეცხადებაში ქალური ხმის მიმსგავსებით აყვნენ კაცები — მიეშველნენ, მაგრამ ეგ იშვიათი ამბავია). როგორც თვით სიტყვა გამოხატავს შეცხადებით, ხმამაღალი უტექსტო, უსიტყვო კივილ-ჩხივილით, მეზობლებს უცხადებს, ატყობინებს ავადმყოფის სიკვდილს. ტირილის ეს ერთი „სანახაობა" მეტისმეტად მკაცრია, გულის მომკვლელია, გამგონეს შიში და ძრწოლა ეუფლება.

მეორე არის ხმით ტირილი, მოტირალი უზაროთ ან ზარზე ხმის შეწყობით, ლამაზი და შესაფერი სიტყვებით, გამოხატავს მიცვალებულის ცხოვრებაში დამოკიდებულებას მასთან და აღნიშნავს, ზოგჯერ დიდი გადაჭარბებითაც (მიცვალებულის კარგ მხარეებს, კარგ თვისებას).

მესამე არის მოთქმით ტირილი, ტირილის ეს სახე დინჯია, დარბაისლური, „სულდათქმული“, იგივე ხმით ტირილის მაგვარია, მოთქმას ზარი არ სჭირია, მოთქმაც ქალების საქმე არის. მოთქმის თითოეული სიტყვა წინასწარ მოფიქრებულია, აწონილ-დაწონილი, დინჯად და გრძლად გამოთქმული... ზოგჯერ რომელიმე მოტირალი ჯერ ხმით იტირებს და რამდენიმე ხნის შემდეგ „მუუთქვამს“. მოთქმა იცოდნენ სულ ახლო ნათესავებმა: ქვრივმა, ქალიშვილმა, ნათლიდედამ, დამ და სხვებმა. მოთქმა საჯაროთაც იცოდნენ და ერთპიროვნულიც, საჯაროს უსმენდნენ, პირველი გაჩერდებოდა — სხვა დაიწყებდა... მოთქმით ჭირისუფალი თავის მიცვალებულის მთელ ბიოგრაფიას მოყვებოდა, აცნობებდა მსმენელებს ავადმყოფობას, როგორ უვლიდნენ, რა ზომები მიიღეს გადასარჩენად, რას ჭამდა, რას ნატრულობდა, რა დაიბარა და სხვა. დასაფლავების შემდეგ ოჯახში და სასაფლაოზე მიცვალებულის ტირილის დროს, სხვა მიცვალებულს, მეზობელს ან ნათესავ-მოყვარეს თავის მიცვალებულსაც „წაატირებდა“, მოთქმით ახლად მიცვალებული დავალებას აძლევდა გადაეცა ესა თუ ის ამბავი ოჯახში მომხდარი· განსაკუთრებით გამოტირალამდე ქვრივი ქალი ან შვილგარდაცვლილი დედა ხშირად მოთქვამდა... უბრალო რამ მიზეზი კმაროდა რომ მოთქმით ნახევარ საათს ეტირა. მოვიყვანოთ მაგალითი.

ქვრივი ქალის მოთქმა

(ჩავა ეზოში, თვალს გადაავლებს ქმრის ნამოქმედარს — „ხელშენარებს“ — აუჩუყდება გული და მოთქვამს).

მე უ...ცე...ცხლოთ დაამწვარი, უმდუღროთ მოხარჩული, მე უწყლოთ დამრჩვალი, მე უდანოთ დაკლული, მე ყველა ქალში გამოწყვეტილი, რაფერ ვარ და რაფერ მიდგია სული შენს დამკარგავს, რაფერ მზიდავს მიწაა?! კაი რომ იყავი, დაყურსული ოქრო რომ იყავი, ახლა მივხთი მე უბედური... ჯერ კიდევ შენით უდგია სული შენს უდროოთ მოძულებულ ცოლ-შვილს... ყორიფელი კაი ნახელავი იცოდი... შენი გალობილი ლობე წაიქცევა, შენსავით მაგრათ ვინ დაასობს სარს, ან შენსავით ლობეს თავს ვინ მუუხოვს. საზამთრო შეშას კვირკობისთვის გაგანია სიცხეში მეიხაზირებდი, ლოჯეში მიაყუდებდი, ხეზე მიაყუდებდი, დაასაყადელებდი... ნალიას გააძიძგინებდი, ხულას დაბეკნიდი, ჭურებს გააფსებდი, ხარი კაი გყავდა და ურემი... „სედლოიანი“ ცხენით გიორგობას რომ შინ წამიყვანდი, ხატს მომალოცვიებდი, აწი რა მეშველება, აწი რა მეხიდება... რაფერ გიყვარდი და რაფერ მომიძულე, ძაღლის საჭმელათ რაფერ გამიმეტე შენ სულგანათლებულო, მარა ჩემი ცოდვა საიქიოს რავა მოგასვენებს, მე კი დამჩაგრე, ჩამაბნელე და ჩამალუსკუმე, მარა წასაწყმედათ მაინც ვერ გაგიმეტებ გულო... (სიტყვა გულოს — ყოველ წინადადების ბოლოს ამბობს).

ამას გარდა იცოდნენ კიდევ უსიტყვო და უხმო ტირილი „კურცხლიანი ტირილი“ და გულამომჯდარი ზლუქუნით ტირილი... ზოგი (უმთავრესად კაცები) ტიროდნენ მარტო ცრემლით, უტექსტოთ, ზოგს კი გული ისე ეწოდა, რომ ცრემლსაც აფრქვეკდა და ქვითინსაც იწყებდა... ეს იყო მოზარდი თაობის საქმე — ტირილის „დებიუტანტები“... მაგრამ, ცხადია, კურცხლით ტირილი იყო წრფელი, უხინჯო...

კაცს „ყველაზე გამორჩეული და სასიკეთო“ მეგობარი, ამხანაგი (თუგინდ ეს ყანის მოზიარეც ყოფილიყო) კაცი გინდ ქალი რომ მოუკვდებოდა, მას ტიროდა „ჩამხრული“, მარჯვენა მკლავს სავსებით გაიტიტვლებდა, პერანგის, ახალუხის და ჩოხის სახელო „ეკონწიალებოდა“, ტიტველ მარჯვენას გულზე დაიკრეფდა და ისე ტიროდა. ეს იყო იმისი ნიშანი, რომ მიცვალებული მისთვის იყო „მისი სალოცავი მარჯვენა ხელი“ — ყველაფრით დამხმარე და თანამგრძნობი და მისმა სიკვდილმა მას „მარჯვენა გაუკავა — შეახმო“. ტირილსაც ამისი შესაფერი სიტყვებით იწყებდა:

„ჩემო მარჯვენა ხელის გამხმობო, შენ იყავი ჩემი მარჯვენა ხელი, მე შენით მედგა სული, აწი მარცხენა ხელით მე რალა უნდა გავაკეთო“. ეს იყო ძველად, მაგრამ ამისი მახსოვარი ახლაც არიან. ტირილის ეს სანახაობა, მართლაც, რომ ტრაგიკული იყო... მე ვფიქრობ, რომ სიტყვა „ჩამხრული“ დამახინჯებულია და უნდა იყოს ცალმხრული—ცალი მხარით. „ჩამფხურით გიტირიესო“ წყევლით ახლაც იტყვიან.

დაქირავებული მოტირალი, ანუ ვექილობით ტირილი

ძველ დროს, ჩემს მახსოვრობამდე, სცოდნიათ მოტირალის დაქირავება — დაქირავებული ქალები, ქალის მაგივრად იტირებდნენ, კაცი—კაცის მაგიერ. ზოგისათვის ეს პროფესიად გადაიქცა, მცირეოდენ გასამრჯელოს იღებდა და სხვის მიცვალებულს, სხვის მაგიერ ტიროდა და, ალბათ, აქედან წარმოიშვა გურიაში დიდად გავრცელებული ანდაზისებური თქმა

„ყველას სატირალს ცენტერაძის მოლოზანი ტიროდაო“... დროთა მსვლელობაში, სასამართლოების შემოღების გავლენით დაქირავებული მოტირალი შესცვალა ვექილობით მოტირალმა, რაც არსებითად ერთი და იგივეა. ვექილობით მოტირალი „რწმუნებას — ვექილობას“ რამდენიმე პირისაგან ღებულობდა. შეყვებოდა ზარს, იტირებდა ერთის მაგიერ, გამობრუნდებოდა და რამდენიმე ხნის შემდეგ — მეორის ნაცვლად. თუ როგორ ეტირა, რა სიტყვები ეთქვა, ამის დავალებას აძლევდა მარწმუნებელი, ვექილიც დახელოვნებული იყო და თუ ახალს არ მიუმატებდა, შეალამაზებდა, არას მოაკლებდა... ზოგჯერ მის მაგივრად მოტირალს თვით უსმენდა და თუ ტირილი მოეწონებოდა ორშაურს, აბაზს ზედმეტს აჩუქებდა. ვექილის გამოგზავნა იცოდა აგრეთვე ავადმყოფმაც, ან ისეთმა, რომელსაც არ ეხერხებოდა ტირილში მისვლა... ვექილი ტირილის დაწყების წინ აცხადებდა, თუ ვის მაგივრად ტირის, ვინ არის მისი „მარწმუნებელი“. მიცვალებულის ტირილის შემდეგ ჭირისუფალიც მარწმუნებლის სახელით მიუსამძიმრებდა, თავის კლიენტს ბოდიშს მოუხდიდა, აღნიშნავდა, თუ რა მიზეზით თითონ არ ტირის მისი მარწმუნებელი. ვექილის „ნავექილევი“ (გასამრჯელო) აბაზიდან ათშაურამდე იყო. წინათ იცოდნენ აგრეთვე ჩამკიევლებელი ერთი ან ორი-სამი ქალის დაქირავება და ტირილში თან წაიყვანდნენ. ჩამკიევებელი მიყავდა ახლობელ ნათესავ-მოყვარეს, კივილ-ჩხივილი იგივე შეცხადების მსგავსია, უსიტყვო. კივილით მოტირალი ხატავს თავის უსაზღვრო მწუხარებას. ეს არის, ასე ვთქვათ, პირველხარისხოვანი გლოვის გამომხატველი. ეს რომ ასეა, ამას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ყველა მიცვალებულს არ „იმცხადებენ“, არ კივიან.

ბრძანებით ტირილის ერთი მაგალითი ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, როცა მოვიხსენიეთ გენერალ ტოლმაჩოვის სატრაპულო ამბავი... გენერალი პოლიციური რეჟიმის უფროს-მბრძანებელი იყო. პოლიციაზე უფრო ადრე გლეხობას გენერალ-ბრძანებელი ჰყავდა ფეოდალები, ბატონები. ბატონყმობის დროს ქალბატონები, თავად-აზნაურის ცოლები თავიანთს მიცვალებულის ტირილსა და გლოვას ბრძანებით ავალებდნენ ყმა გოგო-ქალებს, თვითონ ნერვებს არ იშლიდნენ. ყმებს კიდეც უხაროდათ ბატონისა თუ ქალბატონის სიკვდილი, მაგრამ ისინი ვალდებული იყვნენ კიდეც ეკივლათ, კიდეც ეტირათ, შავიც კი ჩაეცვათ და თუ ყმა ქალები თმას დაიგლეჯდნენ და ლოყას დაიკაწრავდნენ — სისხლს იღებდნენ, მით მეტი ერთგულის სახელს დაიმსახურებდნენ. ჩემთვის მომსწრე ყოფილ ყმებს უამბიათ შემდეგი: თავად თავდგირიძის ქალბატონს ძმის გარდაცვალება შეატყობინეს... „კნეინამ“ ყმა გოგოს უბრძანა: „გადი, გოგოვ, გარეთ, შე სასიკტილევ და ხმამაღლა გადაიკივლე — გუგუნავასაკენ — (თავადებია) და ყველას შეატყობინე ჩემი საყვარელი ძამიკოს სიკვდილი — აბა, ჩქარა, სიკვდილი იქნას შენი და არგადარჩენა“. გოგოს მეტი რა გზა ჰქონდა, დაემორჩილა და ბრძანება შეასრულა — გავიდა ეზოში, შედგა მომაღლოთ, შეტრიალ-შემოტრიალდა და დაიკივლა: „გოგოვ, გუგუნავასაკენ გადაიკივლე, გოგოვ, შალიკაშვილისაკენ გადაიკივლე, ვაი და უი ჩემს ქალბატონს საყვარელი ძმაი მოუკტა-თქო (ხმის დაწევით), მარა არც მეტირება და არც მეკივლება, უი, უი“, თითები ლოყაზე ჩამოისვა.

ტირილი იცოდნენ არამც თუ ნათესავ-მოყვრის, მეზობლის და ნაცნობის, არამედ სრულიად უცნობი გადამთიელი, „გამრები-მეშაირეც“ კი ტიროდა მათთვის სრულიად უცნობ მიცვალებულს... მგზავრიც, გურული სამეგრელოში, ან პირუკუ—მეგრელი გურიაში, ტირილს ჯერ შორიახლოდან „წაიყურებდა“, გაიგებდა მიცვალებულის სახელს და შემდეგ ისიც „დიდი გულმოწვით“ იტირებდა, დაისვენებდა — სადილს სჭამდა და კმაყოფილი თავის გზას გაუდგებოდა... ცხადია, ეს ეხერხებოდა კაცებს და არა ქალებს.

მართალია, ეს მარტო გურიას არ ეხება, მაგრამ სასურველია, მომავალი თაობისათვის აღინიშნოს, რომ ხელმწიფის სიკვდილის გლოვა ყველა მისი ქვეშევრდომისათვის სავალდებულო იყო. გლოვის შავი ნიშანი კი უნდა ეტარებინათ მოხელეებს, არამც თუ დანიშნულ მოხელეს, არამედ ხალხის მიერ არჩეული მამასახლისიც ატარებდა გლოვის ნიშანს.

მიცვალებულის „საიქიოს წასადგომი“ პატივისცემა

საიქიოს ცხოვრება, სამოთხე და ჯოჯოხეთი, ცხონება და წაწყმედა გურულებს სწამდათ. მართალი, კარგის მოქმედი, მონათლული, ყოველ წელიწადს აღსარებათქმული, დაზიარებული, მარხვის შემნახავი, მისი აზრით, ცხონებულია, ამის წინააღმდეგ მოქმედი კი წაწყდება. ცხონებულის განსასვენებელი ადგილი სამოთხეა, „საცა არის ნეტარება და ცხოვრება დაუსრულებელი“, წაწყმედილები ჯოჯოხეთში ჩაცვივდებიან, კუპრის ცეცხლში იხრაკებიან, საუკუნო სატანჯველში ჩავარდებიან, ცხონებულის — სამოთხის მეთვალყურენი და მასიამოვნებლები არიან ანგელოზები, ჯოჯოხეთის შვილები კი —

სატანისა და ბელზებელის ხელში მყოფნი — ეს სხვადასხვა „ხარისხის“ ეშმაკები არიან მათი მუდმივი ჯალათები. ყველა ეს კი იმისი დამამტკიცებელია, რომ გურულს სწამდა სულის უკვდავება და ეს სული კი „საიქიოს“ ან ცხონებული უნდა ყოფილიყო, ან წაწყმედილი ცხონება და „საუკუნო სასუფეველში განსვენება“ კი შეეძლო ლოცვასა და ღვთის ვედრებას, ყველა იმ საღმრთო წესების შესრულებას, რაც დადგენილი იყო „უმაღლეს სამღვდელოთა“ კრების მიერ. ყველა იმისი ჩამოთვლა თუ რა წესები ჰქონდათ ხუცებს ქრისტიანის მიერ სავალდებულო ასასრულებელი — შორს წაგვიყვანს.

სულის უკვდავებას, გურულს რომ სწამდა, ამტკიცებს სხვადასხვანაირად გამოთქმული ფიცი: დედის სულს გეფიცები, სული ნუ წამიწყდება, ისე ღმერთი ჩემს სულს გაანათლებს და სხვა. კიდევ საუბარში ჩასართავი თქმა: ნეტარება მის სულს, ღმერთმა გაცხონოს და საუკუნო ნეტარება მოგცეს, სამოთხის ღირსი ქალია, ჩემი მადლი გაცხონებს, ჩემი ცოდვა წაგწყმედს, ჯოჯოხეთის ღირსია და სხვა. გურულის სული „ეშმაკის არჩივი“ რომ არ გამხდარიყო და „სამოთხის ნეტარება არ დაკარგოდა“, ამისათვის ის სიცოცხლეში მეცადინეობდა, „სულის დასამძიმებელი საქმე“ არ ჩაედინა. მეტადრე, ხანში მესულები ცდილობდნენ სამოთხის ღირსი გამხდარიყვნენ: „აწი რაღაი დროის ჩემი ხორცზე ფიქრია, მე აწი სულის საქმეზე უნდა ვიფიქროო“ — იტყოდა მოხუცი... ხორცის სიამოვნება, ფუფუნება, განცხრომა, არშიყობა, ცრუობა, ქურდობა, კაცის კვლა, მარხვის გატეხვა, დათრობა და სხვა ამგვარი „სამაცდურო“ საქმე იყო. კარგი ყოფაქცევის ქალისა თუ კაცის შესახებ იტყოდნენ: „ცოცხლითაი სამოთხის ღირსიაო“, ისევე იტყოდნენ ბოროტის, თავკერძა

ადამიანის შესახებაც: „ცოცხლითაი ჩავარდება ჯოჯოხეთშიო“.

ჯოჯოხეთის „კერძათ“ მიაჩნდათ „პურხაგი“, ძუნწი, უპურმარილო, სტუმრის მოძულე. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან მეტად გაგრძელებულ „საიქიოს“ ამბავს: ჯოჯოხეთში ჩავარდნილ დიასახლისს ხელში უჭირავს გახურებული კეცი და ხელდამწვარი ცდილობს კეცი კაბის კალთით დაფაროს, დამალოს, არ გამოაჩინოს... მისებრი „წაწყმედილები“ ეკითხებიან, თუ რა ცოდვის გამო არის დასჯილი... დედაკაცი აღიარებს, რომ მან მშიერი მგზავრი — სტუმარი არ მიიღო, „ცეცხლიდან გახურებული კეცი გადმოდგა და დამალა — არაფერი მაქვს გამოსაცხობიო, და ამიტომ კიდეც დეისაჯა“.

ასევე წაწყმედილად მიაჩნდათ „მირონის მოღალატე ნათლულთან“ მოარშიყე, ამის შესახებ, როგორც „ფაქტი“ ასე მიამბეს: ერთი კაცი იმედაშვილი — ნათლიდედასთან „შემცდარა“, როცა გარდაცვლილა, მისი საფლავი უჩვეულოდ გაზრდილა — ეს იმის ნიშანი იყო, რომ ცოდვილი მიწამ არ მიიღო, მოუთხრიათ და აღმოჩენილა, რომ მიცვალებული მეტისმეტად „გარუმბებულიყო“, გაბერილიყო, „მიწის სამძიმრათ“ გამხდარიყო... მიცვალებულისათვის თავი მოუჭრიათ, „გარჯღაში შემოუდვიათ“ (ფეხსა და ფეხსშუა) და ისე დაუმარხავთ.

სტუმართმოყვარეობის დასამტკიცებლად მოვიყვან გურულების ერთ დამახასიათებელ ცრუმორწმუნეობას: სტუმრის წასვლისთანავე სახლი არ უნდა „დაეხვეტათ“, თორემ სხვა სტუმარი ადრე არ მოვიდოდა, სახლს თუ მოგვიანებით მიალაგებდა, მისი რწმენით, ახალი სტუმარიც ადრე მოვიდოდა.

ვინც სიცოცხლეში ვერ მოასწრებდა „ცოდვების“ მონანიებას, მისი სულისათვის უნდა ეზრუნა მის ჭირისუფლებს,

ქოს გამარჯვებას ულოცავენო აღფრთოვანებული შესძახებდნენ: ჰო, ჰო, ჰო, ჰო!.

იმის დასამტკიცებლად, რომ ეს სიმღერა ბატონების საწინააღმდეგო იყო, უნდა დავსძინო შემდეგი:

ნადი მუშაობის გათავების შემდეგ სავახშმოდ მიდიოდა მასპინძლისას. წასვლის წინ ბევრი ჭალანგრით თოხს ლოპირავდა. მასპინძლისას მივიდოდნენ ნადურის სიმღერით და თოხებით, მიადგებოდნენ ეზოში რომელიმე ხეს, რომელიც თოხებით უნდა მოეთხარათ. რაც უფრო დიდ ხეს (ზოგჯერ ვენახიანსაც) არ დაინდობდნენ, წააქცევდნენ, მით უფრო სასახელო იქნებოდა. ეს იყო ბატონების მოთხრის დამახასიათებელი მოსაგონარი.

ნადური გურულს იმდენად უყვარდა, რომ კალანდას (ახალ წელს), გურულისათვის ყველაზე მეტად „ბედობა“, დღეს, წირვის გამოსვლისას და „შელუღის“ შემდეგ, ეკლესიის გალავანში აუცილებლად უნდა ემღერათ ყანური და ამით შრომა და მტერზე გამარჯვება „დაებედებიათ“.

ყანის დამუშავებას გურული უნადოდაც მოერეოდა, მაგრამ თუ მგლოვიარე არ იყო, იგი ყანას სიმღერით — ნადურით ამუშავებდა, თუგინდ ნადის გამასპინძლება ნაშრომზე მეტი დაჯდომოდა. ნადი და ნადური სიმღერა იყო, მუშურ-გლეხური გართობა, მეჯლისი, გლეხური ბანკეტი — ვაზაფხულის მიგებებასთან დაკავშირებული შრომისა და გამარჯვების ჰიმნით. ნადი ამავე დროს ქეიფისა და გართობის მიზეზთაგანი ხდებოდა. თუ ნადი გყავდა და მეზობელს არ დაპატიჟებდი, იწყენდა, კაცად არ ჩამაგდო, იტყოდა. ზოგს კი დაპატიჟებაც არ სჭიროდა. ყანური შემოესმოდა თუ არა, სული წასძლევდა, თავის ყანას მიატოვებდა და ნადს შეუერთდე-

ბოდა. ნადზე ისევე სიამოვნებით მიდიოდნენ როგორც ქორწილში, რასაც გურული დროსტარებად თვლიდა, ამას ადასტურებს ის, რომ ნადში მყოფს მეორე დღეს კითხავდნენ: გუშინ ნადში რომ იყავი, როგორი დრო გაატარეო.

კარგი ყანური ოთხ კილომეტრზედაც ისმოდა. ყველა მშრომელს უხაროდა, მოხუცები მომღერლებს ლოცავდნენ, მოთაღრეები, მახლობლად მომუშავეებიც მადლიერნი იყვნენ, რადგან იმ დღეს მეტის ხალისით მუშაობდნენ.

თუ ისე დაემთხვეოდა, რომ მოთაღრეებს ერთსა და იმავე დღეს ჰყავდა ნადი, მაშინ რიგრიგობით მღეროდნენ — ერთი რომ ისვენებდა, მეორე მღეროდა. სიმღერას ერთიმეორეზე გადააბამდნენ არა მარტო მოთაღრეები, არამედ ერთი სოფელი მეორეზე.

ხშირად ნადში საჭიროზე მეტი ხალხი მოიყრიდა თავს. მაშინ მასპინძლის ყანას რომ მორჩებოდნენ, მოთაღრის ყანაში სიმღერით გადავიდოდნენ, ოღონდ კი ემუშავნათ, და ყანა ვის ეკუთვნოდა, ამას არ დაგიდევდნენ.

ნადი ნათესაობა-მოყვრობისა და მეგობრობის გამოცდაც იყო. მეგობარი თავის მეგობარს ან ნათესავ-მოყვარეს დააველებდა ამა და ამ დღეს ნადი მომგვარეო. ნადის რიცხვი ისაზღვრებოდა მომღერლების მიხედვით, ერთ პირ ნადში 8—12 კაცი შედიოდა, ორ პირში — 16—24, ხშირად უფრო მეტიც. ეს მასპინძელმა თავიდანვე იცოდა და რომ არ შერცხვენილიყო, გამასპინძლების თადარიგს წინასწარ ვარაუდობდა.

სოფელ ნაგომრის ახლოს, მდინარე სუფსის პირად, კარგა მოზრდილი სახნავ-სათესი ჭალაა, რომელსაც დღესაც „კორძაიას სვრელს“ ეძახიან. ჭალის სიგრძე 5—6 კილომეტრი, ხოლო სიგანე 1—2 კილომეტრია.

სხვადასხვანაირი წირვა-ლოცვით; საკურთხებით, მოწყალების გაცემით, მონასტრებისა და ეკლესიების „შეწევნით“ და მიცვალებულის სახელით, სხვადასხვაგვარი კეთილი საქმით. მიცვალებულის სული უნდა დაეხსნა წაწყმედისაგან, ხუცების დაწესებული კანონით მიცვალებულს ცოდვა სიკვდილის შემდეგაც შეენდობა, ეპატიება, თუ მას ჭირისუფალი არ მოაკლებს წირვა-ლოცვას და სხვა საღმრთო საქმეს. ცხადია, ამით ხუცები ჯიბეს ისქელებდნენ, რადგან ყოველივე სულის საცხონებელი ქრთამი ან თვითონ უნდა აეღოთ, ან მათი შუამავლობით გაცემულიყო.

გურულის რწმენით, ბავშვი (5—6 წლამდე) უნათლავათ თუ არ მოკვდებოდა — ანგელოზი იყო და სამოთხეშიაც ანგელოზებში შეერეოდა — ცხონებულზე ცხონებულად ითვლებოდა, მისი ტირილიც ცოდვა იყო, ღმერთი იწყენდა ანგელოზად არ გაიმეტესო. ასე „პირდაპირ“ ცხონებულად მიაჩნდათ ტყუპი შვილების დედა, მას საიქიოს ანგელოზი შემოეყრებოდა და პირდაპირ სამოთხეში შეიყვანდა, ღვთისმშობელს წარუდგენდა და მოახსენებდა: „აჰა, მოვიდა ორთა მშობელი და ორთა გამზრდელიო“. გარდაცვალებულის პირველსავე ღამეს მიცვალებულს თავს დაუდგამდნენ ანთებულ წმინდა სანთელს და თავზე უნდა დასდგომოდა დიაკონი (მომავალი ხუცესი), რომელსაც კალ ხელში ეჭირა წმინდა სანთელი, მეორეში — საღვთო წიგნი დავითნი (ფსალმუნი), კითხულობდა, ხმამაღლა „ღაღადურით“. იწერდა პირჯვარს და „აკეთებდა მეტანიას“ (დაჩოქება ორივე მუხლებზე, ადგომა და კვლავ დაჩოქება რამდენიმეჯერ — 3-ჯერ, 9-ჯერ და ზოგჯერ 40-ჯერაც). დავითნში არის ერთი ფსალმუნი „მოწყალე ღმერთო“. ამის წაკითხვის შემდეგ 40-ჯერ უნდა ეთქვა უფა-

ლო შეგვიწყალე“ და 40-ჯერ გაეკეთებინა მეტანია. ეს უნდა დაეცვა ზუსტად, მოკლება ან მიმატება ცოდვად ითვლებოდა (უფალო შეგვიწყალე — ბერძნულად, „კირიელეისონ“ — თავშესაქცევი ცმული, გიშერი, ქარვა ან სხვა რამ, რომელსაც ჩვენ ვეძახით კრიალოსანს — კირიელეისონიდან არის წარმომდგარი, მორწმუნეს რომ ზედმეტი ან ნაკლები „უფალო შეგვიწყალე“ არ ეთქვა, ამიტომ ხელში ეჭირა 40-მარცვლიანი ცმული, თითოეულ კირიელეისონზე თითო მარცვალს ჩააგდებდა, ცმული გათავდებოდა და ზუსტად 40-ჯერ იყო წარმოთქმული ლოცვა). მარჯვე მკითხველი ზამთრის ღამეში სამჯერ „დაათავებდა“ დავითნს. გასამრჯელო ეძლეოდა იმის მიხედვით, თუ რამდენჯერ „დაუთავებდა“. ამ გასამრჯელოს ერქვა „სადავითნო“...

გასამრჯელოზე მორიგება, ვაჭრობა იცოდნენ, თითოჯერ წაკითხვა ღირდა აბაზიდან ათ შაურამდე. ზოგი დიაკონი სინდისიერად კითხულობდა, არაფერს გამოტოვებდა „ღაღადურით“ (ღაღადება — თხოვნა, ვედრება) კითხულობდა, სასოებით, ზოგი კი გაიმეორებდა „წააჩიგორგალებდა“, ჩქარობდა, იპარავდა, ერთი გვერდის ნაცვლად ორს გადაშლიდა... ასეთი დიაკონის შესახებ იტყოდნენ: „ღმერთს ატყუილებს და მიცვალებულსაც კი ბერავსო“.

კარგი ჭირისუფალი დავითნს ყოველღამე დასაფლავებამდე აკითხებდა, ეს ერთგვარი ანგარიშიც იყო, რადგან მიცვალებულს თუ თავზე „მედავითნე“ არ ადგა, მაშინ საჭირო იყო მიცვალებულთან ყოფილიყვნენ „ღამის მათიერები“ — დარაჯები, მიცვალებული კატას არ შეეჭამა (სწამდათ თვალს ამოსჭამსო) ან სანთლის გამო ცეცხლი არ გაჩენილიყო.

დასაფლავების დღეს სადავითნოს გაცემა ავანსადაც

იცოდნენ, აძლევდნენ: დიაკონებს, ბერებს, მონოზნებს და ზოგჯერ მღვდლის პატარა ვაჟსაც კი (ორი სადავითნო, ორი „კარჭალი“ აბაზი 8 წლის ასაკში მიღებული ახლაც „ჩემ'ა სულზეა“ ვალად).

მიცვალებულს განბანის შემდეგ მღვდელი ნაკურთხი ზეთით „შემურავდა“ სასაფლაოს — სამარეს აკურთხებდა, დასაფლავების დღეს მიცვალებულის სახელობაზე სწირავდა, ანდერძს (წესს) აუგებდა, სასაფლაომდე წინ გაუძღვებოდა, საფლავზე შენდობის წიგნს წაუკითხავდა, პეშვით მიწას მიაყრიდა — ყველა ეს ცერემონიალი იყო ქრისტიანი მიცვალებული'ს სულის საოხი.

ღმერთსა და მიცვალებულს შორის შუამავალი — ვექილი მღვდელი იყო, მღვდელს კი ყოველწლიურად თითოეული კომლი აძლევდა „დრამაფულის“ სახით ორ-ორ მანეთს, მაგრამ ის ამას არ სჯერდებოდა, თითოეული შემთხვევის დროს, თითო ღვთის მსახურებისათვის „უნდა მიეცათ განსაზღვრული თანხა, ზოგი მღვდელი განაკვეთს არ სჯერდებოდა და ნიხრს ზევითაც თხოულობდა და ეს „სულიერი მამები“ აშკარად ვაჭრობდნენ. ამრიგად, მიცვალებულის დამარხვის გასამრჯელოდ მღვდელს ყველა მისი „შრომისათვის“ უნდა მიეღო 6—10 მანეთამდე (ამაში არ შედიოდა შენდობის წიგნის მანეთი და სანთელ-საკმევლის). თითოეულ ღვთის მსახურებას ცალკეული ნიხრი ჰქონდა: წირვა — მანეთი, წესის აგება — 2 მანეთი, წინ გასაძღოლი — სამი მანეთი, „ნამოძღვარი“, ზიარების, პანაშვიდის, ზეთის ცხების... სულ — ღარიბიდან 6 მანეთი, მდიდრიდან — 10 მანეთი... ზოგს არ შეეძლო მღვდლის გასტუმრება დასაფლავების დღეს, უფრო ხშირად მღვდლებს ნისია არ უყვარდათ, — თავისას დასაფლავებამდე

ითხოვდნენ), თუ ჭირისუფალს არ ჰქონდა, მაშინ მღვდელი მოითხოვდა თავდებს ან საწინდარს (სპილენძეულობა, თოფი, მიცვალებულის ტანისამოსი). მღვდლის სიხარბის აღსანიშნავად მაგონდება ერთი დამახასიათებელი ფაქტი: სოფელ ერკეთში გარდაიცვალა ღარიბი გლეხი. ადგილობრივი დეკანოზი სიმონ მგალობლიშვილი მიცვალებულს შემოსილი წინ გაუძღვა. სასაფლაოს მახლობლად, დეკანოზმა პროცესია შეაჩერა და თავისი „ახი" მოითხოვა. შეიქნა ვაჭრობა, ვერ შეთანხმდნენ. დეკანოზმა საეკლესიო შესამოსელი გაიხადა და სახლისაკენ (იქვე ახლოს ცხოვრობდა) წასვლა დააპირა — მაშინ მიცვალებულის მოკეთე მეზობელმა მიმართა ხალხს: მღვდელი სასაფლაოზე არ მიგვყვება, მიცვალებულს ეკლესიაზე არ გვამარხვინებს — შინ, შინ ჩავუსვენოთ... მოკიდეს კუბოს ხელი და მღვდლის ოჯახისაკენ იბრუნეს პირი, ქრისტეს მ'ადგილე შეშფოთდა, დაგწყევლოთ მთავარ ანგელოზმა, იწყო წყევლა, საჩქარო'ად ჩაიცვა საეკლესიო სამოსი და დამარცხებული, გამარჯვებულებს წინ გაუძღვა.

სულიერი მამა „თავის სამწ'ყსოს მცხოვარს" მწყემსის თვალით კი არა, ნამდვილი ყასბის თვალით უცქეროდა, თუ მოკვდებოდა მისთვის ხეირი იყო... თვით მომისმენია შემდეგი:

მთავარი დიაკონი ეუბნება მღვდელს:

— „მრევლი მყავს და სული მიდგიაო, ნიგოითის ხუცესმა უნდა თქვას, „გუშხამ" ვიყავით იქინეი და ორი კუბო ერთათ მოასვენეს, — აქანაი კაცი არ ფიქრობს მოვკვდე და ხუცესს პატივი ვცეთო..."

სოფელ ბოხვაურელ გლეხს ხუცესმა ასე უთხრა: შვილო, გიორგი, შენი ოჯახიდან მე დიდ ზარალში ვარ, ოცდა ათი წე-

ლიწადია შენსას არავინ მომკვდარა- ახლა იფიქრა მამაშენმა სიკვდილი და 25 მანეთი მაინც უნდა მომცე...

სოფელ სამების ხუცესი ეუბნება თავისიანს:

— მარინე, შეცხადების ხმა ისმის, სადილს ნუ ამზადებ, სამ დღეს იქინეი გავძღები და, ღმერთო შენით, მერმე კიდე მიემატება ვინმე.

ხალხის რწმენით — მღვდელს თუ მრევლში სიკვდილი დაუგვიანდებოდა, ოლარს გარეცხდა და ეს გამოიწვევდა ხშირ სიკვდილიანობას.

რაც მეტი და რამდენადაც მეტად წარჩინებული სამღვდელოება უწირავდა და წესის აგებაში მონაწილეობას მიიღებდა, მიცვალებულის სულის საოხად უკეთესი იყო. ორმოცი წირვის ზედიზედ „გადახდაც“ ძლიერ ბევრმა იცოდა, როგორც მდიდარმა, ისე ღარიბმა. „საორმოცო“ გადახდას თუ გამოტირილამდე, ესე იგი, გარდაცვალების დღიდან 40 დღემდე მოასწრებდნენ, ამჯობინებდნენ, თუ ვერ მოასწრებდნენ, შემდეგ დღეებშიაც არაფერი უშავდა... ერთ დღეს ხუცესს მხოლოდ ერთი წირვა შეეძლო, ამიტომ ვისაც „საორმოცოს“ გადახდა 40 დღემდე სურდა, სხვადასხვა ხუცესს მოურიგდებოდა, ზოგს 20 აწირვინებდა და ზოგს — ათ-ათს, ზოგი კიდეე მონასტრის ბერებს დაუკვეთდა. საორმოცო წირვის გადამხდელი ხუცებსა და ბერებს სახლში სადილს არ აძლევდნენ და რაკი „შრომა მათი ხარჯით“ იყო, ამიტომ, ჩვეულებრივ „ნაწირავზე“ მეტი უნდა მიეცათ, მაგრამ რაკი „ბითუმი წირვის მუშტარი“ ჰყავდათ ხუცებიც ვითომ და არ აიღებდნენ მორწმუნე მიცვალებულის პატივისცემას. საერთოდ, „საორმოცოს“ გადახდის ფასი 40 მანეთიდან იწყებოდა, მაგრამ ზოგიერთი მღვდელი 20 მანეთზედაც ჩამოვიდო-

და. თუ ნაღდი ფული არ იყო, ნატურითაც შეიძლებოდა. „გულკეთილი ხუცები“ ყაბულობდნენ სიმინდს, ღომს, ღვინოს, ყანაში მოხმარებას, ზოგი კიდევ ამაზე მეტ გულკეთილობას იჩენდა და აგირავებდა 2—3 ქცევა მიწა-მამულს (საყანეს და ვენახით მოშენებულს) და ამ მამულით ხუცესი სარგებლობდა მანამდე, სანამ მიცვალებულის პატრონი ნაღდად არ გამოისყიდდა. ზოგი რამდენიმე ხუთეულ წელიწადს (ობლების დავაჟკაცებამდე) ვერ გამოიხსნიდა, ზოგი სულაც „შეატიებდა“... ზოგი მემამულე, ან აზნაური „საორმოცოს“ გადახდაში 1—2 ქცევა მიწას მიუზომავდა ხუცესს და მის საკუთრებად დაუმტკიცებდა. მინახავს ასეთი „ნასყიდობითი ბარათი“ — „მე ქვემორე ამაზე ხელისმომწერმა თავადმა მიხეილ ნაკაშიძემ, ჩყპვ წელსა მარტის კლ დღესა, ჩემი მეუღლის კნეინა რუსუდანის სულის გასანათლებლად საორმოცო წირვის გადახდის საფასურად მოგეცი, შენ საღვთოს წმინდა გიორგის ეკლესიის შტატის მღვდელს, გაბრიელ ღლონტს ჩემი კუთვნილი მიწა, სახელდობრ, დონაურში ორი ქცევა — საზღვრებთა შორის (საზღვრები ოთხი მხრივ)“. და მერმე ჩვეულებრივი პირობის წესია და ხელის მოწერა თავადისა და ორი მოწმის.

მიწის საკუთრებით გაცემა (ან რამდენიმე წლის სარგებლობის უფლებით) იცოდნენ დიაკონებისათვის „სადავითნოშიაც“.

მიცვალებულს, მეტადრე ხანში შესულს, გადაუხდიდნენ წლის წირვას, კარგი სადილით და ამის შემდეგ ოჯახი ნორმალურ კალაპოტში ჩადგებოდა — შეიძლებოდა სიმღერა-გართობა. გლოვობდა და შეცვლით შავს ატარებდა ქვრივად დარჩენილი.

ქვრივი ქალი (ზოგი) უღრმესი გლოვის ნიშნად ორმოცამ-

დე ფეხშიშველი დადიოდა და ულეიბოდ წვებოდა — „ხმელ ჭილობზე“. ქვრივად დარჩენილი მამაკაციც 40-მდე ხმელ ჭილობზე წვებოდა, უბალიშოდ. იცვამდა „გადაუფხეკელ“ ქალამანს შავი ძროხის ტყავისას. მიცვალებულის ხსოვნის პატივსაცემად და საოხათაც ითვლებოდა აგრეთვე მიცვალებულის ხსოვნის დიდად პატივმცემელი მიცვალებულს დაადგამდა გასუფთავება. მიცვალებულს დაასაფლავებდნენ თუ არა, „სამარის მოშორებისთანავე სასტუმლათ“ თავთან მიწაში გაამაგრებდნენ რიყის მომაღლო ქვას, რამდენიმე დღის ან თვის შემდეგ უბრალო ქვას შეცვლიდა მოხელის მიერ თლილი ქვის ჯვარი. უფრო შეძლებული, თუნდ ღარიბი, მაგრამ მიცვალებულის ხსოვნის დიდად პატივცემული მიცვალებულს დაადგამდა თლილი ქვის სქელსა და ფართო (კუბოსოდენა) ფიცარს, რომელსაც გურიაში ეძახდნენ ბერძნულ სახელს—„ეკვტერს“. ჩემი სიყრმის ასაკში გურიაში ქვის ოსტატები ბერძნები იყვნენ და ძველი ეკვტერებიც ბევრიც მათი ნახელავია. ეკვტერზე იცოდნენ შესაფერი წარწერა: „აქ განისვენებს ესა და ესა. დაიბადა ჩუპ... წელსა, გარდაიცვალა... წამკითხველო, შენდობა ბრძანეთ“. აქა-იქ წარწერა ლექსითაც იცოდნენ. ეკვტერზე ჩამოჯდომა ან წამოწოლა მიცვალებულის უპატივცემულობა იყო და ჭირისუფალიც იწყენდა. მიცვალებულის პატივსაცემად, საფლავთან ეკლესიის გალავანში იცოდნენ „წმინდა“ ხის დარგვა: ბზის, ცაცხვის, ტირიფის ან ნაძვის, ყველა ამ ხეებს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა: ბზის ტოტებს ბზობა დღეს და ტირიფის ტოტებს „სულთა დღეს“, ანუ „სულის წმინდის მოფენის“ დღეს, საფლავს დააყრიდნენ. ნაძვის „ძინთი“ (ფისი) სურნელოვანი იყო, საკმეველს ჰგავდა და გაჭირვების დროს მის მაგივრად ხმარობდნენ... ცაცხვის ყვავილით ფუტ-

კარი წმინდა სანთელს ამზადებდა, წირვის შემდეგ მის ჩეროს ქვეშ მლოცველები ისვენებდნენ. მთელს სასაფლაოზე სასოფლოდ იცოდნენ კოინდარის დათესვაც და, საერთოდ, მრევლი ცდილობდა სასაფლაო ლამაზიც ყოფილიყო და დაცულიც. ზოგი მოხუცი სიცოცხლეშივე იკეთებდა თავის ძეგლს — „ეკვტერს“ (წაუწერელს ტოვებდა გარდაცვალების თარიღს).

ერთმა მოხუცმა სოფელ ლიხაურის მცხოვრებმა გლეხმა (რამდენჯერმე მამასახლისად ნამყოფმა) ფარნაოზ ურუშაძემ გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე გაიკეთა თავისივე „ეკვტერი“, ტახტის მსგავსი, ზედვე შეთლილი თავმისადები სასთუმლით, და წააწერინა: „მშვიდობით მეზობლებო, ფარნაოზ ურუშაძე გავემგზავრე“. და ეს ძეგლი დადგა სოფლის თავშესაყარ ადგილას, ცენტრში, დიდი მუხის ქვეშ... დღესაც ამ ძეგლზე ხალხი ისვენებს და სოფელში დასაფლავებულ ფარნას ტკბილად იგონებს...

გურულებს საფლავისა და იქაური „ბინადრების“ საუკუნოდ განსვენებულის — დიდი შიში და რიდი ჰქონდათ, ღამით სასაფლაოს მახლობლად გავლაც კი ეშინოდათ, სასაფლაოზე „გადარება“ კი დიდ გმირობად ითვლებოდა... სასაფლაოსი არამც თუ ღამით, დღისითაც კი ეშინოდათ. მეტადრე მოზარდ თაობას უჭირდა სასაფლაოს ახლოს გავლა.

გამიგონია ერთი ამბავი, სასაფლაოს მახლობლად „გადაკაშკაშებულ“ ღამეში ქალების ღამის ნადი ყოფილა. ერთ ქალს დაუტრაბახია, რომ მას არ ეშინია მკვდრების, ცოცხალი ვერაფერს მიბედავდა და მკვდარმა რა უნდა შემკადროსო, უთქვამს... თამამ ქალს „დანიძლავებიან“, მიუციათ ხელში „წვერწამახული“ დანიშნული ჯოხი და უთქვამთ, რომ მიცვა-

ლებულის სასთუმალთან თუ დაასობდა, სანაძლეოს მოიგებდა... ისიც წასულა... მეორე დღეს დანიშნულ საფლავთან ქალი მკვდარი უნახავთ... სიჩქარით, თუ გაუფრთხილებლობით, წელში მოხრის დროს ჯოხი კაბის კალთაში ჩაურჭვია, წამომდგარა, წამოსვლა დაუპირებია, მაგრამ ღრმად ჩარჭობილ ჯოხს არ გაუშვია. მან წარმოიდგინა, რომ ცოდვილი მიცვალებული საფლავში მითრევს და აღარ მიშვებსო და შიშით გული გასკდომია.

სხვა რამ წმრილმანიც

სხვადასხვა დროსა და გარემოების მიხედვით მიცვალებულის დასაფლავების საერთოდ მიღებული წესი იცვლებოდა. „ვალმოხდილი მოხუცი“ გარდაიცვალა, მაიხცდამაინც არავის ეტირება, „მისი არჩივი დროი მოჭმული აქვს“. ასეთი მიცვალებულის ჭირისუფალი ჩვეულებრივ ტირილს, ზარით და წასაბურავით არ იხდის, ატყობინებს ახლო ნათესავებს და დილით მიასვენებენ და წირვის დადგომამდე შეასვენებენ ეკლესიაში, „წირვას მოასმენინებენ“, ნაწირვობევს დაასაფლავებენ, ოჯახში დაბრუნდებიან და საგანგებო სადილს შეექცევიან.

ასეთივე წირვის მოსმენით ასაფლავებდნენ მცირეწლოვანსაც, მიცვალებულის მიერ წირვის მოსმენა დიდ მადლად სწამდათ. მიცვალებულის ასეთი წესით დაკრძალვა ხდებოდა თუ სიკვდილი გამოწვეული იყო „ბატონებით“ ან სხვა გადამდები სენით, თუმცა იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ სიღარიბით და უპატრონობით (მიცვალებულს თუ არავინ ჰყავდა პატრონი).

აღდგომა-ახალკვირას, შობის მიცვალებული ცხონებულად ითვლებოდა, ჯოჯოხეთი დანგრეული იყო და სამოთხის კარი

ღია (სულის ამნისტია იყო), მიცვალებულის ჩვეულებრივი ტირილიც შეიძლებოდა. ზარის ნაცვლად გალობდნენ ქრისტე აღსდგას. დიდად მორწმუნე მოტირალიც კი ნაკლებ ტიროდა და მიცვალებულს ქრისტე აღდგაო, ეტყოდა. ჭირისუფალსაც სამძიმრის წინ ქრისტეს აღდგომას ულოცავდნენ და ეტყოდნენ: განათლებული იყო და განათლებულ დროს მოისვენა — სამოთხის ნეტარების ღირსი გახდა. ჭირისუფალიც ჭეშმარიტად აღსდგას — უპასუხებდა. ამ „ბრწყინვალე“ დღეებში მღვდელთმსახურებაც, განსხვავებული, წირვაც და ანდერძის აგებაც შემოკლებული და სადღესასწაულო ხალისიანი იყო. ჭირისუფლების „შავი გაჭრაც“ განსხვავებული იყო, იკერავდნენ სულ ახლობელი ნათესავები და მასთან ჩვეულებრივზე უფრო „მხიარულს“ და არა ძაძა-ფლასს. ტირილიც ხორცეულით უნდა გადაეხადათ, რადგან სამარხოს ჭამა მიცვალებულის სულს დაამძიმებდა. ერთი სიტყვით, ყოველივე ღონისძიებით ცდილობდნენ მიცვალებულის სახელობაზე თუ ვინმე რამეს გააკეთებდა „გულნაკლული არ დარჩენილიყო“, თუ ვინმე ხუცესს, ტანის გამბანელს, სამარის გამჭრელს ან სხვა ვინმეს „გულს დააკლდებოდა“, ესე იგი, თუ კმაყოფილი არ დარჩებოდა, ეს იყო მიცვალებულის „აგდება“ და მას არც „წირვა-ლოცვა წაადგებოდა“, მედუქნე-ვაჭარსაც კი არ ეშინოდა ნისიის გაცემისა, რადგან დარწმუნებული იყო მიცვალებულის სახელზე წაღებულს გაუნაღდებდნენ და არავინ „გააჯანჯლებდა“.

მიცვალებულის სახელს პურის ჭამაში თუ ახსენებდნენ, მისი ხსოვნის საპატივცემულოდ ღვინო პურზე უნდა გადაეროთ ან ღვინოძი პური ჩაეწოთ და ეთქვათ: ღმერთმა აცხონოს, ღმერთმა მისი სული გაანათლოს.

მიცვალებულის სახელის ხსენების დროს თუ ვინმეს ცხვირს დააცემინებდა — „დააქსიტებდა“, — ზურგზე ხელს ურტყამდნენ და ეტყოდნენ: „ღმერთმა მისი დანაკლისი დღეი შეგმატოს“, ან „შენ მის მოსვლამდე არაფერი გეტკინოს“.

მიცვალებულის ავადმყოფობის ამბავის მოყოლის დროს, თავის შესაფერ ადგილას ჩაურთავდნენ: „შენ ჯვარი გწერია, ხისკენ პირი მიქნია, ქარს და ბორიას ველაპარაკები...“ შენსა და მას შვა ათასი ხიდი და გზაია“...

თუ ვინმეს მიცვალებულის ამბავს კითხავდი, გიპასუხებდა „იმან შენი ჭირი და ფათერაკი წაიღო“...

მიცვალებულის პირდაპირ სახელის თქმას, მეტადრე ქალები, გაურბოდნენ, მიკიბულ-მოკიბულათ იტყოდნენ: ჩემი ცეცხლის მომკიდებელი, ჩემი გენიაში ჩამგდები, ღმერთმა ნუ მოკითხოს, ჩემი დამწველ-დამდაგველი, ჩემი ქალობაში გამომწყვეტელი, ჩემი დამბნელებელი, მე უბედურ კურცხალ შეუშრობელი, მე მუდამ მტირალი, მე მუდამ შავგაუძრობელი, მე გაუხარებელი და სხვა. საზოგადოდ, გურული ლექსიკონი ძლიერ მდიდარია, მეტადრე ქალების, ერთსა და იგივე აზრის გამომხატველს „ასნაირად იტყვის“...

ქვრივი კაცი მეორე ცოლს წლამდე არ შეირთავდა, თუ პატარა შვილები ჰყავდა აღსაზრდელი, მეორე ცოლის მოყვანის ძლიერ ეშინოდა, დედინაცვალი შვილებს დამიჩაგრავსო. თუ შეირთავდა გარდაცვლილი მეუღლის, სიდედრ-სიმამრის რჩევით და მათ მიერ ამორჩეულს. საზოგადოდ, ქვრივად დარჩენილი ცდილობდა მოყვრობა-თვისება ძველ მოყვარესთან არ გაეწყვიტა და თუ ახალ ქალს მოიყვანდა, ჯვარის შემცვლელი და შვილების ნათლია ცოლის ნათესავებიდან უნდა ყოფილიყო. საერთოდ, გურიაში დედინაცვლის დიდი შიში

ჰქონდათ. მომაკვდავი ქალებიც სიკვდილის წინ ქმრებს ანდერძად უტოვებდნენ „ჩემ ნაშობს დედინაცვლის ხელში ნუ ჩამიგდებო“, ხშირად ამ ანდერძს ასრულებდნენ. ბევრი ვიცი შემთხვევა, რომ ქვრივმა ობლები დაზარდა, „სათუოდან“ გამოიყვანა და მეორე ცოლი მერმე შეირთო.

ქვრივი ქალი კაცზე მეტს თუ გლოვობდა, თორემ ნაკლებს არა. ქვრივობის გადატანა ქალებს უფრო ეხერხებოდათ, ვიდრე კაცებს. მრავალი მაგალითი ვიცი ისეთი, რომ ოჯახი „წაქცეული“ იყო, ღარიბ-ღატაკი, კაცი მოუკვდა, ქვრივმა „ფუტი“ არ გააცივა, პირიქით, ოჯახი ფეხზე დააყენა და შვილები კარგად გაზარდა.

„უშვილძირო“ ქვრივი კი მონაზნად აღიკვეთებოდა, უფრო ხშირად ადგილობრივ ეკლესიის სენაკში დაბინავდებოდა, ზოგი კი დედათა მონასტერში წავიდოდა. ამას სჩადიოდნენ გლეხის ქალებიც და „ბრწყინვალე წოდებისაც“. ერთი თავადის ქალი სამნაქმარევი, თანდათანებრ ნაკეკლუცები მონაზნად აღიკვეცა და „ჩოხანი“ ჩაიცვა.

IV. ხალხური ლექსები

სიმღერისთვის

(ვაჟი)

გახსოვს, რომ ვერ გშორდებოდი
ერთი თვალის დანახვამდი,
უბედობის გადამკიდეს,
დამიყოვნდა შვა მარხვამდი,
სულიც აგერ ამომხდება
საწყალს მე შენს დანახვამდი.
ვის გაქვს ბაგე ფერად შინდი,
თვალი შავი, ინდი, მინდი,
შენთვის სიკვდილს არ შევშინდი
უკვდავების წყაროთ მინდი,
გამიცინე, გამიღიმე, განმინათლე თვალთა ბინდი,
გამოხევი, გამობრწყინდი
სანახავათ თუ რომ გინდი.

ქალი

თუ ღმერთი გწამს, ნულარ იცი
სხომინდულა ლაქაცური,
მტკიცე ფიცის გამტეხი ხარ
და ნამუსში არ კაცური.
ახლა, ღმერთს ვსთხოვ არ შეგარგოს

მაგი შენი ნაცატური,
მე შენთვის ვარ უცხო თევზი
შავ ზღვას გაღმა განაცური.

საარშიყო

თვალი შენი ოსეთათ ლირს
და წამწამი არაბეთად,
წარბი ლესათ, თმა ჩოჩხათათ,
წინ შემოყრა ოზურგეთათ.
შენთან წოლა და ლაღობა (თამაში)
საიქიოს ნათლის სვეტათ,
რადგან გატყობ არ გიყვარვარ
აღარ გაქებ ამის შეტათ.

ნადია

სულელი ნადია სოფელ-სოფელ დაძრწოდა. ორსულმა გზაში (სოფელ ლიხაურში) ტყუპი დაბადა... ერთი მოკვდა... მეორის ნათლიობა იკისრა წირვაზე მიმავალმა ატატო ბებურიშვილის ქალმა. ამის გამო ადგილობრივმა მცხოვრებმა ანტონ კონტრიძემ ატატოს წაულექსა:

ბედნიერი ხარ ატატო, შენ არა გყავს სხვაი ფარდი.
მოგილოცავ მონათლულსა, გაგიზარდოს — იქნას მარდი.
ნათლიდედაც თან გიცოცხლოს დაუჭკნობლათ როგორც ვარდი.
ორივესთვის რომ მოგესწრო, იქნებოდა უფრო მადლი.
ქალები ტყუილა კივიან, თურმე არ აქვთ გასაჭირი.
ერთის ნაცვლად მან ორი შვა, ეს კი იყო გასაკვირი,
ვისაც იგი უხმარია, ტუტუცია, დიდი ვირი.

ატატოს პასუხი

ძვირფასო ანტონ, შენ გმადლობ, ჩემთვის კარგი გიხარია,
იმ საწყალს შენსკენ მოსვლამდი დიდი გზაია უარია,

ხანჭკი რისთვის მომიარე ჩვენი პირი წამხდარია,
ბისი ოჯახი დეიქცა, ვისაც ოგი უხმარია.

ატატოს ლექსი:

მამასახლისათ დავდექი
არ დარჩა გამოსადექი.
ვინც რომ ამ დღეში ჩამაგდე,
რომ დაწვე ალარ ადექი.

. . . . . (აკლია)
ანტე ან არ უნდა იხილო
ან და უნდა ირწმუნო.
(მარიამ ხომერიკისა)

ლექსობანა

მგონია არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ ლექსობანა ქართველების ავადმყოფობაა — თითქმის ყველას სჭირს და მათ შორის გურულებსაც. მე ვფიქრობ, რომ ამის მიზეზი იყო ჩვენი დედები, რომლებიც თავიანთ შვილებს ნანინა-ლექსით და რითმა გამართული სიტყვებით უმღეროდნენ:

ნანინაო, ნანასაო,
ეძინება ბალანასო,
შენ ძილი და მოსვენება,
შენს მტერს ჭირის მოჩვენება.
აკვანია ხარატული
შიგ მწოლარე ჩახატული.
აკვანია ბეოლისაო
შიგ მწოლარე ბროლისაო.
აკვანია ლებანოზი
შიგ მწოლარე ანგელოზი.

ენის ამოდგმისთანავე ბავშვებს აჩვევდნენ ლექსის თქმას, ბავშვებიც ოდნავ წამოიჩიტებოდნენ თუ არა, თვით იწყებდნენ ლექსობანას. ერთიმეორეს ტოლ-სწორები ეჯიბრებოდნენ:

— აბა, თქვი ერთი,
— გაგიწყრა ღმერთი.
— აბა, შენ მითხარი ორი,
— მოგიკვდა ღორი.
— აბა, თქვი სამი,
— წაგექცა სკამი.
— ოთხი?
— თავში გარტყი თოხი.
ექვსი... და სხვა.

შაირული ლექსები ხალხს უყვარდა, მწიგნობრობას და, სხვათაშორის, წერა-კითხვის გავრცელების ერთი მიზეზთაგანი იყო.

ხბოს ლექსი

პარასკევს ღამეს მესიზმრა ვითომ დამსეოდა ხროი
ორშაბათ დილა გათენდა ქე მომიკვდა ჩემი ხბოი.
საყვარელო ჩემო ხბოვო, მერჩიე ალდგომის კვერცხსა,
შენ რომ მომიკვდი, მომშორდი სულ ვიტირე მე იმ დღესა.
უშენოთ ძროხას ვერ მოვწველ, სულ არ ჩამოუშვებს რძესა,
დერგში ყველი გამითავდა, რაღა მივაჭამო კვერსა,
ღიდზედ უფრო პატივს გცემდი რისთვის მიქენი ურჩობა,
დამიწიხლე პურ-მარილი არ შეგშვენს მაგი ხუმრობა.
ტანადობა დიდი ქონდა, როგორც არის აქლემები.
რაცხამ შენ არ წაგაყენა ჩვენი სოფლის აქიმები,
ფერად წითელი იყავი, სახელად გერქვა არიფა,

დაგასიე დოხტურები შენი მორჩენა არ იქნა,
შენსა ჩემზედ მოშორებას მე ვაბრალი სიკვდილს უცებს,
შენთან ლოცვა არ გავიდა კიდეც ვაწირვიე ხუცებს,
ეპამაზე სუსტი იყავი, არ მოწეკვდი გლახა ფურცელს,
ცოტა მოლას მოწუწკნიდი წამოგიბერავდა მუცელს.
სტორეთ ძალიან მიყვარდი შენ არ გაგცლიდი ფარაზე,
არ მიიღე პატივცემა თავი გადადევ ზარალზე,
შეც ომისათვის გაგიჯავრდი, გადაგათრიე შარაზე.
მეორე დღეს გამოვიარე ტურებს ეპამე ბარკალზე,
ნამეტარი შემეცოდვე ცრემლიც მომადგა თვალებზე,
კიდევ კაი გული მქონდა, ოთხი მრჩებოდა ბალახზე.
გაზაფხულზე ოთხი მყავდა ერთიც არ ჩამყვა ზამთარზე
დარჩა ხბოი უბედური, მომცა ზარალი ზარალზე.
ხბოი ტურებმა შეეამა დედო მგელს შეხთა შარაზე
ამ ლექსისა გამომთქმელი დიომიდე ვარ მსხალაძე.

ს ა ხ უ მ ა რ ო

ჩემო ნათლიდედაო
ღმერთი შეგეწეეაო,
შორი გზიდან ნავალი ვარ
ცოტა მეშივებაო,
ხვიჩილაი დამიკალი
ყელსა მომიხდებაო,
ვარიეი ქე გაუშვი
დედლათ გაგეზრდებაო,
ხვითქლი კვერი გამომიცხვე
ცომი ნუ იქნებაო,
ხაპაპურიც მოაყოლე
ყველი გეშოვნებაო,
ჩხავრის ღვინოც ამოიღე
ჭურში გეშოვნებაო,
ცხენსა ჩალა დამიყარე

ზვინზე გეშოვნებაო,
ჩემო ნათლიდედაო,
ცოტა მეჩქარებაო,
შინ თუ ადრე არ მივედი
დედა გამიწყრებაო;
უზნოური მეუღლე მყავს
შინ არ დამიხვთებაო,
მეზობლისას გადიარს
ვინცხა შეეყრებაო,
არშიყობას დაუწყებენ
ვიცი შემიცდებაო,
ახალგაზრდა კაცი ვარ
თავი მომეპრებაო,
ჩემო ნათლიდედაო
ცოტა მეჩქარებაო,
მე რომ ბავშვი მოგინათლე
იგი გაგეზრდებაო.

ხასანბეგურას ლექსი

(ორი ძმა თავდგირიძე — აკეთელი. ერთი გათათრდა — წამოუძღვა მტრის ჯარს გურიაში და დამარცხდა ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში).

ხასან ბეგი თავდგირიძე
გარისხული ღვთისაგან მეტი
თათრის ფაშობა იშონა
სულ მთლად დაავიწყდა ღმერთი.
შეკვეთილში შემოვიდა,
იძახოდა ოლან-გეთი
ლანჩხუთამდე მას ვაცალოთ
მერე ჩვენ გვიყუროს ერთი,
გზას ვიყავით მილიცია

რუსის ჯარი მეტად ცოტა
ცხრა ათასი თათრის ჯარი
წინ შემოგვხთა გვეგბოროტა.
ვაიქცენ და ჩაერიენ...
მჭირავები აიშალა
ცხრა ათასი თათრის ჯარში
ხუთასმა ძლივს გაიმშრალა.
ჩემი ძმაი ხასან ფაშა
თავმოჭრილი დავინახე
რადგან ჩემი ძმაი იყო
გაიმეო დავიძახე
წინა ღამით მან გადაგვწვა
მით დაიგო ცუდი მახე,
რადგან ჩემი ძმაი იყო
ბოლოს მაინც მე დავმარხე.

ჩონგურის სახუმარო

მოხუც კაცს ეძინება, ყმაწვილ ქალს ეცინება,
დაიძინე მოხუცო, მე კი არ მეწყინება,
მოხუცმა დაიძინა, მაგრამ ხმამ გააღვიძა
ნიავ, ნიავ, ნიავო, კარის უკან მოესმა
ქალსა უთხრა გემდური რათ არ დაუგდე ყური.
კატა შიგ შამოუშვი და შიაჭამე პური,
მართალს ამბობ ბატონო, კატას კი უპატრონებ
მხოლოდ შენ დაიძინე ნანინას მოგახსენებ.

* * *

პირველ ჩინებს მოგილოცავ პაჩოტნები ყალაურებს
გურიის და იმერეთის თავადებს და აზნაურებს,
ოდიდან გადმოუსვლელად ომში ძლიერ ნამსახურებს
ჯილდო სწორეთ გეკუთვნოდათ, კარგათ სპამდით ჭადს და პურებს.
აქეს ვწუხვარ მე უფროსი რა გამოვრთო წარდგინება,
ან რა მხნეობით იქნება თქვენი ჩინზე დადგინება,

ჰო, მხნეობათ უნდა ითქვას რომ ქნას კაცმა განჩინება
ქუთაისს სადილ-ვახშამი, ნავახშმობევს დაძინება
უშიშრათ ბარებოდით იქ, სადაც იდგა ცხრა როტა
მადლობა ღმერთს თქვენს სოტნაში გაძღომით კაცი არ მოკვტა.

* * *

აკეთში შესანიშნავი ძველი ეკლესია ყოფილა სპილენძით დახურული. აჭარა-ქობულეთის გამაჰმადიანების დროს აკეთს მრავალი გამოქცეული შემოხიზვნია და თან თავიანთი ეკლესიიდან ხატები და სხვა ნივთებიც მოუტანიათ. ამ ნივთებში მეტად ძვირფასი ყოფილა მაცხოვრის ხატი. ლუგა ოქრო იყოვო, ამბობდნენ მოხუცებულები, კიდევ თეთროსნის ღვთისმშობელი, თეთრი ოქრო მარგალიტებით გაჭედილი. გამაჰმადიანებულ ბეგ ხიმშიაშვილს უთქვამს: ის ხატები ჩემი სალოცავები იყო, თავდგირიძეებმა წაიღეს და უკან უნდა დავიბრუნოვო. წამოუყვანია ჯარი და სწორედ კალანდა დილას დასცემია ეკლესიას, მაგრამ მაგრად დამარცხებულა და ვერც რაიმე წაუღია. ამაზე ხალხური ლექსია:

ღმერთმა ყველას გაგითენოს კალანდა და ბასილობა,
თათრებს ღმერთი გასწყრომია წახთენია გაზდილობა.
კალანდა დილას დაგვეცენ არ გვაცალეს სადილობა,
თავის დღეში ნაქებია თავდგირიძეო სარდალი
მისი ბიჭები ლომსა გავს, ტყეში ჩაუხთენ ჩამჯდარი,
ნუ გეშინიან ბიჭებო, მესხნი არიან წამხთარნი,
აწ გიორხანი იძახის ვერ წამიხვალ სელიმ- აღა
მესხებს თვალები დაუდგა გზაიც ვეღარ დეინახა,
ებდულ აღა გადმუაგდეს მისი ჯარი გეილახა,
სელიმ აღა გაქცეული მივიდოდა ვითა ქარი

დედამისი გზაზე შეხვთა შვილო, მითხარი მართალი.
დედა, აწი რაღა გითხრა მე საწყალი, მამამკვდარი,
თავსა ძვილაი უშველე იქ დავტიე მთელი ჯარი.
იძახიან ვაი, ვუსა, ვაი, ცოლი, ვაი, შვილი,
ვაი, რაფერ წაგვიმწარა, რაც რომ ვქენით გურიასა
მათი ხორცი დაეჭამოს ფარეხას და მურიასა,
აწი თავსა დავანებებთ გაუგზავნით ჯუნიასა.

აკეთელი ქალების დახასიათება

უნაქნარო ტანადი ნანო ბოლქვაძის ქალი,
უსანდომო ლამაზი ლისა ბოლქვაძის ქალი,
დიდი მუხის ნაკვირტალი ესმა გოგიძეს ქალი,
ალმა-ალმა ტორებს იყრის ალვასი ებრალიძის ქალი,
დუნჩიანი თვალდაყლიპული იაგუნდის სოფიო ერისთავის ქალი,
გელაძის ქალი მზესა გავს, ჩიქვანის ქალი მთვარესა,
ჯაყელის ქალს თუ იკითხავთ, კისერი უგავს ძაღესა.

აკეთში მეზობელ ქალს მეზობელმა ძაღე სთხოვა ასეთი ლექსით

გელაძის ქალო, ბატონო, მოწყალე ხარ ჩემზე უხვი,
ესტატემ შეგვაკერვია ყანაოზის ახალუხი,
მას მერმე ავათ გახლავარ, ისე ვკუთავ რავარც კრუხი,
ცოტა ძაღე შეგვიძვირდა ვეღარ ვჭამეთ მარტო კუხი.

ერთმა მედავითნემ ლექსათ მისწერა მეგობარ კაცს — შენთვის ფელამუში ქონებოდა შენახული ამა და ამ მანდილოსანს და მე და დავით მღვდელმა შეუჭამეთო. აგი ლექსი დავითმა გამოთქვა და მე გიგზავნიო. პასუხი ასეთი მიიღო:

საკურთხები აღარ არის, აღაპებიც გადავარდა,
ამიტომაც თქვენი როლი შეიცვალა, გადაგვარდა,
ოორემ თქვენსა წინამძღვარსა შაირები არ უყვარდა,
ფელამუშს არ დაეძებდა ვინ სჭამა ან ვინ შესჭამდა.
საქმე არ გაქვთ, ლამაზებს სდევთ, ატალახებთ ქუჩებს ტყვილა,
ყველამ იცის ვინ ბრძანდებით ის მამალი, შენ ყვინჩილა,
უნაყოფოთ გეხარჯებათ კამფეტი და ლეღვის ჩილა;
ჭკუას მოდით, გონს მიეგეთ, მოიხადეთ ეტლის წირვა.
რომ დაბერდი შენ უწვეროთ და დავითი უპაღაროთ
დაიჯერეთ არ ვარგიხართ საარშიყოთ, საბაღნაროთ.
ლამაზები არ შეგხედვენ, რაც რომ უნდა ცრემლი ღვაროთ,
ციდეე გკადრებთ გაკვეთილსა თუ ეს ერთი არ იკმაროთ.

ერთი მედავითნე ნათლობაში იყო. ღამე, ნავახშმევს სახლში ვეღარ წავიდა და იქვე მეზობლისას დაწვა. არჩივი სტოლზე დადვა, კარი ღია დარჩა და არჩივი კატამ შეუჭამა. სახლში რომ წავიდა მასპინძელს ლექსი გამოუგზავნა:

არჩივი კატამ შეჭამა, წამოვედი მოწყენილი,
დახრჩობა მისი მინდოდა ხათრით დავრჩი მოთმენილი.
მისი ჯიში წუწკი, მსლაქი ადრე იქნა მოწმენდილი
მე სადილი გამიფუჭა, იმ დღეს დავრჩი დათმენილი.

პასუხი

კელავ არჩივისა იმედით ნუ გაიგძელებ სადილსა,
ოორემ სიწუწკე კატისა ბევჯელ ჩაგიშლის წადილსა,
ნატაცურის მოტაცება არა ეზრახვის ნადირსა
გაჩერდი ჭლიკვი ბატკნისა ამდენ ტირილათ არ ღირსა.
ზეცავ, შვალამის დარეკეს, ანგელოზები გალობდა
ჩვენი გამჩენი მოწყალე გურიელ მამიას სწყალობდა
გლეხსა აძლევს, მტერს ამცირებს, ჩვენთანა გლახაკს სწყალობდა
ქორს დედალი არ ეყოფა უყვარს მიმინოს ჩიტია,

ვაგბრიყვდი ცოლი შევირთე მიბოძე ერთი ჩოთია,
საწყალი შენი სიმონა შენს სასახლეში მოვხოხთი
სიქაჩლეს მცინის ბავშვები მიბოძე ერთი ბოხოხი.

წყალში თევზი დაცურავს კუდს აქანებს თავს არა
ახლანდელი ახალგაზრდა ფულს ეძებს და ქალს არა.
ფული იყოს ბეური ქალი იყოს სნეული,
თუ მოკვდება სნეული სხვაიც კია ბეური.

ლექსი თქმული ბრმის ოთარ თალაკვაძისაგან

მე საქიროს მივდივარ უკან ჩამოვრჩი ამხანაგს,
ეხედავ წასვლაც დამაყოვნდა ვიცი მომთხოვენ იქ ამაგს
ვინც უკან დამრჩა შველას გთხოვთ, თორემ ვერ ვზიდავ მძიმე ბარგს
სიცუდეც ბევრი მიქნია ხანდახან კი ვშვებოდი კარგს.

ემადლობ ღმერთს, ასე ვიცხოვრე სამოცდათხუთმეტი წელი,
მეთექვსმეტეში დავღონდი მუშათ ველარ გიახელი
შვილმა კარგათ შემინახა, ცოლმაც კი შემიწყო ხელი
ცოლთან კი უკაცრავადა, ეს არ არის გასამხელი.

ჩემს პატრეტს შვილებს უტოვებ ნახეთ თუ მე მსგავსი ვიყო,
ნახეთ და ნუ დამივიწყებთ სახამდი ცოცხალი ვიყო.
როცა მოვკვდე დამიურვეთ თუ უკაცრავათ არ ვიყო
ღვთის მშობელსაც შეშავედრეთ რაზეც ბრალდებული ვიყო.

გულით ყველა კარგი მინდა ღონე არ მაქეს გამიჭირდა
სანამდი კარგათ ვიყავი სულ რომ მევლო რა მიჭირდა.
ცოდვის გზაი გადამეგდო მადლზე ხელი მომეჭიდა
თვალი არ მაქ, ღონე არ მაქ და კიდევ ცხოვრება მინდა.

შენ უძღებო ჩემო თავო, ვერას დაგაკმაყოფილებ
სულ რომ ყველა კარგი გიყო შენ მაინც ვერ გაყოფინებ
სიკვდილს ელი მიწას თხრიან, თავსხომ შიგ ჩაგაყოფინებ.
სახურავით საბნის ნაცვლათ, შავს მიწასაც გაყოფინებ.

მაშინ გმართებს მეგობრებო, ტირილი და თავში ცემა
წირვა-ლოცვა, ღვთის ვედრება, გლახაკზე ფულის მიცემა,
ტირილით სთხოვე ღვთის მშობელს შემინდოს ცოდვით დაცემა
თუ რომ ასე დამიურვებთ ცოტა შვება მომეცემა.

კარგათ ვიცსოვრე თუ ავათ ახლა ორივე ერთია
მე ღმერთმა სული მიბოძა ჩემს გვამში შენაერთია,
თუმცა ვსცოდე განვარისხე ისევ მიშველის ღმერთია
ამით მაქ დიდ იმედი, რომ მწამდა მამა ღმერთია.

ქრისტე მწამს და ღვთისმშობელიც ნათლისღება კარგათ ვიცი,
შონათლულიც კი ვყოფილვარ დედაჩემისაგან ვიცი.
ნათლია მყავდა თავადი ჩემგან თავდებათ ნაფიცი.
მღვდელი დავით შარაშიძე სხვაი ყველა აღარ ვიცი.

მღვდელმა მითხრა არ წაწყდები ქიქოძემც ასე ამიხსნა
ქიქოძის გვარი ძვირად ღირს მან კარგი გზაი გაგვიხსნა.
დაგვიწერა ქადაგება, სახარება მთლათ აგვიხსნა
ყველას გვმართებს მისი ლოცვა ვედრება და ხელზე კოცნა.

კარგი, ავი, ცოდვა, მადლი, ყველა ახლა დავინახე
სახლში, გზაში, საქმობაში როგორ გვედგა ცოდვის მახე.
თვალხილული ვერ ვხედავდი რომ დავბრმავდი, დავინახე,
სიჭაბუკე ბრმა ყოფილა ჩემით ასე გამოვსახე.

სიბერისთვის რაღა გითხრა მძიმეა და საზარელი
თუ ჭკუა აქვს ზომიერი თვისება აქვს საყვარელი,
ცოდვის გზაი მას არ მოსწონს ჯოჯოხეთში შესაყრელი
ცუდს ხომ მაინც ვერ აქნიებ თუნდ მოჭკვეთო იმას ხელი.

ბევრს კიდევაც ეპირვება სიბერე და სიგლახაკე
დაბერდება, დაღონდება, შეიქმნება მოარაკე,
აღმართ-დაღმართს ვეღარ შესძლებს, საზოგადოთ, უყვარს ვაკე
ვინც შეხედავს ჭკუიანი, ჭაბუკისთვის არის სარკე.

მას ტაძარი ეპივრება სახლი ღვთისა სალოცველათ
შიგ უსისხლო მსხვერპლის დაკვლა თუ ღირსია შემწირველათ,
ეის ძალ ედვას არ მივიდეს ღირსია დასატანჯველათ
თუ უღირსათ ეზიარა შეიქნება ქრისტეს მტერათ.

მე ვსთხოვ ყველა მკითხველებსა, რომ დარეკონ წამოდექით,
წირვა-ლოცვას ყური უგდოთ წმინდის გულათ შეუდექით,
მგზავრათ სადმე მიდიოდეთ მოსმენასა დაადექით,
გზაიც უფრო წარგემართვის მერმე გზასა გაუდექით.

მე ცხოვრებით კარგათ ვიყავ, კარგათ განვლიე დღენია
ხან დავდიოდი ქვეითათ, ხან მყავდა კარგი ცხენია.
თავის დღეში არ მიყვარდა მოყვასთა გასაწყენია,
სიბერის დროს დავგლახაკდი, მაგრამ ის არა მწყენია.

მართალია, დავგლახაკდი და სამოწყალოს არა გთხოვ,
მაგრამ მას კი არ ვთაკილობ ვინც მომცემს კი არ დავითხოვ,
ჩემს მერმე კარგად იცხოვროთ ღვთისაგან წყალობას მოეითხოვ
ჩემს ოჯახსაც უერთგულოთ თქვენგან იმედით მოვითხოვ.

რაც ვიცხოვრე ნებიერად ყველა მტერისაგან იყო,
სიზმრათ ვნახე ანგელოზი პირში ჩანგალი ჩამიყო,
შემეშინა სულს მართმევდა გამეღვიძა აღარ იყო
ღმერთმა სულყველა დაგლოცოს მოყვარე თუ მტერი იყო.

რას ვაგრძელებ თავს რათ გაწყენთ მინდა რომ მოკლეთ გავლექსო,
ორი წელიწადი არის მე რომ თვალები დამეფსო.
ვინც არ მნახე რა გაწყინე სევდით გული ამევსო,
ღმერთმა დიდად დაუმადლოს ყველა ჩვენიანებსო.

1924 წ. აპრილის 12
სოფელი ასკანა.

მ ღ ვ დ ე ლ ი ო ა ნ ე წ უ ლ ა ძ ი ს ს ა ხ ლ ი ს წ ა რ წ ე რ ა

სახლებო, ყველა უნდო ხართ, ქვიტკირზე ფიცარ წნულია,
რათ გინდათ კილტე, რაზები შიგ ნივთები მდიდრულია

პატრონს ვერა ეხმარებით უფრო მახეთ კი ეგებით
ნივთმპარავებს ვერ ამაგრებთ ვერც ცელიანს ემალებით.

კილტე, რაზებს არ უფრთხიან არც შემოსვლას გეკითხება,
ეინც რომ ძვირფასებს ააგებს მასვე ჭირათ ეკიდება
შენ შემინდევ აქ ქოხმახო, მარტო მე ჩემს სიცოცხლეში
სანამ ჩემი თანამგრძნობი მიმიწვევს ცივ სამარეში
და მაშინ კი ხუთი ყიცრით გასწორდება ანგარიში
ცხრა არშინი ტილოც კიდევ სხვა რაღაა აქ საშიში.
იქაც, უშიშრათ წარსდგები თუ რომ აქ გქონდა ღვთისა შიში
და უნიეთოთაც იცხოვრებ როგორც ჩანა საღმრთო წიგნში.

ჭიქაზე წარწერილი (მისივე)

ღმერთო, ვაზისა ნაყოფი
ღღე ყოველ მოგვეც საყოფი
ზომიერ მსმელო იხარებ,
უზომო მსმელო, ინანებ.

ვარდენ გუგუნავას გლეხის ქალი უყვარდა. მშობლებმა შერთვა არ დაანებეს და თავი მოიკლა. მღვდელმა იოანე წულაძემ ლექსი უძღვნა.

სიყვარულისთვის თავგანწირულო, მის აღტაცებით თავის
მომკველო,
ნაცნობებისა გულის დამწველო და მშობლებისა მთლათ
დამდაგველო,
სიზმარ ოცნებავ, ქორფა ყვავილო, სიცოცხლის მტერო, ბიჭო
ვარდენო,
სიყვარულისა ნაშობო, სიყვარულმა მოგიტაცა,
მით მოწამლე დედის გული, გაამწარე თვით მამაცა,
არ მომკვდარხარ, ვითომ გძინავს და ოცნებობ იმაე ძილში,
ღავს გევლება საყვარელი ვით ბურბული ვარდს მაისში.

არც მოკვდები იმათი მხრით ვინც მტკიცეა სიყვარულში.
გიცნობდა, მოაგონდები წუთისოფლის სიხარულში
დაამღერებს შენს თქმულ ლექსებს შენსავე მოსაგონარად
თვის დარდის ამოსაყრელად და სხვისდაც გასაგონარად.
ძნელი წარმოსადგენია ყმაწვილისგან თავის მოკვლა
ისიც შეუძლებელია სიყვარულის ჩუმათ მოვლა,
წყეული ის ბედის ჩარხიც რა უკუღმა მბრუნავია,
სანამ არ გადაბრუნდება გზაც დაუნახავია,
ეეცრათ გადაბრუნდება შემდეგ გზაი გამოჩნდება
ვისიც გასასვლელი იყო მისთვის აღარ გამოდგება.
რა ვქნათ, რა ვსთქვათ, ვის რა უთხრათ, ამგვარები ხშირად ხთება,
მიზეზი იყო კაენი, შემდეგ კრძალავს კანონდება
გზა მშვიდობის შვილო, ვარდენ, ვინ რაღას მოგეხმარება.
ეს ცხრა ტაეპი თავს გარდა თუმცა თქვენა გეკადრება
მეათეში მას ვსთხოვ ღმერთსა, რომ გაღირსოს ნეტარება
ცხრა დასში არ გამოგრიცხოს რადგანაც გაქვს ნათლისღება.

წამკითხველნო, არ დამზრახოთ თქვენცა უბოძეთ შენდობა
არ იფიქროთ უცოდველ ვართ ჩვენცა გვეხება მკვლელობა
ნამდვილ მკვლელობის მსგავსია ცილისწამება, ბეზღობა.
დღითიდღე მაგის მუშა ვართ ვითომ რამ კარგი ხელობა.
ვარდენმა თავი მოიკლა ის ერთი კაცის მკვლელია,
ჩვენ დღიურათ ათ ვარდენს ვკლავთ, ვინ არის გამკითხველია,
ვაი რომა სხვისი ცოდვა ძალიან საკიცხველია,
თავისი კი არაფერი არცა რა საკითხველია,
ვარესიდან ღმერთო გვიხსენ შენი მადიდებელია
მაგის მეტს ნუღარ შეგვასწრებ საშიში სასმენელია.

1888 წ.

ორმოცდაერთში რომ აჯანყება იყო
იმის ლექსი

გურიაში საქმე მოხთა, იქნა ცოდვის გადიდება,
არლუთოვი ჩამობრძანდა განაცხადა დარიგება

ცეაშლის ეზოში იპირვენ ამბაკოს და ათარმიზას
სსვაიც თუ არ დავიპირეთ ყაძახების წამხთარ საქმეს აი ორი ვერ
აგვიზღაეს.

სხვაი ყველა დაუპირვან მიხეილს ყავს დამაშაკი
მიხეილ და გიტო სიმონ ფრთხილათ არის ვითა შაკი,
ზურაბ ერისთავს უბრძანეს ვარგებულა თქვენი ძველი
ა? ორი კაცის დაპირვა შენ თუ კარქა შეიძელი.
ოან წაგყობა ბერიძნები, გააყუჩე მასინძელი,
სიმონიკამ დაიძახა უფროსი კაცი ვინ არის
ზურაბი არის გიბრძანებს მღვიძარეა თუ მძინარი.
შინ არც ერთი არ არიან, არცა მიხელ, არცა გიტო
ჯობს რომ შენდა ჩუმათ იყო, კარი მაგრა ჩაიკილტო,
თქვენ ერისთვლები მოსულხართ მგონი ჭაპა გაგიღლიტო.
კარს დაურტყეს დიდი ურო, კარში გამო უამური
გავარდა თოფი იყვირეს წავხთით მოკლეს ჩვენი კურო.
კაძახობა ახლა გვინდა გასაპირში მოკაკულო
კარზე თოფები ჩაურტყეს მგონი იყო ყველა ჭინჭი,
ქეც მოკლა და ქეც გეიქცა სწორეთ იყო ღვთიდან ნიჭი,
დედიშენის რძე შეგერგო რომ ყოფილხარ კაი ბიჭი.

მ ე ო რ ე ა მ ა ვ ე ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა ზ ე

ბურსულომ წიგნი მისწერა ლევანის ძე დადიანსო
გურულებმა ჩხუბი მიქნა მე აქ ველი შენსა ჯარსო.
დადიანმა მისი ჯარი მოაყენა მალთაყვასო.
ოცდახუთი გურულები თავს დაესხა მეგრელთ ჯარსო,
ჩაერიენ ერქაშეთში ბაწარს აბშენ ბატონ-ყმასო.
ძაძახიან დადიანო, თავს ნუ მოგვეკრი მადლიანო,
სხვათ სხვაფერად ვარგივართო, ღორის მწყემსათ კაი ვართო.

ხ ა ლ ხ უ რ ი

ათას რვაას ორმოცდასამში ავაშენე ერთი ოდა
ხუთი თვალი მაინც იყო, მარა შეექვსეც მინდოდა

იმასაც შეუმატებდი ძელი რომ არ დამლეოდა
ქალის მოყვანა მინდოდა, რომ ვინმე გამპირებოდა...

თუ გინდოდეს თავის ჭირი, შეიყვანე ქალი ქვრივი,
სადილ-ვახშამს არ გაღირსებს არც გექნება ღამე ძილი.

ოტია დადიანი იყო ოზურგეთის მაზრის უფროსად. საჩივრით დაითხოვეს. ატატო ბებურიშვილის ქალმა ლექსი მისწერა.

თაგვები დარაზმულიყვნენ სულ ყველა ფორმით ჩაცმული
სტიროდენ შენგნით მოკვდებით, შენგან გვაქვს სული ჩადგმული,
მწირეელით მელა მიყავდათ ზედაშე სურით დადგმული
დიაკვნათ ჭიანჭველები გალობა უთხრეს მასხრული.
წინ წყალი უკან მეწყერი, მე მიმინო და შენ მწყერი,
ოტავ, შენ რათ არ იცანი ადგილი პირჯვრის საწერი,
არსად გაუშვი ქათმები არც სადმე ხორცის ნაჭერი,
ყველა ქვრივს და გაჭირვებულს შენ შეუჭამე საჭმელი
პანღურ-პანჩურით გაგაგდეს, აწი, მშვიდობით პარტენი.

ყარანაის ლექსი

ყარანაი ყანაში მეტად გასუქებულიყო,
ჩავალ შიგ და დავიჭერავ თოკს მოვაბავ წელზედაო,
შევკაზმავ და ზედ შევჯდები გავახტუნებ სერზედაო,
წინდამ კაცი შემეყარა გამიცვალე ცხენზედაო,
ყარანაი დაქუშმაშდა გადავარდა კლდეზედაო,
შენ ყარანავ რას ქუშმაშობ, შენ ვინ გაგცვლის ცხენზედაო,
ყარანაის დაკვლაზე რაჭული ცული გავტეხე,
ყარანაის გახთაზე ყირმული დანა გავტეხე,
ყარანაის ფეხები ახალციხის სვეტები,
ყარანაის ფრთებითა ახალციხე გადავეკედე,
ასი ლიტრა ქონი ქონდა პატარძალმა ლუკმად იგდო.

V. ძველი რვეულიდან

რა იყო ძველად ჩვენში თეატრალური ხელოვნება, როგორ უცქეროდნენ მას გურულები და ვინ ააღორძინა ხელოვნების ეს დარგი?

დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, გურიაში პირველად სად გამართეს წარმოდგენა, მაგრამ ვფიქრობ რომ ეს იყო, ალბათ, ქ. ოზურგეთში. ოზურგეთი ოფიციალურ ქალაქად 1896 წლამდე არ ითვლებოდა, მაგრამ ის მაინც ქალაქი იყო. მასწავლებლები, სახელმწიფო მოხელენი, ყველაზე მეტი მაინც აქ იყო თავმოყრილი. მაშასადამე, პირველი წარმოდგენაც ოზურგეთში უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს, სხვათა შორის, ისიც, რომ გურიაში პირველი დროებითი სცენა ოზურგეთში დაარსდა პირველად სახელმწიფო კაზინოში, შემდეგ სცენა იყო მოთავსებული ქალაქის ბაღში, საქალებო სკოლის დარბაზში. თამაშობდნენ უმთავრესად ჩინოვნიკები და ოფიცრები. როგორც სხვა დანარჩენ კულტურულ საქმეს, ისე სათეატრო ხელოვნების პირველ მესვეურად მაინც მასწავლებლები იყვნენ. პირველ ხანებში ამ პირველ სცენაზედაც ისინი თამაშობდნენ. დიდია ძველი მასწავლებლების თავდადება, საქვეყნო საქმის უანგარო სამსახური, თავგანწირვა, ყოველგვარი

შევიწროების ატანა. მათ დათრგუნეს სიბნელე, გაამეფეს სინათლე, მოსპეს ცრუმორწმუნეობა, ცხოვრების სინამდვილეზე ყალბი წარმოდგენა და ხალხი გაათვითცნობიერეს.

დღეს გურიაში ყველა სოფელში თუ ადგილობრივი ძალებით წარმოდგენები იმართება, ამ პატარა ქაცების, მაგრამ დიდი ადამიანების დიადი მოღვაწეობის უნარს მიეწერება. წინათ ერთ სოფელში წარმოდგენის დასადგმელად მონაწილეთა ძალის შეკრება დიდი საძნელო საქმე იყო, ამისათვის სოფლის კი არა, სამაზრო მობილიზაცია უნდა მომხდარიყო. აი ამისი საბუთიც — აკეთი, გურიაში მოწინავე კუთხედ ითვლებოდა, სასოფლო სკოლა აკეთში იმ დროს გაიხსნა, როცა გურიაში ასეთი სკოლა მასზე უწინ დაარსებული მხოლოდ ორი იყო, პირველად ჩემს მახსოვრობაში აქ ვნახე წარმოდგენა, ეს იყო 1883 წელს — ალდგომის კვირეებში. წარმოდგენა გაიმართა ადგილობრივი მასწავლებლის ირაკლი შევარდნაძის მეთაურობით — მე მაშინ 12 წლის ვიყავი და ჩემ თავს უუბედურეს ადამიანათ ჩავთვლიდი, ამ წარმოდგენას რომ არ დავსწრებოდი. თამაშობდნენ ერისთავის კომედიას „ძუნწს", სხვათა შორის, მონაწილეობას ღებულობდა ჩემი ძმა მღვდელ-მასწავლებელი ლავრენტი — ასრულებდა ივანიკას როლს, მე ეს ვიცოდი, რადგან საამისო მზადება ორი თვით ადრე დაიწყეს. წარმოდგენის დღეს და ორი დღით ადრე მეც ბევრი მარბენინეს — სხვადასხვა დავალების შესასრულებლად, რაც გამოიხატებოდა უმთავრესად წარმოდგენის ტექნიკური მხარის მოგვარებაში — პიესისათვის საჭირო ინვენტარისა (რეკვიზიტის) და სხვა ყველაფრის შოვნა, რაც საჭირო იყო სცენის გაწყობა-გაფორმებისათვის და მონაწილეთათვის, უმთავრესად იმისდა მიხედვით თუ რა ტანსაცმელი

იყო მათთვის საჭირო, უმთავრესად მათი სარგო ჩოხა-ახალუ-ხი, წულა-მესტი, ქამარ-ხანჯალი და სხვა, რაც მათ არ გააჩნ-დათ. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ზემო ჩამოთვლილისა, წარმოდგენაზე მაინც ბილეთი არ მომცეს დასასწრებად. უკა-ნასკნელი ბილეთი აბაზი ღირდა, მაგრამ აბაზი მაშინ დიდი ფული იყო. წარმოდგენა დაიწყო, მე ზლუქუნი დავიწყე, ღმერთმა განუსვენოს, ერთმა ჩემმა სახლიკაცმა ბილეთი მი-ყიდა და ცრემლი შემაშრო. წარმოდგენა სკოლის ოთახში იყო, იმავე შენობაში სოფლის კანცელარია იყო. როლები ასე იყო განაწილებული: კარაპეტა — მასწავლებელი ირაკ-ლი შევარდნაძე, ხამფერა — თავადის ქალი ვისილა თავდგი-რიძე, მონავარდისა — იმისი და ნინუცა, ივანიკა — ლავრენ-ტი წულაძე, არჩილი — თავადი ზაქარია ნაკაშიძე — ოზურ-გეთიდან საგანგებოდ ამისათვის გამოწერილი, მეკუბოე — ლავრენტი ტუღუში — ფოთიდან მოყვანილი. როგორც ხე-დავთ სულ პატარა როლების ამსრულებელიც კი სხვა მხრი-დან მოსაყვანი ყოფილა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ყა-რამან თავდგირიძის კულტურული ოჯახი ცრუ შეხედულები-საგან თავისუფალი არ ყოფილიყო, მაშინ ქალების როლების შემსრულებელს აკეთში სულ ვერ იშოვნიდნენ — მას ჟამსა შინა ქალებიდან წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება დიდი რაინდობა იყო, დიდ მსხვერპლად ჩაითვლებოდა.

ხალხი წარმოდგენებს არ ესწრებოდა, თუ ვინმეს მოი-ტყუილებდი, სხვადასხვა დაპირება-აღთქმით დააჯერებდი. დამსწრე (მაყურებლები) მონაწილეებს მაინც კომედიანჩი-კებს ეძახოდა, ხალხს არ გაემტყუნებოდა, რადგან მას სო-ფელ ნაგომრის „იარმარკაზე“ ენახა მხოლოდ ფოკუსნიკები

და ჯოხებზე მოსიარულე ჯამბაზები, ხელოვნებაზე კი მათ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ.

ოზურგეთის და აკეთის შემდეგ წარმოდგენების მართვაში პირველი ადგილი ეჭირა ბახვს — იქაური მაშინდელი მასწავლებლები: პატივცემულნი ცოლ-ქმარნი ნინო და გიგო შარაშიძეები, ცნობილი პედაგოგი და „ეშმაკის მათრახის“ აქტიური თანამშრომელი, „ბლიკვაძის“ ფსევდონიმით — ალექსანდრე მგელაძე ამ საქმეშიაც პირველობდნენ. ასე თუ ისე, 1880 წლიდან 1890 წლამდე კანტიკუნტად ოზურგეთში, ბახვში, ხიდისთავში, ჩოხატაურში, აკეთში და ლანჩხუთში მასწავლებლების თაოსნობით იმართებოდა წარმოდგენები. გარდა ხალხის სულიერი საზრდოს მიწოდებისა, მასწავლებლებს ქველმოქმედებაც ჰქონდათ სახეში, რადგან წარმოდგენის მთელი შემოსავალი ხმარდებოდა საზოგადო საქმეს, ხარჯებსაც დიდად გაურბოდნენ და დღევანდელ ხელგაშლილობას არ იჩენდნენ, მაგალითისათვის მოვიყვან ერთ ფაქტს — 1894 წელს ლანჩხუთში ითამაშეს ორი კომედია, შემოსავალი უნდა გაეგზავნათ საზღვარგარეთ სტუდენტებისათვის — ხარჯი იყო სულ ერთი მანეთი და 7 კაპ. (იხ. მაშინდელი გაზ. „ივერია“), მართალია, შემოსავალი იყო 65 მანეთი, ეს თანხა დიდი არ იყო, მაგრამ მაშინ დიდათ ფულობდა. ასეთი იყო ანგარიშიანობა, დაზოგვა საზოგადო ფულის.

1890 წლებში ზაფხულის არდადეგებში შესდგა მასწავლებლების მიერ წარმოდგენების გამმართველი მოსიარულე დასი, თამაშობდნენ აკაკის „ბუტიაობას“ — ახალგაზრდები ი. რამიშვილი, ა. წითლიძე ასრულებდნენ ქვისლების როლს და, როცა სცენაზე როლის მიხედვით წუწუნი დაიწყეს: „ო, რა ცეცხლში ვართო“, დამსწრეებიდან გაისმა ხმა —

„მართლა რომ ცეცხლში ხართ — ვინ თქვენ და ვინ არტისტებიო“.

წარმოდგენების მართვა, ძალებიც რომ ყოფილიყო, არც ისე იოლი საქმე იყო — უკანასკნელ მამასახლისსაც კი შეეძლო ხელი შეეშალა. მასწავლებლებს ზოგ ადგილას აყვნენ თავად-აზნაურობა და ესენიც ჩაეჩხირნენ ამ კეთილ საქმეში — თუ მათი თანხმობა და მეთაურობა არ იყო, ისე საქმეს აფერხებდნენ. იყო ასეთი მაგალითიც, ნიგოეთში მასწავლებელმა მოაგვარა წარმოდგენის გამართვის საქმე, ეს იწყინა ერთმა იქაურმა აზნაურის მეუღლემ, რატომ ჩემი მეთაურობით არ იმართებაო და წარმოდგენა ჩაშალა. ეს საქმე გაზეთში საპოლემიკოთ გახდა, ერთ მხარეს გამოესარჩლა ნ. ჟორდანია — სემინარიის ახლად კურსდამთავრებული, და ამ საქმეზე დაიწერა მისი პირველი წერილი გაზეთში.

ოთხმოცდაათიანი წლების შემდეგ მასწავლებლებს გვერდში ამოუდგა მოსწავლე-ახალგაზრდობა და წარმოდგენების გამართვაც სოფლად გახშირდა ამ ხანებში. დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რომელ წელს შესდგა ნიგოეთში დიმიტრი კალანდარიშვილის მეთაურობით მოსიარულე დასი, რომელშიც შედიოდნენ: დიმიტრი კალანდარიშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი, დიმიტრის დები თეო და ნინა, ერთი ქალიც — პოლინე წილოსანის ასული — იმჟამად ლანჩხუთში წერა-კითხვის ერთადერთი მცოდნე დიდი ხვეწნის შემდეგ რომ დასთმო დედამ. ამავე დასში იყო ერასტო კალანდარიშვილი და ამ წიგნის ავტორი. სუფლიორობა იკისრა სილიბისტრო ჯიბლაძემ. მთელი თვე ნიგოეთში ვამზადებდით „ბაიყუშსა“ და „ბუტიაობას“. პირველი წარმოდგენა გაიმართა ნიგოეთში, იქიდან ურმით მთელი მონაწილენი ერთიმეორეზე წაკერებული ზეწრებით

გაემართნენ ლანჩხუთში, აკეთში, ჩოხატაურში, ხიდისთავში და ოზურგეთში. მთელი შემოსავალი — სამას მანეთზე მეტი — გაეგზავნა ფილიპე მახარაძეს ვარშავაში.

ხალხი წარმოდგენებს გაურბოდა. ბილეთს, ძალით, საპატიო პიროვნება, ან ზოგან რომელიმე პროგრესისტი ბოქაული თუ შეაჩეჩებდა ხელში, თორემ სალაროში ძლიერ ნაკლებად ყიდულობდნენ. პირველი რიგის ბილეთი მანეთი ღირდა.

1897 წლიდან სახალხო წარმოდგენების მართვას სათავეში ჩაუდგა სოფლის ახალგაზრდობა, აქ პირველობა ეკუთვნის ხიდისთავს, საცა ხალხური მოძრაობა, ხალხის გამოფხიზლება პირველად დაიწყო და მიიღო დემოკრატიული ხასიათი. სახალხო მოღვაწის იასონ მეგრელიძის თაოსნობით შედგა დასი, რომელიც უკვე თამაშობს დრამას — ეს დრამა იყო გუნიას „და-ძმა". ორი წლის შემდეგ თითქმის არ დარჩენილა გურიაში მოზრდილი სოფელი, საცა ეს დრამა არ ეთამაშათ.

ბოლო წლებში ოზურგეთში ჩვენ სცენას მოემატა ჩვენი საამაყო რეჟისორი და მსახიობი ალიოშა წუწუნავა, მისი დები—ეველინა და ცეცილია, შემდეგ თანდათან, ვასო ურუშაძე, მარო მდივანი, სამსონ ხურციძე, ბიქტორ შარაშენიძე, ვიქტორ ნინიძე, გერმანე გოგიტიძე და სხვა ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა, რომლებიც თუ შემდეგში პროფესიონალი მსახიობები არა, თავის დროზე პროფესიონალი სცენის მოყვარეები იყვნენ. გახშირდა წარმოდგენების მართვა — დასი თანდათან გაძლიერდა როგორც რეპერტუარის მხრივ, ისე მისი მხატვრული შესრულებით — მაყურებელთა რიცხვმაც საგრძნობლად იმატა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა გაიტაცა ხელოვნებამ. რაც მთავარია, მოწინავე სოფლებში

თვითდინებით ჩამოყალიბდა თვითმოქმედი დრამატული წრეები, რომლებსაც ძირითადად დახმარებას უწევდა ზემოხსენებული ოზურგეთის დასი, მათთვის, განსაკუთრებით პირველ ხანებში ადვილად დასაძლევი პიესების შერჩევაში, როლების განაწილება-მომზადებაში, რეკვიზიტის, გრიმების და სხვა მრავალ მხატვრულ საკითხების მოგვარებაში, განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ალიოშა წუწუნავას და სამსონ ხურციძეს, რომლებიც დაუზარებლად ეხმარებოდნენ ახალგაზრდებს მათ დრამატულ წრის მუშაობაში, ხშირად თვითონაც იღებდნენ მონაწილეობას, მათთან ერთად პიესაში, რითაც ამხნევებდნენ ადგილობრივ პიესის მონაწილეთ და ამავე დროს მეტ მაყურებლებს იზიდავდნენ მათი მონაწილეობით.

დღეს, ჩვენდა საბედნიეროდ ყოველივე ამის ნაყოფს ვხედავთ, გვაქვს მუდმივი სცენა — თეატრი — გურიის ცენტრალურ ადგილებში, სადაც მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა ხელოვნების დარგში.

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1871 წელს, გურიის პატარა სოფელ ჭანჭათში. მამაჩემი (ივანე) იყო მღვდელი, წვრილშვილის პატრონი, ღარიბი. მისი ცხოვრება უბრალო გლეხის ცხოვრებისაგან მხოლოდ კვირა-უქმე დღეებში განსხვავდებოდა, როცა მას ანაფორა ეცვა, სხვა დროს ის გლეხურ ცხოვრებას მისდევდა. ბებიაჩემი (მამით) მწიგნობარი დედაკაცი გახლდათ, კითხულობდა როგორც მხედრულს ისე ხუცურს, ზეპირად იცოდა ვეფხისტყაოსანი, გურამიანი, ბეჟანიანი და სხვ. მამაჩემიც დიდი მოყვარული იყო გარდა საღმრთო წერილისა, სხვა წიგნებისაც, თვითონაც დიდი ხალისით კითხულობდა და კვირაობით სხვებსაც ხმამაღლა უკითხავდა. როცა ხანში შევიდა და ის დაუახლოვდა მაშინდელ გურიის მოღვაწეებს: არსენ წითლიძეს, ისიდორე რამიშვილს, სილიბისტრო ჯიბლაძეს და მათ მიმდევრებს, მერმე უფრო უმატა სახალხო წიგნების კითხვას, ზოგჯერ ეკლესიაშიც კი კითხულობდა: ფილარეტის ცხოვრებას, დიოგენს, სოკრატს და, ასე წარმოიდგინეთ, ეგნატე ნინოშვილის დასაფლავების დღეს (კვირა დღე იყო) შემოსილმა წირვის ნაცვლად ხალხს წაუკითხა „მოსე მწერალი“ და შემდეგ ეგნატეს პანაშვიდი გადაუხადა.

მანვე პირველმა ხუცესმა ურჩია ხალხს „საკურთხი“ არ ეამოეტანათ საფლავზე და თუ ვინმეს სამადლო საქმე უნდოდა ავადმყოფისა და გაჭირვებულისათვის მიეტანათ და არა ხუცესისათვის. ოჯახში იყო მეტისმეტად მკაცრი, შვილებს გვზრდიდა სპარტანულად და მისგან ერთი ალერსიანი სიტყვა არ მახსოვს, წერა-კითხვა უფროსმა და-ძმებმა სახლში დამაწყებინეს და სამი თვე ან-ბან-განი მაძახებინეს. ან-ბანი მალე ვისწავლე, მაგრამ „ამოსაღები“ მეოთხე დღეს ძლივს მივაგენი და იმ დღესვე არსენას ლექსი წავიკითხე. 1880 წელს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში მიმაბარეს — მიმიღეს პირველ განყოფილებაში. ვსწავლობდი საშუალოდ. გარდა გაკვეთილებისა, თუკი ვიშოვნიდი გარეშე წიგნებს, მეტის ხალისით ვეტანებოდი. ძლიერ მიყვარდა წირვა-ლოცვაზე სიარული და „ღვთის ვედრება“, მაგრამ 1885 წელს, როცა ეკლესიაში სიარული სავალდებულოდ გაგვიხადეს, რამდენიმე თვეში „გაიძვერობა“ დავიწყე — გზიდან ან ეკლესიიდან გამოვიპარებოდი, რის გამო ერთი წლის შემდეგ როგორც „ურწმუნო“ სასწავლებლიდან გამომაძევეს. ეპისკოპოსის ჩარევით ისევ მიმიღეს, მაგრამ სწორედ ამ დროს რაღაც ბედად ისიდორე რამიშვილი შეგვხვდა და მისი რჩევით წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში მიმაბარეს, საცა ამ დროს თვით ისიდორე იყო მასწავლებლად. ეს იყო 1886 წელს. 1890 წელს ეს სასწავლებელი ორი კურიოზის შემდეგ (რისთვისაც ორჯერ გამომავდეს, მაგრამ ისევ მიმიღეს) დავასრულე. სასწავლებელს ჰქონდა ძლიერ მდიდარი ბიბლიოთეკა (რომელიც ორ წელს მე თვით მებარა), არ დამიტოვებია არც ერთი ქართული წიგნი, რომელიც ორ-სამჯერ არ წამეკითხოს. ზამთრის გრძელ ღამეებში

ყაზბეგის ნაწერები გომურში, გლეხებსაც კი წავუკითხე. სკოლაშივე შევეჩვიე ლექსებისა და პატარა მოთხრობების წერას, როცა დიმიტრი ყიფიანი მოჰკლეს და დიმიტრი ბაქრაძე გარდაიცვალა, მოწაფეებს მასწავლებლის თანდასწრებით მათი ცხოვრება და მოღვაწეობა წავუკითხე. ამ სასწავლებელში მეურნეობის ყველა დარგს ასწავლიდნენ. მე განსაკუთრებულ ყურადღებას მეფუტკრეობას ვაქცევდი და ეს საგანი სხვა ამხანაგებზე უკეთაც ვიცოდი. ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს ვცადე მეთარგმნა ბუტლეროვის წიგნი „ფუტკრის ცხოვრება“, მაგრამ, ცხადია, ვერ შევძელი. ასე იყო თუ ისე, სხვა ჩემს ამხანაგებთან შედარებით სკოლის დასრულების შემდეგ შემეძლო არსებობისათვის ბრძოლა. პირველ ნელს მამის ოჯახში დავიწყე მეურნეობა. ამავე დროს სამრევლო სკოლაში ვმასწავლებლობდი. ერთი წლის შემდეგ კერძო პირთან ვიყავ — მეფუტკრედ გურიაში, შემდეგ რაჭაში, მერმე ქუთაისის სამეურნეო სკოლაში ვასწავლიდი მეფუტკრეობასა და მეაბრეშუმეობას, ვიყავი აგრეთვე ამავე სკოლის ეკონომი და მეთვალყურე (შემდეგ კი ეს უკანასკნელი ორი თანამდებობა მიხა ცხაკაიას გადავულოცე). ჩემის თაოსნობით სკოლის მოწაფეებმა დააარსეს ჟურნალი „ნორჩი მეურნე“ და მოაწყვეს საკუთარი სამკითხველო-ბიბლიოთეკა, (იწერდნენ „კვალს“), 1897 წ. მონაწილეობა მივიღე ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებაში. იმავე წელს სამსახურს თავი დავანებე, ცოლი შევირთე და მამის ოჯახიც მივატოვე. დავიწყე დამოუკიდებელი ცხოვრება. ორი წელიწადი მასწავლებლად ვიყავი წყალწმინდასა და სუფსაში (გურია). მასწავლებლობას თავი დავანებე და რამდენიმე წელს ვცხოვრობდი ხიდისთავში სიმამრის ოჯახში. „ჯეჯილში“ წერა დავიწყე 1892

წელს, ამაზე უფრო ადრე დავიწყე „ივერიის“ კორესპონდენტობა, შემდეგ „კვალის“, „ცნობის ფურცლის“ და „ნაკადულის“. ჯერ კიდევ უცოლო ვიყავი, როცა ეგნატეს დავუახლოვდი და მასთან მჭიდრო კავშირი მქონდა.

ხიდისთავში იმ დროს (1901—1902 წლებში) ახალგაზრდობა დიდი ძალა იყო. სამკითხველო, წარმოდგენები, საჯარო-გასამართლება, სამედიატორო სასამართლო, სახალხო ლექციები და სხვა მსგავსი იყო ჩვენი დღის საკითხი და ჩვენც ორ ბანაკად გაყოფილი (პროგრესისტი და რეგრესისტი — კვალისტები და ივერიისტები) ერთიმეორეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ვიწვევდით. ცხადია, მეც დასელების ჯგუფში ვიყავი და ჩემი მსოფლმხედველობა ხიდისთავში ყოფნის დროს ჩამოყალიბდა. ჩემი საარსებო წყარო იყო მეფუტკრეობა და მაზედ დამოკიდებული დურგლობა (სკების გაკეთება). მეც ცოტაოდენი ამით და ზოგი ცოლის ნამზითვი სპილენძეულობის გაყიდვით ოზურგეთში სამოსახლო შევიძინე და 40-მანეთიანი ქოხი დავიდგი — ხელი მოვკიდე ოჯახურ ცხოვრებას, მაგრამ დასახლებიდან წლინახევრის შემდეგ, 1904 წლის აპრილში, ლანჩხუთის გლეხთა აჯანყებასთან დაკავშირებით დამიჭირეს და 5 წლით ორენბურგის გუბერნიაში გადამასახლეს. 9 თვის ტყვეობისა და ეტაპის შემდეგ ორენბურგიდან გამოვიპარე და იმავე წლის დეკემბერში გურიაში არალეგალური ცხოვრება და წრეში მუშაობა დავიწყე. მონაწილეობა მივიღე სულთან-კრიმ-გირეის კომპანიაში. 1905 წელს პლასტუნებმა სახლ-კარი და მთელი ჩემი „ავლა-დიდება“ დამიწვეს... 1907 წელს კიდევ გადამასახლეს და კიდევ გამოვიპარე. ვიმალებოდი და წრეებში ვმუშაობდი. რამდენიმე წლის შემდეგ ერთმა მოლიბერალურ მაზრის

უფროსმა „შემირიგა“, მაგრამ, როცა ის გამოიცვალა, 1910 წელს, ისევ დამიჭირეს და სამი თვე მომისაჯეს ადმინისტრა-ტიული სასჯელი, როგორც ბეჭდვითი სიტყვით ცრუცნობე-ბის გამავრცელებელს მთავრობის წინააღმდეგ. 3 თვე ქუთაი-სის ციხეში ტყვეობით ვისარგებლე და ჩემი დიდი ხნის ოცნებას ფრთა შევასხი. დავწერე „ფუტკარი და მეფუტკრეობა“, რომლის დედანი იმავე წლის გამოფენაზე ოქროს მედლით დააჯილდოვეს. წიგნი გამოიცა 1912 წელს კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოების მიერ, 3 ათასი ცალი. იგივე წიგნი საბჭოთა მთავრობის მიერ ოთხჯერ იქნა გამოცემული და მიღებულია დამხმარე წიგნათ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

შინაარსი

აპოლონ წულაძის წერილი იკანე ჯავახიშვილისადმი . 1
ი. ჯავახიშვილის პასუხი 2
ჩემს მკითხველს 4
I შრომის სიმღერები 7
გალობა 8
ღიღინი 12
კრიმანჭული 13
სიმღერა 13
ყანური, ანუ ნადური 14
ელესა 32
სულხვაკი 35
ა-გიდელა და აგუნა 48
ქალების შრომის სიმღერა — ღიღინი . . . 58
II. დღეობა-დღესასწაულები 60
საშობაო სამზადისი და შობა 61
აღდგომა და მასთან დაკავშირებული თამაშობა-გარ-
თობა 80
სათამაშოზე 86
გაგდებ-გამოგდებაი 89
ფეხგაკვრიე 90
ცეხგაგორებით 90
გატანიე ბურთი 91
ჭაკუნობია 94
სახიობა 95

ხტომა 96
ცეკვა 97
მისალმება 100
წყევლა, გადაცემა, დალოცვა 101
ტირილის წიგნი 105
ქორწილის წიგნი 105
წირვა საღმრთო 105
წირვა ნაწყევარ-ნაფიცარი 106
წირვა საეტლო 106
სახლიკაცის წირვა 107
სათესლე სიმინდის კურთხევა 108
მარგვლა, თოხვა, წმეხდა, მაინდი, ნადი და ყანური
სიმღერები 108
მაინდი და ნადი 108
პაპაჯვარი 109
დადეგი 110
ღამის თევა ავადმყოფისათვის 110
ბრძნილობები 111
ლოგინის აღება. ნერჩი. მელოგინე ქალი . . 111
მოისარობა 113
ბოსლობა 114
გოქის ხუჩაფათი 114
მერცხალი რას ამბობს 114
ვარდენ გუგუნავას თქმული 114
შეწყენილის ლოცვა 115
ნათვალევის 115
უქმურის ლოცვა 117
კლიმობა — 23 იანვარი 118
სულთა შაფათი ხორციელთა მკვდრის სულია . 118
ყველიერის ორშაბათი 119
ყველიერის სუთშაბათი — ილორობა . . . 119
ყველიერის შაბათი — ცეცხლის სულთა . . 119
ლამპრობა 120

ჯვრისწერა 120
შაბათი საღამო 121
წარმო და უკუნი 122
ექიმობა და მკურნალობა 122
კატაჯვარა 127
III. მიცვალებულის კულტი გურიაში . . . 130
შეცხადება 147
სულთაბრძოლა 148
საძძიმარი 150
თათბირი 153
ტირილი 172
სულის ახსნა 198
არჩევი, საკურთხი და ალაპი 200
გამოტირილი 204
ნიშნით ტირილი 207
ტირილის „გადადება“ და ტირილის ეპიზოდები . 209
სხვადასხვაგვარი ტირილი 210
ქვრივი ქალის მოთქმა 211
„ჩამფხრული“ ტირილი 213
დაქირავებული მოტირალი, ანუ ვექილობით ტირილი 213
ბრძანებით ტირილი 215
მიცვალებულის „საიქიოს წასადგომი“ პატივისცემა 216
სხვა რამ წვრილმანიც 227
IV. ხალხური ლექსები 231
ძველი რვეულიდან 248
ავტობიოგრაფია 255